"КАРТВЕЛОЛОГИЧЕСКАЯ БИБЛИОТЕКА"
"KARTVELOLOGICAL LIBRERY"

⑧

Г. Г. Гиоргадзе

Древнейшие ближневосточные этносы и происхождение грузин

Gregory Giorgadze

Ancient Neareastern Ethnicities and Origin of Kartvelians

Тбилиси – Tbilisi
2002

"ქართველოლოგიური ბიბლიოთეკა"

⑧

გრიგოლ გიორგაძე

უძველესი ასლოაღმოსავლური ეთნოსები და ქართველთა წარმომავლობა

სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა

თბილისი
2002

УДК 947.922:9(5-011)
გ511

„ქართველოლოგიური ბიბლიოთეკა“

სარედაქციო საბჭო: ც. ბარბაქაძე (პასუხისმგებელი მდივანი), ვ. ბოელერი, თ. გამყრელიძე (მთავარი რედაქტორი), ი. გიპერტი, გ. კარტოზია, რ. მეტრეველი, ალ. თნიანი, ჟ. სართანია, ზ. სარჯველაძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ჰ. უერრისი; კ. ჰ. შმიდტი.

უახლესი არქეოლოგიური, ანთროპოლოგიური, ლინგვისტური და ისტორიული მასალის მონაცემებზე დაყრდნობით წიგნში დახასიათებულია ძ.წ. III-II ათასწლეულების წინა აზიის ეთნოსები (შუმერები, სემიტები, ინდოევროპელები, კერძოდ, ხეთები, ხურიტები და სხვანი), შესაძლებლობისამებრ გამოყენებულია ამ ეთნოსთა ენების დამოკიდებულება ქართველურ ენებთან, განხილულია ქართველთა ეთნოგენეზის შესწავლის თანამედროვე მდგომარეობა.

ტომის რედაქტორი: † აკად. გ. მელიქიშვილი
რეცენზენტები: კ. ფოცხელაური
მ. ქურდიანი

ISBN 99928-77-14-6

წინასიტყვაობა

ძველი წინა აზიის ეთნოსებისა და შესაბამისი ძველაღმოსაელური ენების პრობლემა დიდი ხანია მეცნიერთა კვლევის საგანია. ამ პრობლემის დამუშავება წარმატებით მიმდინარეობდა XX ს-ის მეორე ნახევარში, როდესაც შუმერული, სემიტური, ინდოევროპული, ხურიტული და სხვა ახლოაღმოსავლური ეთნოსები და მათი ენები ფართო კვლევა-ძიების ობიექტი გახდა. ჩვენთვის საინტერესო პრობლემასთან დაკავშირებით არაერთი საყურადღებო ნაშრომი დაიწერა გასული საუკუნის ბოლო ორი ათეული წლის მანძილზე. წინამძღვარე წიგნი ძირითადად სწორედ ამ სანებში მოპოვებული მეცნიერული ცოდნის განზოგადების მოკრძალებული ცდაა.

წიგნის პირველი და მეორე თავები საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გრანტით შესრულებული ნაშრომის – „ქართველური და ახლოაღმოსავლური ეთნოსები ძვ.წ. III-II ათასწლეულებში“ – გაფართოებული ვარიანტია. შემოკლებული სახით იგი დაიბეჭდება „საქართველოს ისტორიის“ ოთხტომეულის I ტომში, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილებით მომზადდა. წიგნის დანარჩენი თავები მასში დასმული პრობლემის გაგრძელებაა.

აღნიშნული ნაშრომი ხელნაწერში წაიკითხეს და თავიანთი მოსაზრებანი გამოთქვეს † აკად. გ. მელიქიშვილმა, აკად. მ. ლორთქიფანიძემ, აკად. ო. ჯაფარიძემ, აკად. დ. მუსხელიშვილმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა კ. ფიცხელაურმა, გელათის მეცნიერებათა

აკადემიის აკადემიკოსმა მ. ქურდიანმა, რომელთაც ავტორი უღრმეს მადლობას უხდის და მათ შენიშვნებს სათანადოდ ითვალისწინებს. წიგნის მომზადებაში ფასდაუდებელი დახმარება გამიწია აკად. ე. ხოშტარია-ბროსემ, რომელსაც დიდად ემადლობ.

განსაკუთრებული მადლობით უნდა მოვიხსენიო ამ წიგნის გამოქვეყნების ინიციატორები და სელშემწყობნი აკად. თ. გამყრელიძე და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გ. სარჯველაძე, რომელთა დახმარებითაც წიგნმა დღის სინათლე უმოკლეს დროში იხილა.

ავტორს მიაჩნია, რომ წიგნში არაერთი პრობლემატური საკითხია დასმული. იგი მადლობელი იქნება, თუკი მას მკითხველი შენიშვნებს დროულად მიაწედის.

შესავალი

ტერიტორია, რომელიც უძველესი სანებიდან ეკავა საქართველოს (თანამედროვე და ისტორიული საქართველოს ჩათვლით), ორგანულად იყო დაკავშირებული ძველ აღმოსავლეთთან, კერძოდ, მის ერთ-ერთ დიდ რეგიონთან – ახლო აღმოსაელეთთან, რომლის სივრცობრივი და ქრონოლოგიური ჩარჩოები ძალზედ ფართოა.* ისტორიული საქართველო, ისევე როგორც მთელი ამიერკავკასია (და, საერთოდ, კავკასია), ახლო აღმოსაელეთის ჩრდილოეთ პერიფერიას წარმოადგენდა,[1] სადაც საზოგადოებრივი განვითარება ძველ აღმოსავლეთთან შედარებით, შენელებული ტემპით მიმდინარეობდა.

ძველი აღმოსავლეთი, განსაკუთრებით წინა აზია, კაცობრიობის განვითარების უმნიშვნელოვანესი რეგიონია. ძველი აღმოსავლეთის ისტორია არის, როგორც ამას გამოჩენილი რუსი მკვლევარი ბ. ტურაევი აღნიშნავდა,[2] პირველი თავი კაცობრიობის ისტორიისა. ეს არის ისტორია ცივილიზაციებისა, რომლებიც წინ უსწრებდნენ ანტიკურობასა და ქრისტიანობას, ისტორია ჩვენს პლანეტაზე უძველეს კლასობრივ საზოგადოებათა წარმოშობისა.

ძველი აღმოსავლეთის ისტორია არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადრეული ეტაპი სხვადასხვა მეცნიერების, ლიტერატურის, ფილოსოფიური აზრის, სახვითი ხელოვნების

---

* „ახლო აღმოსავლეთს“ პირობითად უწოდებენ ტერიტორიას, გადაჭიმულს კასპიის, შავი, ხმელთაშუა ზღვებსა და ინდოეთის ოკეანეს შორის, აგრეთვე ჩრდილოეთ აფრიკის რაიონებს, რომლებიც ემეზობლებიან აზიას. იგი იყოფა აფრიკულ ნაწილად და აზიურ ნაწილად. ამ უკანასკნელს უწოდებენ აგრეთვე წინა აზიას.

[1] История древнего Востока. Зарождение древнейших классовых обществ и первые очаги рабовладельческой цивилизации. Под редакцией И. М. Дьяконова. Часть первая. М., 1983, с. 18.

[2] Тураев Б. А. История древнего Востока. 4-е издание. М., 1935-1936, с. 3.

წარმოშობისა. სწორედ აქ, ძველ ახლო აღმოსავლეთში, პირველად შეიქმნა კაცობრიობის უღიდესი მონაპოვარი – სხვადასხვა სახის დამწერლობა, მათ შორის, ანბანური, განვითარებული სახით დღევანდლამდე რომ შემოინახა. არამარტო ანტიკურმა სანამ და შუა საუკუნეებმა, არამედ უახლესმა ეპოქამაც ძველაღმოსავლური ცივილიზაციებისაგან მემკვიდრეობით მიიღო აღმოჩენები ასტრონომიაში, მათემატიკაში, მედიცინაში, გეოგრაფიაში, არქიტექტურასა და სამშენებლო საქმეში. განსაკუთრებით დიდი იყო გავლენა ძველი აღმოსავლეთისა ანტიკურ სამყაროზე, რომლის კულტურა გახდა, თავის მხრივ, თანამედროვე ევროპული კულტურის საფუძველი.[1]

ძველ ახლოაღმოსავლურ ცივილიზაციებს უნდა დაეჩქარებინა მეზობელი რეგიონების, მათ შორის ამიერკავკასიის, საზოგადოებათა წარმოშობისა და განვითარების პროცესი. მათ რიცხვს განეკუთვნებოდნენ ქართველურ ტომთა უძველესი გაერთიანებანიც.

ძველი ახლოაღმოსავლური ცივილიზაციების არსებობის პერიოდში წინა აზიასა და კავკასიაში ადგილი უნდა ჰქონოდა დიდ ეთნიკურ პროცესებს, როდესაც ვითარდებოდა აგრეთვე გარკვეული სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობანი, ყალიბდებოდა უძველესი რელიგიური რწმენა-წარმოდგენები, წარმოიშობოდა მითები და რიტუალები, ხდებოდა დიდი ძვრები კულტურის სფეროში.

ჯერ კიდევ ივ. ჯავახიშვილი თავისი ცნობილი ნაშრომის „ქართველი ერის ისტორიის შესავლის“ პირველ წიგნში – „საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები“ – ეხებოდა წინა აზიის ძველი მოსახლეობის (შუმერების, ხურიტების, კასიტების, ხეთების, ლუვიელების, პროტოხეთების, მუშქების) ისტორიასაც უახლესი – 20-30-იანი წლების – მდიდარ სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით.[2] იგი ღრმად იყო დარწმუნებული,

---

[1] История древнего Востока, I, с. 18.

[2] ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორიის შესავალი. წიგნი პირველი: საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები. თბ., 1950, გვ. 1-10.

რომ ძველაღმოსავლურ სამყაროში მიმდინარე ეთნიკური პროცესები დაკავშირებული იქნებოდა ამიერკავკასიასა და, საერთოდ, კავკასიაში მიმდინარე იმავე სახის პროცესებთან, რაც საესებით დადასტურდა ხანგრძლიეი მეცნიერული კვლევა-ძიებით.

როგორც ძველაღმოსავლურ წერილობით წყაროებში დაცულმა ცნობებმა და, ნაწილობრიე, არქეოლოგიურმა მასალამ აჩვენა, ძველ აღმოსავლეთში დიდი ეთნიკური პროცესები მიმდინარეობდა აგრეთვე ადრესასელმწიფოებრიე საზოგადოებათა ჩამოყალიბებისა და განვითარების პირობებში, როდესაც უკვე გამოკვეთილი იყვნენ ძირითადი ეთნოსები. ი. დიაკონოეის აზრით, ძველაღმოსავლურ საზოგადოებებში, როგორც წესი, არ ხდებოდა არც აღგილობრიეი მოსახლეობის მთლიანი განადგურება შემოჭრილი ეთნიკური ერთობის მიერ, არც მომხვდური ეთნიკური ჯგუფის მიერ აღგილობრიეი მოსახლეობის მთლიანი გასახლება სხვა ტერიტორიაზე. ძველ ახლოაღმოსავლურ ქვეყნებში აღგილი ჰქონდა ძირითადად ისეთ ეთნიკურ მიგრაციულ პროცესებს, როდესაც ხდებოდა ასალი ეთნიკური ჯგუფის ნაწილობრიეი, მშეიდობიანი გზით შეღწევა სხვა ეთნოსის ტერიტორიაზე ისე, რომ ძველი ეთნოსი რჩებოდა თავის საცხოვრებელ აღგილზე. ამ დროს აღგილობრიე მოსახლეობაში მომხვდური ეთნიკური ერთობა თანდათან ერეოდა და გარკვეული პერიოდის მანძილზე ორენოვნება მყარდებოდა. მომდევნო ხანებში კი ერთ-ერთი (უმეტესწილად, მომხვდურთა) ენა ბატონდებოდა და შერევა-შეჯვარედინების პროცესის შედეგად ჩამოყალიბებული საზოგადოება ცხოერებას განაგრძობდა.[1]

წინა აზიაში ეთნოსთა მიგრაციების მიზეზებთან დაკავშირებით ბევრი რამ დღესაც გაურკეეველია, სახელდობრ, რით იყო გამოწვეული მიგრაცია: კატასტროფით, გვალვით, საკვების წარმოებისა და, შესაბამისად, მოსახლეობის სწრაფი ზრდით, რაც იწვევდა მიწის ნაკლებობას, თუ სხვა მიზეზით. არ

[1] Дьяконов И. М. Языковые контакты на Кавказе и Ближнем Востоке. წიგნში: Кавказ и цивилизации древнего Востока. Орджоникидзе, 1989, с. 5 и сл.

ვიცით, მთელი მოსახლეობა იღებდა მონაწილეობას მიგრაციაში თუ მისი ნაწილი, როგორ ხდებოდა გადაადგილება – ფეხით ან რაიმე სატრანსპორტო საშუალებებით და ა.შ.[1] ვიცით მხოლოდ, რომ ეთნოსთა მიგრაციებს ადგილი უნდა ჰქონოდა ახლო აღმოსავლეთში ძირითადად ძვ.წ. IV-III ათასწლეულებში. ეთნოსთა მიგრაციის პროცესში ჩაბმული უნდა ყოფილიყო კავკასიაც, ამიერკავკასიის, კერძოდ, ქართველურ ტომთა (ქართველთა) არეალის ჩათვლით. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეთნოსთა გადაადგილება ხდებოდა კავკასიიდან სამხრეთისაკენ, როგორც ვარაუდობენ, არცერთ დიდ მიგრაციას ადგილი არ უნდა ჰქონოდა სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ კავკასიის მიმართულებით (ი. დიაკონოვი), თუმცა ამ მოსაზრებას ახლა ზოგიერთი მკვლევარი არ იზიარებს.

ქართველური ტომების (ქართველთა) განსახლების ტერიტორია ჩვენთვის საინტერესო ხანაში მჭიდროდ იყო დაკავშირებული (კულტურულად, ეთნიკურად) მეზობელ ძველაღმოსავლურ ქვეყნებთან. იგი ისეთ რეგიონში მდებარეობდა, საიდანაც შეიძლებოდა კონტაქტები განხორციელებულიყო როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი გზით. ძველაღმოსავლურ სამყაროსთან ურთიერთობანი უნდა განვითარებულიყო, როგორც ჩანს, უძველესი ხანებიდან – ქართველურ ენათა ოჯახის ჩამოყალიბების დროიდან და უნდა გაგრძელებულიყო აღნიშნული სამყაროს არსებობის მთელს მანძილზე, რაზეც მიუთითებს არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული მასალაც (ამის შესახებ სხვა ადგილას).

ქართველურ ტომებს ძვ.წ. III-II ათასწლეულებში ურთიერთობანი უნდა ჰქონოდათ ძველი აღმოსავლეთის ისეთ ცნობილ ეთნოსებთან, როგორიც იყვნენ შუმერები, სემიტები, ინდოევროპელები (განსაკუთრებით სეთები), ხათები (პროტოხეთები), ხურიტები და სხვანი. ამას უნდა ადასტურებდეს ამ ეთნოსებიდან ქართველური ეთნოსის მიერ ნასესხები ლექსიკა, ისევე როგორც ძველაღმოსავლურ და ქართველურ ენათა მსგავსი სტრუქტურული დამახასიათებელი ნიშნები, რომელ-

[1] იქვე, გვ. 6 და შმდ.

თა შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი თითოეული ძველაღმოსავლური ეთნოსის დახასიათების დროს. ლექსიკურ ნასესხობათა გამოელენა თავისთავად მიგვანიშნებს, დაახლოებით შემოვფარგლოთ გეოგრაფიული გარემო, რომლის საზღვრებშიც უნდა ეცხოვრათ ქართველურ ტომებს ჩვენთვის საინტერესო ხანაში.

თავი I

საქართველო და გარესამყარო ძვ.წ. III-II ათასწლეულებში

შუმერები

მესოპოტამიის პროტომოსახლეობისათვის. წინა აზიის ეთნოსებთან დაკავშირებით ამ ბოლო წლებში გამოითქვა მოსაზრება, რომ ერთ-ერთი უძველესი ეთნოსი შუამდინარეთში გავრცელებული უნდა ყოფილიყო იმ ტერიტორიაზე, სადაც უნდა ეცხოვრათ უცნობ ტომებს. მათ ენას პირობითად უწოდებენ „ბანანას" ენას (წარმოდგება ინგლისური სიტყვიდან banana „ბანანი"). მის აღსანიშნავად სმარობენ აგრეთვე ტერმინებს – „პროტოტიგროსული" ან „პროტოევფრატული".[1] მისი კვალი შემორჩენილი იყო არა მარტო ჩრდილოეთ მესოპოტამიასა და მდ. ტიგროსის აღმოსავლეთით მდებარე რაიონებში, არამედ სამხრეთ მესოპოტამიაში გავრცელებულ სახელწოდებებსა და სიტყვებში შუმერების გამოჩენამდე. ეს ენა არ იყო არც შუმერული, არც აქადური, არც სურიტული და ა.შ. იგი, როგორც ჩანს, ამ ენებისათვის, განსაკუთრებით, სურიტულისათვის, უნდა ყოფილიყო სუბსტრატი ენა (როგორც ვარაუდობენ, შუმერულისათვის სუბსტრატი ენა შეიძლებოდა ყოფილიყო აგრეთვე დრავიდული ან ელამური). აღნიშნული ენის ლექსიკისათვის დამახასიათებელი ყოფილა სამმარცვლიანი სიტყვები, თანაც ისე, რომ მათი მეორე და მესამე მარცვალი მეორდებოდა. შდრ., მაგალითად, საკუთარი სახელები: აბაბა, აბიბი, ედადა და ა.შ.; ღვთაებათა სახელები: ინანა, ქუბაბა, ბაბაბა, ბი-

[1] История древнего Востока, I, с. 91 и сл., с. 138; Дьяконов, Языковые контакты, с.14; Хачикян М. Л. Хурритский и урартский языки. Ереван, 1985,. 132; Wilhelm G. The Hurrians. Warminster, 1989, p. 8.

ლულუ, ვუნენე და სხვ. როგორც ვარაუდობენ, იმავე ეპიდან უნდა შესულიყო შუმერულში ბოგეერთი კულტურული ტერმინი: „ურუდუ" (სპილენძი), „ზიმბარ/ზაბარ" (სპილენძის გამონადნობი, საიდანაც მოგეიანებით უნდა მიეღოთ ბრინჯაო), „ტიბირა" (მეთუნუქე), „სიმუგ" (მჭედელი); ყოველდღიურ ცხოვრებაში სახმარი სიტყვები: „აფინ" (გუთანი), „ენგარ" (მსენელი), „ფახარ" (მეთუნე), „უშბარ" (მქსოველი), „სიფა" (მწყემსი), „აშბაგ" (დაბაღი), „ნაგარ" (ხურო) და სხვა მრავალი.[1] ამ უცნობი ენის გაქრობის მიზეზი შეიძლება ყოფილიყო შუმერების, ან კასიტების, ლულუბეელებისა და სხვა ტომთა მიგრაცია ზემოაღნიშნულ რეგიონებში.

შუმერთა სახელწოდება და განსახლება.[2] აქადური ტექსტების „შუმერ" („შუმირ") არის მხოლოდ გეოგრაფიული ტერმინი, საიდან წარმოდგება იგი – უცნობია. საკუთრივ შუმერულ ტექსტებში იგი არ გვხვდება.

შუმერები თავიანთ აღგილსაცხოვრისს უწოდებდნენ „ქალამს" (ან „ქანანგს"), რაც „ქვეყანას" ნიშნავს, ხოლო უშუალოდ იმ ტერიტორიას, სადაც ცხოვრობდნენ ისინი, აღნიშნავდნენ იდეოგრამით „ქი.ენ.გი" (შესაძლოა, ითარგმნება როგორ „ლერწმის მეუფის მიწა").

შუმერების თვითსახელი (ავტოეთნონიმი) ჩვენთვის უცნობია. თავიანთ თავს ისინი წარმოადგენდნენ როგორც ამა თუ იმ თემის „კაცს" (ლუ), ხოლო ზოგჯერ სმარობდნენ ტერმინს „სანგ-ნგიგა" („შავთმიანები"), რომელიც მოგეიანებით აღნიშნავდა სემიტური წარმოშობის აქადელებს და, საერთოდ, ადამიანს. ამგვარად, შუმერებს ვიცნობთ მხოლოდ სხვის მიერ წოდებული სახელით (ალოეთნონიმით).

შუმერები თავიანთ უძველეს დასახლებად მიიჩნევდნენ ქ. ერიდუს, ერედუს (თანამ. აბუ შაჰრეინი, ერაყის რესპუბლიკა), სპარსეთის ყურის სანაპიროზე მდებარე პუნქტს. ქ. ერიდუს

---

[1] История древнего Востока, I, გვ. 91; Хачикян, დასახ. ნაშრ., გვ. 132; Wilhelm, დასახ. ნაშრ., გვ. 8.

[2] Дьяконов И. М. Народы древней Передней Азии. წიგნში: Переднеазиатский этнографический сборник. I. М., 1958. с. 8 и сл.; შარაშენიძე ჯ. შუმერები და მათი კულტურა, თბ., 1983, გვ. 4 და შმდ.

მნიშვნელობა შუმერებისათვის ძალზედ დიდი იყო ძვ.წ. IV ათასწლეულის დასაწყისიდან, როდესაც ისინი ჩნდებიან შუამდინარეთში. მოგვიანებით, დაახლ. ძვ.წ. 3000 წლისათვის, ცენტრალურ შუმერში წარმოიშვა ქ. ნიფური (თანამ. ნუფარი), რომელიც შემდგომ საერთოშუმერულ რელიგიურ ცენტრად იქცა. ძვ.წ. III ათასწლეულში შუმერის დიდი ქალაქები იყვნენ ურუქი (თანამ. ვარკა), ური (თანამ. თელ-მუკაიარი), ლაგაში (თანამ. თელ-ლუსი, იგივე თელლო), ქიში (თანამ. თელ-უსაიმირი) და სხვანი. მთელი ეს ტერიტორია, დაახლოებით 33-ე პარალელის სამხრეთით სპარსეთის ყურემდე, განეკუთვნება სამხრეთ ბაბილონეთს და ამჟამად მოიცავს ერაყის რესპუბლიკის სამხრეთ ნაწილს.

მკვლევართა უმეტესობა შუმერებს არ თვლის ადგილობრივ (ავტოქტონურ) მოსახლეობად, მაგრამ ამავე დროს ისინი ვერ ადგენენ მხარეს, საიდანაც უნდა მოსულიყვნენ შუმერები, რომლებიც მშვიდობიანი გზით უნდა შერწყმოდნენ პროტოშუმერულ (ე.ი. შუმერების გამოჩენამდე არსებულ) მოსახლეობას, როდესაც უნდა ჩამოყალიბებულიყო შუმერული ეთნოსი.

სამხრეთ შუამდინარეთში შუმერების მოსვლის გზებთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა: მკვლევართა ნაწილი ვარაუდობს, რომ შუმერები გადმოსახლდნენ სამხრეთიდან (ს. კრამერი),[1] ზოგიერთთა თვალსაზრისით კი ისინი აღმოსავლეთიდან არიან გადმოსახლებულები[2] (ამ შემთხვევაში მკვლევარნი ყურადღებას აქცევენ შუმერულ მითებში ასახულ მოგონებას მათი ადრინდელი სამშობლოს შესახებ. ასეთ სამშობლოდ მათ მიაჩნდათ „მზის ამოსვლის მხარეს მდებარე ქვეყანა", შესაძლოა, დილმუნი) და დასავლეთთან. წამოყენებულია ვარაუდი სამხრეთ შუამდინარეთში შუმერების მიგრაციის შესახებ ჩრდილოეთიდან.

---

[1] იხ. წიგნში: ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია. თბ., 1988, გვ. 46; შარაშენიძე ჯ. შუმერები და მათი კულტურა. გვ. 21 და შმდ.

[2] История древнего Востока, I, გვ. 92; Дьяконов И. М. Языковые контакты, с.14. ბოლო ხანებშიც ი. დიაკონოვმა შუმერთა წარმოშობის ადგილი გამოცანად მიიჩნია. Дьяконов И. М., Шумеры и афразийцы глазами историка. „Вестник древней истории", 1996, №4, გვ. 88.

გასული საუკუნის დასაწყისში პირველი ქართველი ასირიოლოგი მიხეილ (მისაკო) წერეთელი თვლიდა, რომ ძველად არსებულა ხალხთა დიდი ჯგუფი კავკასიაში და მის სამხრეთით მიმდებარე ტერიტორიაზე. ეს ხალხები გენეტიკურად ყოფილან ერთმანეთთან დაკავშირებული და იყოფოდნენ, როგორც მ. წერეთელი აღნიშნავდა, რამდენიმე სხვადასხვა, შედარებით პატარა ჯგუფებად, ერთ-ერთი ამ ეთნოსთაგანი, შუმერები, სამხრეთისაკენ წასულა, სამხრეთ მესოპოტამიაში დასახლებულა და იქ შეუქმნია უძველესი დიდებული კულტურა...[1] ყოველივე ამას იგი ვარაუდობდა იქედან გამომდინარე, რომ უშვებდა ქართველურ ენათა ნათესაობას შუმერულთან (ამის შესახებ დაწერილებით ქვემოთ, ამავე თავის დასკვნით ნაწილში), თუმცა ამ ნათესაობას იგი შორეულად მიიჩნეველა. მოგვიანო სანებში კი მ. წერეთელი საერთოდ უარყოფდა, რომ „სუმერნი ქართველთა წინაპრები იყვნენ“.

ანთროპოლოგიური ტიპი[2] შუმერებისა ნაწილობრივ აღსადგენია კრანიოლოგიური (ადამიანის თავის ქალას აგებულების) და, საერთოდ, ადამიანთა შემორჩენილი ჩონჩხების მისედვით. ზოგჯერ მოიშველიებენ სკულპტურულ გამოსახულებებსაც, თუმცა ისინი რამდენადმე სტილიზებული არიან. როგორც ვარაუდობენ, შუმერები განეკუთვნებოდნენ იმ ანთროპოლოგიურ ტიპს, რომელიც გაბატონებული იყო მესოპოტამიაში საერთოდ. სკულპტურული გამოსახულებების მიხედვით, შუმერთა ორი ტიპი შეინიშნება: ერთია მრგვალსახიანი ტალღისებური თმით, სწორი ცხვირითა და პატარა ნიკაპით, ხოლო მეორე – ასიროიდული (არმენოიდული) ტიპი დიდი კეხიანი ცხვირით და ხვეული თმით თავზე და ტანზე, რაც დამახასიათებელია სემიტებისთვისაც (იხ. ქვემოთ).

---

[1] მისაკო წერეთელი, ერი და კაცობრიობა. თბ., 1990, გვ. 301; გიორგაძე გ. მიხეილ წერეთელი და ასირიოლოგია. „მნათობი“, 1995, №3-4, გვ. 125.

[2] Дьяконов И. М. Народы древней Передней Азии, с. 10 и сл.; История древнего Востока, с. 92 и сл.; Дьяконов И. М., Шумеры и афразийцы..., გვ. 88. ამ ნაშრომში ი. დიაკონოვი თელის, რომ სახეითი ხელოვნების ნიმუშებისა და კრანიოლოგიური მასალის მისედვით, ანთროპოლოგიურად შუმერები განეკუთვნებოდნენ ევროპეიდებს (გვ. 88).

შუმერული ენა დღესაც არაერთი საიდუმლოებითაა მოცული. მსოფლიოში ცნობილ ენებთაგან იგი არც ერთთან არ იჩენს სიახლოვეს და მათგან სრულიად განცალკევებით დგას.

შუმერულ ენაში კონსონანტური (თანხმოვანთა) შემადგენლობა მხოლოდ მიახლოებითაა რეკონსტრუირებული (ბ, ფ, დ, თ, გ, ქ, ზ, ს, შ, ხ, რ, ლ, მ, ნ, ნგ) ლურსმული დამწერლობისათვის დამახასიათებელი გრაფიკის თავისებურებათა გამო (არსებობდა ა, ე, ი და უ ხმოვნები). გრამატიკული წყობისათვის დამახასიათებელია ერგატიული კონსტრუქცია, ე.ი. მოთხრობითი ბრუნვა – ქვემდებარის სპეციფიკური ბრუნვა გარდამავალ მმნასთან (საყურადღებოა, რომ იგი არსებობს ქართველურსა და მთის კავკასიურ ენებშიც). გარდა ერგატივისა, არსებობდა წრფელობითი, ნათესაობითი, მიცემითი, მოქმედებითი, მიმართულებითი, ადგილობითი ბრუნვები. შუმერულს არა აქვს დროის კატეგორია. სასელს გააჩნია სუფიქსალური პოზიციები, რომლებიც შეიძლება აჩვენებდეს რიცხვს, კუთვნილებით ნაცვალსახელებსა და ბრუნვათა ურთიერთობებს და ა.შ.[1]

შუმერულის დაკავშირებას ცდილობდნენ ინდოევროპულ, სემიტურ, კავკასიურ, ურალო-ალტაურ, სუდანურ, მალაზიურ-პოლინეზიურ, უნგრულ და სხვა ენებთან. მეცნიერნი შუმერულ ენას აკუთვნებდნენ თურქულ-მონგოლურ ენებსაც, მოჰყავდათ რა სათანადო შედარებები (მაგალითად, თურქ. ***თენგრი*** „ცა, ღვთაება" და შუმ. ***დინგირ*** „ღვთაება"). მაგრამ მრავალი მათგანი უკუაგდეს იმის გამო, რომ ისინი ჩათვალეს როგორც შემთხვევითი დამთხვევები. შუმერული არ ენათესავება არცერთ ძველ წინააზიურ ენას – სურიტულს, ელამურს, ხათურს (პროტოხეთურს) და სხვებს.[2] ი. დიაკონოვისა და ს. სტაროსტინის აზრით, შუმერული ენის ფონეტიკური სისტემა წააგავს აღმოსავლეთ კავკასიის (ნახურ-დაღესტნურ) ენათა ფონეტიკურ

---

[1] Лингвистический энциклопедический словарь. М., 1990, с. 589; Дьяконов И. М., Шумерский язык. „Языки Азии и Африки", III, М., 1979, с. 14 и сл.

[2] Дьяконов И. М., Народы древней Передней Азии, с. 12; შარაშენიძე ჯ., დასახ. ნაშრ., გვ. 28 და შმდ.; Fähnrich H. Das Sumerische und die Kartwelsprachen. „Georgica", IV, 1981, s. 89.

სისტემას[1] (ამ მოსაზრებას მკვლევართა დიდი ნაწილი ჯერჯერობით არ იზიარებს). ბოლო წლებში გამოითქვა ვარაუდი შუმერული ენის დაკავშირებისა ბალყარულ-ყარაჩაულ ენასთან ლექსიკური პარალელების მისედვით,[2] რაც არ არის საკმარისი ამ ენათა ნათესაობის დასამტკიცებლად.

კარგა ხანია შუმერულ ენას უკავშირებენ, როგორც ვემოთ აღინიშნა, ქართველურ ენებს (იხ. ქვემოთ).

დამწერლობა.[3] შუმერული დამწერლობის უძველესი ფორმა იყო პიქტოგრაფია (ლათ. პიკტუს „დახატული" და ბერძნ. გრაფო „ვწერ"), ანუ სატოვანი დამწერლობა, ე.ი. რაიმე აზრის გამოხატვა ნახატის დახმარებით. მომდევნო ხანებში დაიწყეს გამოყოფა ცალკეული ნახატებისა – იდეოგრამებისა, რომელთაც უკვე განსაზღვრული სიტყვებისა და ცნებების მნიშვნელობები ჰქონდათ. ამ სახის დამწერლობას უწოდებენ იდეოგრაფიულს, რომლითაც შექმნილი ტექსტები შუმერში (მაგალითად, ურუქსა და ჯემდეთ-ნასრში) თარიღდება ძ.წ. IV ათასწლეულის ბოლო საუკუნეებით.

სწორედ შუმერული იდეოგრაფიული დამწერლობა იყო ლურსმული დამწერლობის წინა საფეხური. მომდევნო ხანებში ცალკეულ იდეოგრამებს მისცეს ფონეტიკური (კერძოდ, მარცვალთა) მნიშვნელობებიც, რომლებიც ისმარებოდნენ დამსმარე ნაწილაკების, ნაცვალსახელთა და მორფოლოგიურ ელემენტთა გადმოსაცემად. თითოეულ ნიშანს შეეძლო ჰქონოდა რამდენიმე იდეოგრაფიული და მარცვლოვანი მნიშვნელობა. იდეოგრამებისა და მარცვლის აღმნიშვნელი ნიშნების გარდა იხმარებოდა ისეთი ნიშნებიც, რომლებიც არ წარმოითქმებოდა, მაგრამ განსაზღვრავდა ცნებათა კატეგორიას. ასეთ ნიშნებს ეწოდებოდათ დეტერმინატივები.

შუმერული დამწერლობის ნიშნებმა გაიარა განვითარების ეტაპები ისე, რომ ნიშნების დაწერილობა თანდათან იცვლე-

---

[1] Дьяконов И. М. Языковые контакты, с.14.

[2] Мизиев И. Исчез ли шумерский язык? С. 16 и сл.

[3] Klima J. Gesellschaft und Kultur des alten Mesopotamien. Prag. 1964. s. 77 ff.; Лингвистический энциклопедический словарь, с. 228 и сл.; შარაშენიძე ჯ. შუმერები და მათი კულტურა, გვ. 43 და შმდ.

ბოდა. საწერი მასალა იყო თიხა, რომლისაგან ამზადებდნენ თხელ, ერთი მხრიდან ამობურცულ, სხვადასხვა ზომის, ფირფიტებს. წერდნენ ასალმოშელილი თიხის ფირფიტებზე წვეტიანი ლერწმის ღეროთი, რის გამოც ძნელდებოდა თიხაზე მრგვალი და ოვალური ხაზების გამოყვანა. ამან გამოიწვია ამ ფორმის ხაზების თანდათან გარდაქმნა სწორ ხაზებად, რომლებიც დაემსგავსნენ ლურსმნებს ან სოლებს. აქედან წარმოიქმნა ტერმინი „ლურსმული (სოლისებრი) დამწერლობა". თავდაპირველად წერდნენ ზემოდან ქვემოთ, ცალკეულ სვეტებად მარჯვნიდან მარცხნივ, შემდეგ კი წერის მიმართულება შეიცვალა: ფირფიტაზე წერდნენ ჰორიზონტალური სტრიქონებით მარცხნიდან მარჯვნივ.

ნიშნების დაწერილობის ცელის პარალელურად იცვლე ბოდა მათი მნიშვნელობებიც. სიტყვების ან ცნებების აღმნიშვნელ ნიშნებს (იდეოგრამებს) დაემატათ მარცვლების გამომყოფი მნიშვნელობებიც. ამიტომაც არის, რომ ლურსმულ დამწერლობას თელიან იდეოგრაფიულ-მარცვლოვან დამწერლობად.

შუმერების მიერ შემოღებული ლურსმული დამწერლობა აითვისეს და თავიანთ ენას მიუსადაგეს მესოპოტამიაში მცხოვრებმა სემიტებმა, რომელთაგან ეს დამწერლობა მთელს წინა აზიაში გავრცელდა. მას ხმარობდნენ ხურიტები, ხეთები, ურარტელები და სხვანი.

მოკლე ისტორიული ცნობები.[1] ძვ.წ. IV ათასწლეულის დასაწყისისათვის ელ-უბეიდის კულტურის შემქმნელები შუმერები უნდა ყოფილიყვნენ. იეროგლიფური დამწერლობის წარმოშობის დროს, დაახლ. ძვ.წ. IV-III ათასწლეულების მიჯნაზე კი, სამხრეთ მესოპოტამიის მოსახლეობა აშკარად შუმერული იყო. ძვ.წ. III ათასწლეულის პირველ ნახევარში იქ ჩამოყალიბებული იყო პოლიტიკური გაერთიანებები – ქალაქ-სახელმწიფოები, რომელთა მთავარი ფუნქცია ხელოვნური მორწყვის (ირიგაციის) ორგანიზება იყო. ამ პოლიტიკური გა-

[1] История древнего Востока, I, с. 233 и сл.; ძველი აღმოსავლეთის სალხთა ისტორია, გვ. 53 და შმდ.; შარაშენიძე ჯ. დასახ. ნაშრ., გვ. 52 და შმდ.

ერთიანებების ცენტრი იყო ქალაქი, რომელსაც მორჩილებაში ჰყავდა ირგვლივ მდებარე დასახლებები. მას სათაოში ედგა მეფე (შუმ. „ენსი“ ან „ლუგალ“) საკუთარი ჯარით, სასამართლოთი, პოლიტიკით და ა.შ.

ქალაქ-სახელმწიფოთა შორის (ერიდუ, ქიშში, ურუქი, ური, ადაბი, სიფარი, შურუფაქი და სხვ.) გაუთავებელი ბრძოლა იყო ჰეგემონობისათვის. თავიდან დაწინაურდა ურუქი, რომლის ერთ-ერთი მეფე იყო გილგამეში (მის შესახებ მოგვიანებით სანებში ლეგენდები შეიქმნა. მისი ბრძოლა ქიშის მმართველთან დამთავრდა გავით). მომდევნო სანებში ძლიერდება ლაგაში, რომლის მეფე ეანათუმმა მოახერხა მთელი ქვემო შუამდინარეთის გაერთიანება. შემდეგმა მეფემ ურუქაგინამ (იმავე ურუინიმგინა) დიდი რეფორმები გაატარა (ძვ.წ. XXIV ს-ის I ნახევარში): გააუქმა არსებული საგადასახადო სისტემა, აკრძალა ძალმომრეობა და სხვ. მომდევნო ხანებში ძლიერდება უმა, რომლის მეფემ, ლუგალზაგესმა, მოახდინა სამხრეთ შუამდინარეთის ქალაქ-სახელმწიფოთა ახალი გაერთიანება.

ძვ.წ. XXII საუკუნის II ნახევრიდან კელავ განიცდიან აღმავლობას შუმერული ქალაქი-სახელმწიფოები ლაგაში, უმა, ურუქი, ხოლო მოგვიანებით – ური, რომლის III დინასტიის მეფეებმა შუმერს დაუბრუნეს ძველი დიდება.

შუმერის მომდევნო მეფეები ეელარ აწყობდნენ ფართო დაპყრობით ლაშქრობებს, მოულოდნელად დასავლეთიდან შუამდინარეთში შემოიჭრნენ სემიტური მოდგმის ტომები – ამორეელები, რომელთა წინააღმდეგ შუმერებმა აღაშენეს ე.წ. „დასავლეთის კედელი“. მალე აღმოსავლეთიდან შუმერს შემოუტიეს ელამელებმაც, რომელთანაც ბრძოლაში დამარცხდა ურის III დინასტიის უკანასკნელი მეფე (ძვ.წ. 2024): შუმერული სახელმწიფოს მზე საბოლოოდ ჩაესვენა. შუმერებმა ცოტა ხანს კიდევ შეინარჩუნეს თავისთავადობა, მაგრამ შემდგომ, ისინი შეერივნენ შუმერში შემოჭრილ სემიტი ტომების ახალ ტალღებს – აქადელებს. დაიწყო შუმერული და აქადური ენების შერევა-შეჯვარედინება, რასაც მოჰყვა ორენოვნების პროცესი. საბოლოოდ გამარჯვებული გამოვიდა აქადური ენა, განიცადა რა შუმერულის დიდი გავლენა, თუმცა კარგა

სანს შუმერული კილაე ისმარებოდა როგორც სამწერლობო (მკვღარი) ენა. აღნიშნული პროცესის შედეგად ჩამოყალიბდა ეთნოსი, რომელიც ფაქტობრივად სემიტური იყო.

რელიგიური რწმენა-წარმოდგენები.[1] შუმერული რელიგია, სხვა ძველაღმოსავლური რელიგიების მსგავსად, პოლითეისტური (მრავალღვთაებიანი) იყო. ღვთაებები იყოფოდნენ მიწისზედა (ზესკნელის) და მიწისქვეშა (ქვესკნელის) ღვთაებებად. შუმერული პანთეონი დაახლოებით 3500-მდე ღვთაებას ითვლიდა, რომელნიც ძირითადად ანთროპომორფული იყვნენ. პანთეონის პირველი ექსი ღვთაება – ანი, ენლილი (ელლილი), ენქი, ნანა, უთუ და ინანა – ორ ტრიადას (სამეულს) ქმნიდა. პირველ სამეულში შედიოდნენ ცის ღვთაება ანი, ჰაერის უფალი ენლილი და მიწის ღვთაება ენქი. ღვთაებათა მეორე ტრიადაში ნანა იყო მთვარის ღვთაება, უთუ – მზისა, ხოლო ინანა – სიყვარულისა და ნაყოფიერების ქალღვთაება. შუმერულ პანთეონში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა ღვთაება მარდუქს, რომელიც მოგვიანებით ქ. ბაბილონის მთავარ ღვთაებად იქცა. შუმერებს გოგიერთი სემიტური წარმოშობის ღვთაებაც ჰყავდათ – ეს იყო ტაროსის ღვთაება ადადი.

ქვესკნელის ღვთაებები ბოროტ ძალებს განასორციელებდნენ: ნერგალი მტრობისა და ომის ღმერთი იყო, ქალღმერთი ერეშქიგალი – მიცვალებულთა, ერა – შავი ჭირისა და აყადმყოფობის ღვთაება. შუმერთა წარმოდგენით, საიქიოს („მოუსავლეთს") წინ ჩამოუდიოდა მდინარე, რომელიც მიცვალებულებს ნავით უნდა გადაეყლახა. ამის შემდეგ იგი მიადგებოდა შვიდი კარით ჩაკეტილ ქვესკნელს. გაიყლიდა რა ყველა კარს, იგი ერეშქიგალის საბატონოში შედიოდა, საიდანაც მიცვალებულს მოუსავლეთში აგზავნიდნენ.

დაკრძალვის წესი სხვადასხვა იყო. მიცვალებულებს კრძალავდნენ შახტის მსგავს საფლავებში, გოგჯერ – აგურის აკლდამაში, ისევე როგორ სახლის იატაკის ქვეშ. მიცვალებულს

[1] Дьяконов И. М., Народы древней Передней Азии, с. 16 и сл.; История древнего Востока, I, с. 445 и сл.; შარაშენიძე ჯ. დასახ. ნაშრ., გვ. 101 და შმდ.

ოდნავ მოხრილ პოზაში ათაესებდნენ თიხის კუბოში, ან შეახვევდნენ ჭილოფში.

ლიტერატურა და ხელოვნება. ლიტერატურულ შემოქმედებას თავდაპირველად ზეპირი ხასიათი ჰქონდა. პირველი ლიტერატურული ჩანაწერები (პიმნები, წყევლები, დარიგებანი და სხვ.) ძ.წ. III ათასწლეულის I ნახევარში უნდა შექმნილიყო. შემორჩენილია სულ სხვადასხვა ლიტერატურული ჟანრი, ძირითადად წარმოდგენილია მითები და საგმირო ეპოსები.[1]

აღსანიშნავია მითები სამყაროს, ღვთაებებისა და ადამიანის შექმნის შესახებ. დიდი პოპულარობით სარგებლობდა მითი წარღვნის შესახებ, რომლის სიუჟეტი წარმოდგენილია სემიტებისათვის კარგად ცნობილ გილგამეშის ეპოსშიც. მოგვიანებით ებრაელებმა გაიცნეს იგი და შეიტანეს ბიბლიაში. შუმერებს ეკუთვნოდათ აგრეთვე იდეა ღვთაების გარდაცვალებისა და მისი კელავ აღდგომის, ისევე როგორც პრობლემა ადამიანის სიკვდილ-სიცოცხლის შესახებ. შუმერები ვერ ურიგდებოდნენ სამყაროში დადგენილ კანონს, რომ სიკვდილი გარდუვალია და ისინი ეძებდნენ გზებს ადამიანის უკვდავების მოპოვებისათვის, რაც ამაოდ მთავრდებოდა.

ორიგინალური იყო შუმერული საგმირო ეპოსი, განსაკუთრებით, ეპოსი ნახევრად ლეგენდარული ურუქის მეფის – გილგამეშის შესახებ. ეს ლიტერატურული ნაწარმოები ახლა მსოფლიოს მრავალ ენაზეა თარგმნილი, მათ შორის ქართულადაც (მ. წერეთლის და ზ. კიკნაძის მიერ).[2] შემორჩენილია შუმერული ლირიკული ჟანრის ნაწარმოებებიც, დღეისათვის შესწავლილია შუმერული ელეგიის (სეედიანი ლირიკული ნაწარმოების) ნიმუშები. ანდაზები და სხვ.

შუმერული ხელოვნების ერთ-ერთი განვითარებული დარგი იყო არქიტექტურა, რომლის შესახებ წარმოდგენა ვექმნება ძირითადად ტაძრების და სხვა საკულტო შენობების მიხედ-

---

[1] შარაშენიძე ჯ. დასახ. ნაშრ., გვ. 113 და შმდ.; ძველი აღმოსავლეთის სალსთა ისტორიის ქრესტომათია. თბ., 1990, გვ. 68 და შმდ.

[2] წერეთელი მ. გილგამეშიანი. ბაბილონური ეპოსი მესამე ათასწლეულისა ქრ.წ. ბაბილონურ ტექსტთაგან. კონსტანტინოპოლი, 1924; კიკნაძე ზ. გილგამეშის ეპოსი. თბ., 1963.

ეით. შუმერებმა, როგორც ჩანს, ადგილობრივი უძველესი მოსახელობისაგან შეითვისეს მაღალი საფეხურებიანი (3 ან 7 საფეხურიანი) კოშკების ანუ ზიკურათების (ზიქურათების) მშენებლობის ხელოვნება, რომლებიც პირამიდის შთაბეჭდილებას ქმნიდა.

შემორჩენილია შუმერული სასვიეთი ხელოვნების სკულპტურული ნიმუშები (ადამიანებისა, ღვთაებებისა), გლიპტიკის (ქვაზე მსატვრული ჭრის) ნიმუშები, განსაკუთრებით, საბეჭდავები. დიდი ოსტატობითაა შესრულებული ოქროსგან დამზადებული სამკაულები, თასები, იარაღი და სხვადასხვა ლითონის ნივთები.[1]

შუმერული და ქართველური ენების ურთიერთდამოკიდებულებისათვის. ამ ენათა ურთიერთდამოკიდებულებას ყურადღება მიაქციეს ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში. შუმერულისა და ქართველურის ნათესაობის მტკიცების პირველი ცდა (1904 წ.) ეკუთვნის კ. კრამალს, რომელმაც დამაჯერებლად მიიჩნია კავშირი შუმ. ***სარ*** „წერა" და ქართ. „წერას", შუმ. ***სიმ, სუმ*** „მიცემა" და ქართ. „ცემ"-ს (აქედან – „მიცემა") შორის, თუმცა მის მიერ მოყვანილი არაერთი სხვა მაგალითი საეჭვოდ მიიჩნიეს.[2]

კარგადაა ცნობილი გამოჩენილი ქართველი ასირიოლოგის – მ. წერეთლის მოსაზრებანი ამ საკითხთან დაკავშირებით. იგი 1912 წლიდან აქვეყნებდა ნაშრომებს, რომლებშიც ავითარებდა ვარაუდს, რომ შუმერული და ქართველური ენები (საკუთრივ ქართული, მეგრულ-ლაზური, სვანური) ბევრ საერთოს ავლენენ ლექსიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის სფეროებში, თუმცა იგი გენეტიკურ ნათესაობას შუმერულსა და ქართველურ ენებს შორის მაინც ვერ ხედავდა.[3]

---

[1] История древнего Востока, I, с. 293 и сл.; შარაშენიძე ჯ. დასახ. ნაშრ., გვ. 161 და შმდ.

[2] Fähnrich H. დასახ. ნაშრ., გვ. 89.

[3] წერეთელი მ. სუმერული და ქართული. „გეირგეენი", თბ., 1912; მისივე, Sumerian and Georgian. „Journal of the Royal Asiatic Society", 1913, p. 783 ff.; 1914, p. 1 ff.; 1915, p. 255 ff.; 1916, p. 1 ff; მისივე, Eine kleine Bemerkung zur Frage der Vorfahren der Georgier. „Bedi Karthlisa", Paris, 1957; მისივე, Das Su-

მ. წერეთლის მიერ წარმოდგენილი შუმერულ-ქართველური ლექსიკური პარალელებიდან განსაკუთრებითაა აღსანიშნავი შემდეგი:[1]

შუმ. a-gar „ტრამალი, მინდორი“, ქართ. „აგარა, აგარაკი“.

შუმ. akkil „კიჟილი“, ქართ. „კიჟილი“, სვან. „ლიკილი“.

შუმ. babbar „ბრწყინვა, სინათლე“, ქართ. „ვარვარი“.

შუმ. bar „უარყოფა“, ქართ. „ვერ“, მეგრ. „ვარ“, ლაზ. „ვარ“. ის. აგრეთვე შუმ. bar „დაბლობი“, ქართ. „ბარი“.

შუმ. bir „ცეცხლის გაჩაღება“, ქართ. „ბრიალი“.

შუმ. dàg „სუფთა, ნათელი“, ქართ. „ღღე“, მეგრ. „დღა“, სვან. „ლადეღი“.

შუმ. dag „სადგომი“, ქართ. „დგ“ („დგომა“).

შუმ. diḫ „ქვა“, ქართ. „თიხა“, მეგრ. „დიხა“, ლაზ. „დიხა“.

შუმ. dug „დოქი“, ქართ. „დოქი“.

შუმ. eme „ენა“, ქართ. „ენა“, ლაზ. „ნენა“, მეგრ. „ნინა, ნინ“.

შუმ. enem, enim „ენა, სიტყვა“, ქართ. „ენა“.

შუმ. erim, eren „ჯარი, ხალხი“, ქართ. „ერი“.

შუმ. gan „მინდორი, ყანა“, ქართ. „ყანა“, ჭან. „ყონა“, მეგრ. „ყანა“.

შუმ. gin „მიწა“, ქართ. „ქვეყანა“, ლაზ. „ქჲონა“, სვან. „გიმ“.

შუმ. gir_4 „კერა“, ქართ. „კერა“, ჭან. „კერა“, მეგრ. „კერიე“, სვან. „კარა“.

შუმ. gur „მოტრიალება, დავარდნა“, ქართ. „გორ“ (გორგა, გაგორება“, მეგრ. „გორგოლ“, ლაზ. „ნგორ“, სვან. „გურ“).

შუმ. ḫar „ხარი, ქართ. „ხარი“, მეგრ. „ხოჯი“, სვან. „ხანი“.

შუმ. iti, itú „თვე“, ქართ. „თვე“ („მ-თვა-რე“), მეგრ. „თუთა“, სვან. „დოშდუ“.

შუმ. kir „ღორი“, ქართ. „ღორი; კერატი (გარეული ღორი)“, ჭან.-მეგრ. „ღეჯი, კერი“, სვან. „ჯემ“.

---

merische und das Georgische. „Bedi Karthlisa“, № 32-33, P., 1959; მისივე, Zur Frage der Verwandschaft des Georgischen. „Bedi Karthlisa“, P., 1966; გიორგაძე გ. დასახ. ნაშრ., გვ. 120 და შმდ.

[1] Tseretheli M. Das Sumerische und das Georgische, s. 79 ff.

შუმ. kun „კუდი“, ქართ. „კუდი“, მეგრ.-ლაზ. „კუდელი“, სვან. „პაკვედ“.

შუმ. kuš „ამოსუნთქვა, ქოშინი“, ქართ. „ქოშინი“.

შუმ. nu „არა“, ქართ.-მეგრ. „ნუ“.

შუმ. pab/p „მამა“, ქართ. „მამა, პაპა“, მეგრ. „ბაბაი, ბაბუა“, ლაზ. „პაპუ“.

შუმ. sal „ქალი“, ქართ. „ცოლი“, მეგრ. „ჩირი“, ლაზ. „ჩილი“, სვან. „ლიცვილე“ – „ცოლობა“.

შუმ. ša<šag4 „შუა“, ქართ. „შუა“, ჭან. „შქა“ (სხეულის შუაგული), მეგრ. „შყა“.

შუმ. ud „დღე; მზე; დრო“, ქართ. „ოდ, ოდე, ოდეს, ადრე“, ჭან.-მეგრ. „ორდო“.

შუმ. sar „წერა“, ქართ. „წერა, სერგა“.

შუმ. zag „გვერდი, საზღვარი“, ქართ. „ზღვა, ზღუდე“, მეგრ. „ზღვა“, ლაზ. „ზუღა“. სვან. „ზუღვა“.

აქვე მოვიტანთ სხვა შუმერულ-ქართველურ ენობრივ შესვედრებსაც (ჯ. შარაშენიძის მიხედვით):[1]

შუმ. ga „ადგილი, ბორცვი“, ქართ. „გორა, ბორცვი“, მეგრ. „გოლა“, ჭან. „გოლა“.

შუმ. gud „ხარი (ტყავი)“, ქართ. „გუდა“.

შუმ. ḫara „მიწაში ჩადგმული მარცვლის შესანახი ჭუპჭელი“, ქართ. „ხარო“.

შუმ. dur.gar „დურგალი“, ქართ. „დურგალი“.

შუმ. ni.ga „საწყაო ერთეული“, ქართ. „ნიგა“ (ხის ჭურჭელი).

შუმ. sila „საწყაო ერთეული“, ქართ. „სილა“ (საწყაო ერთეული).

შუმ. pa „ცალი, ტოტი“, ქართ. „ცალი“ („ცალ-ფა“).

შუმ. ḫa „თევზი“, ქართ. „ფხა“.

შუმ. ḫad „ბრწყინვა, ნათება“, ქართ. „ღად-არი“ და სხვ.

შუმერული და ქართველური ენების ურთიერთშედარებისას გერმანელმა ქართველოლოგმა ჰ. ფენრიხმა,[2] უპირველეს

---

[1] შარაშენიძე ჯ. დასახ. ნაშრ., გვ. 37 და შმდ.

[2] Fähnrich H. დასახ. ნაშრ., გვ. 90 და შმდ.

ყოველისა, ყურადღება მიაქცია ამ ენათა შორის ტიპოლოგიური მსგავსების არაერთ მაგალითს, თუმცა ეს, როგორც ცნობილია, არ მიუთითებს მათ გენეტიკურ კავშირებზე: ეს ენები აგლუტინაციურია. სიტყვის ძირს ან ფუძეს ემატება როგორც პრეფიქსები, ასევე სუფიქსები. როგორც შუმერული, ასევე ქართველური ენებისათვის პრეფიქსაცია დამახასიათებელია უფრო მეტად გმნისათვის, ვიდრე სახელისათვის, რომელშიც ბრუნვისა და რიცხვის მიღება, როგორც წესი, სუფიქსაციით ხდება. სიტყვათწარმოება ხდება ძირის გაორმაგებით, სმოენის შეცვლით, პრეფიქსაციით, სუფიქსაციითა და ამ ორი უკანასკნელის კომბინირებით. ბრუნვის სისტემა ამ ენებში კარგადაა განვითარებული. არსებობს ერგატივი – მოთხრობითი ბრუნვა ქვემდებარის სპეციფიკური სმარებით გარდამავალ გმნასთან. გმნები იყოფა გარდამავალ და გარდაუვალ გმნებად. ამ ენებისთვის დამახასიათებელია პოსტპოზიციების ხმარება. გმნის ფორმის აგებულებას აქვს საყურადღებო სტრუქტურული დამახასიათებელი ნიშნები და ა.შ.

შუმერულ და ქართველურ ენათა ლექსიკის შედარებამ ჰ. ფენრიხი შემდეგ დასკვნამდე მიიყვანა: შუმერული ლექსიკის უდიდესი ნაწილი არც დრავიდულია, არც სემიტური და არც ნახურ-დაღესტნური (ე.ი. ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიური). ეს ლექსიკა აჩვენებს გარკვეულ სიახლოვეს ქართველურ ენათა ლექსიკასთან, რასაც ამტკიცებს ჰ. ფენრიხის მიერ მოყვანილი ორ ასეულზე მეტი ლექსიკური პარალელი, რომლებთაგან აღვნიშნავთ მხოლოდ შემდეგს (არ მოვყავს სხვა მკვლევართა მიერ შემჩნეული პარალელები, რომლებსაც აღნიშნული ავტორიც მიუთითებს):

შუმ. ar, are, ara „ქვეყანა, ადგილი“, ქართ. „არე“ („არემარე“).

შუმ. ag „კეთება“, ქართ. „აგება“, ზან. „აგება“.

შუმ. engur „მტკნარი წყალი“, ქართ. „ენგური“ (მდინარე სვანეთსა და სამეგრელოში“).

შუმ. ubur „ქალის მკერდი“, ქართ. „უბე“, მეგრ. „უბა“, ლაზ. „უბა“.

შუმ. us, us „ავსება“, ქართ. „ვსება“, მეგრ. „ფშ...“, სვან. „გვეშ“.

შუმ. ul „ნათება, ბრწყინვა“, ქართ. „ელვა“, მეგრ. „ვალ“, ლაზ. „ვალ“.

შუმ. unu „ბინა, ღვთის სადგომი“, ქართ. „ვანი“, მეგრ. „ონი“, სვან. „ვან“.

შუმ. bar „დაყოფა, განასხვავება“, ქართ. „ბარიბარ“ („თანაბრად“).

შუმ. dudu „თავის ქალა“, ქართ. „ღუდი“ („წვერი“), მეგრ. „ღულ“ („თავი“), ლაზ. „ღულ“, სვან. „ღულღულ“.

შუმ. dalil „ძალა“, ქართ. „ძალა, ღონე“.

შუმ. tag „ტეხვა“, ქართ. „ტეხა“, მეგრ. „ტას“, ლაზ. „ტას“.

შუმ. tab „დასაწყისი“, ქართ. „თავი, დასაწყისი“, ლაზ. „თი“, სვან. „შდა“.

შუმ. siki „ციკანი“, ქართ. „ციკანი“ („თიკანი“).

შუმ. sar „შრე“, ქართ. „წრე“.

შუმ. sag „თავი“, „სახე“, ქართ. „სახე“.

შუმ. šuba „განთავისუფლება“, ქართ. „შვება“.

შუმ. šaḫan „თბილი, გათბობა“, ქართ. „ცხ-ელი“, მეგრ. „ჩს“-, სვან. „შხ-“, „შიხ-“ („წვა“).

შუმ. kud „დაჭრა, წაჭრა“, ქართ. „კოდვა“.

შუმ. lik „ძაღლი“, ქართ. „ლეკვი“, მეგრ. „ლაკე“, ლაზ. „ლაკ“ და ა.შ. სულ 198 ლექსიკური ერთეული (სათანადო ბგერათშესატყვისობებით).

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ჯერჯერობით არ ხერხდება შუმერულსა და ქართველურ ენათა შორის მყარი გენეტიკური კავშირების გამოვლენა, მით უმეტეს, შუმერული ენის მიკუთვნება ქართველურისადმი. როგორც ცნობილია, ენათა ნათესაობის ძირითადი კრიტერიუმი არის მათ შორის კანონზომიერი და რეგულარული ბგერათშესატყვისობათა დადგენა, ლექსიკური დაკავშირებანი მხოლოდ ჰიპოთეზად აქცევენ ენათა შესაძლო მიმართებებს, მაგრამ თუკი იგი მომავალში მართლაც მოხერხდა, მაშინ გასარკვევი იქნება, სად უნდა ყოფილიყო შუმერული და ქართველური ენების საკონტაქტო რეგიონი, ანდა როდის უნდა განხორციელებულიყო კონტაქტები. ზემოაღნიშნული შედარებებიდან გამომდინარე, ასეთი ფარ-

თო ენობრივი არეალი ლოკალიზებული უნდა იყოს, ცხადია, იმ ადგილას, სადაც შესაძლებელი იქნებოდა ურთიერთკავშირი აღნიშნულ ენებს შორის.

ასეთ რეგიონად სავარაუდო უნდა იყოს ან სამხრეთ შუამდინარეთი, სადაც ძვ.წ. IV ათასწლეულიდან წერილობით დასტურდება შუმერების ყოფნა და საიდანაც კავკასიის მიმართულებით უნდა გადასახლებულიყვნენ შუმერებისაგან გამოყოფილი ქართველური ტომები, ან კავკასია, საიდანაც ადრეულ ხანებში უნდა მომხდარიყო ქართველურ ტომთაგან გამოყოფილი შუმერების მიგრაცია სამხრეთ მესოპოტამიაში, ანდა სამხრეთ ამიერ-კავკასია (ან უფრო სამხრეთით მდებარე რეგიონი), სადაც მოგვიანებით მართლაც დასტურდება ქართველურ ტომთა ბინადრობა (ასეთ შემთხვევაშიც დასაშვები იქნება შუმერთა მიგრაცია სამხრეთში). თუ გავითვალისწინებთ მეცნიერთა მიერ დაღგენილ ფაქტს, რომ შუმერები არ იყვნენ ავტოქთონები (ქვეყნის ძველისძველი მკვიდრი მოსახლენი) და ისინი გადმოსახლებული იყვნენ რომელიღაც რეგიონიდან, მაშინ ასეთ რეგიონად, ქართველურ ენებთან მოსალოდნელი გენეტიკური კავშირებიდან გამომდინარე, მისაღები იქნება კავკასია (და არა შუმერის სამხრეთით, აღმოსავლეთით და დასავლეთით მდებარე ტერიტორია, როგორც ეს ივარაუდება სხვადასხვა მეცნიერის მიერ). ამით გამართლდება თითქმის ერთი საუკუნის წინ მ. წერეთლის მიერ გამოთქმული ვარაუდი კავკასიიდან შუმერთა მიგრაციის შესახებ (იხ. გემოთ).[1]

რაც შეეხება შუმერულსა და ქართველურ ენათა შორის არსებულ საკონტაქტო ხანას, იგი წინარე ქართველურის პერიოდით უნდა განისაზღეროს.

---

[1] ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. აგრეთვე შარაშენიძე ჯ. შუმერები და ქართველური სამყარო. „საქართველო – ევროპა – აზია", თბ., 1997, №2, გვ. 13 და შმდ.

სემიტები

სემიტური ეთნოსი* ერთ-ერთი განშტოებაა იმ ოდესღაც არსებული დიდი ეთნოსისა, რომელსაც ახლა უწოდებენ „ქამიტურ-სემიტურს“ ან „აფრაზიულს“. ამ მაკროოჯახის ენები გავრცელებული იყვნენ ჩრდილო-აღმოსავლეთ აფრიკასა და, მოგვიანებით, წინა აზიაში (აქედან წარმოდგება ტერმინი „აფრაზიული“):[1] დაახლოებით ძვ.წ. IV ათასწლეულის შუა სანებისათვის სემიტი ტომები გამოყოფილი იყვნენ სემიტურ-ქამიტური ერთობისაგან და (როგორც ეარაუღობენ, მდ. ნილოსის ველის გავლით) მიაღწიეს წინა აზიას. ესენი უნდა ყოფილიყვნენ წინარე სემიტური ენის მატარებელი ტომები, რომლებიც შემდგომში წინა აზიაში გავრცელდნენ ორი მიმართულებით – აღმოსავლეთითა და დასავლეთით. სწორედ აქედან წარმოდგება ტერმინები: „აღმოსავლელი სემიტები“ (ბინადრობდნენ ბაბილონეთის ჩრდილოეთ ნაწილში და ჩრდილოეთ მესოპოტამიაში) და „დასავლელი სემიტები“ (მდ. ევფრატის შუა წელის დასავლეთით და აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვისპირეთში მცხოვრებნი).

ა) აღმოსავლელი სემიტები[2]

სახელწოდება და განსახლება. ჩვენთვის უცნობია აღმოსავლურ სემიტურ ენათა მატარებელი ტომების საერთო თვითსახელი. წყაროებში არ შემორჩა არც რომელიმე კონკრეტული ტომის თვითსახელი. ყოველი სემიტური ეთნოპოლიტიკური გაერთიანება ატარებდა ამა თუ იმ ქალაქის (ქვეყნის), ტომის სახელს, ხოლო ეთნოსის ცალკეული წარმომადგენელი თავის თავს ასევე აღნიშნავდა იმ დასახლების (ქალა-

---

* როგორც ცნობილია, ტერმინი „სემიტები (სემიტი)“ შემოღებულ იქნა XVIII საუკუნეში გერმანელი მეცნიერის ა. შლეცერის მიერ ბიბლიური პატრიარქის – სემის (ნოეს ერთ-ერთი ვაჟიშვილის, ქამისა და იაფეტის ძმის) სახელის მიხედვით.

[1] История древнего Востока. I, с. 93 и сл.; Diakonoff I. M. Afrasian Languages. Moscow, 1988, p. 14 ff.

[2] История древнего Востока, I, с. 92 и сл., 96, 135-136, 138, 234.

ქის, ქვეყნის, თემის) სახელწოდებით, რომელსაც იგი ეკუთვნოდა („კაცი ქ. აქადიდან“ – აქადელი, „კაცი ქ. ასურიდან“ – ასურელი და ა.შ.). მეგობლებიც სემიტებს აღნიშნავდნენ იმ სახელმწიფოს, თემის თუ ტომის სახელით, რომელსაც ისინი განეკუთვნებოდნენ.[1]

აღმოსავლელი სემიტები მესოპოტამიაში გამოჩენისთანავე ვრცელდებოდნენ დიდ ტერიტორიაზე. პირველ ხანებში ისინი განსაკუთრებით მომძლავრდნენ ბაბილონეთის (მთელი სამხრეთ შუამდინარეთის) ჩრდილოეთ ნაწილში, რომლის ადგილობრივ მოსახლეობასთან (მისი სახელი უცნობია), ისევე როგორც სამხრეთ შუამდინარეთში მცხოვრებ შუმერებთან, ისინი მშვიდობიანი გზით ამყარებდნენ ურთიერთობებს. ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანებიდან სემიტები ძალზედ გააქტიურდნენ. მალე მათ დააარსეს ქ. აქადი (აგადე). იმავე ხანებიდან აღმოსავლელ სემიტებს ეკავათ მდ. ევფრატის ველი სირიამდე (დასავლეთში). მდ. ტიგროსისა და მისი შენაკადების მონაში ადგილობრივი მოსახლეობა („პროტოტიგროსული“?) შეერია აღმოსავლურ სემიტურ მოსახლეობას, მოგვიანებით – ხურიტულსაც. ძვ.წ. III ათასწლეულის ბოლოსა და II ათასწლეულის დასაწყისისათვის ასლადწარმოქმნილი ქალაქი ასური (აშური) იყო თითქმის მთლიანად სემიტური. ბემო მესოპოტამიის ვრცელი ტერიტორია მოსაზღვრე ქვეყნებს უკავშირდებოდა არაერთი საეჭრო გზით.[2]

ანთროპოლოგიური ტიპი. აღმოსავლელი სემიტები, ისევე როგორც მათი ახლო მონათესავე დასავლელი სემიტები, განეკუთვნებოდნენ, მკვლევართა უმრავლესობის თანახმად, ასიროიდულ (არმენოიდურ) მცირე რასას, რომელიც შედის ე.წ. ევროპეიდულ დიდ რასაში. მისი წარმომადგენელთათვის დამახასიათებელია შავი ხვეული თმები, კეხიანი ცხვირი, ოვალური სახე და განვითარებული მესამეული თმის საფარველი (ულვაშები, წვერი). ასურული გამოსახულებანი ადამიანებისა გარკვეულწილად ადასტურებენ ამ ანთროპოლოგიური ტი-

---

[1] Дьяконов И. М. Народы древней Передней Азии, с. 39.

[2] იქვე, გვ. 40 და შმდ.

პის ასეთ დასასიათებას, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ეს გამოსახულებანი ნაწილობრივ სტილიზებულია. რაც შეეხება მესოპოტამიის ადრეულ მოსახლეობას, რომელსაც მკვლევარები პირობითად უწოდებენ „პროტოევფრატულს“, „პროტოტიგროსულს“, მისი ანთროპოლოგიური მონაცემები მეცნიერებს არ გააჩნიათ. მხოლოდ ვარაუდობენ, რომ ისიც ასიროიდული უნდა ყოფილიყო.[1]

ენა. სამხრეთ შუამდინარეთის ჩრდილოეთი ნაწილისა (ზოგჯერ ამ რეგიონს უწოდებენ „შუა მესოპოტამიას“) და მთელი ჩრდილოეთ შუამდინარეთის ძველი სემიტური მოსახლეობა – ბაბილონელები და ასურელები – ლაპარაკობდა ენაზე, რომელსაც აქადური (ანუ ასურულ-ბაბილონური) ეწოდება. ეს სახელწოდება ენისა წარმოდგებოდა ქ. აქადისაგან. არაუგვიანეს ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანებისა, იგი გავრცობილი იყო უზარმაზარ ტერიტორიაზე (შუმერულ ენასთან ერთად). მაგრამ ძვ.წ. II ათასწლეულის დამდეგიდან მესოპოტამიის მთელი მოსახლეობა სარგებლობდა მხოლოდ აქადური (ასურულ-ბაბილონური) ენით (შუმერული უკვე აღარ იყო სალაპარაკო ენა). ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანებიდან და მთელი II ათასწლეულის განმავლობაში იგი იყო აგრეთვე ერთადერთი ოფიციალური ენა ბაბილონეთსა და ასურეთში, ასევე დიპლომატიური და ლიტერატურული ენა მთელს წინა აზიაში.

ძვ.წ. III ათასწლეულში აქადურ ენას[2] შემორჩენილი ჰქონდა სემიტური ფონოლოგიური სისტემა. შუმერული ენის გავლენით, აქადურმა დაკარგა ფარინგალები (ხახისმიერი ბგერები). ხმოვანთა სისტემა მოიცავდა – ა, ე, ი და უ ხმოვნებს. თანხმოვანთა რაოდენობა ოცამდე იყო. აქადურისათვის (ასურულ-ბაბილონურისათვის) დამახასიათებელი იყო მშნის პრეფიქსალური უღლება გარდამავალი და გარდაუვალი მშნებისათვის და სუფიქსალური უღლება შემასმენლისათვის. ენას გააჩნდა ორი სქესი: მამრობითი და მდედრობითი, ჰქონ-

---

[1] იქვე, გვ. 42.

[2] Лингвистический энциклопедический словарь, с. 22; Дьяконов И. М. Народы древней Передней Азии, с. 42 და მმდ.; მისივე, Языки древней Передней Азии. М., 1967, с. 263 и сл.

და ორი რიცხვი – მხოლოობითი და მრავლობითი. ლექსიკაში ბევრი იყო ნასესხები სიტყვები შუმერულიდან და ხურიტულიდან. თვითონ აქადურიდან კი არაერთი სიტყვაა ნასესხები ინდოევროპულ ენებში, ქართველურ ენებშიც ძოიძებნება ლექსიკური პარალელები სემიტურიდან (ამის შესახებ ქვემოთ).

დამწერლობა. აქადელებმა ლურსმული დამწერლობა გადაიღეს შუმერებისაგან და იგი რამდენადმე შეცვალეს.[1] ლურსმული ნიშნები, რომელთა რიცხვი უამრავი იყო, აღნიშნავდა, უპირველეს ყოვლისა, მარცვლებს (და არა ბგერებს), ღიას ან დახურულს. ცალკეული ნიშნები ისმარებოდა აგრეთვე მთელი სიტყვის აღსანიშნავადაც. ასეთ ნიშანს ***იდეოგრამა*** ეწოდება. თითოეულ ნიშანს შეეძლო ჰქონოდა რამდენიმე მნიშვნელობა. ნიშანთა ერთი ჯგუფი ისმარებოდა იმ სიტყვების გამოსაყოფად, რომლებიც მიუთითებდნენ რომელიმე განსაზღვრულ კატეგორიას (ქვეყანას, დასახლებას, მამაკაცსა და ქალს, პროფესიებს და ა.შ.). ამგვარ ნიშნებს კი ***დეტერმინატივები*** ეწოდებათ. ლურსმულ ნიშანთა რიცხვი 600-მდე აღწევდა, თუმცა მოგვიანებით იგი შემცირდა. წერის მიმართულება დადგენილი იყო – მარცხნიდან მარჯვნივ. აქაღელებმა და ასურელებმა ლურსმული დამწერლობა მიუსადაგეს თავიანთ ენას და ნიშანთა რიცხვიც შეამცირეს 300-მდე. მოგვიანებით აქადური სისტემა ლურსმულისა გავრცელდა მთელს წინა აზიაში.

ლურსმული დამწერლობით შედგენილი ტექსტები ცნობილი გახდა ევროპაში მე-17 საუკუნეში, პირველი ცდები მისი გაშიფვრისა კი დაიწყეს მე-18 საუკუნეში. მომდევნო საუკუნეში ლურსმული დამწერლობა მთლიანად გაიშიფრა (1857 წ.), რაშიც მკვლევართ დიდი დახმარება გაუწია ე.წ. ბეჰისტუნის წარწერამ, რომელიც სამენოვანი (ტრილინგვა) იყო.

მოკლე ისტორიული ცნობები.[2] აქადელთა ისტორიის უძველესი პერიოდიდან აღსანიშნავია მეფე სარგონის, ანუ სარ-

---

[1] Дьяконов И. М. Народы древней Передней Азии, с. 45 сл.

[2] იქვე, გვ. 47 და შმდ.; ძველი აღმოსავლეთის სალხთა ისტორია, გვ. 59 და შმდ., 70 და შმდ.

გონ დიდის ხანა (აღმოსავლურ სემიტურად შარუქენ „მეფე ჭეშმარიტი“). მან თავის სატახტო ქალაქად აირჩია პატარა დასახლება აქადე, რომელიც შემდგომ მთელი მხარის სახელი გახდა – აქადი (აქედან ენის სახელწოდება – აქადური). სარგონმა თავისი სამეფო განავრცო სირიიდან სპარსეთის ყურემდე. ეს იყო მანამდე არსებული სახელმწიფოთაგან ყველაზე დიდი პოლიტიკური გაერთიანება, რომელიც არსებობდა ძვ.წ. XXIV ს-ში.

• სარგონის მემკვიდრეებმა აქადის სამფლობელოები განავრცეს დასავლეთის მიმართულებით, მოაწყეს ლაშქრობები ელამში. სარგონის შვილიშვილის – ნარამსუენის დროს (დაახლ. ძვ.წ. 2236-2200), რომელმაც მიიღო ტიტული „მეფე სამყაროს ოთხი მხარისა“, აქადელები ფლობდნენ უბარმაბარ ტერიტორიას: იგი აღემატებოდა ეგვიპტის ძველი სამეფოს სამფლობელობეს. აღნიშნული მეფის დროიდან მესოპოტამიაში იჭრებიან მთიელი ტომები კუთიები (გუთიები. მათი ეთნიკური წარმომავლობა უცნობია), რომელთა ბატონობა ამ მხარეში თითქმის ას წელს გაგრძელდა. მხოლოდ ურის III დინასტიის დასაწყისისათვის მოხერხდა მათი განდევნა მესოპოტამიიდან.

ურის III დინასტიის დასაწყისში მოხერხდა სამხრეთ შუამდინარეთის ხელახალი გაერთიანება (დაახლ. ძვ.წ. XXII ს.). მომდევნო ხანებში შუამდინარეთს კვლავ მოევლინა ახალი მტერი – სემიტი ამორეელები (წარმოდგება აქადური სიტყვიდან „ამურუ“ – დასავლეთი). მათ დროს იწყება შუმერულ-აქადური ერთიანი სახელმწიფოს ნგრევა, რაც დამთავრდა ქ. ბაბილონის გამარჯვებით (აქადურად „ბაბილ“ – „ღვთის ჭიშკარი“).

ბაბილონის ამორეული დინასტიის მეექვსე წარმომადგენელი იყო ხამურაბი (დაახლ. ძვ.წ. 1792-1750, მეფობდა 42 წელი), რომელმაც დაიპყრო ქ. მარი, ლარსას სამეფო, ქ. აშური და სხვა მეზობელი ქალაქი-სახელმწიფოები. ხამურაბის სამეფო წინა აზიის ერთ-ერთ ძლიერ სახელმწიფოდ გადაიქცა. სწორედ ამ მეფემ შექმნა ე.წ. „სამურაბის კანონები“, რომლებშიც ასახულია ბაბილონური საზოგადოების სურათი. დაახლ. ძვ.წ. 1595 წ. ბაბილონში შეიჭრა სეთების მეფე მურსილი I

და იგი მიწასთან გაასწორა. მალე ბაბილონს კასიტი ტომები შემოესიენენ, რომელთა ბატონობა ბაბილონში თითქმის ხუთ საუკუნეს გაგრძელდა.

ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლოდან სპარსეთის ყურის პირას მკვიდრდებიან არაბეთის უდაბნოდან გადმოსახლებული სემიტი ტომები – ქალდეველნი (ქალდეელები), რომელთა ჰეგემონობით ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისში ჩამოყალიბდა ბაბილონის ახალი სამეფო.

აღმოსავლეთ სემიტების მეორე დიდი ცენტრი ქ. აშური (ასური) ძვ.წ. III ათასწლეულის ბოლოდან საკმაოდ იყო დაწინაურებული. ასურელები სავაჭრო კოლონიებს (ფაქტორიებს) ქმნიდნენ წინა აზიის სხვადასხვა ადგილას, მცირე აზიის (ანატოლიის) აღმოსავლეთი რაიონების ჩათვლით.

ასური დროდადრო შედიოდა შუამდინარეთის ძლიერ სახელმწიფოთა შემადგენლობაში. ძვ.წ. XIX საუკუნის ბოლოსა და XVIII საუკუნის დასაწყისში შამშიადად I-მა შექმნა ძლიერი სახელმწიფო, რომელიც ბაბილონს უწევდა მეტოქეობას. ასურელების ხანგრძლივი ძლიერების აღმავლობა იწყება ძვ.წ. XIV საუკუნიდან, როდესაც შეიქმნა შუა ასურული სამეფო. ამ დროისათვის ასურელები იპყრობენ ბაბილონის დიდ სავაჭრო გზებს. ასურეთმა საფრთხე შეუქმნა ხეთების ბატონობას სირიაში. ხეთების სამეფოსა და მითანის დაცემის შემდეგ ასურელებმა მიაღწიეს ფინიკიას (ძვ.წ. XII საუკუნე). სემიტი ტომების – არამეელების შეღწევამ მშვიდობიანი გზით ჩრდილოეთ მესოპოტამიაში რამდენადმე დაარღვია ასურეთის სამეფოს მთლიანობა, რამაც გამოიწვია ასურეთის დროებით დაცემა.

რელიგიური წარმოდგენები.[1] რელიგიური იდეოლოგია ბაბილონელებისა (ისევე როგორც ასურელებისა) დიდად არ განსხვავდებოდა გვიანშუმერული პერიოდის რელიგიური იდეოლოგიისაგან. შენარჩუნებული იყო ადგილობრივი სათემო კულტები და პანთეონები. ხამურაბის დროიდან

[1] ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, გვ. 94 და შმდ.; История древнего Востока, I, с. 445 и сл.

ღვთაებებს სათაეეში ედგა ღვთაებათა მეფე მარდუქი. ძველ შუმერულ ღვთაებათა ნაწილმა მიიღო სემიტური სახელწოდებანი. ესენია: ელლილი (შუმ. ენლილი), ანუ (შუმ. ან), ეა (შუმ. ენქი) – მიწის, ცისა და წყლის ღვთაებები; მთვარის ღმერთი სინი (შუმ. სუენი), ღვთაებები მზისა – შამაში (შუმ. უთუ). ტაროსისა – ადადი (შუმ. იშქური), ნაყოფიერების, ომისა და სიყვარულისა – იშთარი (შუმ. ინანა), დამწერლობისა – ნაბუ, ომისა – ნინურთა და ა.შ. აღმოსავლელი სემიტები, როგორ ვარაუდობენ, მთავარ სატომო ღვთაებას აღნიშნავდნენ არა საკუთარი სახელით, არამედ უბრალოდ – „ბატონი, მეუფე“ (აქად. „ბელუ“), მთავარ ქალღვთაებას კი სიტყვით – „ათთარ (თ)“ (შდრ. აქად. ეშთარ, იშთარ). მას შემდეგ, რაც სემიტები და შუმერები შეერიენენ ერთმანეთს ბელი გააიგივეს ელლილთან, უფრო გვიან – მარდუქთან.

ღვთისმსახურება წარმოებდა აქადურ ენაზე, მოგვიანებით – შუმერულზე. მოგიერთ ღვთაებას ორაკული ჰყავდა. შექმნილი იყო მრავალრიცხოვანი რიტუალი სხვადასხვა დანიშნულებისა. ცოდვის ჩადენას უკავშირებდნენ რიტუალურ უწმინდურობას. დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ღვესასწაულების ჩატარებას. ამათგან მთავარი იმართებოდა მარტ-აპრილში და ეძღვნებოდა ახალ წელს.

თითოეულ გვარს ან დიდ ოჯახს, ისევე როგორც ქალაქს, თავისი მფარველი ღვთაება ჰყავდა. საოჯახო კულტებს განასახიერებდნენ სახლის მფარველი ღვთაებანი.

ლიტერატურა და ხელოვნება.[1] ბაბილონური ლიტერატურის განვითარების ძირითადი ხაზი შენარჩუნებული იყო შუმერული ხანის შემდგომაც. შემორჩენილია ჰიმნები, ლოცვანი, წყევლები, დარიგებანი, ეპიკური შინაარსის ნაწარმოებები (როგორც ჩანს, არსებობდა საგმირო ეპოსები და სასიყვარულო ლირიკა). იქმნებოდა ხალხური შემოქმედების ნაწარმოებები – იგავ-არაკები, ანდაზები, ბაბილონური ლიტერატურის

[1] ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, გვ. 100 და შმდ.; История древнего Востока, I, с. 462 и сл., 478 и сл.; ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია, გვ. 65 და შმდ.

ძეგლები გაერცელებული იყო ასურეთშიც. საკუთრივ ასურული ლიტერატურიდან ჩვენთვის ცნობილია სამეფო ანალები, ლაშქრობათა აღწერები, რომლებშიც მხატვრულადაა გადმოცემული საბრძოლო სცენები. თითქმის მთელი ასურულ-ბაბილონური მხატვრული ლიტერატურა დაწერილია ლექსის ფორმით ან რიტმული პროზით (ასურულ-ბაბილონური, იმაყვე აქადური, სალიტერატურო ენით).

ასურელთა ლიტერატურული ნაწარმოებების დიდი ნაწილი თავმოყრილი იყო მეფე ასურბანიფალის ცნობილ ბიბლიოთეკაში (ნინევიაში). ამ მეფის ბრძანებით სპეციალურად აგროვებდნენ და გადაწერდნენ ხოლმე როგორც მეცნიერული, ასევე ლიტერატურულ ნაწარმოებებს.

ხელოვნების წამყვანი დარგი ბაბილონეთში, განსაკუთრებით ახალბაბილონურ ხანაში, იყო არქიტექტურა. თვით ქ. ბაბილონი არქიტექტურულად გასაოცარ მთლიანობას ქმნიდა. ხელოვნების ნიმუშად არის აღიარებული მთავარი საპროცესიო გზა, რომლის ულამაზესი ადგილი იყო იშთარის ჭიშკარი.

მაღალი ოსტატობითაა დამზადებული მცირე ხელოვნების ნიმუშები (მძივები, ხის მოჩუქურთმებული ტახტი და სხვ.). ქ. ურში აღმოჩნდა ოქროს მცირე ქანდაკება, მრაელადაა აღმოჩენილი საბეჭდავები სარდიონისა, ქალცედონისა, ჰემატიტისა.

ასურულ არქიტექტურას, ისევე როგორც სახვით ხელოვნებას, ეტყობა ბაბილონური კულტურის გავლენა. გენეტიკურად ასურული ხელოვნება წარმომდგარია შუმერულ-აქადურიდან, ნაწილობრივ – ხეთურ-ხურიტულიდან. ქალაქების, სასახლეებისა და ტაძრების მოსაპირკეთებლად ხმარობდნენ ქვას, კერამიკული სხვადასხვა ფერის თიხის ფილებს. შენობათა შიდა მხარეს აპირკეთებდნენ ფერადი კერამიკული ფილებით, ამკობდნენ ბარელიეფებითა და კედლის მხატვრობით. ასურული ბარელიეფებისათვის დამახასიათებელია ცენტრალურ ფიგურად მეფის გამოსახვა.

ბ) დასავლელი სემიტები

ერცელ ტერიტორიაზე, რომელიც ეკავა სირიას, პალესტინას, ფინიკიასა და სხვა რაიონებს, სადაც ცხოვრობდნენ და-

სავლელი სემიტები,[1] უძველესი დროიდან მიმდინარეობდა ცივილიზაციის განვითარებისათვის საჭირო დიდი პროცესები. აქ ძალზედ ადრე შეიქმნა სამიწათმოქმედო კულტურები, რაც დაადასტურა არქეოლოგიურმა გათხრებმა იერიხონში. აღნიშნული კულტურები განეკუთვნებიან ძ.წ. VIII-VII ათასწლეულებს, როდესაც მთელს ამ ტერიტორიაზე მიმდინარეობდა ე.წ. „ნეოლითური რევოლუცია". ცივილიზაციის ამ ერთერთი ძლიერი კერის შემქმნელთა ეთნიკური ვინაობა ჩვენთვის უცნობია.

სახელწოდება და განსახლება. ტერმინი „დასავლელი სემიტები" (ისევე როგორც „აღმოსავლელი სემიტები") შემოღებულია მკვლევართა მიერ და პირობითად აღნიშნავს სირიაში, ფინიკიასა და პალესტინაში მცხოვრებ სემიტებს (დასავლელი სემიტების ტერიტორია ჩრდილო-აღმოსავლეთით აღწევდა მდ. ევფრატის შუა წელამდე და მოიცავდა ჩრდილოეთ შუამდინარეთის ნაწილს). მთელი ეს ტერიტორია წარმოადგენს რეგიონს, რომელსაც თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში უწოდებენ ხშირად „აღმოსავლეთ სმელთაშუა ზღვისპირეთს".[2]

ამ მსარის სემიტური მოსახლეობა შედგებოდა მთელი რიგი ტომებისა და ტომთა კავშირებისაგან, რომლებთაგან მოგვიანებით იქმნებიან სემიტური ქალაქი-სახელმწიფოები. ისევე როგორც აღმოსავლელ სემიტებს, მათაც არ ჰქონდათ საერთო თვითსახელი. ყოველი მათგანი, როგორც ეს წყაროებშია, აღინიშნებოდა იმ ცალკეულ სახელწოდებათა მისედვით, რომლებიც ერქვათ ამა თუ იმ პოლიტიკურ გაერთიანებებს – ტომებს, ტომთა კავშირებს, ქალაქ-სახელმწიფოებს (ესენია: „ებლა", „გუბლა", „ქანაანი", „ამურუ" და სხვანი).

ამ ვრცელი ტერიტორიის აღმოსავლეთით მცხოვრებ შუმერებსა და აქადელებს კი ჰქონდათ დასავლელი სემიტების აღმნიშვნელი საერთო სახელწოდება: შუმერები აღნიშნულ ტერიტორიას უწოდებდნენ „მარ.თუ"-ს, ხოლო აქადელები (და,

---

[1] История древнего Востока, I, с. 220, 250, 284, 316, 318, 339, 422, 423, 425.

[2] Дьяконов И. М. Народы древней Передней Азии, с. 60 и сл.

შესაძლოა, უფრო მოგვიანო სანის ასურელები) – „ამურუს“. ორიეე ეს სახელწოდება „დასაელეთის“ აღმნიშვნელია. ასე რომ, შუამდინარეთის დასაელეთით მდებარე რეგიონის მცხოვრებლებს შუმერები და აქადელები (ბაბილონელები) უწოდებდნენ „დასავლელებს“. ამავე დროს, ისინი დასაელელი სემიტების ცალკეულ წარმომადგენლებს აღნიშნავდნენ იმ სახელწოდებათა მისედვით, რომლებიც ერქვათ ამა თუ იმ პოლიტიკურ გაერთიანებას (ის. ზემოთაც).

ძვ.წ. XIV-XIII საუკუნეებში პალესტინაში ჩნდებიან სემიტი ტომები, რომლებიც ამ ქვეყანაში შეიჭრნენ ნაწილობრივ აღმოსავლეთიდან, მდ. იორდანის რაიონიდან, ხოლო ნაწილობრივ – სამხრეთიდან. ესენი იყვნენ ებრაელები, თითქმის ერთდროულად, დასავლეთ წინა აზიაში ჩნდებიან ტომები, რომლებიც წყაროებში აღნიშნული არიან როგორც „სუთუ“. გარდა ამისა, ძვ.წ. XIII-XII საუკუნეებში მდ. ევფრატის დასაელეთ სანაპიროზე გამოჩნდნენ ახალი ტალღები სემიტებისა – ახლამუს ტომები, იგივე „არამეელები“, რომლებიც თავიანთ თვისახელს იღებენ „არამუ“-დან.[1]

ძვ.წ. IV-III ათასწლეულებში აღმოსაელეთ სმელთაშუა ზღვისპირეთის მოსახლეობა იყო, როგორც ზემოთ აღინიშნა, აფრაზიულ ენათა სემიტური შტოს წარმომადგენელი. პალეოლინგვისტური ანალიზი მკვლევართ საშუალებას აძლევს მათი ამ რეგიონში გამოჩენა დათარიღდეს ძვ.წ. VI-V ათასწლეულებით. აღნიშნული რეგიონის მოსახლეობა განეკუთვნებოდა დასაელეთსემიტურ დიალექტთა ქანაანურ ქვეჯგუფს. სტეპების ზონის მოსახლენი, ალბათ, ლაპარაკობდნენ ამორეული ქვეჯგუფის დასაელეთსემიტურ დიალექტებზე. ძვ.წ. III ათასწლეულის I ნახევრიდან სირიასა და პალესტინაში ჩრდილოეთიდან იჭრება უცნობ ტომთა ჯგუფი, რომელმაც ამ რაიონებში შეიტანა ე.წ. „მტკვარ-არაქსული“ (სირია-პალესტინაში – „ხირბეთ კერაკული“) არქეოლოგიური კულტურა.[2]

---

[1] Кабло Дж. О ранних контактах арамеев (ахламеев) с ассирийцами. „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“, ტ 140, №3 1990, გვ.653 და შმდ.

[2] ზოგიერთი მკვლევარი ამ ტომებს უკავშირებს სურიტების გამოჩენას ჩრდილოეთ მესოპოტამიაში.

ანთროპოლოგიური ტიპი. იხ. ზემოთ, „აღმოსაელელი სემიტები".

ენები. დასავლურ-სემიტურ ენებს განეკუთვნებიან: ებლაური (ქ. ებლას მცხოვრებთა ენა), უგარითული (ქ. უგარითის მცხოვრებთა ენა), ძველი ებრაული (იერიხონის აღრეული ფორმა – ძველ ებრაელთა ენა), ძველი ფინიკიური, ძველი არამეული (ძველ არამეელთა ენა) და სხვ.

ძირითადი სტრუქტურა ჩამოთვლილი სემიტური ენებისა, ცხადია, ეთანხმება აღმოსავლურ სემიტურ ენათა ზოგად სტრუქტურას, რომელიც აღწერილი გვაქვს ზემოთ, აქადური ენის დახასიათებისას. ამის გამო, მათ ვრცლად განხილვას აქ არ შევუდგებით, აღვნიშნავთ იმ ზოგიერთ სპეციფიკურ ნიშანს, რომლებითაც ისინი უახლოვდებიან აღმოსავლურ სემიტურ ენებს.

ასე მაგალითად, ***ებლაური ენა***[1] ერთ-ერთი უძველესი დასავლურ-სემიტური ენაა, რომელიც ახლაც შესწავლის პროცესშია. გამოვლენილია ნაცვალსახელები (სუფიგირებული, განმსაზღვრელ-შედარებითი, კითხვითი, განუსაზღვრელი), დადგენილია ბრუნვები (სახელობითი, ნათესაობითი, ბრალდებითი, მიცემითი, აღგილობითი), მდედრობითი და მამრობითი სქესის ნიშნები, რიცხვის რაოდენობა (მხოლოობითი, მრავლობითი, ორობითი), გამოკვეთილია მზმნის პირები (მხოლოობითში და მრავლობითში – 1 საერთო, მეორე და მესამე პირი მდედრობითი და მამრობითი სქესისა, ორობითში დადასტურებულია ფორმები საერთო პირისათვის და მდედრობითი და მამრობითი ფორმები მეორე პირისათვის). გვხვდება ნასესხები სიტყვები შუმერულიდან და აქადურიდან და ა.შ.

უგარითული ენის სპეციფიკური დამახასიათებელი ნიშნებია: არქაული კონსონანტური (თანხმოვნური) შემადგენლობის შენარჩუნება და ხურიტული ენიდან ž-ს სესხება; მორფოლოგიაში შენარჩუნებულია უღლების ფორმათა და სახელის ბრუნების დაბოლოებანი; ენას გააჩნია მზმნის რეფლექსური ფორმები; არტიკლი არ აქვს. ლექსიკაში გვხვდება მრავალი

[1] Древняя Эбла. М., 1985, с. 114 и сл., 133 и сл., 141 и сл.

ნასესხები სიტყვა აქადურიდან და ხურიტულიდან. უგარითული ენის ძეგლები შედგენილია ლურსმულის მსგავსი დამწერლობით.[1]

ფინიკიური ენა[2] განსხვავდება სხვა ქანაანურ-ამორეული ენებისაგან იმით, რომ შენარჩუნებულია სიტყვის ორთანხმოვნიანი დასაწყისი; მორფოლოგიაში დამახასიათებელია ენკლიტიკურ ნაცვალსახელთა არსებობა მხოლოობითი რიცხვის მესამე პირისათვის; შუალობითი (კაუზატიური) ფორმის წარმოქმნა პრეფიქსების დახმარებით. ლექსიკაში შეინიშნება სმარება გოგიერთი სპეციფიკური სიტყვებისა განუსაზღვრელი ნაცვალსახელებით და უარყოფითი ფორმით.

ძველ ებრაულ ენას[3] (აღრეულ სანებში მას უწოდებდნენ „ქანაანურსაც") აქვს შემოკლებული სისტემა თანხმოვანთა ფონემებისა; დაკარგული აქვს ბრუნვათა ფლექსია, შეცვლილია ზმნის სისტემა, ზმნის ძირი, უმთავრესად, სამთანხმოვნიანია. მარცვალი არ შეიძლება დაიწყოს ან დამთავრდეს ორი თანხმოვნით; მახვილი ეცემა ბოლო მარცვალზე; სახელს აქვს მდედრობითი და მამრობითი სქესი, მხოლოობითი, მრავლობითი და ორობითი რიცხვი. ზმნას ახასიათებს ორი დრო: იმპერფექტი (ნამყო უსრული) და პერფექტი (დასრულებული მოქმედება ნამყო დროში). ლექსიკა ძირითადად სემიტურია, თუმცა ენას შემოჩენილი აქვს აქადური, არამეული და ეგვიპტური ნასესხობანი.

ძველი არამეული ენა[4] ხასიათდება იმით, რომ თანხმოვანთა საერთო-სემიტური შემადგენლობიდან ამოვარდნილია გოგიერთი ბგერა; მახვილი ეცემა ძირითადად ბოლო მარცვალზე. სახელს აქვს ორი გრამატიკული სქესი (მამრობითი და მდედრობითი), ორი რიცხვი (მხოლოობითი და მრავლობითი. ორობითი რიცხვის ფორმა შემორჩენილია მხოლოდ რიცხვით სახელებში და სხეულის ნაწილების წყვილ სახელებში). სახელისათვის დამახასიათებელია სამი მდგომარეობა.

---

[1] Лингвистический энциклопедический словарь, с. 529.
[2] იქვე, გვ. 547.
[3] იქვე, გვ. 140.
[4] იქვე, გვ. 42; წერეთელი კ. არამეული ენა. თბ., 1982.

აქვს მშნის უღლების ორსახიანი კლასიკური სისტემა. ლექსიკაში გვხვდება ნასესხები სიტყვები აქადურიდან და ძველი ებრაულიდან.

დამწერლობა. დასაველელი სემიტების მთელ ტერიტორიაზე დროის სხვადასხვა მონაკვეთსა და სხვადასხვა ქვეყანაში ისმარებოდა რამდენიმე სახის (მათ შორის, კონსონანტურ ანუ თანხმოვნურ მარცვლოვანი, ფსეუდოიეროგლიფური, კვაზი-ანბანური ანუ ანბან-ურ-კონსონანტური, ანბან-ურ-საბობრივი და ა.შ.) დამწერლობა, რომლებსაც ზოგადად „დასავლურ–სემიტურ დამწერლობებს" უწოდებენ. აღსანიშნავია, რომ წერის ანბანური პრინციპი გამოგონილია სწორედ დასავლელი სემიტების მიერ.

ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანებში დასაველელმა სემიტებმა, კერძოდ, ებლაელებმა შექმნეს მესოპოტამიიდან ნასესხები ლურსმული მარცვლოვანი ნიშნებისაგან შედგენილი დამწერლობა, რომლითაც ნაწერი 17 ათასამდე ლურსმული ფირფიტა იპოვეს ქალაქ-სახელმწიფო ებლაში (თანამ. თელ-მარდიხში). ტექსტები ებლადან შედგენილია შუმერული დამწერლობით, რომელიც ებლაელებმა გადაიღეს შუმერიდან დაახლოებით ძვ.წ. 2500 წლისათვის, მაგრამ ისინი იკითხება ებლაურ ენაზე. ტექსტების 90%-ზე მეტი დაწერილია შუმერული იდეოგრამული ნიშნებით, მხოლოდ ცალკეული სიტყვებია ჩაწერილი მარცვლოვანი ნიშნებით ებლაურად. ებლაური შუმერული ნიშნები გარეგნულად მთლიანად ემთხვევა იმ ნიშნებს, რომლებიც იხმარებოდა არა სამხრეთშუმერულ დამწერლობაში, არამედ ჩრდილოურ, ქ. ქიშში გავრცელებულ შუმერულ დამწერლობაში, რაც მიუთითებს დამწერლობის ნასესხობის გზაზე. ებლაელებმა დაადგინეს ისეთი კლასიფიკაცია ნიშნებისა, როდესაც ისინი დალაგებული იყვნენ თითოეულ თანხმოვანთან ხმოვნების თანამიმდევრობით. როგორც ჩანს, არაუგვიანეს ძვ.წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრისა დასავლელმა სემიტებმა შექმნეს ისეთი სახე კონსონანტურ-მარცვლოვანი დამწერლობისა, რომელსაც ჰქონდა ნიშნები

თანხმოვანთა გადმოსაცემად ნებისმიერი ხმოვნის დამატებით.[1]

ქვემოთ შევჩერდები ზოგიერთ ცნობილ დასავლურ-სემიტური დამწერლობის მოკლე დახასიათებაზე.

ე.წ. კვაზი (მოჩვენებითი)-ანბანური დამწერლობა.[2] დასავლელ სემიტებთან გავრცელებული იყო მარცვლოვანი დამწერლობა. იგი შედგებოდა ნიშნებისაგან, რომელთა უმეტესობა ერთი ნიშანი გამოხატავდა ერთ გარკვეულ თანხმოვანს, რომელიმე ხმოვნით. კითხვის დროს მკითხველს უნდა შეერჩია სათანადო მარცვალი. ამ დამწერლობის ნიშანთა რაოდენობა იყო ძალზედ მცირე, მაგრამ კითხვის დროს ძნელდებოდა მარცვლის შერჩევა. გადაიღეს ძვ.წ. I ათასწლეულის I ნახევარში მცირე აზიის ხალხებმა, რომლებმაც ისინი გადააკეთეს ანბანად. ***ბიბლოსური დამწერლობის*** ნიშნები გეომეტრიული და სტილიზებული ხატოვანი ხასიათისაა, აღწევს 60-დან 100-მდე ნიშანს, წერის მიმართულება – მარჯვნიდან მარცხნივ. წარწერები გაუშიფრაეია. ***უგარითულ დამწერლობას*** უწოდებენ კვაზი-ანბანურ კონსონანტურს. იხმარებოდა ძვ.წ. XIV-XIII საუკუნეებში უგარითულ ენაზე, ისევე როგორც ხურიტულ და აქადურზე, ტექსტების ჩასაწერად. ნიშნები მხოლოდ წააგვანან ლურსმულს. თავდაპირველად იყო 30 ნიშანი, ხმარობდნენ სიტყვათა გამყოფს. შემოკლებული ვარიანტი ითვლიდა 22 ნიშანს. ***ფინიკიურ დამწერლობასაც*** უწოდებენ კვაზი-ანბანურს, ოღონდ ხაზოვან კონსონანტურს (თანხმოვნურს). შედგებოდა 22 ნიშნისაგან, რომლებსაც განისილავდნენ როგორც თანხმოვნებს რომელიმე ხმოვნით. მაგრამ კონსონანტური დამწერლობა (ხმოვნების გარეშე) ძალზედ აძნელებს ტექსტის გაგებას. მოგვიანებით დაიწყეს ხმარება სპეციალური ნიშნებისა, რომლებიც აღნიშნავდნენ ამა თუ იმ ხმოვანთან ახლოს მდგომ თანხმოვნებს. დამწერლობა გადაიღეს ფინიკიელთა მეზობელმა და არამეზობელმა ხალხებმა, მისგან წარმოდ-

---

[1] Древняя Эбла. М., 1985, с. 114 и сл.

[2] Лингвистический энциклопедический словарь, с. 217. ამავე წიგნშია მოცემული აგრეთვე დახასიათებები ბიბლოსური (გვ. 74), უგარითული (გვ. 529) და ფინიკიური (გვ. 547) დამწერლობებისა.

ენენ არამეული დამწერლობა, ებრაული კვადრატული და არაბული დამწერლობები. ფინიკიური დამწერლობა შეითვისეს და სრულყვეს ბერძნებმა, ამათგან კი – რომაელებმა და სხვებმა.

მოკლე ისტორიული ცნობები.[1] ძვ.წ. XXIV-XXIII საუკუნეებში დასავლურ-სემიტური მოსახლეობის მიერ შექმნილი ერთ-ერთი უძველესი ქალაქ-სახელმწიფო იყო ***ებლა,*** რომელიც მდებარეობდა თანამედროვე დასახლების – თელ-მარდიხის აღგილას (ჩრდილოეთ სირიაში). მისი პოლიტიკური გავლენა ვრცელდებოდა ბიბლოსიდან მარიმდე. ებლას მმართველი ატარებდა ტიტულს – „მალიქუმ“ (მოგვიანებით ეს სიტყვა აღნიშნავდა „მეფეს“), მას ჰყავდა მსედართმთავრები და სახელმწიფო მოხელენი. ებლა იყო ცენტრი საერთაშორისო ვაჭრობისა. აქადის დინასტიის მმართველებს (სარგონ დიდს, ნარამ-სუენს) არაერთხელ ულაშქრიათ ებლაში. მომდევნო სანებში ეს ქალაქ-სახელმწიფო სუსტდება და აღარ თამაშობს დიდ როლს დასავლეთ წინა აზიაში.

ბიბლოსი (გუბლა) იყო ადრეული ცივილიზაციის ერთ-ერთი ცენტრი მთელს აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვისპირეთში, სახელდობრ, ფინიკიის სანაპიროზე, ლიბანის კედარის ტყეების მახლობლად. აქ სახელმწიფოებრიობა ჩამოყალიბდა ძვ.წ. III ათასწლეულის პირველ ნახევარში. ამავე სნიდან იგრძნობოდა ეგვიპტის პოლიტიკური თუ კულტურული გავლენა ბიბლოსზე, რომლის მეფენი მოგვიანებით სმარობდნენ ეგვიპტურ ენას როგორც ოფიციალურს. ძვ.წ. III ათასწლეულში ბიბლოსი იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრიეი ცენტრი აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვისპირეთში, თუმცა მაინც იმყოფებოდა ეგვიპტის ძლიერ გავალენაში. ძვ.წ. XI საუკუნეში ბიბლოსი გახდა დამოუკიდებელი სახელმწიფო.

---

[1] История древнего Востока, I, გვ. 211, 220, 234, 238-239, 250 და სხვა (ებლა), გვ. 220, 250, 265, 283 და სხვ. (ბიბლოსი); История древнего Востока. Зарождение древнейших классовых обществ и первые очаги рабовладельческой цивилизации. Часть вторая. М., 1988 (Под редакцией Г. М. Бонгард-Левина), გვ. 208, 250 и შმდ. (უგარითი); გვ. 269 და შმდ. (ძველი ებრაელები).

უგარითის ქალაქ-სახელმწიფოს წარმოქმნას დაახლოებით ძვ.წ.III ათასწლეულის დასასრულისთვის ვარაუდობენ (მდებარეობდა თანამედროვე პატარა ქალაქის – რას-შამრას ადგილას). ვაჭრობა იყო უგარითის ძირითადი შემოსავლის წყარო. საბღვაო ვაჭრობისათვის მას გააჩნდა თავისი ფლოტი. უგარითმა მჭიდრო კონტაქტები დაამყარა სეთებთან, ტეიროსთან, სიდონთან, ეგვიპტესთან და სხვებთან. საინტერესოა უგარითელთა საზოგადოებრივი სტრუქტურა: „მეფის მონები“ (არა ნამდვილი მონები, არამედ მეფის სამსახურში მყოფი ადამიანები), „ძენი უგარითისა“, ე.ი. მეთემენი (სახელმწიფოს მოქალაქენი) და „მეფის მონათა მონები“, ე.ი. მეფის მოხელეების მონები და ნაყიდი კერძო მონები.

ძველი ებრაელი ტომები პალესტინაში ჩნდებიან ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლო მეოთხედიდან. მკვლევართა ვარაუდით, ისინი გადმოსახლდნენ მდ. იორდანის სტეპებიდან და შეერიენენ პალესტინაში მცხოვრებ ადრეულ (ქანაანურ) ტომებში. მათი აღმნიშვნელი სახელი წარმომდგარი უნდა ყოფილიყო „ებერ“ სახელისაგან („ებერ“ ნიშნავს „გადასვლას“ მდინარეზე – იორდანზე). აქედანაა წარმომდგარი ბედსართავი სახელი ‘ibri (თანამედროვე „ებრაელი“). ამ მესაქონლე ტომთაგან თავიდანვე დაწინაურდა ტომთა კავშირი სახელწოდებით „იისრა’ელ“, ე.ი. ისრაელი (იზრაილი), რომელსაც ეკავა პალესტინის დიდი ნაწილი. ამ ტომთა კავშირის საერთო ღვთაება იყო იახვე (იაღვე). ქანაანელებთან შედარებით, ებრაული ტომები (რომელთა რიცხვი 12 აღწევდა) სოციალური განვითარების უფრო დაბალ საფეხურზე იდგნენ. მათ დიდი ბრძოლების გადახდა მოუხდათ აგრეთვე ფილისტიმელებთან. ძე.წ. XI საუკუნის მეორე ნახევარში წარმოიქმნა ისრაელის სახელმწიფო.

რელიგიური რწმენა-წარმოდგენები.[1] დასავლელი სემიტების ყოველ თემსაც თავისი მფარველი ღვთაება ჰყავდა. ისინი აღინიშნებოდნენ საზოგადო სახელებით: ელი – „ღვთაება“,

[1] Дьяконов И. М., Народы древней Передней Азии, с. 16 и сл.; История древнего Востока, I, с. 445 и сл.

ელათი – „ქალღვთაება“, ბა'ალი „ბატონი“, ბა'ალათი – „ქალბატონი“, 'აშთარი – „ღვთაება ნაყოფიერებისა“, 'აშთართი (ასთართა) – „ქალღვთაება ნაყოფიერებისა“. ეს ღვთაებები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ მხოლოდ სალოცავი ადგილის მიხედვით. არსებობდნენ კოსმიური ღვთაებები, რომლებსაც თაყვანს სცემდნენ თემის ფარგლებს გარეთაც: 'აშირათუ ('აშირთა, 'აშერა) – ქალღვთაება მცენარეულობისა; შაფშუ (შამშუ, უგარითში) – მზის ქალღვთაება; იარიხუ – მთვარის ღვთაება; იამუ – ღვთაება ზღვისა; (ხ)ადდუ (ადადი) – ღვთაება ჭექა-ქუხილისა და წვიმისა (ტაროსისა). საყოველთაო უმაღლესი ღვთაება იყო ელა. მრავალ ღვთაებასთან დაკავშირებული იყო ტოტემური წარმოდგენები, ისინი . ან თვითონ იყვნენ გაიგივებული ცხოველთან, მცენარესთან ანდა საგანთან (ელი – ხართან, 'ანათი – სბოსთან, აშირათი – ხესთან), ან ჰქონდათ თავიანთი ატრიბუტები ('ანათი – ღომზეა დამდგარი, ადდუ – ხარზე, იყო ღვთაება გველის გამოსახულებითაც). მთელ რიგ შემთხვევაში თაყვანს სცემდნენ უცხო წარმოშობის ღვთაებებსაც. ნაყოფიერების ღვთაებათა კულტების სამსახური სრულდებოდა ორგიასტული რიტუალებით, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ორივე სქესის წარმომადგენლები. მოგვიანო ხანებში არსებობდა ღვთაებისადმი შეწირვა ჩვილი, პირველად გაჩენილი ვაჟიშვილისა (სასახლის ან ქალაქის კედლის აგებისას).

ლიტერატურა და ხელოვნება.[1] ძნელია საუბარი აღმოსავლეთ სმელთაშუა ზღვისპირეთის კულტურაზე საერთოდ, რადგან სხვადასხვაგვარი იყო ამ რეგიონის ბუნება, სამეურნეო და ეთნიკური თვითშეგნება. ძვ.წ. III-II ათასწლეულების არქიტექტურა ხასიათდება ეგვიპტური ტიპის ტაძრების აგებით ბიბლოსში და მესოპოტამიურისა – ებლაში. ძვ.წ. II ათასწლეულში ვითარდებოდა ორიგინალური მშენებლობა ტაძრებისა სირიაში, ფინიკიაში, პალესტინაში (განსაკუთრებით, ტაძრებისა უგარითსა და ბიბლოსში).

[1] იქვე, გვ. 462 და შმდ., 478 და შმდ.

თაეისებურია იმაეე ხანის სკულპტურა დასაელეთ წინა აზიაში: ჩვენამდე მოაღწია გამოსახულებებმა ღვთაებებისა და გმირებისა, რომელთაც გაადამიანური, მრისხანე, უსეში შესახედაობა პქონდათ. სახეითი ხელოენების ნიმუშები მცირეა. ტერაკოტებს ღვთაებათა რელიეფური გამოსახულებით ინახავდნენ როგორც კერძო სახლებში, ასეე ტაძრებში.

შემორჩენილია რელიგიური ხასიათის ტექსტები სემიტურ ენაზე: ღვთაებათა სიები, რიტუალების აღწერა, წყევლისა და ლოცეის ტექსტები, საკულტო სიმღერები, შემორჩა თქმულება ღვთაება 'ალიან-ბა'ალზე, რომელიც იღუპება ბრძოლაში ღვთაება მოტთან (სიკვდილთან), რომელიც ჭკნება. ბოლოს, სხვა ღვთაებათა ჩარევის შედეგად, იმარჯეებს 'ლიან-ბა'ალი „სიკვდილზე". საინტერესოა პოემა ბაალისათეის ტაძრის აგების შესახებ.

უგარითში შემოინახა ხელოვნებათ შემქმნელი ღეთაებების – ქუშარივა-ხუსასის თქმულება. საგმირო ეპოსს ეხება პოემები კერეტზე და დანიელზე. შემორჩა ავტობიოგრაფიული ქანრის ნაწარმოებები.

სემიტურ და ქართველურ ენათა ურთიერთდამოკიდებულებისათეის. სემიტურ-ქართველურ ლექსიკურ პარალელებთან დაკავშირებით ყურადღებას ამახეილებენ, პირეელ რიგში, რიცხეით სახელებზე. როგორც ცნობილია, რიცხეითი სახელების სესხება ძალზედ გავრცელებული მოელენაა მსოფლიოს სხვადასხვა ენებში, რაც აიხსნება მჭიდრო კაეშირებითა და კულტურული ურთიერთქმედებით. სემიტური რიცხეით სახელი „შვიდი" – *საბ -, *საბ ათ- (მდედრობითი რიცხვი) ნასესხები აქვს საერთო ქართველურ ენას როგორც „*შვიდ-", რაც მომდინარეობს მდედრობითი სქესის ფორმიდან (*საბ ათ). სემიტურიდან ნასესხებ სიტყვად მიაჩნიათ აგრეთვე ქართული რიცხვითი სახელი „რვა" // „*არვა" (თ. გამყრელიძე, ვ. იანოვი). ყურადღებას აქცევენ რიცხვით სახელს „ერთ-"ი, რომელიც სემიტური ენების სხვადასხვა დიალექტში გამოისატება სხვადასხვა სიტყვით. ანალოგიური სიტუაცია რეკონსტრუირდება ქართული ენებისთეისაც (მაგალითად, ქართ. „ერთ-",

მეგრ.-ლაზ. „ართ“, სვან. „ეშხუ“, რომელიც მომდინარეობს სიტყვიდან „სხვა“).[1]

ჯერჯერობით გამოვლენილია აგრეთვე შემდეგი ლექსიკური დამთხვევები:

სემიტური *ფილ „სპილო“ და ქართ. „სპილო“.

სემიტ. *კლ „დაკაეება, დაჭერა, დამწყვდევა“ და ქართ. „კლიტ“.

შდრ. აგრეთვე სემ. *„მტკ-“ „(მ)ტკბილ-“ი და ქართ. „ტკბილ-“ი, ისევე როგორც სემ. *plk „ჩუგლუგი, ცული“ და ქართ. „ფელკეა“ („ჩეხვა“), „ფელკი“ – ნაჭერი (მოჭრილი ან მოჩეხილი რამ), ზან. (მეგრ. „ფელეკანს“ – „ჩეხავს“). შეინიშნება ქართველურ-აქადური ნასესხობანიც.

ადრეული არეალური კონტაქტები სემიტური ენებისა ქართველურ ენებთან, მართალია, მცირეა, მაგრამ მაინც საგულისხმოა. ისინი უნდა განხორციელებულიყო ახლო აღმოსავლეთის იმ განსაზღვრულ რეგიონში, სადაც ერთმანეთის ახლოს უნდა ეცხოვრათ ადრეული ხანის სემიტებსა და ქართველურ ტომებს. ეს გამორიცხავს სხვა შესაძლო ტერიტორიას ქართველური ენების პირველადი გავრცელებისა. როგორც ცნობილია, ნასესხები ლექსიკის პლასტი ერთი ენიდან მეორეში, ისევე როგორც მსგავსი სტრუქტურული დამახასიათებელი ნიშნები, ვარაუდობს ამ ენათა ურთიერთობას დროის გარკვეულ მონაკვეთში (თ. გამყრელიძე).

ასეთ რეგიონად მიგვაჩნია სემიტური ენების გავრცელების ჩრდილოეთი პერიფერია, რომელიც ემეზობლებოდა მცირე აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილს, მოიცავდა რა ჩრდილოეთ მესოპოტამიის რაიონებს. სწორედ აქედან უნდა განხორციელებულიყო ენობრივი, კულტურული და სხვა სახის კონტაქტები სემიტებსა და, საერთოდ, მათ ჩრდილოეთით (ისევე როგორც ჩრდილო-დასავლეთითა და ჩრდილო-აღმოსავლეთით) მცხოვრებ ტომებს, მათ შორის, ქართველურ ტომებს შორის. ასეთი სიტუაცია უნდა არსებულიყო, ძველაღმო-

[1] Гамкрелидзе Т. В., Иванов Вяч. Вс. Индоевропейский язык и индоевропейцы. Тб., 1984, с. 875.

საველური წერილობითი წყაროების მონაცემებიდან გამომდინარე, ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანებამდე. ამის შემდეგ, ასევე აღნიშნული წერილობითი წყაროების მონაცემთა მიხედვით, პოლიტიკური ვითარება წინა აზიის ჩვენთვის საინტერესო რეგიონში უნდა შეცვლილიყო – ქართველური წარმოშობის ტომები ძვ.წ. III ათასწლეულის შუა სანებიდან უკვე ვეღარ ახორციელებდნენ პირდაპირ კონტაქტებს სემიტ ტომებთან, რაც გამოწვეული უნდა ყოფილიყო გარკვეული მიზეზებით – სურიტების ამ რეგიონში გამოჩენით, რომელთა შესახებ საუბარი გვექნება ამავე თავის მომდევნო ნაწილებში. ეს კონტაქტები უნდა აღდგენილიყო მხოლოდ ძვ.წ. XIII-XII სს-ების შემდეგ, როდესაც სურიტები აღარ ჩანდნენ ისტორიის ასპარეზზე.

ინდოევროპელები მცირე აზიაში
(ხეთები)

ინდოევროპულ ენათა ოჯახი ამჟამად ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანია, რომელსაც განეკუთვნება ისეთი ენობრივი ჯგუფები, როგორიცაა მცირეაზიული (ანატოლიური), ინდოირანული, ბალტური, სლავური, კელტური, გერმანიკული, იტალიკური, ანდა ცალკეული ენები – ბერძნული, სომხური და სხვანი. ყველა ეს ენა წარმოიშვა ე.წ. წინარე (ანდა პროტო-ინდოევროპული) ენის სხვადასხვა გენეტიკურ დიალექტად დაშლის შედეგად.[1]

ერთ-ერთი ადრეული ტალღა, წინარე ინდოევროპული ეთნოსიდან გამოყოფილი, სწორედ წინარე ანატოლიური (მცირე აზიური) ინდოევროპული ენის მატარებელი ეთნოსია. ამ ენას იმიტომ დაერქვა „ანატოლიური“, რომ ინდოევროპელთა პირვანდელი საცხოვრისი ტერიტორიის ანუ წინარე სამშობლოს მიტოვების შემდეგ მისი მატარებელი ეთნოსი ანატოლიაში (თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე) დასახლდა. აღნიშნულმა ენამ მოგვიანებით ანატოლიაშიევე განიცადა დიფე-

[1] იქვე, გვ. 895 и сл.; Лингвистический энциклопедический словарь. с. 186 и сл.

რენციაცია რამდენიმე დიალექტად (შესაბამისად, ეთნოსად), რომელთაგან ერთ-ერთი ხეთური ენა იყო.

ანატოლიაში მცხოვრებ ინდოევროპელებთან დაკავშირებით ბევრი რამაა ჩვენთვის ცნობილი.[1] მაგრამ დღეისათვის დაუდგენელია ერთ-ერთი უმთავრესი – როდის და საიდან მოვიდნენ ინდოევროპელები მცირე აზიაში. ეს პრობლემა კი გადახლართულია საერთოდ ინდოევროპელთა წინარე სამშობლოს დროისა და ადგილის დადგენის პრობლემასთან. ტრადიციული შეხედულებებისაგან განსხვავებით, რომელთა მიხედვით ასეთ ადგილად უნდა მივიჩნიოთ ცენტრალური ან აღმოსავლეთი ევროპა, ისევე როგორც ბალკანეთი, ლინგვისტებმა – თ. გამყრელიძემ და ვ. ივანოვმა წამოაყენეს ახალი მოსაზრება: ინდოევროპელთა წინარე სამშობლო საძებნია წინა აზიაში, იქ, სადაც შეიძლებოდა განსრულიყო ინდოევროპულ, სემიტურ და ქართველურ ენათა ურთიერკონტაქტები. ასეთ რეგიონად მათ მიიჩნიეს წინა აზია, სახელდობრ, მცირე აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილისა და ჩრდილოეთ მესოპოტამიის ურთიერთშესების რეგიონი, დაახლ. ძვ.წ. V ათასწლეულის დროინდელი ე.წ. ხალაფის არქეოლოგიური კულტურის გავრცელების არეალი. ამ ვარაუდიდან გამომდინარე, სწორედ აქედან უნდა გადასახლებულიყო ცენტრალურ ანატოლიაში წინარე ანატოლიური ინდოევროპული ეთნოსი.

ასეა თუ ისე, ჩვენთვის მთავარია ის, რომ მცირე აზიაში ადრეული ხანებიდანვე ბინადრობდა წინარე ანატოლიური ინდოევროპული ეთნოსი, რომელიც დაახლ. ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანებიდან იწყებს დიფერენცირებას, ცალკე ენებად ყალიბდებიან რა ხეთური, ლუვიური და ფალაური ენები. ძვ.წ. II ათასწლეულის დამდეგისათვის მცირე აზიაში ჩამოყალიბდა ხეთური ეთნოსი, ხეთების სახელმწიფოს შემქმნელი, რომელთანაც გარკვეული კონტაქტები უნდა ჰქონოდათ მცირე აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ მესოპოტამიის რეგიონთან ტერიტორიულად ახლოს მყოფ სემიტურ და ხური-

[1] Герни О. Р. Хетты. М., 1987; Маккуин Дж. Г. Хетты и их современники в Малой Азии. М., 1983; გიორგაძე გ. ათასი ღვთაების ქვეყანა. თბ., 1988; Bryce T. The Kingdom of the Hittites. Oxford, 1998.

ტ·ულ ტომებს, ისევე როგორც ანატოლიის ჩრდილო-აღმოსავლეთ პერიფერიასთან დაკავშირებ·ულ ქართველურ ტომებს. ქვემოთ სწორედ ამ ეთნოსზე გვექნება საუბარი.

სახელწოდება და განსახლება. გამოთქმას „სეთები“ საფუძვლად უდევს ანატოლიის ერთ-ერთი ·უძველესი ეთნოსის – ხათების (იმავე პროტეხეთების) აღმნიშვნელი სახელწოდება „ხათი“ (ეტიმოლოგია უცნობია, თუმცა ვარაუდობენ, რომ იგი დაკავშირებ·ული უნდა იყოს „ვერცხლთან“). ცენტრალ·ურ ანატოლიაში გაბატონების შემდეგ, ხეთებმაც თავიანთ ქვეყანასა და ახლადშექმნილ სახელმწიფოს უწოდეს ასევე „ხათი“, საიდანაც ისინი აწარმოებდნენ თეითსახელწოდებასაც – „ხეთი, ხეთელი“ (ხეთურად: ლუ·ურუ·ხათი). ძველი წინა აზიის სალხეებიც (ეგვიპტელები, ბაბილონელები, ას·ურელები, ხ·ურიტები და სხვანი) ძვ.წ. II ათასწლეულის განმავლობაში ხეთების ქვეყანასა და სახელმწიფოს იცნობდნენ „ხათის“ სახელწოდებით.[1]

ხეთები მრავალგზისაა ნახსენები ბიბლიის სხვადასხვა წიგნში („დაბადებისა“, „გამოსელათა“, „რიცხვთა“, „სჯულთა“, „მეფეთა“).[2] მაგრამ ბიბლიის „ხეთები“ არ წარმოადგენდნენ იმ „ხეთებს“, ძვ.წ. II ათასწლეულის მცირე აზიაში რომ სახლობდნენ. ისინი უნდა ყოფილიყვნენ „ნამდვილი ხეთების“ შორე·ული შთამომავალნი და მათი კულტ·ურული ტრადიციების გამგრძელებლები, რომელთაც ხეთების სამეფოს განადგურების შემდეგ ანატოლიის სამხრეთ-აღმოსაელეთსა და ჩრდილოეთ სირიაში, ნაწილობრივ პალესტინაშიც, უნდა დაედოთ ბინა (ძვ.წ. II ათასწლეულის მიწურულიდან). მათი აღმნიშვნელი სახელწოდება იმხანად უკვე ლეგენდად ქცე·ული ოდესღაც მრისხანე „ხათიდან“ მომდინარეობდა.

ბიბლიაში ხეთების აღმნიშვნელი სახელწოდება (რომელსაც საფუძვლად უდევს ძვ.წ. I ათასწლეულის ასურული და ურარტული წყაროების „ხათი“, „ხათე“, რაც მომდინარეობს ძვ.წ. II ათასწლეულის დროინდელი ტექსტებიდან ხეთ·ურ, აქად·ურ, ძველ ეგვიპტ·ურ და სხვ. ენებზე) გადმოცემ·ულია „პიტ-

---

[1] გიორგაძე გ. ათასი ღეთაების ქვეყანა, გვ. 29 და შმდ.

[2] ძველი აღმოსაელეთის სალხთა ისტორიის ქრესტომათია, გვ. 243 და შმდ.

ტიმ“ ფორმით, სოლო ბერძნულ ბიბლიაში – როგორც „ხეტტაიოი“. ევროპულ და რუსულ ენებზე ბიბლიის თარგმნისას სწორედ ეს დაედო საფუძვლად ხეთების აღმნიშვნელ ტერმინს: Hethiter (გერმ.), Hittites (ინგლ.), Hittites (ფრანგ.), хеттей, сыны хеттовы, хеттеяне. ამ უკანასკნელისაგან გაჩნდა რუსული „хетты“ და ქართული „ხეთები“.

„ძველი აღთქმის“ ქართულ თარგმანებში კი ხეთებს ერქვათ „ქეტელნი“, ან „ძენი ქეტისნი“. (ნათ. ბრ. „ძეთა ქეტისთა“). დასანანია, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში ხეთების აღსანიშნავად თავიდანვე არ დამკვიდრდა სწორედ ბიბლიიდან გადმოქართულებული ფორმები ხეთების აღსანიშნავად. საქართველოში ხეთების აღმნიშვნელი სახელი ხომ ცნობილი გახდა ბიბლიის ქართულად თარგმნის დროიდან, ე.ი. გაცილებით ადრე, ვიდრე ბიბლია ითარგმნა ევროპასა და რუსეთში.

ხეთების ძირითადი საცხოვრებელი ადგილი მდებარეობდა მცირე აზიის ცენტრალურ რაიონებში, სადაც თავიდანვე არსებული „პატარა“ ქვეყანა მომავალში გადაიქცა ერთ-ერთ ძლიერ სახელმწიფოდ მთელს წინა აზიაში. მისი ტერიტორია გადაჭიმული იყო ხმელთაშუა ზღვიდან შავ ზღვამდე (შესაძლოა მას ხეთები „ცალფას ზღვას“ ეძახდნენ) და ანატოლიის დასავლეთი რაიონებიდან მდ. ევფრატამდე (ხეთ. მალა). იგი მოიცავდა აგრეთვე ჩრდილოეთ სირიას.

ხეთების დედაქალაქი იყო ხათუსა, მდებარეობდა თანამედროვე დასახლების – ბოღაზქოის ადგილას. თანამედროვე კაისერის ახლოს მდებარე ბორცვზე განლაგებული იყო ხეთების ერთ-ერთი უძველესი ცენტრი – ნესა, იგივე ქანესი. თანამედროვე მაშათ-ჰუიუქის ადგილას უნდა ყოფილიყო თაფიგა (თაფიქა), ორთაქოიში – საფინუვა, ხოლო ქუშაქლიში – სარისა. მდ. ყიზილ-ირმაკს ხეთურად მარასანთა (მარასანთია) ერქვა. ვარაუდობენ, რომ ანქუვა იყო თანამედროვე ალიშარ-ჰუიუქის ადგილას, თავინია – კლასიკური ხანის თავიუმი, თუვანუვა – თიანა და ა.შ.

ხეთების სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით ბინადრობდნენ ხეთების მონათესავე ინდოევროპელი ლუვიელები, ხოლო ჩრდილოეთით ან ჩრდილო-აღმოსავლეთით – ასევე

ხეთების მონათესავე ინდოევროპელი ტომები – ფალაელები. ხეთების ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით, პონტოს მთებში ცხოვრობდნენ ხეთების მეზობლები და დაუძინებელი მტრები – ქასქები (ქაშქები), რომელთა შესახებ ცალკე გვექნება საუბარი, მდ. ევფრატის აღმოსავლეთით – სურიტები. კილიკიის ტერიტორია ეკავა ქიცუვათნას (ქიცვათნას), ხეთების ერთ-ერთ დიდ რელიგიურ ცენტრს, სადაც დიდი იყო ლუვიელებისა და სურიტების გავლენა.[1] სწორედ ამ რაიონში, ჩრდილოეთ სირიის მოსაზღვრე რეგიონში საუკუნეთა მანძილზე მეზობლობდა ძველი წინა აზიის სამი უდიდესი ეთნოსი – ინდოევროპული, სურიტული და დასაელურ-სემიტური.

ანთროპოლოგიური ტიპი.[2] მცირე აზიას უკავშირდება რასების წარმოშობის აღმოსავლურ ხმელთაშუაზღვისპირული ბალკანურ-კავკასიური კერა, რომლისაგან გამოიყოფა პოპულაციის წინააზიური ჯგუფი. იგი ფართოდაა წარმოდგენილი წინა აზიის ძველი ძეგლებით. როგორც ვარაუდობენ, ეს ანთროპოლოგიური ტიპი ხასიათდება მკვეთრად გამოსახული ბრაქიცეფალიით (მოკლე თავის ქალას ფორმით), სახესა და ტანზე თმის საფარის გაძლიერებული განვითარებით, ცხვირის თავისებური ფორმით და ა.შ. (შდრ. მაგალითად, ამგვარი ანთროპოლოგიური ტიპის გამოსახულებანი ხეთურ ბარელიეფებზე). აღნიშნული ანთროპოლოგიური ტიპი გარკვეულ ქრონოლოგიურ დონეზე კონტაქტირებდა ძველი ახლოაღმოსავლური არეალის ხალხთა და ტომთა შორის, მოიცავდა რა სამხრეთ კავკასიას, მცირე აზიასა და ჩრდილოეთ ირანს.

ენა.[3] ხეთები თავიანთ ენას უწოდებდნენ არა „ხეთურს", არამედ „ნესურს" („ნესიტურს"), ან „ქანესურს", რაც წარმომდგარია ერთი ქალაქის ორი სხვადასხვა სახელისაგან – ნესა, იგივე ქანესი (თანამედროვე კაისერის ახლოს). ეს იყო ერთ-

---

[1] ხეთური გეოგრაფიის მოკლე მიმოხილვა იხ. წიგნში: გიორგაძე გ. ათასი ღვთაების ქვეყანა, გვ. 44 და შმდ. უფრო ვრცლად იხ. Del Monte G. F., Tischler J. Die Orts- und Gewässernamen der hethitischen Texte. Wiesbaden. 1978.

[2] Гамкрелидзе Т. В., Иванов Вяч. Вс. დასახ. ნაშრ., გვ. 956.

[3] Лингвистический энциклопедический словарь, с. 572; Иванов Вяч. Вс. Хеттский язык. М., 1963; Языки Азии и Африки, т. I. М., 1976.

ერთი უძველესი ცენტრი ინდოევროპელი ტომებისა, საიდანაც ხდებოდა მათი განსახლება მთელს ცენტრალურ ანატოლიაში.

ჯერ კიდევ წინარე ინდოევროპული ანატოლიური ენის დაშლის შემდეგ, ხეთური ენა გახდა მცირე აზიის ცენტრალურ რაიონებში მობინადრე ტომთა ენა. მან განიცადა (უშუალო. ტერიტორიული კონტაქტების გამო) მცირე აზიის მეორე დიდი ეთნიკური ერთობის – არაინდოევროპელი სათების (პროტოსეთების) ენის – სათურის დიდი გავლენა, რაც საერთოდ არ განუცდია სამხრეთ ანატოლიაში მობინადრე ინდოევროპელი ლუვიელების ენას – ლუვიურს (ჟალაურმა ენამ მხოლოდ ნაწილობრივ განიცადა სათურის გავლენა, როგორც ჩანს, ნაკლები ტერიტორიული კონტაქტების გამო). საყარაუდოა, რომ წინარე ინდოევროპული ანატოლიური ენის არსებობის პერიოდში სათები (პროტოესეთები) მცირე აზიაში არ არსებობდნენ, რის გამოც ლუვიურ ენაში არ არის ასახული სათურის გავლენა.

სეთური არის პირველი უძველესი ინდოევროპული ენა, რომელიც წერილობითაა დადასტურებული (სეთურ ლურსმულ არქივებში ბოღაზქოიდან, მაშათ-ჰუიუქიდან, ორთაქოიდან, ქუშაქლიდან). მას შემორჩენილი აქვს არქაულობის არაერთი დამახასიათებელი ნიშანი, თუმცა მასში ასახულია ინოვაციების (ახალი წარმონაქმნების) მთელი წყებაც. ხეთურში შენარჩუნებულია ლარინგალური (სორხისმიერი) თანხმოვნები.

ძველი ფორმის სახით შემორჩენილია დაპირისპირება აქტივობისა და არააქტივობის მიხედვით. არ აქვს (ზოგიერთი გამონაკლისის გარდა) შედარებითი ხარისხის ფორმები, გაჩნია ორი სერია ზმნათა უღლებისა (მოქმედებითი და ეწებითი გვარები), თანდებულების შერწყმა ნაცვალსახელებთან. სინტაქსური ნიშნებიდან გამოირჩევა: წინადადებაში საწყისი კომპლექსური ნაწილაკები, შედარებით სუსტი განვითარება დამოკიდებული კავშირებისა.[1]

[1] Лингвистический энциклопедический словарь, с. 572.

ლექსიკამ განიცადა დიდი გაელენა უძველესი ენებისა – სათურის, ხურიტულის, აქადურის (ნაწილობრივ მკედარი შუმერული ენისა). ნასესხებ სიტყვათა დიდი ნაწილი ესება სარიტუალო ტერმინოლოგიას, ჭურჭლის სახელწოდებებს, კულტურულ ტერმინებს. ხათურიდან აღებულია სახელმწიფო მმართველობის ტერმინოლოგია და ა.შ.

ხეთური ენის ისტორია სამ პერიოდად იყოფა. ესენია: ძველი (ძვ.წ. XVII-XVI საუკუნეები), შუა (ძვ.წ. XV საუკუნე – XIV საუკუნის დასაწყისი) და ახალი (ძვ.წ. XIV-XII საუკუნეები) პერიოდები. ტექსტების დიდი ნაწილი ჩაწერილია „ახალი სამეფოს" სანაში, ტექსტებს შორისაა ასლები ძველი ხეთური ძეგლებისა, თუმცა მცირე რაოდენობით შემორჩენილია ძველი ხეთური ორიგინალებიც.

დამწერლობა.[1] ხეთები ძირითადად სმარობდნენ ლურსმულ დამწერლობას, რომელიც მათ უნდა გადმოეღოთ ძვ.წ. XVII საუკუნის დასაწყისში ჩრდილოეთ სირიაში გაერცელებული ძველი აქადური დამწერლობის სახეობიდან. იგი არასრულად გადმოსცემდა ხეთური ენის ფონეტიკურ სისტემას: გრაფიკულად არ განსხვავედებოდა ერთმანეთისაგან „ო" და „უ", გოგჯერ – „ე" და „ი". ძალზედ იყო გართულებული თანხმოვანთა გადმოცემაც. მოკლე და გრძელი ხმოენების, ყრუ და მკღერი თანხმოენების განსასხვავებლად ხეთი მწერლების მიერ შემოღებული იყო განსაკუთრებული ორთოგრაფიული წესები. ფართოდ გამოიყენებოდა შუმერო- და აქადოგრამები, რის გამოც მრავალი ხეთური სიტყვის ფონეტიკური წაკითხვა დღემდე უცნობია. მარცვალთა აღმნიშნელი ნიშნების რიცხვი, აქადურ დამწერლობასთან შედარებით, მცირე იყო, თუმცა მათი რაოდენობა მაინც აღემატებოდა სამ ასეულს. გრაფიკულად ლურსმული ნიშნები რამდენადმე განსხვავებულია ძველი აქადური ნიშნების სისტემისაგან, ეტყობა რა გამარტივება.

---

[1] Гамкрелидзе Т. В. Клинописная система аккадско-хеттской группы и вопрос о происхождении хеттской письменности. „Вестник древней истории", № 1, 1959, с. 9 и сл.

ხეთური ლურსმული დამწერლობის ძეგლების ძირითადი ნაწილი აღმოჩენილია მოღაზქოიში – ხეთების დედაქალაქ სათუსას მდიდარ სამეფო არქივში. ხეთური ფირფიტების შედარებით მცირე რაოდენობა აღმოჩნდა მაშათ-ჰუიუქში, სულ ახლახან კი – ორთაქოიში და ქუშაქლიში. ცალკეული ფირფიტები ნაპოვნია თელ-ამარნაში, უგარითში.

ლურსმული დამწერლობის გარდა, ხეთები იცნობდნენ აგრეთვე ე.წ. ლუვიურ (ხეთურ) იეროგლიფურ დამწერლობას. მაგრამ მას ხეთები არ იყენებდნენ თიხის ფირფიტებზე ტექსტების დასაწერად. ამ დამწერლობის ნიმუშები შემონახულია ხეთურ საბეჭდავებზე, რომლებიც მეფეს ან დედოფალს განეკუთვნებოდნენ, კლდეებზე, მეფისა და ღვთაებათა სახელების წერისას და ა.შ.

მოკლე ისტორიული ცნობები. ხეთების ისტორიასაც სამ ძირითად პერიოდად ყოფენ: ძველი, შუა და ახალი სამეფოების პერიოდებად.

„ძველი სამეფოს“ (დაახლოებით ძვ.წ. 1650-1500 წწ.) ცნობილი მეფეების – ლაბარნა I-ის, ხათუსილი I-ისა (იმავე ლაბარნა II-ის) და მურსილი I-ის მმართველობის ხანაში ხეთების სამეფო – ხათი ჩადგა ახლო აღმოსავლეთის დიდ სახელმწიფოთა რიგში. იგი გადაიქცა ძლიერ სამხედრო ძალად, რომელსაც წინ ვერ აღუდგნენ მაშინდელი წინა აზიის ისეთი სახელმწიფოები, როგორიც იყვნენ ჩრდილოეთ სირიაში ალალახი და ხალაფი (ხალფა), სოლო შუამდინარეთში – ბაბილონი, რომელიც დაახლ. ძვ.წ. 1595 წ. მიწასთან გაასწორა მურსილი I-მა, რამაც გამოიწვია ბაბილონის I დინასტიის დაცემა. იმავე ხანებში ხეთებმა დამარცხება მიაყენეს აღმოსავლეთში მომძლავრებულ ხურიტებს. აღნიშნულ მეფეთა შემდგომ სამეფო ტახტზე ასელის პრეტენდენტები ხშირად მიმართავდნენ ტახტის უგურპაციას, რასაც ბოლო მოუღო მხოლოდ „ძველი სამეფოს“ ერთ-ერთმა უკანასკნელმა მეფემ – თელიფინუმ. მან გამოსცა კანონმდებლობა: სამეფო ტახტზე ასელის უფლება მიეცათ მხოლოდ უფლისწულებს.

„შუა სამეფოს“ ხანაში (დაახლოებით ძვ.წ. 1500-1400 წწ.) ხეთებმა ვერ შეინარჩუნეს ხათის ძლიერება, დათმეს რა პო-

ბიციები ჩრდილოეთ სირიაში, ისევე როგორც ხათის აღმოსავლეთ პერიფერიაზე, სადაც ხურიტები ბინადრობდნენ (სწორედ ამ სანებში გაძლიერდა ამ უკანასკნელთა დიდი პოლიტიკური გაერთიანება – მითანი). მოგვიანებით ხეთების მეფე თუთხალიამ მოახერხა ჩრდილოეთ სირიაში ხათის ბატონობის აღდგენა, თუმცა მცირე ხნით. მას სამხედრო ოპერაციები ჩაუტარებია მცირე აზიის სამხრეთ-დასაელეთსა და დასაელეთში (არცავას ქვეყანაში), ისევე როგორც ჩრდილო-აღმოსავლეთსა (ქასქების მხარეში) და აღმოსაელეთში (ხურიტების წინააღმდეგ). მაგრამ მის მემკვიდრეებს გაუჭირდათ ხათის მონაპოვართა შენარჩუნება.

„ახალი სამეფოს“ არსებობის პერიოდში (დაახლოებით ძვ.წ. 1400-1200 წწ.) ხათი განიხილებოდა როგორც ეგვიპტის, ბაბილონის, მითანისა და ასურეთის ტოლი სახელმწიფო. იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მაშინდელი წინა აზიის პოლიტიკურ ცხოვრებაში, მას კვლავ დაუბრუნდა ძველი დიდება.

თუთხალია III-ის დროიდან იწყება ხათის ქვეყანაში კონსოლიდაციის პროცესი, განახლდა ბრძოლები მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსაელეთში (ქასქების წინააღმდეგ), სამხრეთ-დასაელეთში (არცავას ქვეყნებში) და სხვაგან. მისი ძე სუფილულიუმა I გამეფებისთანავე შეუდგა დიდი საგარეო პოლიტიკის წარმოებას – დაამარცხა მითანი, ხეთებს კვლავ დაუმორჩილა სალაფი და ალალახი, ჩრდილოეთ სირიის სხვადასხვა წერილი სამთაეროები, ქარგამიში. მაგრამ სამხრეთსა და სამხრეთ-დასაელეთში შეიქმნა ხეთების საწინააღმდეგო პოლიტიკური სიტუაცია, ხოლო ქასქების წინააღმდეგ საომარ მოქმედებებს საბოლოო წარმატება არ მოჰყოლია.

სუფილულიუმას ძემ – მურსილი II-მ დიდი ბრძოლები გადაიხადა სამხრეთ-დასავლეთსა და დასაელეთში: ხათის ვასალური ქვეყნები გასხდნენ არცავა, მდ. სეხას ქვეყანა, მირა-ქუვალია და ხაფალა, რომლებთანაც (არცავას გარდა) მურსილიმ დადო ხელშეკრულებები. თავისი მეფობის არაერთი წელი მურსილი II-მ გაატარა ქასქებთან ბრძოლაში, დალაშქრა მათი „მთავარი ქვეყნები“ ხალილა და დუდუსქა, მოიგერია ქასქების შემოსევები სხვადასხვა მხრიდან, თუმცა მან საბო-

ლოოდ მაინც ვერ მოასერხა ამ მეომარი მთიელი ტომების დამორჩილება (ქასქებთან დაკავშირებით დაწვრილებით იხ. ქვემოთ). მურსილიმ კვლავ გაიმაგრა პოზიციები ჩრდილოეთ სირიაში.

მეფე მუვათალის დროს ძალზედ დაიძაბა ხათის ურთიერთობა ეგვიპტესთან ფარაონ რამსეს II-ის სანაში. სირიის ქ. კადეშთან ხეთებსა და ეგვიპტელებს შორის მოხდა დიდი ბრძოლა (დაახლოებით ძვ.წ. 1312 ან 1286/5 წ.), რომელმაც გამარჯვებული ვერ გამოავლინა. მხოლოდ ხეთების მომდევნო მეფის – სათუსილი III-ის დროს მოხდა ხეთებისა და ეგვიპტელების დაზავება, რაც გაფორმდა კიდეც ხელშეკრულებით, რომელიც ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში და პარიტეტის პრინციპზეა აგებული.

ხათუსილი III-ის მემკვიდრის – თუთხალია IV-ის დროს ერთგვარად შეფერხდა ხათის წინა მმართველთა დიდი საგარეო პოლიტიკის წარმოება, თუმცა ამ მეფემ ილაშქრა ალასიაში (კვიპროსზე) და ჩრდილოეთ სირიაში. უმეტესწილად მშვიდობიან პერიოდში თუთხალიამ გაატარა დიდი რელიგიური რეფორმები. მისმა მემკვიდრეებმა ვერ შეინარჩუნეს ხეთების მიერ მოპოვებული სამხედრო წარმატებები. სულ მალე შორეული დასავლეთიდან დაიძრა მძვინვარე ქარიშხალი, რომელმაც მიწასთან გაასწორა არა მარტო ხათი, არამედ ყველა მისი ვასალური თუ მტრული ქვეყანა ანატოლიასა და ჩრდილოეთ სირიაში. ეს იყო ე.წ. „ბღვის ხალხების" გადმოსახლება ეგეოსიდან ანატოლიაში. დაახლოებით ძვ.წ. 1200 (ან 1180) წლისათვის ოდესღაც მრისხანე ხათი თავისი დედაქალაქითურთ სამუდამოდ დაეცა.[1]

რელიგიური რწმენა-წარმოდგენები.[2] ხეთური რელიგია საკმაოდ ორიგინალური და თვითმყოფი იყო. იგი წარმოად-

---

[1] История древного Востока, II, с. 125 и сл., 142 и сл.; გიორგაძე გ. ათასი ღვთაების ქვეყანა, გვ. 66 და შმდ.

[2] გიორგაძე გ. დასახ. ნაშრ., გვ. 132 და შმდ.; ტატიშვილი ი. სეთური რელიგია. „რელიგია", 1992, №6, გვ. 76 და შმდ.; მისივე, სეთური რელიგია, თბ., 2001; Gurney O. R. Some Aspects of Hittite Religion, Oxford, 1977; Haas V. Geschichte der hethitischen Religion. Leiden, 1994.

გენდა ყველა იმ ხალხთა და ტომთა რელიგიების ერთობლოობას, რომლებთანაც ურთიერთობა უხდებოდათ ხეთებს მათი არსებობის მთელს მანძილზე (ლუვიელებთან, ფალაელებთან, ხათებთან, ხურიტებთან, სემიტებთან). ამიტომაც მიაჩნდათ ხეთებს, რომ მათ „ათასი ღვთაება“ ჰყავდათ. ამას ემატებოდა ის, რომ ყოველ დასახლებას თავისი საკუთარი ღვთაება ჰყავდა, თავისივე საკულტო ადგილითა და რიტუალებით, მითებით, ღღესასწაულებით.

ხეთური რელიგია პოლითეისტური (მრავალღმერთიანი) იყო. მონოთეიზმის (ერთღმერთიანობის) არაეითარი ნიშანი მას არ გააჩნდა. გაღმერთების ობიექტებად გეევლინებიან ცა, მზე, მთვარე, დედამიწა, ბუნების მოელენები: წვიმა, ჭექა-ქუსილი, ღრუბლები, საერთოდ ამინდი. ადგილობრივ ღვთაებათა გარდა, ხეთებს ჰყავდათ აგრეთვე – „სახელმწიფო ღვთაებანი“: მზის ქალღმერთი ქ. არინადან და მისი მეუღლე, ტაროსის ღვთაება ხათისა. მრავალ ადგილას თაყვანს სცემდნენ პანთეონის ერთ-ერთ მთავარ ღვთაებას – თელიფინუს (ადარებენ სირიულ-ფინიკიურ ადონისს, ეგვიპტურ ოსირისს, სემიტურ თამუზს. ტიპოლოგიურად თელიფინუს მითს უკავშირებენ სვანურ წარმართულ რიტუალს – „მელია-ტელეფიას“).[1] ხეთებს ყოელისშემძლე ღვთაებად მიაჩნდათ ადამიანის მფარველი ღვთაება ინარა, ომიანობის დროს ადიდებდნენ ომის ღვთაებას. რელიგიური რწმენისა და თაყვანისცემის ობიექტები – ღვთაებები ხეთებთან ძირითადად ანთროპომორფული იყვნენ (არსებობდნენ ზოომორფული ღვთაებანიც): ისინი იკეებებოდნენ, სვამდნენ, იცვამდნენ და ა.შ.

რელიგიური კულტის მომსახურებისთვის განკუთნილი ძირითადი ადგილი, კულტის ცენტრი – ტაძარი იყო. ეკონომიკურად ძლიერი ტაძარი იყო არა მარტო მორწმუნეთა ფართო მასების ერთგვარი შემომკრებელი, არამედ სიმდიდრის გარკვეული დამგროვებელიც. ტაძრის ყოველნაირი საკუთრება მხოლოდ და მხოლოდ ამა თუ იმ ღვთაების საკუთრება იყო,

[1] Бендукидзе Н. А. Хеттский миф о Телепину и его сванские параллели. „Вопросы древней истории“, Тб. 1973.

რომლის მოხმარება არაჲის შეეძლო, გარდა ღვთაებისა, ტაძრის ეკონომიკური მდგომარეობა განისაზღვრებოდა მისი მეურნეობის სიმძლავრით.

ტაძრებში სრულდებოდა რელიგიურ დღესასწაულთა მთელი წყება. განსაკუთრებული გულმოდგინებით ტარდებოდა სამეფო დღესასწაულები. ტაძრებში იდგა მრავალრიცხოვან კერპთა გამოსახულებანი. სწორედ ისინია აღწერილი ხეთური პანთეონის „კერპთა აღწერილობებში“, რომლებიც მეტნაკლები სიზუსტით ასახავენ სხვადასხვა ხეთურ ღვთაებას; გადმოსცემენ მათ სახეებს, ასახელებენ კერპთა ვინაობას, განსაზღვრავენ მათ ატრიბუტებს და ა.შ.

ამ აღწერილობათა სტრუქტურა ასეთია: დასაწყისში მოცემულია კერპის სახელწოდება, აღნიშნულია მასალა, რომლისგანაც დამზადებულია კერპი (ოქრო, ვერცხლი, ბრინჯაო, რკინა, სპილენძი, ხე, თიხა, ძვირფასი ქვები, რომლებიც გამოყენებული იყო აგრეთვე ღვთაების ტანის სხვადასხვა ნაწილის ინკრუსტირებისათვის, განსაკუთრებით, თვალების, თავისა და მკერდისათვის და სხვ.), მითითებულია ღვთაების ატრიბუტი (ქალღვთაებებს მარჯვენა ხელში უჭირავთ თასი, მტევანი, ან სხვა ოქროს ნივთი, მარცხენა ხელში – ოქროს რაღაც საგანი; მამაკაც ღვთაებებს მარჯვენა ხელში უჭირავთ ოქროს ცული, გურზი, შუბი, მშვილდი, ფარი ან სხვა ნივთი, მარცხენაში – რაღაც ოქროს ნივთი, ფარი, შოლტი, ოქროს არწივი და ა.შ.), აღწერილია ღვთაების ჩაცმულობა (აცვიათ რაღაც სამოსი, ცხვირაწეული ფეხსაცმელი და სხვ.), საუბარია ღვთაებათა მომსახურე ან მცველ კერპებზე „მარჯვენა-მარცხენა“ დაპირისპირების პრინციპის მიხედვით (ნინათა და ქულითა; შერი და ხური; ხაცი და ნამნი). ამგვარად, მთავარ ღვთაებასთან ერთად, ეს წყვილი ღვთაებანი ქმნიდნენ ღვთაებათა „ტრიადას“ (სამეულს), რომელიც ფუნქციონალურად ერთ დიდ კულტს განასახიერებდა.[1]

[1] გიორგაძე გ. ხეთურ-არმაზული „ტრიადები“. „მნათობი“, 1985, № 7, გვ. 155; მისივე, ათასი ღვთაების ქვეყანა, გვ. 138 და შმდ.

ხეთურ კერპთა აღწერილობასთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს ძველ ქართულ საისტორიო ტექსტებში მოცემული არმაზის კერპის აღწერილობა: „...დგა კაცი ეროი სპილენძისა, და ტანსა მას ეცუა ჯაჭუ ოქროსი, და თაესა მისსა ჩაბალახი მყარი, და თუალნი ესხნეს გურმუსტი და ბივრილი, და ხელთა მისთა აქუნდა ხრმალი ბრწყინვალე, ვითარცა ელვა... და კუალად იყო მარჯუენით მისსა კაცი ოქროსი და სახელი მისი გაცი; და მარცხენით მისსა უდგა კაცი ვერცხლისა, და სახელი მისი გაიმ, რომელნი-იგი ღმერთად უჩნდეს ერსა მას ქართლისასა...“

არმაზის კერპის აღწერილობის ძირითადი კომპონენტებია: კერპის ანთროპომორფულობა და სქესი, მისი პოზა, მასალა, რომლითაც იგი დამზადდა, ღვთაების ატრიბუტები, ღვთაების ბუნება, მისი ჩაცმულობა, კერპის თანმხლები წყვილი ღვთაების არსებობა „მარჯვენა-მარცხენა“ დაპირისპირების მიხედვით და ა.შ.

ხეთურ კერპთა აღწერილობებთან არმაზის კერპის აღწერილობა გვიჩვენებს, რომ ეს ორივე „აღწერილობა“ სტრუქტურულად თითქმის ერთნაირადაა აგებული, მოგადად დაცულია რა აღწერილობის მცირეაზიული (ანატოლიური) მოდელი. არმაზის აღწერილობა შეიცავს თითქმის ყველა ძირითად კომპონენტს, რომლებიც ახასიათებს ხეთურ ღვთაებათა აღწერილობებს.

ისტორიულ ქართლში ახალი სახელმწიფო რელიგიის შექმნისას ძველი მცირეაზიული რელიგიური ტრადიციების გამოყენება სრულიადაც არ უნდა ყოფილიყო შემთხვევითი. როგორც ჩანს, ქართლში საკულტო რეფორმის გამტარებლები, რომლებმაც წარმოადგინეს „ტრიადის“ ძირითადი და მასვე დაქვემდებარებული ღვთაებათა კერპები, იცნობდნენ ამ ტრადიციებს. ეს მით უფრო სავარაუდოა, რომ ისტორიული ქართლის ტერიტორიასა და აღმოსავლეთ მცირე აზიას შორის უძველესი დროიდანვე უნდა არსებულიყო სათანადო კონტაქტები.[1]

---

[1] გიორგაძე გ. ათასი ღვთაების ქვეყანა, გვ. 146 და შმდ.

ლიტერატურა და ხელოვნება. ხეთური ხელოვნების ძეგლები გამოირჩევა თავიანთი ორიგინალობით, სისადავით და ოსტატობის მაღალი ღონით. ხელოვნების ცალკეული ნიმუში, განსაკუთრებით, კლდეში ნაკეთი რელიეფები, რომელთა შესანიშნავი მაგალითია იაზილიქაიას რელიეფები, აჩვენებს ხეთი მოქანდაკეების მაღალ ოსტატობასა და ტექნიკას. ბუნებრივი კლდის გამოშვერილ ზედაპირზე გამოკვეთილი გამოსახულებანი განუყოფელი ელემენტია მთელი არქიტექტურული ანსამბლისა.[1]

ხეთური ხელოვნება ნატურალისტურია. ადამიანთა, ცხოველთა და ცალკეულ საგანთა გამოსახვისას მხატვარი გადმოცემდა ყველაზე უფრო მისაწვდომსა და გასაგებს. მაშაკაცის ტრადიციულ ფიგურას თავი ყოველთვის ჰქონდა პროფილში, მხრები და მკერდი – ანფასში, ფეხები – კვლავ პროფილში: ეს იყო დამახასიათებელი ელემენტი „ვაკკაცურობისა, სიმამაცისა“. ფიგურათა პირობითი და მარჯვე განლაგება მთელ გამოსახულებას აძლევდა მხატვრულ ღირსებას: ფიგურა მიმართულია წინ, რაც მოძრაობისა და ძალის შთაბეჭდილებას ქმნიდა. საერო ცხოვრების გამომსახველი რელიეფებიდან აღსანიშნავია რელიეფები მუსიკოსებისა, „აკრობატებისა“, ნადირობის სცენებისა.

საინტერესოა მცირე ფორმიანი ნაწარმოებებიც: მოხდენილი მოყვანილობა აქვთ ცხოველებისა და ფრინველთა ფორმიან კერამიკულ ჭურჭლებს. ღვთაებათა ფიგურები პირობითია. თავისებურია ლითონისგან დამზადებული ადამიანების მინიატურული ფიგურები. თავიანთი ფორმებითა და სახეებით ყურადღებას იპყრობს ბრინჯაოს სხვადასხვა ჭურჭელი. დახვეწილია ხეთური გლიპტიკა.

ხეთური არქიტექტურის ნიმუშები ასევე ადგილობრივ ტრადიციას მისდევს. ხეთური სასახლეები და ტაძრები, ყურადღებას იქცევენ რა თავიანთი მონუმენტურობითა და სისადავით, იმდროინდელი არქიტექტურის ბრწყინვალე ნიმუშები

[1] Герни О. Р. Хетты, с. 151 и сл.; 172 и сл.; Маккуин Дж. Г. Хетты и их современники в Малой Азии, с. 137 и сл.

უნდა ყოფილიყვნენ. სანიმუშოდ მარტო ხათუსას არქიტექტურული კომპლექსიც კმარა.

ხეთური არქიტექტურისათვის დამახასიათებელი თვისებაა სრული ასიმეტრიულობა როგორც ნაგებობათა გეგმაში, ასევე ქალაქის დაგეგმარებაში. ტაძრებისა და სასახლეებისათვის დამახასიათებელია ეიწრო სათავსოთა სიმრავლე. ტაძრის შენობები, ქუჩა, სათავსოები ეზოს ირგვლივაა განლაგებული. ხეთები არ იცნობდნენ მრგვალ სვეტებს (კოლონებს) და მშენებლობაში იყენებდნენ ოთხკუთხა საყრდენებს.

ხეთურ ლურსმულ დამწერლობაზე შეიქმნა მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი და უმდიდრესი წერილობითი ძეგლები სხვადასხვა ჟანრისა.[1] ისტორიული სასიათის ლიტერატურას განეკუთვნებიან: მეფეთა ანალები (მატიანეები), სახელმწიფო პოლიტიკური სასიათის ხელშეკრულებები, სხვადასხვა დანიშნულების ისტორიული თხზულებანი, რომლებიც სცილდებიან ისტორიული ტექსტების სახეობას და თავიანთი ფორმით, სტილისტური ნიშნებით უახლოვდებიან ლიტერატურულ ჟანრს („სათუსილი I-ის ანდერძი", „ხათუსილი III-ის ავტობიოგრაფია"). შინაარსითა და ლიტერატურული დამუშავების თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობენ პატარა მოთხრობები და ზღაპრები ანატოლიური სიუჟეტით („ქანესის დედოფლის შვილების ამბავი", „მოთხრობა ქ. ცალფას ალყის შესახებ" და სხვ.). განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მურსილი II-ის მოთხრობა, თუ როგორ დაკარგა და შემდეგ დაიბრუნა მეტყველების უნარი – ეს არის კაცობრიობის კულტურის ისტორიაში უძველესი შემთხვევა აფაზიისა (მეტყველების მოშლილობისა).

ხეთური რელიგიური ლიტერატურის მრავალი ნაწარმოებია შემონახული – ლოცვანი, საგალობლები (ჰიმნები), რიტუალები. საკმაოდ მდიდარია ხეთური მითოლოგიური ლიტერატურა – ხათური, ხურიტული, ლუვიური, შუამდინარული წარმოშობისა. ხათის ქვეყანაში დიდად იყო პოპულარული მითი ღვთაების შესახებ, რომელიც ქრება და შემდეგ კელავ მოევ-

[1] Герш, დასახ. ნაშრ., გვ. 223 და შმდ.; Маккуш, დასახ. ნაშრ., გვ. 142 და შმდ.

ლინება ქეყანას – ე.წ. თელიფინუს მითი. აღსანიშნავია აგრეთვე მითი საახალწლო რიტუალის შესახებ, რომლის მიხედვით ტაროსის ღვთაება შეებრძოლება გეელეშაპს, ბრძოლა იმართებოდა ახალი წლის მოახლოებასთან დაკავშირებით.

ხეთურ ლიტერატურაში გარკვეული ადგილი უჭირავს თარგმნილ ნაწარმოებებს. ხეთურ ენაზე თარგმნილი უნდა ყოფილიყო „გილგამეშის ეპოსი“, ქანაანელთა ერთი მითოლოგიური შინაარსის ტექსტი ღვთაება ელკუნირშაზე. ხეთურად ითარგმნა ხურიტული ლიტერატურის რამდენიმე ნაწარმოები – მოთხრობა ღვთაება ქუმარბიზე და მოთხრობა გეცაში მეფობის არსებობის შესახებ. სათუსას არქივში დაცული სპეციალური ლიტერატურიდან აღსანიშნავია ტექსტები ხეთურ მეცხენეობაზე (ე.წ. „კიკულის ტექსტი“), რომლებიც ასევე ხურიტულიდანაა ნათარგმნი.

ხეთური და ქართველური ენების ურთიერთდამოკიდებულებისათვის. ქართველური და ინდოევროპული ენების კონტაქტების საკითხი კარგა ხანია იწვევს მკვლევართა ინტერესს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ კონტაქტების გამოვლენას, რომლებიც უნდა მომხდარიყო წინარე ინდოევროპულისა და წინარე ქართველურის დონეზე, რაც, თავისთავად ცხადია, გარკვეულ შუქს შეიტანს წინარე ქართველური ეთნოსის თავდაპირველი განსახლების საკითხში. ამ მხრივ საყურადღებოა თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის მიერ შემოთავაზებული ლექსემები, რომლებიც ქართველურ ენებში წინარე ინდოევროპული წარმომავლობისა უნდა იყოს.[1] მოვიტანთ ზოგიერთ მათგანს: „უღელი“, „ღორი(ეშვი)“, „მატლი“, „თხა“, „თიხა“, „დადება“, „სისხლი“, „მკერდი“, „ქმარი“, „შობა (დაბადება)“, „ბერვა“, „შეკრება“, „ექვსი“, „მაგარი“, „გათბობა (თბობა)“ და სხვა მრავალი. ახლა მთავარია გაირკვეს, ტერიტორიულად სად უნდა მომხდარიყო ამ ენათა ლექსიკური კავშირები. როგორც აღნიშნული მკვლევარები ვარაუდობენ, წინარე ინდოევროპულ ენას კონტაქტები უნდა ჰქო-

[1] Гамкрелидзе Т. В., Иванов Вяч. Вс., დასახ. ნაშრ., გვ. 880 და შმდ. (იქვეა მითითება სხვა ნაშრომებზეც).

ნოდა წინარე ქართველურ ენასთან (ისევე როგორც წინარე სემიტურთან) ახლო აღმოსავლეთის გარკვეულ რეგიონში – წინა აზიის ჩრდილოეთ პერიფერიის რაიონებში, სახელდობრ, ამიერკავკასიის სამხრეთით ზემო მესოპოტამიამდე ძვ.წ. V ათასწლეულიდან. ასეთ შემთხვევაში სრულიად გამოირიცხება შესაძლებლობა ამ კონტაქტების არსებობისა წინარე ინდოევროპულისათვის ტრადიციულად დადგენილ რაიონებში – ცენტრალურ ევროპაში, თუ ბალკანეთში. აქედან გამომდინარე, წინარე ქართველური ეთნოსის ძებნა ცენტრალურ ევროპასა თუ ბალკანეთში – ასევე გამორიცხულია.

დღეისათვის დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ ერთ-ერთი ადრეული ტალღა, წინარე ინდოევროპული ეთნოსიდან გამოყოფილი (იქნებოდა ეს ევროპასა თუ წინა აზიაში), პროტოანატოლიური ინდოევროპული ენის მატარებელი ეთნოსია. ინდოევროპელთა პირვანდელი საცხოვრისი ტერიტორიის მიტოვების შემდეგ მისი მატარებელი ეთნოსი ანატოლიაში დასახლდა. ეს უნდა მომხდარიყო დაახლოებით ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანებისათვის. აღნიშნულმა ენამ მოგვიანებით ანატოლიაშივე განიცადა დიფერენციაცია რამდენიმე დიალექტად, რომელთაგან ერთ-ერთი სეთური ენა იყო.

ძვ.წ. III-II ათასწლეულთა მიჯნაზე ინდოევროპული წარმოშობის ტომების არსებობა ცენტრალურ მცირე აზიაში წერილობითი წყაროების მონაცემებითაა დამტკიცებული. უფრო მეტიც. ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისში ცენტრალური ანატოლიის გარდა ინდოევროპელები გავრცელებული იყვნენ მცირე აზიის საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე. აღნიშნული პერიოდისათვის დამთავრებული უნდა ყოფილიყო საერთო ანატოლიური ინდოევროპული ფუძე-ენის დანაწევრების პროცესი მის ცალკეულ დიალექტებად (ხეთურად, ლუვიურად, ფალაურად).

ჯერჯერობით არ შეგვიძლია ზუსტად განვსაზღვროთ ის ტერიტორია, სადაც დამკვიდრდა ანატოლიური წინარე ენის მატარებელი ეთნოსი და საიდანაც გამოიყვნენ ცალკეული ტომობრივი გაერთიანებანი. მიახლოებით შესაძლებელია განისაზღვროს მხოლოდ ხეთების (იმავე ნესიტების) უძველესი

განსასლების კერა. ეს იყო ქ. ქუსარა და ქ. ნესა (იგივე ქანესი, იხ. ზემოთ).

ქართველური და ინდოევროპული ენების კონტაქტების საკითხისათვის ძალზედ საგულისხმოა სწორედ ხეთური ენის მონაცემები.

ანატოლიურ ხეთურ (ნესიტურ, ლუვიურ, ფალაურ) და ქართველურ ენებში ელინდება არსებითი, ზედსართავი და რიცხვითი სახელების ზოგიერთი ბრუნვის ნიშნის მსგავსება ან სრული იდენტურობა (განსაკუთრებით შდრ. მსოლოობითი და მრავლობითი რიცხვის მოქმედებითი ბრუნვის ფორმანტი ხეთურში -ით და ქართველური ენების -ით(ა), -თ); ხეთური გმნის აწმყო დროის მხოლოობითი რიცხვის პირველი, მეორე და მესამე პირის დაბოლოებანი -მი, -ში(-სი), -ცი ბგერითი შემადგენლობით გავს ან იდენტურია ქართველურ ენათა მხოლოობითი რიცხვის პირის ნაცვალსახელებისა „მე", „შენ", „ის", ხოლო ხეთური გმნის მრავლობითი რიცხვის პირველი და მეორე პირის დაბოლოებანი -ვენი, -თენი გარკვეულ მსგავსებას იჩენს ქართველური ენების მრავლობითი რიცხვის პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელებთან „ჩვენ", „თქვენ" (შდრ. აგრეთვე კუთვნილი ნაცვალსახელები ქართველურ ენებში „ჩვენი" და „თქვენი"). ყურადსაღებია აგრეთვე ხეთური გმნის წარსული დროის მრავლობითი რიცხვის პირველი და მეორე პირის დაბოლოებანი „-ვენ", „-თენ" და ქართველური პირის ნაცვალსახელები „ჩვენ", „თქვენ" და ა.შ.[1]

საინტერესო სურათს იძლევა ხეთურ და ქართველურ ენათა ლექსიკური პარალელები:

---

[1] წერეთელი მიხ. ხეთის ქვეყანა, მისი ხალხები, ენები, ისტორია და კულტურა. კონსტანტინოპოლი. 1924, გვ. 22 და შმდ., გვ. 24 და შმდ.; Гиоргадзе Г. Г. О характере некоторых индоевропейско-грузинских (картвельских) языковых параллелей (По данным хеттского языка). „საენათმეცნიერო კრებული" (მიძღვნილი გ.მაჭავარიანისადმი). თბ., 1979, გვ. 62 და შმდ.; მისივე, ზოგიერთი ძველაღმოსაელურ ენასთან ქართველური ენების კონტაქტების საკითხი თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში. „ენათმეცნიერების საკითხები", 1999, № 3, გვ. 62 და შმდ.

ხეთური	ქართველური
ešḫar „სისხლი“	„სისხლ-ი“
ištamana- „ყური“	„(მო)სმენა“
kard- „გული“	„მკერდ-ი“
gimmantarija- „გამომგამთრება“	„გამთარ-ი“
šuppi- „წმინდა“	„სუფთა“
ḫaḫars- „სიცილი. სარხარი“	იმაყე მნიშვნელობით
katkatija- „კანკალი“	„კაწკაწი“
laplapa- „წამწამი“	„(თვალის) ლაპლაპი“
ḫašḫaš- „გაპრიალება“	„ხასხასი“
ta- „და (კავშირი)“	„და“
wellu- „მდელო“	„ველ-ი“
wijana- „ღვინო“	„ღვინო“
duddumili- „ჩუმად, ფარულად“	„დუმილ-ი“
aku- „ქვა“	„ქვა“

მსგავსი მაგალითების მოტანა არ გაძნელდება.

ამ მსგავსებათა და პარალელთა ერთი ნაწილი შეიძლება განვიხილოთ როგორც უძველესი ინდოევროპული ნასესხობანი, რომლებიც არ განეკუთვნებიან ანატოლიურ ინდოევროპულ ენათა არსებობის პერიოდს. სავსებით დასაშვებია მათი მიკუთვნება წინარე ქართველურ, წინარე ინდოევროპულ და წინარე სემიტურ ურთიერთობათა პერიოდისადმი, ე.ი. ძვ.წ. IV ათასწლეულისადმი (ი. დიაკონოვი თვლიდა, რომ მემოთანილი ლექსიკური პარალელები განსახილველია არა როგორც ნასესხობანი, არამედ როგორც დამადასტურებელი ფაქტები წინარე ინდოევროპულ და წინარე ქართველურ ენებს შორის არსებული ნათესაობისა, რომელიც მომდინარეობს საერთო ქართველურ-ინდოევროპული ენის დიალექტური კონტინუუმიდან). მათი გარკვეული ნაწილი კი უნდა წარმოადგენდეს სწორედ ისეთ მსგავსებებსა და ლექსიკურ პარალელებს, რომელთაც ადგილი უნდა ჰქონოდათ მრავალსაუკუნოვანი კონტაქტების შედეგად ან ხეთურსა და წინარე ქართველურ ენებს შორის არაუადრეს ძვ.წ. II ათასწლეულის, ანდა წინარე ანატოლიურსა და წინარე ქართველურ ენობრივ

ეროვნულებს შორის ძვ.წ. III ათასწლეულის მანძილზე. ასეთ შემთხვევაში სემიტურ-ქართველურ ენათა კონტაქტების ადგილად შეიძლება ჩათვალოთ მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთი პერიფერია და ჩრდილოეთ მესოპოტამიის უფრო ჩრდილოეთით მდებარე რაიონები. ეს კი გულისხმობს, რომ აღნიშნულ ხანაში (ყოველ შემთხვევაში ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანებიდან) პირდაპირი კონტაქტები ქართველური ენებისა სემიტურ ენებთან გამორიცხულია ხურიტული ეთნოსის ჩრდილოეთ მესოპოტამიაში შეღწევის გამო. ამ ხანებიდან პირდაპირი კონტაქტები ხორციელდებოდა, როგორც ამას მიუთითებს ძველაღმოსაელური წერილობითი წყაროები, ინდოევროპულ, სემიტურ და ხურიტულ ეთნოსებს (შესაბამისად, ენებს) შორის.[1]

ხურიტები

ხურიტები ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთი უძველესი ეთნოსია, რომელსაც სხვადასხვა სახის ურთიერთობანი ჰქონდა ძველი წინა აზიის ისეთ დიდ ეთნოსებთან, როგორიც იყვნენ შუმერები, სემიტები, ინდოევროპელები და სხვანი. მათ კონტაქტები უნდა ჰქონოდათ მეგობელ ქართველურ ტომებთანაც. ხურიტების შესახებ მდიდარი ცნობებია დაცული ძველაღმოსავლურ წერილობით წყაროებში, განსაკუთრებით, აქადურ (ასურულ-ბაბილონურ) და ხეთურ ენებზე შედგენილ ტექსტებში, რომლებიც თარიღდება ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრით და მთელი ძვ.წ. II ათასწლეულით. დიდია ხურიტების კულტურული გავლენა მეგობელ თუ არამეგობელ ეთნოსებზე.

სახელწოდება და განსახლება. ხურიტ ტომთა სახელწოდება მომდინარეობს სიტყვიდან „ხურრი", რომლის ეტიმოლოგია საბოლოოდ დადგენილი არ არის. ბოგიერთი მკვლევარის

---

[1] Дьяконов И. М. Хурриты, урарты и близкие им народы. „Переднеазиатский этнографический сборник", I. М., 1958, с. 26 и слл.; Хачикян М. Л. Хурритский и урартский языки. Ереван, 1985, с. 6 и сл.; Wilhelm G. The Hurrians, Warminster, 1989.

ვარაუდით, ეს სიტყვა აღნიშნავდა „ღამეს“, სხვათა აზრით კი – „დილას (სინათლეს)“, რომლის მიხედვით ასკენიდნენ, რომ ხურიტები – აღმოსავლეთიდან (ან ჩრდილო-აღმოსავლეთიდან) გადმოსახლებული ტომებია. 30-იანი წლების სამეცნიერო ლიტერატურაში ზოგჯერ ამ სიტყვას შეცდომით კითხულობდნენ როგორც „ხარრი“-ს, იქედან გამომდინარე, რომ ლურსმული ნიშანი „ხურ“ იხმარებოდა აგრეთვე „ხარ“ (ასევე „მურ“, „ქან“) ჩაკეტილი მარცვლის მნიშვნელობით. ამ გარემოებაზე დაყრდნობით ზოგჯერ ხურიტებს უკავშირებდნენ „არიელებს“ (შდრ. „ხარრი“→„არრი“→„არი“), ან ავითარებდნენ მცდარ თეორიას, მაგალითად, „ხარრის“ დაკავშირებას „არიან-ქართლისთან“. სიტყვის სწორი წაკითხვა დაღვინდა მას შემდეგ, რაც აღმოჩნდა დაწერილობა „ხუ-ურ-რი“ („ხუ“ ღია მარცვლით). როგორც ვარაუდობენ, სიტყვა „ხურრი“ შემორჩენილი უნდა იყოს „ძველ აღთქმაში“ ḥōrī(m) ფორმით, თუმცა იგი არ უნდა ეხებოდეს ხურიტებს ისტორიული თუ ლინგვისტური მნიშვნელობით. „ხურრი“ სიტყვას განიხილავენ ასევე ხურიტულ სიტყვასთან – „ხურადი“ – კავშირში, რაც „მეომარს, ჯარისკაცს“ ნიშნავს.[1]

ძველაღმოსავლური ლურსმული ტექსტების მიხედვით, ხურიტების მეზობელი თუ არამეზობელი სალხებიც ამ ეთნოსს უწოდებდნენ „ხურრი“-ს, საიდანაც, მაგალითად, ხეთები, აწარმოებდნენ მეღსართავ სახელს „ხურიტული“ („ხურლილი“). თვითონ ხურიტები, როგორც ჩანს, თავიანთ თავს აღნიშნავდნენ ასევე „ხურრი“ ტერმინით, რომელსაც ხმარობდნენ აგრეთვე სიტყვისათვის „ხურიტული, ხურიული“ („ხურროხე“, „ხურეოხე“).

ხურის ენაზე – ხურიტულად მოლაპარაკე ტომები ბინადრობდნენ ძვ.წ. III-II ათასწლეულებში ჩრდილოეთ სირიისა და შუამდინარეთის ჩრდილოეთით მდებარე უზარმაზარ ტერი-

[1] Дьяконов И. М., Хурриты..., с. 26; Дьяконов И. М., Языковые контакты, с. 18; Wilhelm G. დასახ. ნაშრ., გვ. 1 და შმდ.

ტორიაზე.[1] ეს იყო მდ. ევფრატის შუა წელზე მდებარე ველის ჩრდილოეთით გაღაჭიმული ოლქები, კერძოდ, მდინარეების – ბალიხისა და ხაბურის ველი და ტიგროსის გემო დინების ტერიტორიაზე არსებული სხვადასხვა რაიონი.

მთელი ეს ტერიტორია ძვ.წ. III ათასწლეულიდან ცნობილი იყო აგრეთვე შუმერული წარმომაელობის სახელწოდებით – „სუ. ბირ" („ბირ" – შუმ. „სტეპი"). აქადელები (და მოგვიანო ხანის ასურელები) მას ეძახდნენ „სუბართუს", „შუბართუს", ხოლო აქ მოსახლე ტომებს – „შუბარიუს, სუბარიუს" (აქედან – ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული „სუბარეელები", იგივე სურიტები, რომელთაც შეცდომით ქართველურ ტომთა წინაპრებად მიიჩნევდნენ). გეოგრაფიული მნიშვნელობის ტერმინი „სუბართუ" იხმარებოდა ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლომდე, როცა იგი აღნიშნავდა მესოპოტამიის უკიდურესი ჩრდილოეთისა და სომხეთის მეგნის სამხრეთით მცხოვრებლებს.

ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებიდან ძველაღმოსაელურ (ნუზის, ალალახის, ხეთურ) წყაროებში ჩნდება სურიტებით დასახლებული ტერიტორიის ახალი სახელწოდება – „მითანი", რომელიც აღნიშნავდა მდ. ევფრატის შუა დინების აღმოსავლეთით (მდინარეების – ბალიხისა და ხაბურის სათავეებში) მდებარე ტერიტორიას, დაახლოებით ამავე ხანებიდან სური-მითანის აღსანიშნავად ეგვიპტურ წყაროებში იხმარებოდა სემიტური წარმოშობის „ნაჰარინა" („ნაჰრინა"), რაც „ორმდინარეთს" ნიშნავს („ძველ აღთქმაში" ეს ტერმინი შემოინახა „ნაჰარაიმ"-ის ფორმით). ჩვენთვის საინტერესო ტერიტორია ცნობილი იყო აგრეთვე „ხანიგალბათის" სახელწოდებით.[2]

ბოლო ხანებში გამოთქმულია მოსაზრება სურიტული (ისევე როგორც ურარტული) ენის ტიპოლოგიურად და გენეტიკუ-

---

[1] ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია. თბ., 1988, გვ. 183 და შმდ.; История древнего Востока, I, с. 70-73, 92-94, 98-102 და სხვ.; Wilhelm G., დასახ. ნაშრ., გვ. 7 და შმდ.

[2] O' Callaghan R. T. Aram Naharaim. Roma, 1948; Wilhelm G. დასახ. ნაშრ., გვ. 1 და შმდ.; ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, გვ. 183; Дьяконов И. М., Хурриты..., с. 27.

რად დაკავშირებისა ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიურ, სახელდობრ, ნახურ-დაღესტნურ ენებთან (ი. დიაკონოვი, ს. სტაროსტინი).[1] ამ შემთხვევაში ხურიტების წინარე სამშობლოდ განისილება თანამედროვე ჩეჩნებისა და ანღიების სამხრეთით (ლეზგების – ლეკების დასაელეთით) მდებარე ტერიტორია, რაც მომავალ კელევა-ძიებას საჭიროებს. გასათვალისწინებელია სამეცნიერო ლიტერატურაში უფრო ადრე გამოთქმული ვარაუდიც, რომლის მიხედვით ხურიტების განსახლების საზღვრები ძვ.წ. IV ათასწლეულის მეორე და III ათასწლეულის პირველ ნახევარში ტერიტორიულად ემთხვევა მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების საზღვრებს, მეტ-ნაკლებად – აღმოსავლეთ ანატოლიის ადრე ბრინჯაოს ხანის კულტურულ არეალს. უფრო დამაჯერებელია ხურიტების ადრეული განსახლება ვანისა და ურმიის ტბების რეგიონში. არ არის გამორიცხული ვარაუდი, რომ სურიტები ჩრდილოეთ მესოპოტამიის ავტოქტონური ტომები უნდა ყოფილიყვნენ.

ანთროპოლოგიური ტიპი. ხურიტულ რელიეფურ გამოსახულებათა მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ჩრდილოეთ მესოპოტამიის მთელი მოსახლეობა განეკუთვნებოდა ე.წ. ასიროიდულ (არმენოიდურ) ტიპს, რომლისთვის დამახასიათებელია ბრაქიცეფალია, დიდი კეხიანი („არწივისებრი") ცხვირი და ხუჭუჭი, თმა (იხ. გემოთაც).

ენა.[2] ხურიტული ენა განეკუთვნება ერგატიული წყობის ენებს, თუმცა შემორჩენილი აქვს აქტიური წყობის ნიშნებიც. იგი აგლუტინაციური ენაა; მისთვის დამახასიათებელია აფიქსების (ე.ი .სიტყვის იმ ნაწილებისა, რომელთაც აქვთ გრამატიკული მნიშვნელობები) დაკავშირება სიტყვის ძირთან ან ფუძესთან, რის გამოც სიტყვის დაშლა შემადგენელ ნაწილებად

---

[1] Diakonoff I. M., Starostin S. A. Hurro-Urartian as an Eastern Caucasian Language. München, 1986; Дьяконов И. М., Аародии (Хурриты, урарты, кутии, чеченцы и дагестанцы). „Аародии", Махачкала, 1995, с. 9 и сл.

[2] Лингвистический энциклопедический словарь, с. 574; Хачикян М. Л., დასახ. ნაშრ., გვ. 16 და შმდ.; Дьяконов И. М. Хурритский и урартский языки. „Языки Азии и Африки". М., 1979, с. 50 и сл.; Нозадзе Н. А. Вопросы структуры хурритского глагола. Тб., 1978; გიორგაძე გ. მოგიერთ ძველაღმოსავლურ ენასთან..., გვ. 67 და შმდ.

გააღვილებულია. ხურიტულისათვის პრეფიქსაცია უცნობია, იშვიათია სიტყვის წარმოება ფუძის გაორმაგებით (ე.ი. რედუბლიკაცია).

სახელის ბრუნვის შემადგენლობა რთულია; ხურიტულს აქვს აბსოლუტივი, ერგატივი (მოთხრობითი ბრუნვა), გენეტივი (ნათესაობითი ბრუნვა), დატივი (მიცემითი), ე.წ. დირექტივი I და II, დირექტივ-აბლატივი, აბლატივი (-გან თანდებულიანი მოქმედებითი ბრუნვა), ლოკატივი (ადგილობითი ბრუნვა), სტატივი, კომიტატივი. აქვს ნაცვალსახელები: პირისა, კუთვნილებითი, მითითებითი, განუსაზღვრელი, უარყოფითი, შედარებითი და ა.შ.

გმნას აქვს სამი ფორმა დროისა: სრული (წარსული), უსრულო (მომავალი) და სახის გარეშე (აწმყო). თანდებულების, კავშირებისა და ნაწილაკების გარდა ფართოდ ისმარება ენკლიტიკები (კავშირებითი, გამაძლიერებელი და სხვ.) – ერთ ან ორმარცვლიანი სიტყვები, რომელთაც არ აქვს მახვილი და წარმოთქმისას უერთდება თავის წინამავალ მასვილიან სიტყვას.

როგორც გემოთ აღინიშნა, ხურიტული (ასევე ურარტული) ენა შეიძლება ნათესაობას ამყღავნებდეს ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიურ (ნახურ-დაღესტნურ) ენებთან. ამასთან დაკავშირებით ი. დიაკონოვს მოჰყავს რამდენიმე ათეული მაგალითი ამ ენათა ლექსიკიდან, რომლებიც უნდა ადასტურებდნენ აღნიშნულ ნათესაობას. ასეთი სიტყვებია: „მამა“, „ქალი“, „ცოლი“, „მამაკაცი“, „ხარკი“, „უცხო“, „აღმოსავლეთი“ („დილა“),„ქალბატონი“,„მინდორი“,„ნაკვეთი“ (მიწისა),„არხი“, „დასახლება“ („სოფელი“), „ღორი“, „ცხენი“, „ფინიკი“, „ვაშლი“,„ვერცხლი“,„სისხლი“,„უწმინდური“ და სხვა მრავალი (ი. დიაკონოვი).[1] მაგრამ აღნიშნულ ენათა ნათესაობის პრობლემა ჯერ კიდევ კვლევის პროცესშია. თუკი ამ სიტყვათა ნათესაობა მართლაც არ გამოიწვევს მკვლევართა ეჭვებს, მაშინ შესაძლებელი გახდება დავუშვათ კავკასიიდან ხური-ურარტული ეთნოსის გადმოსახლება წინა აზიაში. გა-

[1] Дьяконов И. М., Алародии, с. 9 и слл.

მოვა, რომ ხურიტები არ იყვნენ წინა აზიის ავტოქთონური ტომები, რომლებიც დაახლოებით ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანებზე უფრო ადრეულ პერიოდში ჩრდილოეთიდან უნდა გადმოსახლებულიყვნენ ახლო აღმოსავლეთში. ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრიდან ხურიტების ყოფნა მესოპოტამიაში წერილობითი წყაროების დასტურდება.

აღსანიშნავია, რომ ხურიტულ ენაში (ისევე როგორც ურარტულში) გამოელენილია ინდოევროპული ნასესხობანი, რაც მიუთითებს სურიტების კონტაქტებზე ინდოევროპელებთან, რომლებიც აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიაში ბინადრობდნენ. (როგორც ვარაუდობენ, არ არის გამორიცხული კონტაქტები წინარე ინდოევროპულთანაც). ასეთი ნასესხობებია სიტყვები, რომლებიც აღნიშნავენ: „წაყვანას“, „ჯდომას“, „დასმას“, „ციხე-სიმაგრეს“, „ომს, ბრძოლას“, „დამტვრევას“, „ხორბალს“ და ა.შ. ხურიტულ ენაში ბლომადაა სემიტური ნასესხობანიც, რაც საკმაოდ გასაგებია: ხურიტების საცხოვრებელი გონის სამხრეთი რაიონები ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანებიდან ემეგობრებოდა სემიტების გავრცელების ჩრდილოეთ გონას, საიდანაც ხდებოდა როგორც ენობრივი, ასევე პოლიტიკური, რელიგიური თუ კულტურული კონტაქტები ხურიტულ და სემიტურ ეთნოსებს შორის. ასე რომ, ხურიტული, ინდოევროპული და სემიტური კონტაქტების არსებობა მცირე აზიის აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონებსა და ჩრდილოეთ მესოპოტამიაში ეჭვებს არ უნდა იწვევდეს ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანებიდან, რაც დასტურდება ძველაღმოსავლური წერილობითი წყაროების მონაცემებითაც. ხურიტულ ენასთან ქართველური ენების დამოკიდებულების შესახებ იხ. ქვემოთ.

დამწერლობა. ხურიტული ლურსმული დამწერლობის უძველესი ძეგლი განეკუთვნება ძვ.წ. III ათასწლეულის ბოლოს. ესაა წარწერა აქადურ ენაზე (ბრინჯაოს ფირფიტაზე), რომელიც ეკუთვნის ურქეშისა და ნავარის მეფე ათალ-შენს (არი--შენს). იგი მეფობდა ძვ.წ. 2090-2048 წლებში. წარწერა ხურიტულ ენაზე კი ცოტა მოგვიანებითაა შედგენილი რომელიღაც ქალაქის მეფის – თიშ-ათალის სახელით (დაახლ. ძვ.წ. 1970 წ.).

სურიტული დამწერლობა – ეს იგივე მარცელოვანი ლურსმული დამწერლობაა ოდნავ განსხვავებული დუქტუსით (მ. ხაჩიკიანი).[1] შემოინახა რამდენიმე ტექსტი, დაწერილი სემიტური კვაზი-ანბანური ლურსმულით (იხ. ზემოთ).

მოკლე ისტორიული ცნობები.[2] ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრიდან ჩრდილოეთ მესოპოტამიის ტერიტორიაზე ყალიბდებიან სურიტების ცალკეული პოლიტიკური გაერთიანებანი (ურქეშის, ნავარის, ქარსარის სამთავროები). ძვ.წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარში ხდებოდა მათი ინტენსიური განსახლება ევფრატის დასავლეთით მდებარე ტერიტორიაზე, ჩრდილოეთ სირიისა და მცირე აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონებში. სურიტები საკმაოდ მომძლავრდნენ იამხადსა და ალალახში, მარის სამეფოში. ისინი თავდასხმებს აწყობდნენ მოგვიანებით ხეთების ქვეყანაში, აღწევდნენ ქ. ხათუსამდეც კი. ძვ.წ. XVI საუკუნიდან სურიტების პოლიტიკური ჰეგემონობა უნდა გავრცელებულიყო საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე. ამ დროისათვის წარმოიშვა მითანის სამეფო, რომელსაც ეგვიპტის, ასურეთისა და ხეთების სამეფოების ტოლად თვლიდნენ.

მითანიმ დიდი წარმატებები მოიპოვა საუშშათარის მმართველობის სანაში (ძვ.წ. 1495-1470 წწ.), როდესაც მითანელები კონტროლს უწევდნენ არა მარტო ჩრდილოეთ სირიის სამთავროებს, არამედ შუა სირიის ქალაქ-სახელმწიფოებსაც. მითანის წარმატებებმა ეეფრატის დასავლეთ მხარეში დააჩქარა ეგვიპტის გამოჩენა ჩრდილოეთ სირიაში (ფარაონ თუტმოს III-ის ლაშქრობა სირია-პალესტინაში). გაძლიერებულმა მითანიმ ასურეთსაც შეუტია. მითანის ქვეშევრდომი სდება ტიგროსის ზემო და შუა დინებებთან მდებარე რაიონები (ნუზი, არაფხა).

მითანის მეფეების – შუთარნას და თუშრათას დროს მითანი კელავ რჩებოდა წინა აზიის ერთ-ერთ ძლიერ სახელმწი-

---

[1] Хачикян М. Л., დასახ. ნაშრ., გვ. 23.

[2] Wilhelm G., დასახ. ნაშრ., გვ. 7 და შმდ.; ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, გვ. 189 და შმდ.; Дьяконов И. М., Хурриты, урарты и близкие им народы, с. 28.

ფოდ, წარმატებით ხორციელღებოდა რა საგარეო პოლიტიკა ჩრდილოეთ სირიაში, ასურეთში, ეგვიპტესთან, რომელიც თუშრათას თავის ერთგულ მოკავშირედ მიაჩნდა (ამენხოპეტ III-ისა და ამენხოპეტ IV-ის, იმავე ეხნატონის დროს). მაგრამ მითანის სამხედრო ძლიერება თანდათან სუსტდება სეთების მეფე სუფილულიუმას დროს, რომელმაც მითანის დედაქალაქი ვაშუქანი დაანგრია და გაძარცვა. მომდევნო ხანებში ასურელებმაც შეუტიეს მითანის და წარმატებასაც მიაღწიეს. მითანის მეფის – სათუარა II-ის შემდეგ. მითანის ტერიტორია, რომელსაც უკვე უწოდებდნენ ხანიგალბათს, დაიყო რამდენიმე წვრილ პოლიტიკურ გაერთიანებად. მათ თანდათან დაეპატრონენ სამხრეთიდან შემოჭრილი არამეული წარმოშობის ტომები. ხურიტებისა და მითანის შესახებ იხ. აგრეთვე ქვემოთ, თავი III.

რელიგიური რწმენა-წარმოდგენები. ხურიტულმა რელიგიამ დიდი გავლენა იქონია მეზობელ ხალხებზე, განსაკუთრებით ხეთებზე. ხურიტები თაყვანს სცემდნენ არა მარტო საკუთარი პანთეონის ღვთაებებს, არამედ უცხო წარმოშობის, კერძოდ, ინდოარიული წარმოშობის (მითრა, ვარუნა, ინდრა, ნასატია) ღმერთებსაც. პანთეონის სათავეში იდგა ღვთაებრივი წყვილი: ქარიშხლისა და ამინდის ღვთაება თეშუფი და მისი მეუღლე ხეფათი. შიმეგი განასახიერებდა მზის ღვთაებას, ხოლო შაუშქა – ომისა და სიყვარულის ღვთაებას. მთვარის ღვთაებას ქუშუხი ერქვა, ღმერთთა მამას – ქუმარევეს ეძახდნენ, ხოლო დიდ დედა-ქალღმერთს – ქუბაბას (ი. დიაკონოვი, გ. ვილჰელმი).[1]

ხურიტებში გავრცელებული იყო რწმენა სხვადასხვა ფანტასტიკური არებებისადმი (ნახევრად ფრინველებისადმი, ნახევრად ცხოველებისადმი), რომლებიც ხშირად ფრთებს ატარებდნენ. არსებობდა გველის კულტი, რომელიც დაკავშირებული იყო ნაყოფიერების ქალღმერთ იშხარასთან.

[1] Дьяконов И. М., იქვე, გვ. 32; Wilhelm G., დასახ. ნაშრ., გვ. 49 და შმდ.

ლიტერატურა და ხელოვნება. ჩვენამდე მოაღწია ხურიტული ლიტერატურის ნიმუშებმა.[1] ესენია ღვთაებათა ჰიმნები და რელიგიური სასიათის ტექსტები, აგრეთვე ნაწყვეტები გილგამეშის საგმირო ეპოსიდან. რამდენიმე მითი შემოინახა ხეთური ვერსიით. ცნობილია აგრეთვე ნაწყვეტები მითიდან გველ ხედამუს შესახებ, მონადირე ქეშიზე, აპუ გმირზე და სხვ.

ყურადღებას იპყრობს ხეთურად ნათარგმნი მითის სიუჟეტი ულიქუმიზე და ქუმარეებზე (ქუმარბიზე) – ძველი და ახალი დინასტიების ღმერთთა ბრძოლის შესახებ. მითი განიხილება როგორც ძველი აღმოსავლეთის ლიტერატურის დამაკავშირებელი რგოლი ბერძნულ მითოლოგიურ და პოეტურ ტრადიციებთან. ქუმარბისა და ულიქუმის ეპიკური ციკლი კავშირშია ჰესიოდესეულ მითთან ტიფონზე, აგრეთვე პესიოდეს თხრობასთან ხელისუფლების გადასვლის შესახებ ურანოსიდან კრონოსზე, ამ უკანასკნელიდან კი – ზევსზე.

ხურიტული ხელოვნება თავისებური და თვითმყოფადია,[2] რასაც ამტკიცებს მითანური კერამიკა, გლიპტიკა და სასეითი ხელოვნების სხვადასხვა ძეგლი. მან გავლენა მოახდინა მეზობელი ხალხების ხელოვნების სხვადასხვა დარგზე, თუმცა თვითონაც განიცადა გავლენა ზოგიერთი ძველაღმოსავლური ქვეყნისა, განსაკუთრებით – ბაბილონური ხელოვნებისა.

ხურიტული და ქართველური ენების ურთიერთდამოკიდებულებისათვის. ამ ენებს შორის მკვლევარნი ავლენენ ცალკეულ ტიპოლოგიურ მსგავსებას ან ლექსიკურ ნასესხობებს.[3]

ნ. ნოზაძის გამოკვლევების თანასმად, პროფესიის აღმნიშვნელი სახელები ხურიტულ ენაში იწარმოება სპეციალური სუფიქსებით: -უხლუ, -ხური, -ნნი. ამათ გვერდით გვხვდება პროფესიის აღმნიშნელი სიტყვები, რომლებიც წარმოადგენენ მოქმედებითი გვარის მიმღეობებს. შეიძლება გავაველოთ ტიპოლოგიური პარალელი ქართულთან: ქართულში პროფე-

---

[1] Wilhelm G., დასახ. ნაშრ., გვ. 77 და შმდ.

[2] Wilhelm G., დასახ. ნაშრ., გვ. 80 და შმდ.

[3] ამ საკითხთან დაკავშირებით არაერთი საყურადღებო დაკვირვება გაუჩნია ნანა ნოზაძეს, რომელსაც მადლობას მოვასსენებ ქვეშმომოტანილი მაგალითების მოწოდებისათვის.

სიის აღმნიშვნელი სახელები იწარმოება მე-ე აფიქსების მეშვეობით (მაგალითად, „მე-ბაღ-ე“, „მე-წაღ-ე“ და ა.შ.). ამასთანავე გვხვდება მოქმედებითი გვარის მიმღეობის ფორმები პროფესიის აღმნიშვნელი სახელების ფუნქციით („მხატვარი“, „მწერალი“, „მასწავლებელი“).

ზოგიერთ შემთხვევაში ხურიტული ზმნის პასიეის ფორმები გამოიყენება აქტივის ფუნქციით. ასეთი მოვლენა შეიმჩნევა რიგ ენებში, მათ შორის ქართულშიც: „ისევწება“, „იგზავნება“, „იწერება“ და სხვ. გვხვდება ისეთი რელატიური დეპონენსებიც, რომლებსაც მხოლოდ პირდაპირი ობიექტი ახლავს: „ერეკება“, „ეზიდება“, „ეწევა“ და ა.შ. -ი ზმნის ფორმები ხურიტულში იმით განსხვავდება ფინიტიური გარდამავალი ზმნებისაგან, რომ მათ არ ახლავთ ობიექტი, მაშინ, როცა ე.წ. -ია ფორმებთან იგი გვხვდება. ტიპოლოგიური სიახლოვე ზოგიერთი ხურიტული -ი ფორმისა ქართულ დეპონენსებთან სრულიად ნათელია. ასევე შეგვიძლია გავავლოთ ტიპოლოგიური პარალელი ქართულ ე.წ. რეზულტატიურ დროებსა და ხურიტულ -ი რეზულტატიურ ფორმებს შორის.

ტიპოლოგიურ პარალელს ავლებენ აგრეთვე ხურიტული უღლების მრავალპირიანობასა და ქართული უღლების მრავალპირიანობას შორის, ხოლო ხურიტული ე.წ. -შე(-სე) ფორმები ზმნისა ანალოგიურია ქართული პირიანი ზმნური ფორმებისა, რომელთაც ერთვის ბრუნვის ნიშნები (როგორც ცნობილია, ქართულ ენას შეუძლია აბრუნოს არა მხოლოდ სახელები, არამედ ზმნური ფორმები). ტიპლოგიურ პარალელებთან დაკავშირებით უახლეს სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ხური-ურარტული ენები თანხმოვანთა პარმონიული დეცესიური კომპლექსების მხრივ მსგავსებას სწორედ ქართველურ (სამხრეთ კავკასიურ) ენებთან აელენენ და არა ნახურ-დაღესტნურთან (აღმოსავლურ-კავკასიურთან).[1]

---

[1] ქურდიანი მ. თანხმოვანთა პარმონიული კომპლექსები სურიტულსა და ურარტულში და მათი აღმოსავლურ-კავკასიურ (ნახურ-დაღესტნურ) ენათა ჯგუფისადმი კუთვნილების პიპოთეზა. „საენათმეცნიერო ძიებანი“, XI, თბ., 2001, გვ. 184.

ხურიტული ლექსიკისაგან ქართულ ენას შეიძლება შემდეგი სიტყვები ჰქონდეს ნასესხები (უმეტესწილად, ნ. ნოგაძის მიხედვით):

ხურიტული	ქართველური
*aw-ari „მინდორი“	„არე(-მარე)“
*ezi „ცა“	„ცა“
*šaw-at (ურარტ. შალე) „წელი“	„წელი“
*šeri „საღამო“	„სერობა“
*šala „ქალიშვილი“	„წული“
*ušḫu „ვერცხლი“	„ვერცხლი“
*ker-ae „გრძელი“	„გრძელი“
*tibne „ბზე; თივა“	„თივა, თიბვა“
*šur „სწრაფვა“	„სასწრაფო, საშური“
*išḫara („ღვთაება“)	„შხარა“
*kad „თქმა“	„ქადილი“
*kakari „პური, ნამცხვარი“	„კოკორა“ (კეკეკერა)
*agur „აგური“	„აგური“

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დაისვას საკითხი ხურიტულისა და ქართველურ ენათა კონტაქტების, ისევე როგორც მათი გავრცელების არეალთა კავშირების შესახებ.

ძველაღმოსავლურ წერილობითი წყაროების მონაცემებით ხურიტები ჩრდილოეთ მესოპოტამიაში ბინადრობდნენ ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანებიდან (შესაძლოა, ისინი მართლაც არ იყვნენ ავტოქთონები და გადმოსახლებული იყვნენ სხვა რეგიონიდან). ქართველურ ტომებს მათთან ურთიერთობა ამავე ხანებიდანვე უნდა ჰქონოდათ და გაგრძელებულიყო ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლომდე, რომლის შემდეგ ერთიანი ხურიტული ეთნოსი აღარ არსებობდა. ყოველივე ეს უნდა მომხდარიყო ჩრდილოეთ მესოპოტამიის ჩრდილოეთით მოსაზღვრე რაიონებში. ამის შემდეგ უნდა აღდგენილიყო ქარ-

თეელური ტომების პირდაპირი კონტაქტები სემიტურ სამყაროსთან, როდესაც ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლოდან ჩრდილოეთ შუამდინარეთში ბატონდებიან სემიტური წარმოშობის არამეელი ტომები.

ხათები (პროტოხეთები)

ცენტრალურ მცირე აზიაში მცხოვრები ერთ-ერთი უძველესი ეთნოსი, რომელთანაც ქართველურ (შესაძლოა, წინარე ქართველურ) ტომებს უნდა ჰქონოდათ ურთიერთობანი, უნდა ყოფილიყვნენ სეთურ ლურსმულ ტექსტებში დაღასტურებული ენის – ხათურის მატარებლები. პირობითად მათ ვუწოდებთ ხათებს ანუ პროტოხეთებს (ე.ი. ინდოევროპელ ხეთებამდე მცხოვრებლებს). მოგიერთი მკვლევარი მათ მიიჩნევს ცენტრალური ანატოლიის აეტოქთონურ მოსახლეობად, ხოლო მოგიერთთა თანახმად ისინი სხვა რეგიონიდან უნდა ყოფილიყვნენ გადმოსახლებული. ამ ეთნოსთან დაკავშირებით ბევრი რამ ბურუსითაა მოცული, თუმცა სეთურ ლურსმულ ტექსტებში დაღასტურებული ცნობების (ისევე როგორც საიანადო არქეოლოგიური მასალის) საფუძველზე საშუალება გვეძლევა მიახლოებით აღვადგინოთ მისი ტერიტორიული გავრცელების, ენის, საზოგადოებრივი ცხოვრების, რელიგიისა და კულტურის სურათი. სამწუხაროდ, სხვა ძველაღმოსავლური ლურსმული ტექსტები ხათებს საერთოდ არ იცნობენ, რაც შეიძლება დამადასტურებელი იყოს იმისა, რომ ხათები ძველაღმოსავლური დიდი ცივილიზაციების ცენტრებთან ნაკლებ იყვნენ დაკავშირებული.

სახელწოდება და განსახლება.[1] ამ ეთნოსის სახელწოდება წარმოდგება მთავარი ქალაქისა და მთელი ქვეყნის აღმნიშვნელი ტერმინისაგან – „ხათი". იგივე სიტყვა საფუძვლად უნდა დადებოდა ხათების დედაქალაქის სახელწოდებას – ***ხათუშს*** (მოგვიანო, ხეთების დროინდელი ხანის ***ხათუსას,*** რომე-

[1] Дьяконов И. М., Языки древней Передней Азии. М., 1967, с. 168; Камменхубер А. Хаттский язык. „Древние языки Малой Азии", М., 1980. с. 24 и сл.; გიორგაძე გ. ათასი ღეთაების ქვეყანა, გვ. 19 და შმდ.

ლიც თანამედროვე თურქული სოფლის – ბოღაზქოის ადგილას მდებარეობდა).

ხათის ქვეყნის ძირითადი ეთნოსის თვისახელწოდებამ ჩვენამდე არ მოაღწია, თუმცა საეჭვო არ უნდა იყოს, რომ იგი იმავე ტერმინთან – „ხათი“-სთან იქნებოდა დაკავშირებული. ამ ეთნოსის ენის აღმნიშვნელადაც იგიეე „ხათი“ ყოფილა გამოყენებული, რაც კარგად ჩანს ხეთური ტექსტებიდან, რომლებშიც მშნისართის ფორმით ასახულია თვით სახელწოდება ამ ენისა: „ხათილი“, ე.ი. „ხათურად“, „ხათურ ენაზე“. სიტყვა „ხათილი“ უნდა ეხმარათ ზედსართაეი სახელისთვისაც – „ხათური“.

როგორც ცნობილია, სახელწოდება „ხათი“ იხმარებოდა აგრეთვე ინდოევროპელი ხეთების ქვეყნისა და, ზოგჯერ, ღედაქალაქისთვისაც (საყურადღებოა, რომ იგი ხეთებმა არ შეცვალეს სხვა ტოპონიმით). ხეთები ამ სახელწოდებას ხანდახან გადმოსცემდნენ ფსევდოიდეოგრაფიული (შუმერული) დაწერილობით: $^{URU.GIŠ}$PA და $^{URU.GIŠ}$PA-ti, რომელიც ხეთურად იკითხებოდა როგორც „ხათი“, სიტყვა PA აღნიშნავდა „კვერთხს, სკიპტრას“ და აქადურად წარმოითქმოდა როგორც „ხატტუ“. შესაძლოა, „ხატტუშას“ (ხეთურად „ხათუსას“), სწორედ ამ ფონეტიკურად მსგავს სიტყვას – „ხატტუს“ უკავშირებდნენ.

მაგრამ ძირითადად ხეთები „ხათის“ გადმოსცემდნენ სხვა შუმერული იდეოგრამული დაწერილობით – ^{URU}KÙ.BABBAR (ან ^{URU}KÙ.BABBAR-ti, ე.ი. „ქ. ხათი“, იგიეე „ქ. ხათუსა“). ეს სიტყვა კი შუმერულად „ვერცხლს“ აღნიშნავდა (აქადურად – „ქასფუ“). აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ სიტყვა „ხათი“ (რომელიღაც ენაზე, შესაძლოა ხათურად) აღნიშნავდა „ვერცხლს“.[1]

ხათებით დასახლებულ ქვეყანას უნდა ჰკავებოდა თითქმის მთელი ცენტრალური ანატოლია, განსაკუთრებით ის რაიონები, რომლებიც მოიცავდნენ მოგვიანო პერიოდის კაპა-

[1] Giorgadze G. G. On the Word for „Silver“ with Reference to Hittite Cuneiform Texts. „Altorientalische Forschungen“. Berlin, 1988, 15/1, s. 69 ff.

დოკიასა და პონტოს, ეს არის ძირითადად თანამედროვე მდ. ყიზილ-ირმაკის (კლასიკური ხანის ჰალისის) რკალით შემოსაზღვრული ტერიტორია. იგი მოფენილი უნდა ყოფილიყო სხვადასხვა ტიპის დასახლებებით („ქალაქებით", „ქვეყნებით", „სოფლებით" – თემებით), რომლებიც თავიანთი სახელწოდებებითვე შემორჩნენ მოგვიანო ხანების (ე.წ. „კაპადოკიური" ფირფიტებისა და ხეთური ტექსტების დროინდელ) ცენტრალურ ანატოლიაში. როგორც ამ დასახლებათა სახელწოდებების ლინგვისტური ანალიზი აჩვენებს, აღნიშნული რაიონების ტოპონიმიკის დიდი ნაწილი ხათური წარმოშობისა იყო. ამ სახის ტოპონიმები ცენტრალურ მცირე აზიაში გაფანტული იყო ხეთების სამეფოს არსებობის მთელს მანძილზე, მოგვიანებით კი – მის შემდგომაც.

ანთროპოლოგიური ტიპი[1] ხათებისა თითქმის სრულიად გაურკვეველია, რადგან წერილობითი წყაროები და არქეოლოგიური მასალა ამ საკითხთან დაკავშირებით ბევრს არაფერს იძლევა, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე რელიეფურ გამოსახულებას ალაჯა ჰუიუქიდან, რომლებიც შეიძლება ხათური ხანისა იყოს. სავარაუდოა მხოლოდ, რომ ანთროპოლოგიურად ხათები გარკვეულ კავშირში უნდა ყოფილიყვნენ ინდოევროპელ ხეთებთან, რომლებთანაც მათ საუკუნეთა მანძილზე დიდი ურთიერთობები ჰქონდათ.

ენა. ხათური (პროტოხეთური) ენა არის უძველესი ცენტრალური მცირე აზიის რაიონებში მცხოვრებ არაინდოევროპელ ტომთა ენა.[2] ანატოლიურ ინდოევროპულ (ხეთურ და ფალა-

---

[1] Гамкрелидзе Т. В. „Хеттские языки" и вопрос о переселении в Малую Азию индоевропейских племен „Труды Института языкознания. Серия восточных языков". Тб., 1957, с. 47; ქავთარაძე გ. ცენტრალური ანატოლიისა და ჩრდილო-დასაელეთ კავკასიის ურთიერთობის საკითხისათვის აღრებრინჯაოს სანაში. „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები", 1978, № 183, გვ. 7 და შმდ.

[2] Лингвистический энциклопедический словарь, с. 570; Дунаевская И. М. О структурном сходстве хаттского языка с языками северо-западного Кавказа. „Сборник в честь акд. Н. А. Орбели". М.-Л., 1960; Дунаевская И. М., Дьяконов И. М., Хаттский (протохеттский) язык. „Языки Азии и Африки", III. М., 1979, с. 79 и сл.

ურ) ენებთან მისი შერევა-შეჯვარედინების შედეგად, იგი თანდათან გამოვიდა ყოველდღიური სმარებიდან და ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებზე უფრო ადრე შეწყვიტა არსებობა.[1] ხეთების დროს იგი იხმარებოდა მხოლოდ როგორც „მკედარი“ ენა, რომელსაც იყენებდნენ ძირითადად სხვადასხვა რელიგიური შინაარსის ტექსტების სათურად ჩაწერის დროს. ასეთ ტექსტებს თან ახლდა პარალელური სეთური თარგმანი.

სათური ენა, შუმერულისა და სურიტულის მსგავსად, აგლუტინაციურია (ი. დუნაევსკაია, ი. დიაკონოვი).[2] არსებითი და გელსართავი სახელები ჯერ კიდევ არ არის დიფერენცირებული გამოკვეთილად. სიტყვის ძირს წინ ერთვის წინდებულებისა და პრევერბების ტიპის ლოკატიური ელემენტები. წმინის გრამატიკული ურთიერთობანი გამოხატულია პრეფიქსთა მთელი ჯაჭვით, რომლებიც განლაგებულია უცვლელი თანმიმდევრობით. პრეფიქსები გამოსახატავენ აკრძალვას, სურვილს, ადგილობით ბრუნვას (ლოკატივს) მოქმედების სუბიექტთან, რეფლექსივს, სუბიექტს მხოლოობით და მრავლობით რიცხვში, ადგილობით ბრუნვას მდგომარეობის სუბიექტის დროს, მდგომარეობის სუბიექტს (ა. კამენჰუბერი და სხვანი). დროისა და პირის საკითხთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა. სახელის გრამატიკული მდგომარეობა გამოიხატება პრეფიქსებით და სუფიქსებით. ეს უკანასკნელნი გადმოსცემენ მოგად ირიბ და მიცემით ბრუნვებს. მმნების ორსუბიექტიანი უღლება და მოქმედებისა და მდგომარეობის მმნების დიფერენციაცია ვარაუდობს, რომ ხათური, წინადადების კონსტრუქციის მიხედვით, ერგატიული წყობის ენაა. თუმცა მას სპეციალური ერგატიული ბრუნვა არ გააჩნია (ისევე როგორ აფხაზურ-ადიღურ ენებს).

ი. დუნაევსკაიას აზრით, ვარაუდს ხათურის ნათესაობისა აფხაზურ-ადიღურ ენებთან მხარს უჭერს მათი მმნების სტრუქტურული მსგავსება, მაგრამ ხათურის ფორმანტების ფონოლოგიური სახის გაურკვევლობა, მათი მნიშვნელობების დად-

[1] Гамкрелидзе Т. В. „Хеттские языки“, с. 51.

[2] Лингвистический энциклопедический словарь, с. 570; გიორგაძე გ. მოგიერთ ძველაღმოსავლურ ენასთან..., გვ. 65 და შმდ.

გენა და რამდენიმე ათასი წლის ინტერვალი შესადარებელ ენებს შორის, აღნიშნულ ვარაუდს ქმნის რამდენადმე დაუჯერებლად.[1]

ვ. ივანოვი ცდილობს დაადგინოს საკითხები ხათურში ლოკალური და სხვა გმნური პრეფიქსების, კაუზატური პრეფიქსისა და კლასის პრეფიქსების, მდედრობითი კლასის სუფიქსის შესახებ. იგი ეხება აგრეთვე სიტყვათა შესაძლო ეტიმოლოგიებისა და ფონეტიკურ შესატყვისობათა პრობლემას და უშვებს მატერიალურ ნათესაობას ხათურსა და ჩრდილო-დასაელურ კავკასიურ ენებს შორის, მოპყავს რა ათეულობით ხათურ-ჩრდილოდასაელურ კავკასიური სავარაუდო ენობრივი პარალელები, თუმცა მისივე ვარაუდით, მათი ერთი ნაწილი ჯერ კიდევ მოკლებულია სათანადო დამაჯერებლობას. მიუხედავად ამისა, ვ. ივანოვი ასკვნის, რომ თავისი ლექსიკითა და, საერთოდ, გრამატიკით, ხათური არის ძველი ჩრდილო-დასავლური კავკასიური ენა, რომელმაც შემოინახა არაერთი ნიშანი, ჩრდილო-დასავლურ კავკასიურ ენებთან რომ იჩენს საერთოს.[2]

დასავლელი მეცნიერების დიდი ნაწილი ჯერჯერობით თავს იკავებს ამ შეხედულებისაგან, აღნიშნავს რა მხოლოდ, რომ ხათური ენა შეიძლება იყოს „კავკასიური". ქართველ ენათმეცნიერებს ხათური ენა დღემდე არ შეუსწავლიათ (ხათური და ქართველური ენების ურთიერთდამოკიდებულებისათვის იხ. ქვემოთ).

დამწერლობა. არ ვიცით, ხათებს ჰქონდათ თუ არა საკუთარი დამწერლობა. ყოველ შემთხვევაში, დღემდე არ აღმოჩენილა ასეთი დამწერლობის დამადასტურებელი ნიშნები, თუმცა მაინც სავარაუდოა მისი არსებობა, მით უმეტეს, რომ ხათური საზოგადოება აღრეკლასობრივად უნდა მივიჩნიოთ.

ხათურად შედგენილი ტექსტები დაწერილია, როგორც ცნობილია, ხეთური ლურსმული დამწერლობით. საერთოდ, ლურსმული სილაბური დამწერლობის გამოყენების დროს

---

[1] იქვე. გვ. 570.

[2] Иванов Вяч. Вс. Об отношении хаттского языка к северозападнокавказским. „Древняя Анатолия", М., 1985, с. 51 и сл.

დიდი სიძნელეები იქმნება გადმოსაცემ კონსონანტთა სიუხვის შემთხვევაში, რაც გასათვალისწინებელია ხათური ენის შესწავლის დროს.

მოკლე ისტორიული ცნობები. ხეთურ ტექსტებში შემორჩენილი ხათური ლექსიკის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ხათურ საზოგადოებას ადრეკლასობრივ დონემდე მიუღწევია. ხათებს ჰყოლიათ მეფე („ქათთე“) და დედოფალი („ქათთას“), რომლებიც შესაბამის ტიტულებსაც ატარებდნენ – „ლაბარნა“//„თაბარნა“ და „თავანნანა“. უფლისწულს რქმევია „თუხქანთე“, სამეფო ტახტს – „ხანვაშუით“. ლაშქარს და, საერთოდ, მეომრებს აღნიშნავდნენ სიტყვებით: „პაქქუ//ეაქქუ“ და „ციცინთუ“.

სამეფო კარზე მოხელეთა და სასახლის მსახურთა მთელი წყება ყოფილა: „მეღვინეთუხუცესი („ვინდუქარამ“), სამეფო სკიპტრის მატარებელი („თანიშავა“), მესუფრე („ცულუვე“), მზარეული („ხანთიფშუვა“), დალაქი („თასაია“), მაცნე („ლუიცცილ“) და სხვ.[1]

ხათების სამეფოს არსებობა თითქოს დასტურდება მოგვიერთი წერილობითი წყაროს მონაცემებითაც. მკვლევართა ყურადღებას კარგა ხანია იქცევს მოგვიანო ხანებში ხეთურ ენაზე შედგენილი ერთი წარწერა, რომელშიც საუბარია აქადის დინასტიის ერთ-ერთი ცნობილი მეფის – ნარამსუენის (ძვ.წ. 2236-2200 წწ.) ლაშქრობის შესახებ დასავლეთ წინა აზიის 17 მეფისგან შედგენილ კოალიციასთან დაკავშირებით.[2] ნარამსუენს დაუმარცხებია ძლიერი კოალიციის ყველა წევრი, რომელთა რიცხვში ნახსენებია „ხათის ქვეყნის მეფე პამბა“ (იქვეა დასახელებული ქანესის მეფე ციფანიც). სამწუხაროდ, მკვლევართა დიდი ნაწილი ამ წარწერას არ მიიჩნევს სანდო ისტორიულ წყაროდ იმ მოტივით, რომ იგი შედგენილია ძალზედ მოგვიანო ხანებში – ხეთების სამეფოს არსებობის პერიოდში (თანაც, სეთურად და არა აქადურად). მაგრამ თუ დავუშ-

---

[1] გიორგაძე გ. აოასი ღვთაების ქვეყანა, გვ. 22.

[2] Güterbock H. G. Die historische Tradition und ihre literarische Gestaltung bei Babyloniern und Hethitern bis 1200. „Zeitschrift für Assyriologie“, X, Heft 1/2, 1938, s. 68 f.

ვებთ, რომ მასში ასახულია ოღესღაც არსებული ისტორიული სინამდვილის გამოძახილი, მაშინ ამ წყაროში დაცული ცნობა ხათების სამეფოს არსებობის შესახებ ძვ.წ. XXIII საუკუნისათვის – ძალზედ საყურადღებო უნდა იყოს. სწორედ ამ ხანებიდან ხათების არსებობა მცირე აზიის ცენტრალურ ნაწილში ეჭვს არ უნდა იწვევდეს (არქეოლოგიური გათხრების შელეგად გამოვლენილი მასალაც ალიშარ ჰუიუქიდან, ალაჯა ჰუიუქიდან და ცენტრალური ანატოლიის სხვა ადგილებიდან ამ ვარაუდს მხარს უნდა უჭერდეს).

უფრო სანდო უნდა იყოს ცნობა, რომელიც დაცულია ხეთოლოგებისათვის კარგად ცნობილ ე.წ. „ანითას ტექსტში“.[1] ამ წყარომაც ჩვენამდე მოგვიანო ხანების ვერსიით მოაღწია, მაგრამ მასში ასახული პოლიტიკური ვითარება, რომელიც არსებობდა მცირე აზიის ცენტრალურ ნაწილში დაახლოებით ძვ.წ. XVIII საუკუნისათვის – სანდოა. ამ წყაროს მონაცემებს მხარს უჭერს ე.წ. „კაპადოკიური“ ლურსმული ფირფიტებში დაცული ცნობები, რომლებშიც მოხსენიებულია ძვ.წ. XVIII საუკუნის ცენტრალურ ანატოლიაში არსებული ქუსარის სამეფოს „დიდი მეფე ანითა“. თავის წარწერაში კი ანითა აღნიშნავს, რომ „ხათის მეფე ფიუსთი“ მეორეჯერ მოსულა მასთან საბრძოლველად და იგი მას დაუმარცხებია.[2] „ანითას ტექსტის“ მიხედვით, ხათის დედაქალაქი ხათუსა (რომელიც მოგვიანებით გახდა ხეთების დედაქალაქი) მიწასთან არის გასწორებული (როგორც ჩანს, ამ ბრძოლების შედეგად) და ანითა კრძალავს მის დასახლებას. ეს იმას უნდა მიუთითებდეს, რომ სწორედ ამ დროიდან, ე.ი. ძვ.წ. XVIII საუკუნიდან, ხათების სამეფო განადგურებულია და იგი საერთოდ ქრება მცირე აზიის ასპარეზიდან, ადგილს უთმობს რა აღრესეთურ ისეთ ძლიერ პოლიტიკურ გაერთიანებას, როგორიც იყო ქუსარა (ცნობილია, რომ ხეთების აღრინდელი მეფეების – ლაბარნასა და ხათუსილის სამეფო რეზიდენციაც სწორედ ამ ქალაქში იყო. მხოლოდ მოგვიანებით ხათუსილიმ ხეთების სამეფოს ცენტრი

---

[1] ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია, გვ. 173 და შმდ.

[2] იქვე, გვ. 175.

გაღაიტანა სათუსაში). ეს იმას ნიშნავდა, რომ ხათურმა ენამაც საბოლოოდ დაკარგა თავისი ინდივიდუალობა. მოგვიანებით იგი ხდება „მკედარი“ ენა, რომელიც დამარცხდა ინდოევროპულ ხეთურ (ნესიტურ) ენასთან ჭიდილში

რელიგიური რწმენა-წარმოდგენები,[1] რომლებიც ასევე გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის სათურ საზოგადოებაზე, მეტად ორიგინალური და თვითმყოფი იყო. მისი ფესვები ღრმად იჭრება, ჩვენის აზრით, თვით მცირე აზიის, და არა სხვა რომელიმე რეგიონის, მათ შორის, ჩრდილო-დასაელეთ კავკასიის, უძველეს ისტორიაში.

ხათებს გააჩნდათ მრავალრიცხოვან ღვთაებათა კულტები, ამ კულტების მსახურები სათანადო ტიტულატურებით. ხათები მართავდნენ სხვადასხვა ღვთაებისადმი მიძღვნილ დღესასწაულებს, ქმნიდნენ შესაბამის მითოსებს. ყოველივე ამან დიდი გავლენა მოახდინა მოგვიანო ხანების ხეთურ რელიგიაზე.

ხათების პანთეონის უზენაეს ღვთაებად ითელებოდა ერთერთი დიდი საკულტო ცენტრის – ქ. არინას მზის ქალღმერთი, რომელიც იყო „დედოფალი ხათის ქვეყნისა, ცისა და დედამიწისა, ქალბატონი ხათის მეფეთა და დედოფალთა“. მის მეუღლედ ითვლებოდა ტაროსის (– ამინდის, წვიმის, ჭექა-ტუხილის) ღვთაება. მას სათურად ტარუ (თარუ) ერქვა და უწოდებდნენ „მეფეს ცისა, ბატონს ხათის ქვეყნისა“. ამ ღვთაების წმინდა ცხოველად ითელებოდა ხარი.

არინას მზის ქალღმერთისა და ტაროსის ღვთაების ვაჟიშვილები იყვნენ ქ. ნერიქისა და ციფალანდას ტაროსის ღვთაებები, ქალიშვილს ერქვა მეცულა, შვილიშვილს – ცინთუხი.

ხათურ ღვთაებებად განიხილებიან: ომის ღვთაება შულინქათე, ქვესკნელის ღვთაებები – ლელვანი, ისთუსთაია, ფაფაია, მთვარის ღვთაება ქაშქუ. ხათების რელიგიური რწმენა–წარმოდგენები ასახულია ხათური წარმოშობის მითოლოგიურ ლიტერატურაშიც (იხ. ქვემოთ).

---

[1] ტატიშვილი ი. ხეთური რელიგია, გვ. 79; მისივე, Zur hethitischen Religion, s. 9 f.

ლიტერატურა და ხელოვნება. ხათური წარმოშობის მითე-ბიდან აღსანიშნავია მითი ციდან ჩამოვარდნილი მთვარის, ანუ მთვარის ღვთაების შესახებ. მითის თანახმად, ციდან ღე-დამიწაზე მთვარის ჩამოვარდნა დაინახა რამდენიმე ღვთაე-ბამ, მათ შორის, ტაროსის ღვთაებამ, რომელიც შიშმა და ძრწოლამ მოიცვა: მან მთებიდან და კლდე-ღრეებიდან ქარიშ-ხალი და წვიმა გამოუშვა. მიუხედავად შიშისა, იგი ცაზე აბრუ-ნებს მთვარეს, ხელმეორედ ქმნის რა მას. ღედამიწა კვლავ ნათდება. მთვარის ჩამოვარდნა დედამიწაზე ეწინააღმდეგება ბუნების კანონებს. მითოსიდან ის დასკვნა კეთდება, რომ ბე-ცის მკვიდრნი ბეცაში უნდა იყოს. დედამიწას კი სინათლე უნ-და დაუბრუნდეს. მთვარის დაბრუნება ბეცაზე ამშვიდებს ცის მეუფეთ, დედამიწა კვლავ განათებულია...[1]

სათის ქვეყანაში დიდად უნდა ყოფილიყო პოპულარული მითი ღვთაების შესახებ, რომელიც ქრება და შემდეგ კვლავ მოევლინება ქვეყანას. ეს იყო თელიფინუ, რომელსაც აღა-რებენ სირიულ-ფინიკიურ ადონისს, ეგვიპტურ ოსირისს, სემი-ტურ თამუზს.[2] ღვთაების გაქრობა (და არა გარდაცვალება) იწ-ვევს გვალვას, ბუნების ჭკნობას. დანარჩენ ღვთაებათა ცდები – იპოვონ და დააბრუნონ გამქრალი ღვთაება, წარმატებით მთავრდება, რასაც მოჰყვება აღორძინება. გამქრალი ღვთაე-ბის როლში გამოდის თელიფინუ (ან ტაროსის ღვთაება). იგი იწყებს ბრუნვას ქვეყნიერებაზე. მის წინ აღიმართება მარად-მწვანე ხე ეია, შესაძლოა, ურთხელი, რომელზედაც ჰკიდია საწმისი – სიმრავლის, სიუხვის, გამრავლების, დღეგრძელო-ბის, სიცოცხლის სიმბოლო. ინტერესს იწვევს თელიფინუს კულტის ერთ-ერთი ატრიბუტი – კავშირი მარადმწვანე ხეს-თან, რომლის გამოყენებას რიტუალში ადარებენ ნაძვის ხის როლს საშობაო დღესასწაულების დროს.

---

[1] არმაღანი. აღმოსავლური მწერლობის ნიმუშები. თბ., 1982, გვ. 7 და შმდ.; ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია, გვ. 225 (თარგ-მანი ნ. ბენდუქიძისა); Иванов Вяч. Вс. Луна, упавшая с неба. М., 1977, с. 50 и сл.

[2] არმაღანი, გვ. 9 და შმდ.; ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრეს-ტომათია, გვ. 227 და შმდ.

ხათური საახალწლო რიტუალის – ფურულის მითოლოგიურ მოთხრობაში გველეშაპზე (ურჩხულზე – ილუიანქაზე) ასახულია ამ უკანასკნელთან ტაროსის ღვთაების ბრძოლა.[1] მითის მიხედვით, ტაროსის ღვთაებისა და ურჩხულის შერკინება ამ უკანასკნელის გამარჯვებით მთავრდება. მაგრამ შემდგომ ღვთაებები ჩაერიენენ საქმეში და ტაროსის ღვთაებამ ილუიანქა შვილებიანად განგმირა. შეტაკებას ღვთაებასა და მის მოწინააღმდეგე ურჩხულს შორის, რაც სდებოდა ახალი წლის მოახლოებასთან დაკავშირებით, ადარებენ იმ რიტუალურ ბრძოლებს, საახალწლო დღესასწაულების დროს რომ იმართებოდა მოგეიანო სანის მსოფლიოს სხვადასხვა სალსში.

ზემოაღნიშნული ორი მითოსი საყურადღებოა იმით, რომ მათში მოხსენიებულია ცხვრის (ვერძის) ტყავი, ე.ი. „საწმისი", რასაც აკავშირებენ ანტიკური ხანის „ოქროს საწმისის" მითოსთან. მათი დახმარებით ცდილობენ აღადგინონ უძველესი ფენა ანტიკური ლეგენდებისა იასონისა და მედეას კოლხეთში ყოფნის შესახებ.

ცენტრალური და ჩრდილოანატოლური (ხათური) რაიონების მცხოვრებთა რელიგიურ წარმოდგენებში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ცხვრის ან თხის ტყავი როგორც სიმბოლო სამეფოს კეთილდღეობისა. გაგაფხულის დადგომასთან დაკავშირებულ სამეფო დღესასწაულების ჩატარების დროს გარკვეული ქალაქების საკულტო შემოვლისას საწმისს თან დაატარებდნენ ტყავის სამკურნალო მაგიური ძალის გამო. „თელიფინუს მითოსის" მიხედვით, „ღვთაება თელიფინუ ბრუნავს მეფეზე, თელიფინუს წინ აღმართულია (მარადმწვანე) ხე ეია, რომელზედაც ჰკიდია ცხვრის ტყავი (საწმისი). მასში მოთავსებულია ქონი, ქერი, ხორბალი და ღვინო, ხარი და ცხვარი, ხანგრძლივი სიცოცხლე და შთამომავლობა". ამავე მითოსის სხვა ადგილას ნახსენებია საკურთხეველის წინ ჩამოკიდებული ბატკნის ტყავი (საწმისი), მითოსის კიდევ ერთი ადგი-

[1] არმაღანი, გვ. 8 და შმდ.; ძველი აღმოსავლეთის სალსთა ისტორიის ქრესტომათია, გვ. 225 და შმდ.

ლის თანახმად, საწმისი არის ის, რასაც ღეთაება ხანახანას მიერ გაგზავნილი ფუტკარი იპოვის...[1]

ამ მაგიურ-მითიური ექსკურსების მიხედვით, ვერძის ტყავი, ერთი მხრივ, ფუნქციონალურად გაგებულია როგორც განაყოფიერების ღეთაება, მეორე მხრივ კი იგი სახეობაა ძალისმქონე ფეტიშისა, რომელზედაც დამოკიდებულია ქვეყნის კეთილდღეობა.

წმინდა საწმისის იდეის წარმოშობის ადგილად მიიჩნევენ ანატოლიის ცენტრალურ და ჩრდილოეთ რაიონებს, სადაც ინდოევროპელი ტომების გააქტიურებამდე ხათები ბინადრობდნენ. როგორც ვარაუდობენ, ანატოლიის ამ რაიონებიდან ეს იდეა მიკენურ-ბერძნულ სამყაროში უნდა შეღწეულიყო. ზოგიერთი მკვლევრის ვარაუდით, თქმულება ოქროს საწმისზე ბერძენ კოლონისტებს უნდა გადაეტანათ კოლხეთში მხოლოდ ამ სამყაროდან (ძვ.წ. VIII საუკუნეში), რითაც გამოირიცხება აღნიშნული იდეის წარმოქმნა თვით კოლხეთის ტერიტორიაზე. მაგრამ ასეთი ვარაუდი არ არის დამაჯერებელი, რადგან ვერძის ტყავის მაგიურობის იდეა შეიძლებოდა კოლხეთში გავრცელებულიყო სწორედ უშუალოდ ანატოლიის ჩრდილო-აღმოსავლეთი რაიონიდან, რომელიც უძველესი ხანებიდანვე ესაზღვრებოდა ქართველურ ტომთა განსახლების არეალს. ამასთანავე, სავსებით დასაშვებია წმინდა საწმისის იდეის, ანდა მისი ანალოგიური თქმულების წარმოშობა საკუთრივ კოლხეთში (ცხვრის კულტის არსებობა ქართველურ ტომებში ეჭვს არ იწვევს არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით).[2]

ხათური ხელოვნება (და, საერთოდ, კულტურა) საკმაოდ ორიგინალური და თვითმყოფი უნდა ყოფილიყო, რაც კარგად ჩანს ბოღაზქოიში, ალაჯა ჰუიუქში, ალიშარ ჰუიუქსა და ცენ-

---

[1] Haas V. Magie und Mythen im Reich der Hethiter. Hamburg. 1977; გიორგაძე გ. „საწმისი" სეთურ წყაროებში და მისი ანტიკური პარალელები (ფ. ჯაასის მოსაზრებანი „ოქროს საწმისის" თქმულების გენეზისთან დაკავშირებით). „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები", 1982, ტ. 227, გვ. 288.

[2] გიორგაძე გ. „საწმისი" ხეთურ წყაროებში, გვ. 292.

ტრალური ანატოლიის სხვა ადგილას ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალიდან. ამან თავისთავად განაპირობა თვით ხათური ხელოვნების ის თავისებურებანი, რომლებითაც იგი განსხვავდებოდა ძველი აღმოსავლეთის სხვა ხალხთა ხელოვნებისაგან.

ცენტრალური მცირე აზიის წინასეთური (ხათური) ხანის ხელოვნების ნიმუშები გამოირჩევა ორიგინალობით, სისადავითა და ოსტატობის მაღალი დონით. ისინი ყურადღებას იპყრობენ ფორმებისა და ტიპების თავისებურებებითა და მრავალფეროვნებით. ესენია ვერცხლისა და ბრინჯაოსაგან დამზადებული ცხოველთა პატარა ფიგურები, ოქროს დოქები და თასები, ე.წ. „შტანდარტები“ ზოგჯერ ირმის გამოსახულებით. ამ დროის კერამიკის ნიმუშები გამოირჩევა თავიანთი ფორმებითა და პროპორციებით, ისინი ლითონის ჭურჭლების პროტოტიპებს წარმოადგენენ. მაღალ დონეს მიაღწია ანატოლიურმა გლიპტიკამ, ხშირად ძველი ანატოლიური მოტივებით.[1]

ხათური და ქართველური ენების ურთიერთდამოკიდებულებისათვის. როგორც ზემოთაც აღინიშნა, ქართველ მეცნიერებს ხათური ენა ჯერჯერობით არ გამოუკვლევიათ. არაქართველ მკვლევართა ერთი ნაწილი კი შემდეგს აღნიშნავს.

ხათური და ქართველური ენების შედარება ი. დუნაევსკაიასა და ი. დიაკონოვს აძლევს შესაძლებლობას დაასკვნან, რომ სტრუქტურული სიასლოვის ხარისხი ხათურსა და ქართველურ ენებში დაბალია, ვიდრე ხათურსა და აფსაზურ-ადიღურ ენებში. ასე, მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ ეს ენები გმნის ფორმების მხრივ იყენებენ პრეფიქსაციის რთულ სისტემას, მათი პრინციპები სულ სხვადასხვაა. სუბიექტურ-ობიექტური მაჩვენებლები გამოიხატება უმეტესად პრეფიქსებით, მაგრამ მესამე პირი (სუბიექტის მაჩვენებელი) და მხოლოობითი რიცხვის პირველი და მეორე პირის მაჩვენებელი სუფიქსებითაა გამოხატული. მათივე აზრით, ქართველური ენების ბრუნვის სისტემას არ აქვს რაიმე შეხების წერტილები ხათურ-

[1] ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, გვ. 298 და შმდ.

თან. როგორც ი. დუნაევსკაია თელის, ზოგიერთი ხათური მორფემა ანალოგიას იჩენს სწორედ ქართველურ ენებს შორის: ასე, ხათურის მესამე პირის მაჩვენებელი არის -ḫ-, -ḫ-, -s-, ისევე როგორც ესაა ქართველურში; ამ უკანასკნელშიც გავრცელებულია ხათურში კარგად ცნობილი სიტყვათწარმოების სუფიქსი კუთვნილებისა და წარმომავლობისა -el; სვანურში არსებობს განყენებული სახელების პრეფიქსი li- და პრეფიქსი მრავლობითი რიცხვისა la-, რომლებიც შეიძლება დაკავშირებული იყვნენ ხათურ პრეფიქსთან le-; შდრ. აგრეთვე მეგრული უარყოფა tas და ხათური t (თანხმოვანი), ქართული „ის“ და ხათური es-(?).[1]

როგორც გერმანული ხეთოლოგი ქრ. გირბალი ცარაუდობს, ხათური გენეტიკურად განსახილველია ქართველურ ენათა ჯგუფთან კავშირში (როგორც იგი საბგასმით აღნიშნავს, ამ ჯგუფის ენათა ადგილსამყოფელი ერცელდება ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიამდე).[2] ეყრდნობა რა ძირითადად ლექსიკურ მონაცემებს, იგი იხილავს ისეთ ლექსიკურ პარალელებს, როგორიცაა: ხათ. tete „დიდი“ და ქართ. „დიდი“; ხათური სიტყვიდან tuḫḫukuru „ხედვა“ იგი გამოყოფს -kuru-s და ადარებს ქართ. „ყურებას“; ხათური სიტყვა sama „მოსმენა“ დასაკავშირებელია ქართ. „სმ“-სთან სიტყვაში „მოსმენა“; ხათური tumail „წვიმა“ უნდა იყოს ქართ. „წვიმა“ (-il სუფიქსის გამოკლებით) და სხვ.[3] ქრ. გირბალის მოსაზრებას მკვლევართა ნაწილი კრიტიკულად შეხვდა.

---

[1] Дунаевская И. М., Дьяконов И. М., Хаттский (протохеттский) язык., с. 83; Дьяконов И. М., Языки древней Передней Азии, с. 175.

[2] Girbal Ch. Beiträge zur Grammatik des Hattischen. Frankfurt am Main, 1986. S. 160 f.

[3] იქვე, გვ. 161 და შმდ. აქვე უნდა აღინიშნოს რობერტ შმიდტ-ბრანდტის მიერ შენიშნული სათურ-ქართული პარალელები:

სათური	ქართული
alip „სიტყვა, ლაპარაკი“	„ლაპარაკი“
pulasne „პური“	„პური“
zar „ცხვარი“	„ცხვარი“
(a)saḫ „ბოროტი“	„შავი; ბოროტი, ნაღელიანი“
zuwa „ქალი“	„ძუ“ (Waibchen)

ხათურ და ქართველურ ენათა საეარაუდო ლექსიკური პარალელებიდან მკვლევრები (თ. გამყრელიძე, ვ. ივანოვი, გ. გიორგაძე) აღნიშნავენ შემდეგსაც:[1]

ხათური	ქართველური
*šawat „ვაშლი“	„ვაშლი“
*karam „ჭურჭელი“	„ქვევრი“
*win „ღვინო“ (სიტყვაში windukaram „მეღვინეთუხუცესი“)	„ღვინო“
*ureš „მჭედელი“	„ურო“
*(wa)zar „ცხვარი“	„ცხვარი“

ხათურსა და ქართველურ ენებში ლექსიკური პარალელების არსებობა უფრო მეტად შეიძლება აიხსნას როგორც შედეგი ამ ენათა კონტაქტებისა ერთ გარკვეულ რეგიონში.

აქ ვამთავრებთ ძველი ახლო აღმოსავლეთის იმ ძირითადი ეთნოსების არავრცელ დახასიათებას, რომლებთანაც ძვ.წ. III-II ათასწლეულებში სხვადასხვა სახის ურთიერთობები უნდა ჰქონოდათ ქართველურ ტომებს. ამ ეთნოსებს შორის ქართველური ეთნოსი წარმოგვიდგება როგორც ერთ-ერთი დამოუკიდებელი და მყარად ჩამოყალიბებული ეთნიკურ-ენობრივი ერთობა, ცხადია, თავისი დამოუკიდებელი კულტურულ-ისტორიული ტერიტორიით, სხვანაირად შეუძლებელია აიხსნას ძველაღმოსავლურ ენთოსებთან კავშირით გამოვლენილი ფაქტები.

---

wael „სახლი“	„ვანა“ (სახლი)
teḫ „შენება“	„დგ-“ („aufstellen“)
ima „ეს“	„იმ“

იხ. Robert Schmidt-Brandt. Minoisch, Hattisch und Georgisch. „Caucasica“. 5, 2002, S. 100.

[1] Иванов Вяч. Вс. Об отношении хаттского языка..., с. 41, 43 и др.; გიორგაძე გ. ზოგიერთ ძველაღმოსავლურ ენასთან..., გვ. 65 და შმდ.

ამ ურთიერთობათაგან განსაკუთრებითაა აღსანიშნავი ენობრივი კონტაქტები ქართველურ და მთელ რიგ ძველად მოსაველურ ენათა შორის. თუ ამ სახის მონაცემებიდან გამოვალთ, მაშინ შესაძლებელი გახდება მიახლოებით შემოვფარგლოთ გეოგრაფიული გარემო, რომლის საზღვრებშიც უნდა ეცხოვრათ ქართველურ ტომებს გემოაღნიშნულ სანაში.

ქართველური ეთნოსის ტერიტორია სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით აღწევდა, როგორც ჩანს, ხათების (პროტოსეთების) ტერიტორიამდე, ე.ი. პონტოს აღმოსავლეთ რაიონებამდე (ხათების ინდოევროპელ სეთებთან შერევა-შეჯვარედინების შემდეგ კი იგი უშუალოდ უნდა დაკავშირებოდა ხეთების სამეფოს აღმოსავლეთ პერიფერიას). სამხრეთის მიმართულებით ამ ეთნოსის საცხოვრებელი უნდა გაგრძელებულიყო აღმოსავლეთ ანატოლიის ჩრდილოეთ რაიონებამდე და ჩრდილოეთ მესოპოტამიის ჩრდილოეთით მდებარე ოლქებამდე (აქედან ისინი ემეზობლებოდნენ სურიტებსაც). აღმოსავლეთის მიმართულებით ქართველ ტომთა განსახლების ტერიტორია არ დგინდება. რომელ რაიონამდე გრძელდებოდა ქართველური ენთოსის ტერიტორია ჩრდილოეთის მიმართულებით – ჩვენს მიერ განხილული მასალიდან არ ჩანს, მაგრამ საეჭვო არ უნდა იყოს, რომ ქართველურ ტომთა ტერიტორია ჩრდილოეთის მიმართულებით უკავშირდებოდა კავკასიურ სამყაროს.[1] ეს კარგად ჩანს მ. ქურდიანის დაკვირვებებიდანაც: საერთო-ქართველური ფუძე ენის ქრონოლოგიურ დონეზე ვლინდება ლექსიკური პარალელები ნახურ-დაღესტნურ და აფხაზურ-ადიღურ ფუძე-ენებთან. მაგალითად:

საერთო-ქართველური	საერთო-ნახურ-დაღესტნური
*კან „ხვნა“	*კან „თხრა“
*კარ(-აბ) „შეკრება“	*კარ id.

[1] Старостин С. А. Проблема генетического родства и классификации кавказских языков с точки зрения базисной лексики. „Алародин“, Махачкала, 1995, с. 62.

*მ-კარ „მხარი“	*კარ id.
*ჭამ- „ჭამა“	*ჭამ „ღეჭვა“
*უაც- „ჯიხვი“	*უაც „ხარი“
*მახა „ხორბლის ჯიში“	*მაკ „ქერი“
*თეს- „თესვა“	*თას „გადაგდება“
*ძეძ-უ „ეკალი, ქაცვი“	*ძაძ id.
*დედა „დედა“	*დად id.
*ნენა „დედა“	*ნანა id.
*მ-ტუ-ერ „მტერი, მიწა“	*ტუ id.
*გრგუ- „მრგვალი“	*გურგუმ id.
*ფს- „თბილი“	*ფს- id.
*გორ- „გორვა“	*გორ- id.
*წურ- „წურვა“	*წურ- id.
*წუელ „ბზე“//„ჩალის ღერო“	*წულ „ღერო“
*გა- „წელი“//„ცა“	*გაუ- „ცა“//„დღე“
*უაშ-ალ „ვაშლი“	*უაჩ- id.
*შუ „შობა“	*მ(უ) და სხვ.

საერთო-ქართველური	საერთო-აფსაზურ-ადიღური
*დაყუ- „იდაყვი“	*დაღ° (ა)
*ციყუ- „ციყვი“	*ცდღ° (ა) „თაგვი“
*ძეძუ „ეკალი, ქაცვი“	*ძაძ (ა) „სადგისი“
*მწერ „მწერი“	*მ(ა)წ(ა) id.
*(დი)-თხ-ელ „თხელი“	*თხ(ა) id.
*ცალ „ცალი“	*ც(ა) „კბილი“
*მზე „მზე“//„მნათობი“	*მ(ა)ზა „მთვარე“
*ყუ-ით „ყვითელი“	*ღ° (ა) „გამხმარი“//„რუხი“
*წ,უ „წვა“	*წ° და სხვ.

როგორც არ უნდა გადაწყდეს საბოლოოდ ამ ლექსიკური პარალელების კვალიფიკაციის საკითხი, წარმოადგენენ ისინი საერთო-იბერიულ-კავკასიური ფუძე-ენის მემკვიდრეობას თუ შედეგს მრავალათასწლიანი კონტაქტისა ჯერ კიდევ ფუძე-ენათა დონეზე, ერთი რამის მტკიცება ეკვე ახლა შეიძლება: ქართველური ტომების (ქართველების) წინაპრები, ერთის მხრივ, და ნახურ-დაღესტნური თუ აფხაზურ-ადიღური ტომების წინაპრები ერთ დიდ რეგიონში ცხოვრობდნენ და ერთიმანეთთან ინტენსიური ერთიერთობა ჰქონდათ.

ამ ურთიერთობის ხანგრძლივ და უწყვეტ ხასიათზე მეტყველებს იმ მრავალრიცხოვან ნასესხობათა არსებობა, რომელიც დაფიქსირებულია იბერიულ-კავკასიური ენების ოჯახის ისტორიულად დადასტურებული წყვრების ლექსიკაში.*

ყოველივე გემოაღნიშნული მიუთითებს, რომ ქართველური ეთნოსის წარმოშობისა და ჩამოყალიბების ცენტრი ანატოლიის ჩრდილო-აღმოსავლეთითა და აღმოსავლეთით, ისევე როგორც ჩრდილოეთ შუამდინარეთის უშრო ჩრდილოეთით მდებარე ვრცელ რაიონებში, სახელდობრ, სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ ამიერკავკასიაშია მოსათავსებელი. არქეოლოგიურ კულტურათა გავრცელების საზღვრები ეუარღება ქართველურ ენათა მატარებელი ჯგუფის საცხოვრებელ რეგიონს. სწორედ ამ რაიონებიდან ქართველური ტომები ვრცელდებოდნენ ჩრდილო-აღმოსავლეთისა და ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით და ემეზობლებოდნენ ნახურ-დაღესტნურ და აფხაზურ-ადიღური მოდგმის ტომებს.

---

* მასალა წერილობით მომაწოდა პროფ. მ. ქურდიანმა, რისთვისაც მისი დიდი მადლობელი ვარ.

თავი II

ხეთების სამეფოს ჩრდილო-აღმოსავლეთითა და აღმოსავლეთით მცხოვრები ტომები ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში

ხეთების სამეფოს ჩრდილოეთით, ჩრდილო-აღმოსავლეთითა და აღმოსავლეთით მდებარე რაიონები ძველთაგანვე ცნობილი იყო ტომთა სიმრავლით. არაინდოევროპული წარმოშობის ხათების (პროტოხეთების) გარდა, რომელთა შესახებ უკვე ვისაუბრეთ, ამ რაიონებში, კერძოდ, პონტოში და აღმოსავლეთიდან მის მიმდებარე ტერიტორიაზე, მდ. ჰალისის (ხეთ. მარასანთას, იმავე მარასანთიას, თანამ. ყიზილ-ირმაკის) და მდ. ევფრატის ზემო სათავეებში ბინადრობდნენ ასევე არაინდოევროპული წარმომავლობის ტომები. მათ რიცხვს მიეკუთვნებიან ხეთური (ძვ.წ. XVI-XIII სს.) და ასურული (ძვ.წ. XII ს.) ლურსმული ტექსტების ქასქები (ქაშქები), ასურული (ძვ.წ. XII ს.) წარწერების აბეშლაელები ისევე როგორც დაიანელები, მუშქები და სხვანი. როგორც ჩვენ ვვარაუდობთ, არ გამოირიცხება, რომ ყველა ესენი ქართველური წარმოშობის ტომები იყვნენ, თუმცა გამოთქმულია სხვა მოსაზრებაც, რომლის მიხედვით, მაგალითად, ქასქები და აბეშლაელები დასაკავშირებელი არიან ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში მცხოვრებ აფხაზურ-ადიღური წარმოშობის ტომებთან. ხეთების აღმოსავლეთ პერიფერიას ესაზღვრებოდა აგრეთვე ხურიტებითა და, შესაძლოა, სხვა წარმომავლობის ტომებით დასახლებული რაიონები.

ქასქები (ქაშქები)

ოდესღაც ხათებით დასახლებული ტერიტორიის ჩრდილო-აღმოსავლეთში, ე.ი. მოგვიანო ხანის პონტოს აღმოსავლეთ და მის მიმდებარე რაიონებში ხეთების იმპერიის ხანაში (ძვ.წ. XVII-XIII სს.), ცხოვრობდნენ ტომები, ხეთურ (და ასურულ) ლურსმულ ტექსტებში ქასქების (ქაშქების) სახელით რომ იყვნენ ცნობილი.[1]

სახელწოდება. ხეთურ ლურსმულ ტექსტებში ეს ტომები აღინიშნებიან ტერმინით „ქასქა" („ქაშქა"), რომლის დაწერილობა ამ წყაროებში გადმოცემულია სხვადასხვანაირად: „ქაშქა", „ქაშკა", „გაშგა", „კაშკა", „კაშქა" და ა.შ. (ბგერა „შ" წარმოსათქმელია როგორც „ს"). სხვა ძველაღმოსაელურ წერილობით წყაროებში ეს სახელწოდება გადმოცემულია შემდეგნაირად. ეგვიპტურ იეროგლიფურ ტექსტებში: kškš (kaškaš); ელ-ამარნას არქივის ერთ-ერთი ტექსტის მიხედვით gašgaia; შუა ასურული ხანის წყაროებში: kaskaia; ახალ ასურულში: kaska ან kasku; უგარითულ ტექსტებში: ktkym და ა.შ.[2] „ქასქა" ტერმინის სინონიმი ძველაღმოსავლურ წყაროებში, როგორც ცნობილია, არ მოიხსენიება. როგორც ვხედავთ, ზემოაღნიშნულ შემთხვევებში „ქასქა" გამოდის როგორც სხვის მიერ წოდებული სახელი, ე.ი. ფაქტობრივად ის არის ალოეთნონიმი. შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ „ქასქა" იყო აგრეთვე ამ ტომთა თვისახელწოდება (ავტოეთნონიმი), რომელსაც ხმარობდნენ ქასქების მეზობელი თუ არამეზობელი ხალხები. აქვე აღვნიშნავთ, რომ სიტყვა „ქასქას" ეტიმოლო-

---

[1] ქასქების ტომებთან დაკავშირებით იხ. Гиоргадзе Г. Г. К вопросу о локализации и языковой структуре каскских этнических и географических названий. „Переднеазиатский сборник", I, М., 1961, с. 161 и слл.: E. von Schuler. Kaškäer. Berlin, 1965.

[2] E. von Schuler. Op. cit., S. 56, Anm. 394, S. 84 ff; გიორგაძე გ. ხეთური და ასურული ლურსმული ტექსტების ქასქების (ქაშქების) და აბეშლაელების ეთნიკური წარმომავლობისათვის. ახალციხე, 2000, გვ. 9 და შმდ.

გია უცნობია, იგი თავისი ფორმით ახლოსაა სათ·ურ სიტყვასთან „ქასქ·უ“ („ქაშქუ“), რაც „მთვარის“ აღმნიშვნელია.[1]

სახელწოდება „ქასქა“ ავლენს ბგერით სიახლოვეს ჩერქეზი (ადიღე) ხალხის აღმნიშვნელ სახელწოდებასთან, ე.ი. „ქაშაგ“-თან, რომელიც გადმოცემულია შუა საუკუნეების დროინდელ წყაროებში შემდეგი ფორმებით: „ქასასია“ (ბიზანტიელ ავტორებთან, ეპიფანიოსთან – VIII-IX საუკუნეებში; კონსტანტინე პორფიროგენეტთან – X ს.), „ქაშაგ“, „ქაშაქია“ (არაბულ წყაროებში, მასუდისთან – X ს.), „კასოგი“ (ძველ რუს·ულ ტექსტებში: „Повесть временных лет“ – XII ს-ის მეორე ნახევარი), „ქაშოგი“, „ქეშიგი“ (ძველ ქართ·ულ წყაროებში: „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ – XIII ს. აქვე შევნიშნავთ, რომ სიტყვა „ქაშაგი“ საბასთან განმარტებ·ულია როგორც „მოგრდილი ტყვე“, ხოლო ფანასკერტელთან სიტყვა „ქაშქი“ – როგორც „წუენი ქერის კორკოტისა“ – გამოიყენებოდა ლ·უდის აღსანიშნავადაც) და ა.შ.[2] ფილოლოგი·ური თვალსაზრისით გარეგანი მსგავსება ხეთური წყაროების „ქასქა/ქაშქა“ ტერმინისა შუა საუკუნეების დროინდელ „ქაშაგ“ სახელწოდებასთან, რასაკვირველია, სავსებით დასაშვებია, მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის დიდი წყვეტილია სივრცესა (დაახლ. 2000 კმ.) და დროში (მინიმ·უმ 20 საუკ·უნე). სახელთა ამ მსგავსებაზეა აგებული ფართოდ გავრცელებ·ული მოსაზრება სეთ·ური წყაროების ქასქების გაიგივებისა ჩერქეზ·ულ (ადიღ·ურ) ტომებთან – შაქაგებთან. მაგრამ საკითხავია, რამდენად მართებულია აღნიშნულ ტომთა იგივეობის გამოცხადება „ქასქა/-ქაშქა“ და „ქაშაგ“ ტერმინთა სავარაუდო იდენტურობაზე დაყრდნობით? მიგვაჩნია, რომ ეს ერთადერთი ფაქტი არ ·უნდა იყოს გადამწყვეტი არგუმენტი ქასქებისა და ჩერქეზების რეალური იგივეობის დასადგენად. სრულიადაც არ არის გამორიცხული, რომ ამ ტერმინთა მსგავსება შემთხვევითია.[3] სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე მიაქციეს ყ·ურადღება იმ

---

[1] Гиоргадзе Г. Г. დასახ. ნაშრ., გვ. 199; Волкова Н. В. Этнонимы и племенные названия Северного Кавказа. М., 1973, с. 19 и сл.; с. 22 и прим. 9.

[2] გიორგაძე გ. დასახ. ნაშრ., გვ. 13 და შმდ.

[3] გიორგაძე გ. დასახ. ნაშრ., გვ. 14.

ფაქტს, რომ ხეთური წყაროების „ქასქა“ ტერმინი მსგავსია ან იდენტურია სხვადასხვა ეპოქის იმ ტომთა (და ხალხთა) სახელწოდებებისა, რომლებიც ცხოვრობდნენ ან ახლაც ცხოვრობენ მსოფლიოს სულ სხვადასხვა მხარეში, მაგალითად, აფრიკაში (კამერუნში – ტომი „ქასქა“), ევროპაში (ლათ. Casca), აზიაში (ინდოეთში მცხოვრები ტომები „გაშქა“), თვით მოგვიანო ხანების მცირე აზიაში: „ბოლეგასგუს“ (ანკარის ჩრდილოეთით), „ქესქოის“ (პამფილიაში) და ა.შ.[1]

მაგალითები, რომელთა მისედვითაც ფორმით ერთი და იგივე ტერმინი ისმარება სულ სხვადასხვა წარმოშობის სალსთა აღსანიშნავად, მრავლადაა შემორჩენილი: მაგალითად, ბერძნულ-რომაული სამყაროსთვის უცხო არ იყო სრულიად განსხვავებული სალსების ერთი და იმავე სახელწოდებით მოხსენიება. ესენია: საბერძნეთის ***აქაიები*** და შავიზღვისპირეთის ***აქაიები,*** ლიბიის ***მახლიები*** და მეოტიდის ***მახლიები,*** ალბანეთის მთის მცხოვრებნი ან თესალიელი ***ალბანები*** და კავკასიაში მოსახლე ***ალბანები,*** პირენეის ნახევარკუნძულის ***იბერები*** და ქართველი ***იბერები*** და სხვანი.[2]

თუკი დავუშვებთ, რომ ხეთური ლურსმული ტექსტების „ქასქა/ქაშქა“ და შუა საუკუნეების დროინდელ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიურ „ქაშაგ“ ტერმინთა მსგავსება შეიძლება იყო შემთხვევითი, მაშინ ამ შემთხვევითობის არგუმენტად ხომ არ გამოდგება ვარაუდი, რომლის თანახმადაც ჩრდილო–დასავლეთ კავკასიაში გავრცელებული „ქაშაგ“ ეთნონიმი განეკუთვნებოდეს იმ -გ- სუფიქსით ნაწარმოებ ადგილობრივ ეთნონიმებს, როგორიცაა „სანიგ“, „პაჭანიგ“, „აბაზგ“ და სხვანი. ამ ეთნონიმებში -გ- სუფიქსი ხომ არ შეიძლება ადგილობრივი წარმომავლობის იყოს? ამ სუფიქსიანი ტოპონიმები მრავლადაა შემორჩენილი ოსურშიც: „თუალლაგ“ – „თუა-

---

[1] E. von Schuler. Op. cit., S. 88-89, Anm. 32-36.

[2] ვაშაკიძე ვ. ტერმინები „იბერია“ და „იბერები“ ანტიკურ წყაროებში. „საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია“. თბ., 1993, გვ. 58.

ლელი", „კუდაირაგ" – „კუდაროელი", „ჯაუკომაგ" – „ჯავისხეველი" და სხვა მრავალი.[1]

ამგვარად, „ქაშქა" და „ქაშაგ" სახელთა გარეგანი მსგავსების გარდა სხვა სახის კავშირი ქასქებსა და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში მცხოვრებ ტომთა შორის ჯერჯერობით არ გამოვლენილა. ამიტომ, მოსაზრება ქასქების გენეტიკური კავშირისა აფხაზურ-ადიღურ ტომებთან, როგორც ეს იყარაულება დღესაც,[2] არადამაჯერებელია, მით უმეტეს, რომ ქასქები განსახილველი არიან როგორც მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონების (პონტოსა და მისი მომიჯნავე ოლქების) ავტოქთონური მოსახლეობა: არავითარი დამადასტურებელი მასალა ხეთურ ხანაში შორეული რაიონებიდან ქასქების ტომთა გადასახლება-გადმოსახლებისა არ არსებობს.

ყოველივე ზემოთქმულს მიეყავართ იქეთკენ, რომ ვივარაუდოთ ქასქების ტომთა გენეტიკური სიახლოვე სხვა წარმოშობის ტომებთან, რაზედაც ქვემოთ შეეჩერდებით.

ქასქების ტომთა განსახლებისათვის. ქასქების განსახლების ტერიტორია რომ ხეთების სამეფოს ჩრდილოეთითა და ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიას მოიცავდა, ამაში დიდი სანია ეჭვი აღარავის ეპარება.[3] მაგრამ ხეთური გეოგრაფიის შესწავლის თანამედროვე დონეზეც კი არ ხერხდება ქასქების, ისევე როგორც ხეთების მრავალ გეოგრაფიულ პუნქტთა ზუსტი ლოკალიზება საიმედო საყრდენი წერტილების უქონლობის გამო. ბოლო ხანებში წარმოებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა ხეთების სამეფოს ცენტრალურ რაიონებში, რომლებიც მდებარეობდნენ თურქეთის თანამედროვე დასახლებების – მაშათ-ჰუიუქის (ქ. ბილეს სამხრეთ-აღმოსავლეთით),[4] ორთაქოისა (ქ. ჩორუმის სამხრეთ-აღმოსავ-

---

[1] ითონიშვილი ეახ. ქართულ-ოსური ურთიერთობათა ისტორიიდან, თბ., 1995, გვ. 67 შმდ.

[2] История древнего Востока. II. М., 1988, с. 107. 119; История Абхазии. Сухуми, 1991, с. 10.

[3] Гиоргадзе Г. Г. Ук. соч., с. 162.

[4] Alp S. Die hethitische Tontafelentdeckungen auf dem Maşat-Höyök. Vorläufiger Bericht. „Belleten", 44, № 173, 1980, S. 25 ff.; მისივე, Hethitische Briefe aus Maşat-Höyök. Ankara, 1991.

ლეთით)[1] და ქუშაქლის (ქ. ამასიასთან)[2] აღგილას, გამოაქვეყნა ახალი ლურსმული წარწერები ხეთურ ენაზე. ეს ტექსტები შესაძლებლობას იძლევა გუსტად განისაზღვროს რამდენიმე ხეთური გეოგრაფიული პუნქტის აღგილმდებარეობა. ასე, მაგალითად, მაშათ-ჰუიუქში უნდა ყოფილიყო ხეთური დასახლება ***თაფიგა,*** ორთაქოიში – ***საფინუვა,*** სოლო ქუშაქლიში – ***სარისა.*** ამ ხეთური ტექსტების, განსაკუთრებით, მაშათ-ჰუიუქის წარწერების სხვადასხვა მონაცემთა გათვალისწინებით, რომელთა მისედვით ქასქები თაფიგას მეზობელ რაიონებში ცხოერობდნენ, შეიძლება იმ დასკვნის გამოტანა, რომ სწორედ ამ სამი დასახლების ჩრდილოეთით და აღმოსაელეთით მდებარე ტერიტორიაზე უნდა ყოფილიყო ქასქების სასაზღერო რაიონები, რომელთა ჩრდილოეთით და აღმოსაელეთით ქასქების ტერიტორია იქნებოდა გადაჭიმული და აღმოსაელეთის მიმართულებით იგი საკმაოდ შორს გაგრძელდებოდა.

ხეთებისა და ქასქების სასაზღერო ზონასთან (ან მის რომელიღაც დიდ მონაკეეთთან) დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს ხეთების მეფის არნუვანდასა და დედოფალ ასმუნიქალის სახელით შედგენილი ერთი „ლოცეის" ტექსტი, რომელიც ქასქებთან დაკავშირებითაა შედგენილი. „ლოცეაში" ჩამოთელილია პუნქტები (დასახლებები), რომლებსაც სშირად ქასქები ესხმოდნენ თავს და, მდიდარი ნადაელით დატვირთული, უკან ბრუნდებოდნენ.[3] აშკარაა, რომ ტექსტში ჩამოთელილია პუნქტები, რომელთა რიცხვი 18-ია, წარმოადგენდნენ ქასქებისა და ხეთების სასაზღვრო რაიონებს, რომლებსაც ქასქები სშირად აოხრებდნენ. ეს პუნქტებია: ნერიქი, სურსამა, ქასთამა, სარისა (სირისა), ხიმუვა, თაგასთა, ქამამა, ცალფუვა, ქაფირუხა, ხურნა, დანქუსნა, თაფასავა, თარუქა, ილალუხა, ციხანა, საფიდუვა (სიფიდუვა), ვასხაია და ფათალია, რომელთა აღგილმდებარეობა, სამწუხაროდ, უცნობია. სწორედ ამ პუნქტების ჩრდილოეთით და აღმოსაელეთით გადაჭიმული უნდა ყო-

---

[1] Süel A. Ortaköy: Eine hethitische Stadt mit hethitischen und hurritischen Tontafelentdeckungen. „Festschrift für S. Alp", Ankara, 1992, S. 487 ff.

[2] Wilhelm G. Kuşakli-Sarissa. B. 1. Keilschrifttexte aus Gebäude A. Rahden, 1997.

[3] E. von Schuler. Op. cit., S. 152 f.

ფილიყო ქასქების საცხოვრებელი ტერიტორია, რომელიც „ზემო ქვეყანასაც“ ემეზობლებოდა.

ცნობილია, რომ ჩამოთვლილ პუნქტებთან ტერიტორიულად დაკავშირებული იყო ქასქების ესა თუ ის დასახლებანი. ასე, მაგალითად, ხეთების ერთ-ერთ დიდ რელიგიურ ცენტრთან – ნერიქთან ახლოს ბინადრობდნენ ქასქები ქასქამას, ისთსარას, თიმუხალას, ქაცაფას, თანიცილას, სახსანას, სათენცუვას დასახლებებისა. სადღაც ნერიქის მსარეში მდებარე სურნასთან დასაკავშირებელია ისეთი გეოგრაფიული პუნქტები ქასქებისა, როგორიცაა თასმასა, თანიცილა, ციხანა და სხვ.[1] მაგრამ ჩვენთვის უცნობია, სად მდებარეობდნენ ქასქების „მთავარი დასახლებანი“ – ხალილა და დუდუსქა, სად ბინადრობდნენ ქასქები ისხუფითადან, დაისთიფასადან, ფისხურუდან (შესაძლოა, ეს პუნქტები თაფიგას, თანამ. მაშათ-ჰუიუქის, რაიონის მეზობლად მდებარეობდნენ, რადგან ისხუფითა სწორედ მაშათ-ჰუიუქის ერთ ტექსტშია მოხსენიებული). ქასქების ტერიტორიის სამსრეთი რაიონი მოიცავდა იასრესას და ფიგაიანარესას, რომლებიც ხეთური წყაროების თეგარამას (მოგვიანო სანების თილ-გარიმუს, თოგარმას, თანამ. გიურუნის) ჩრდილოეთით მდებარეობდნენ (KBo IV 4 III 19-28).[2]

ქასქების საცხოვრებელი ტერიტორია აღმოსავლეთი მიმართულებით საკმაოდ შორს, როგორც ჩანს, თანამ. ერგინჯანამდე (ან უფრო აღმოსავლეთით) გრძელდებოდა. სწორედ ამ რაიონთანაა საძებნი ქასქების ტომთა ერთ-ერთი ცნობილი გაერთიანება – თიფიას ქვეყანა, რომელიც ხეთურ წყაროებში „ზემო ქვეყანას“ უკავშირდება. აღსანიშნავია, რომ ერთი ხეთური ტექსტის მონაცემების მიხედვით, „ზემო ქვეყანა“, სადაც ნადირობდა ხეთების რომელიღაც მეფე, ტერიტორიულად ასლოს უნდა ყოფილიყო მდ. ევფრატთან, ხეთური წყაროების მალასთან.[3] ამავე ტექსტის თანახმად, ხეთების იგივე მეფე ნა-

---

[1] დაწვრილებით იხ. Гиоргадзе Г. Г. Ук. соч., с. 164 слл.

[2] იქვე, გვ. 169; Jakar J. Beyond the Eastern Borders of the Hittite Empire: An Archaeological Assessment. „Festschrift für S. Alp“. Ankara, 1992, S. 507 ff.

[3] Houwink ten Cate Ph. H. J. The Records of the Early Hittite Empire (c. 1450-1380 B. C.). Istanbul, 1970, p. 75 f.

დირობდა აგრეთვე ქასქების ქვეყანაში (მის „მთებსა და მდინარეებში", რაც გულისხმობს, რომ ეს ქვეყანა მთიანი იყო). კიდევ ერთი ხეთური ტექსტის მონაცემებით, აღმოსაველელმა ქასქებმა დაანგრიეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი, მათ შორის ფითიარიგა, რომელიც მცირე აზიის აღმოსავლეთ პერიფერიაზე მდებარეობდა. თიფიასთანაა საძებნი დასახლებანი ცაცისა, ისთითინა, ქანუვარა.

ხეთურ წყაროებში დასტურდება თიფიას ტერიტორიული კავშირი აცი-ხაიასასთანაც.[1] სავარაუდოა, რომ აცი-ხაიასა იყო თიფიას მეზობელი თუ არა, მასთან ახლოს მდებარე ქვეყანა. მკვლევართა დიდი ნაწილი აცი-ხაიასას ათავსებს მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში, მდ. ყარა-სუს მიდამოებში. ასე რომ, აცი-ხაიასას დასავლეთით გადაჭიმული იყო ქასქების ტერიტორია, რომელიც აღწევდა მდ. ჰალისის (ყიზილ-ირმაკის) ქვემო დინებამდე, დაახლოებით, თანამ. ბაფრასთან მდებარე ცალფას (ცალფუვას) ქვეყნამდე და არნუვანდასა და ასმუნიქალის ბემონახსენებ ლოცვაში ფიგურირებს როგორც ქასქების თავდასხმების ერთ-ერთი ობიექტი (ცალფას ქვეყანა შავი ზღვის სანაპიროზე მდებარეობდა. სწორედ ამიტომ ამ ზღვას ხეთები „ცალფას/ცალფუვას ზღვას" უწოდებდნენ).[2]

ქასქების ტერიტორიის ჩრდილოეთი ნაწილი, როგორც ჩანს, შავ ზღვას ესაზღვრებოდა. სწორედ ამ ნაწილშია საძებნი ქასქების მდინარე ქუმესმახა, რომელიც, შესაძლოა, თანამ. კელკიტ-ირმაკი იყოს. სავსებით დასაშვებია, რომ ქასქების ტერიტორია მოიცავდა თანამ. ორდუს, გირესუნის, ტრაბზონის, ბაიბურთის რაიონებს. არ არის გამორიცხული ქასქების კავშირი მდ. ჭოროხისა და მდ. ევფრატის სათავეებში მდებარე მხარესთანაც. ხეთური გეოგრაფიის პრობლემათა მომავალმა კვლევა-ძიებამ, შესაძლოა, გაამართლოს ასეთი ვარაუდები ქასქების ტერიტორიის გაერცელების საკითხთან დაკავშირებით.

---

[1] Гиоргадзе Г. Г. Ук. соч., с. 164 сл.

[2] გიორგაძე გ. ათასი ღვთაების ქვეყანა. თბ., 1988, გვ. 44.

დასავლეთის მიმართულებით ქასქების რაიონების ძებნა მდ. ჰალისის ქვემო დინების დასავლეთით მდებარე მხარეში არ უნდა იყოს გამართლებული. მართალია, მკვლევართა ნაწილი არ იზიარებს ასეთ მოსაზრებას იმის გამო, რომ ხეთური წყაროების ქვეყნები ფალა და თუმანა, რომლებთანაც დაკავშირებული იყო ქასქების ცალკეული დასახლებანი (დურმითა და სხვ.), თითქოს სწორედ მდ. ჰალისის ქვემო დინები დასავლეთით, პაფლაგონიაში, მდებარეობდა. მაგრამ ხეთური წყაროების სხვა მონაცემები ასეთ დასკვნას მხარს არ უჭერს.[1] ასევე არ არის გამართლებული ქასქების ტერიტორიის ნაწილის ძებნა მდ. ჰალისსა და ეგეოსის ზღვას შორის მოთავსებულ უზარმაზარ ტერიტორიაზე, რაც ეწინააღმდეგება ხეთური ტექსტების მთელ რიგ მონაცემებს.

მოკლე ისტორიული ცნობები. ქასქები მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ მცირე აზიის ისტორიაში ხეთების „ძველი სამეფოს“ დროიდან (დაახლ. ძვ.წ. 1650-1500 წწ.). ხეთების მეფეთა – ლაბარნას, ხათუსილი I-ისა და მურსილი I-ის დროს ხეთები ლაშქრაედნენ ქასქების ტერიტორიას, ღრმად იჭრებოდნენ რა ქასქებით დასახლებულ რაიონებში. უკვე ამ დროისათვის ქასქები თიფიას, ფარდუვათას, თაქუმითას, თაფაფანუვას და ხათენცუვას დასახლებებისა გამოდიან ისტორიულ ასპარეზზე, იქმნება პირველი დიდი სატომო კავშირები, რომლებიც გარკვეულ წარმატებებსაც აღწევენ ხეთებთან ბრძოლაში. ხანთილი I-ის მეფობის დროს, როდესაც „ძველი სამეფოს“ ხანაში ხეთები დასუსტდნენ, ქასქები იწყებენ ხეთებზე თავდასხმებს, აოხრებდნენ რა მეზობელ რაიონებს, მაგრამ მალე ქასქების ტომთა კავშირები სუსტდება და იშლება, თუმცა მომდევნო პერიოდში ისინი ხეთებისათვის კვლავ საშიში ძალა ხდებიან, ხეთები მათ ვეღარ უმკლავდებიან: ქასქებმა დაარბიეს ხათუსას აღმოსავლეთით მდებარე რაიონები, ხელთ იგდეს მათი ნაწილი და საბღვრად ქ. ნენასა ქმნეს (ამ

[1] Гиоргадзе Г. Г. К локализации хеттских областей Pala и Tūmanna. „Вестник древней истории“, 1960, № 1, с. 74 и слл.

პუნქტის აღგილმდებარეობა უცნობია). ისინი ზოგჯერ უშუალოდ ხათუსასაც საფრთხეს უქმნიდნენ.[1]

ხეთების „ახალი სამეფოს“ ძლიერების ხანაში (ძვ.წ. 1400-1200) ქასქებთან ბრძოლას სისტემატიური სასიათი ჰქონდა. ეს გამოწვეული იყო როგორც ქასქების ხშირი თაედასხმებით ხეთების ტერიტორიაზე, ასევე თვით ხეთების საგარეო დაპყრობითი პოლიტიკით. მეფე თუთხალიამ ახალგაზრდა სუფილულიუმასთან (მომავალ სუფილულიუმა I) ერთად არაერთხელ ილაშქრა ქასქების, კერძოდ, ციხარიას, ქათხარიას, გაცაფასა და სხვა ტომთა წინააღმდეგ. სუფილულიუმა I-მა არაერთი სამხედრო ოპერაცია მოაწყო ქასქების მსარეში, მაგრამ ქასქების დამორჩილება მაინც ვერ მოახერხა. მისი მეფობის ბოლო წლებში ხეთებმა კელავ დაკარგეს აღრე დაპყრობილი ქასქების დასახლებული პუნქტები. როგორც ჩანს, ამ დროისათვის ქასქები ძალზედ გააქტიურდნენ, შექმნეს რა ახალი გაერთიანებები.

მურსილი II-ის დროს (დაახლ. ძვ.წ. 1345-1315) ხეთები ხშირად აწყობდნენ ლაშქრობებს ქასქების ქვეყნის ისეთ პუნქტებში, როგორიც იყვნენ დურმითა, ისხუფითა, ფისხურუ, ფალხუისა, ქაფუფა, თაგასთა და სხვანი. მურსილიმ ერთგვარად მოახერხა ქასქების დაწყნარება, შეძლებისამებრ შეავიწროვა რა ისინი. მაგრამ ამ მეფის გარდაცვალების შემდეგ ქასქებმა ახალი ძალით შეუტიეს ხეთებს და დიდი გარალიც მიაყენეს მათ.

მომდევნო ხანებში ქასქებთან ბრძოლები არ შენელებულა, თუმცა ისინი არც დიდი მასშტაბით ხორციელდებოდა. ხეთების მეფეს – მუვათალის ქასქების რაზმები გამოუყენებია ეგვიპტელთა წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელიც კადეშთან გაიმართა. აღრეული ხანებიდანვე ქასქები ცნობილი იყვნენ როგორც კარგი მეომრები, რაც დასტურდება ფარაონ ამენხოტეპ III-ის მიერ არცავას (მცირე აზიის სამხრეთით მდებარე ქვეყნის) მეფისადმი გაგზავნილი წერილითაც, რომელშიც ფარაონი ითხოვს მისთვის ქასქების რაზმების მიწოდებას.

---

[1] Гиоргадзе Г. Г. К вопросу о локализации... С. 194 сл.

ქასქების შემოსევები, როგორც ჩანს, გრძელდებოდა ხათუსილი III-ის დროსაც (დაახლ. ძვ.წ. 1289-1265), თუმცა ამ მეფის გარდაცვალების შემდეგ ხეთები ვეღარ ახერხებდნენ ქასქების წინააღმდეგ დიდი დამსჯელი ექსპედიციების გაგზავნას ქასქების ქვეყანაში.

ძვ.წ. XIII ს-ის ბოლოს, როდესაც მცირე აზიის დასაელეთიდან ხეთებს თავს დაესხნენ „ზღვის ხალხები" (ეგეოსის სამყაროდან), რომლებმაც მიწასთან გაასწორეს ოდესღაც მრისხანე ხათი, ქასქებსაც უნდა შეეტიათ ხეთებისათვის. ამის შემდეგ ქასქების ტომთა ნაწილი ახერხებს უფრო სამხრეთით მდებარე რაიონებისაკენ გაერცელებას, როგორც ვარაუდობენ, მალატიის (სეთური. წყაროების მალდიას) რაიონამდე, სადაც ქასქებმა შექმნეს, მოგვიანო ხანის ასურული წყაროების თანახმად, თავიანთი პატარა სამეფოც.[1]

ხეთების ხელშეკრულებები ქასქებთან. ქასქების სისტემატიური თავდასხმებისაგან თავის დაღწევის მიზნით, ხეთები ცდილობდნენ ქასქებთან საერთო ენა გამოენახათ, დებდნენ რა მათთან საზავო ხელშეკრულებებს, რომელთა ნაწილმა ჩვენამდეც მოაღწია. ხელშეკრულება ემყარებოდა პრინციპს: „ვინც „მზის" (ე.ი. ხეთების მეფის) მტერია – იგი თქვენი (ე.ი. მოკავშირე ქასქების) მტერია, ხოლო ვინც „მზის" მეგობარია, ის თქვენი (ე.ი. ქასქების) მეგობარია". მიუხედავად ამისა, ხელშეკრულებაში წარმოდგენილი იყო ხეთებთან დამოკიდებულების მთელი სისტემა, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ ვასალური. მასში ბოგჯერ საუბარია როგორც ცალმხრივ ვალდებულებებზე, განსაკუთრებით, ქასქების მხრივ, ასევე ორმხრივ ვალდებულებებზე, რომელთაგან აღსანიშნავია შემდეგი:

ხეთების მტრის გამოჩენისთანავე ქასქებს მისთვის წინააღმდეგობა უნდა გაეწიათ და თავდაპირველად „ოლქის მმართველისათვის", ხოლო შემდეგ ხეთების მეფისათვის უნდა შეეტყობინებიათ. ბოგიერთ ხელშეკრულებაში დასმული

---

[1] ქასქების ისტორიასთან დაკავშირებით დაწვრილებით იხ. E. von Schuler. Op. cit., 19 ff.; Гиоргадзе Г. Г. К вопросу о локализации.... с. 161 слл.; მისივე. Из истории племен, проживавших к северу и северо-востоку от Хеттского государства (Кашки). Тб., 1956, с. 11 слл.

იყო საკითხი ლტოლვილთა (გაქცეულთა) შესახებ. რიგ შემთხვევაში ხელშეკრულებებში საუბარია ორმხრივ ვალდებულებაზე. თუკი ვინმე სეთების მეფეს შეურაცხყოფდა და ქასქების ქვეყანაში გაიქცეოდა, ქასქებს იგი უნდა შეეპყროთ და უკან დაებრუნებინათ. ხელშეკრულების დადებისას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა იმ ურთიერთმოვალეობათა დადგენას, რომელიც მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელს ესებოდა. ხელშეკრულებათა არაერთი მუხლი ეძღვნება მტრის უეცარი გამოჩენისას ურთიერთდახმარების აღმოჩენას, თუმცა ეს დახმარება ძირითადად ქასქებს ევალებოდათ. ყურადღებას იქცევს საკითხი ხეთების ლაშქრის შემადგენლობაში ქასქების დამხმარე რაზმების გამოგზავნისა და ომში მონაწილეობის შესახებ.

ქასქებს დამხმარე რაზმები „მზის" გამოძახებისთანავე უნდა მიეწოდებინათ იმ რაოდენობით, რაც ხელშეკრულებით იყო განსაზღვრული, თანაც დამხმარე რაზმები შედგენილი უნდა ყოფილიყო მხოლოდ თავისუფალი წარმოშობის მებრძოლებისაგან. მეომართა რაოდენობის განსაზღვრა დამოკიდებული იყო დასახლებაში მცხოვრებ ადამიანთა რიცხვზე. ერთი ტექსტის მიხედვით, სხვადასხვა დასახლებებიდან ქასქებს უნდა გაეგზავნათ „სულ 6035 მეომარი".

ქასქებთან დადებულ ხელშეკრულებათაგან (შემორჩენილია ბოგაზქოის მათგანის მხოლოდ ფრაგმენტები) თავისი ფორმითა და შინაარსით გამოირჩევა ხელშეკრულება, რომელიც ხათუსილი III-ს დაუდვია ქალაქ თელიურასთან და მის ირგვლივ მდებარე დასახლებათა „კაცებთან", „ხათის კაცებთან" და „ქასქას კაცებთან". ხელშეკრულება დადებულია სამ მხარეს შორის (თილიურა – ხათი – ქასქა), მაგრამ ტექსტში ძირითადად ქასქების მოვალეობებზეა საუბარი. ხელშეკრულებაში ქასქებისადმი შემდეგი პირობებია წამოყენებული: შეიარაღებული ქვეითი ან ეტლოსანი ქასქელი ქალაქში (თელიურაში) არ უნდა შესულიყო, იმ შემთხვევაში, თუკი ქასქელი თელიურაში მცხოვრებ ქალს ითხოვდა, მათ ქალაქი უნდა დაეტოვებინათ. თუკი ამ ქალაქში რომელიმე ქასქელი ღამეს გაათევდა, იგი დილეგში უნდა ჩაეგდოთ, შემდეგ კი დაეჯარიმებინათ (ხა-

რებითა და ცხვრებით), თუ იგი რაიმე დანაშაულს ჩაიდენდა, ასეთი ქასქელი უნდა მოესპოთ. აკრძალული იყო ქასქელი მონა კაცისა და მონა ქალის ყიდვა. ხეთ მწყემსებს ან მიწის დამმუშავებელებს ქასქებისათვის არ უნდა მიემართათ, ვინც მიმართავდა, მას შეიპყრობდნენ, როგორც დამნაშავეს და ა.შ.

ამ ხელშეკრულებაში ყურადღებას იქცევს ქასქების მიმართ ხეთების დამოკიდებულება, რომელიც სხვა ხელშეკრულებაში არ შეინიშნება. ქასქებისადმი განსაკუთრებული სიმკაცრეა გამოჩენილი, იქმნება შთაბეჭდილება, რომ თელიურასთან ახლოს მცხოვრებ ქასქებს რაღაც მიზეზით საკმაოდ მკაცრად ეპყრობოდნენ. არ არის გამორიცხული, რომ ამ ქასქებში ხათუსილის დროს გავრცელებული ყოფილიყო რაღაც ავადმყოფობა, შესაძლოა, შავი ჭირი, რომელიც ეგვიპტესთან ომის შემდეგ სირიიდან უნდა შემოეტანათ ხეთების ლაშქარში მყოფ ქასქებს (მუვათალის მეფობის დროს).[1]

ქასქების სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრება. როგორც ცნობილია, ქასქების ტერიტორია მოწყვეტილი იყო დიდ ძველაღმოსავლურ კულტურულ ცენტრებს (რასაკვირველია, ხეთების გარდა). ქასქების ტერიტორიაზე არ გადიოდა დიდი სავაჭრო საგრანსპორტო გზები (თვითონ ქასქების ტერიტორია კი მოფენილი იყო ადგილობრივი გზებით), რასაც გარკვეული გავლენა უნდა მოეხდინა ქასქების საზოგადოებრივ განვითარებაზე. ქასქებში მიღებული არ იყო (როგორც ამას გვამცნობს მურსილი II-ის ანალების ერთი ადგილი) „ერთი კაცის ბატონობა" (ე.ი. მეფობა). თუმცა ისინი იწყებდნენ ასეთ „ბატონობაზე" გადასვლას. მოსახლეობის სიმჭიდროვე საკმაოდ მაღალი უნდა ყოფილიყო: ქასქების უზარმაზარი ტერიტორია დაკავებული იყო მათი მრავალრიცხოვანი დასახლებებით.

ქასქების სამეურნეო ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა მესაქონლეობას, წვრილი და მსხვილი რქოსანი საქონლის მოშენებას, თუმცა ქასქები ღორებსაც აშენებდნენ. ისინი მიწათმოქმედებითაც უნდა ყოფილიყვნენ დაკავებული.

---

[1] გიორგაძე გ. ხეთებსა და ქასქებს შორის დადებული ხელშეკრულებები (ზოგადი მიმოხილვა). „ქართული დიპლომატია", I, თბ., 1994, გვ. 30 შმდ.

ხეთური ტექსტების ზოგიერთი მონაცემის მიხედვით, მათთვის ცნობილი უნდა ყოფილიყო ვაზის მოშენება (თაქუვახინას, თასანთათიფას, მდ. ქუმესმახას ქვეყნის ქასქებში). მათ უნდა სცოდნოდათ სელით რთვის საქმეც და ა.შ.[1] მიუხედავად ამისა, ისინი არ ერიდებოდნენ მეზობელი ხეთების ტერიტორიების აოხრებას. ეს კარგად ჩანს, არნუვანდა და ასმუნიქალის მიერ შედგენილი ზემონახსენები „ლოცვიდანაც". ამ ტექსტის თანასმად, ქასქები ანგრევდნენ და ძარცვავდნენ ხეთურ ტაძრებს განსაკუთრებით იმ დასახლებებში, რომლებიც მდებარეობდნენ სასაზღვრო ზონაში (მათი ჩამოთვლა იხ. ზემოთ), მიჰქონდათ და იყოფდნენ ტაძრების დიდ სიმდიდრეს: ოქროს, ვერცხლსა და მათგან დამზადებულ ნივთებს, სპილენძისა და ბრინჯაოს ჭურჭლებს, ქსოვილებს. ისინი იმონებდნენ და იყოფდნენ ტაძრების მომსახურე პერსონალს, იტაცებდნენ და მიერეკებოდნენ მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელს, ეპატრონებოდნენ საძოვრებს, იღებდნენ მოსავალს (ეს კარგად ჩანს მაშათ-ჰუიუქში აღმოჩენილი ერთი ტექსტიდანაც). ტაძრების დაცარიელების გამო მოსახლეობას ვეღარ შეჰქონდა ყოველდღიური, ყოველთვიური და ყოველწლიური შესაწირი. იყო შემთხვევები, როცა ქასქები იპყრობდნენ ხეთების ერთერთ დიდ რელიგიურ ცენტრს – ქ. ნერიქს, ბოგჟერ ქასქების შემოსევები ხეთების დედაქალაქამდეც აღწეულა. ყოველივე ამის გამო, ხეთები იძულებული ხდებოდნენ ქასქებისათვის საჩუქრებიც ეძლიათ ისე, რომ მათ ფიცს აღებინებდნენ, ხეთების ტერიტორია აღარ დაერბიათ. მაგრამ ამაოდ, საჩუქრების მიღების შემდეგ ისინი ფიცს ტეხდნენ და ხეთებს კვლავ უტევდნენ. სწორედ ასეთი ვითარება აიძულებდა ხეთებს, ქასქებთან საერთო ენა გამოენახათ – მათთან ხელშეკრულებები დაედოთ.

ქასქური ენის საკითხისათვის. ხეთურ ლურსმულ წყაროებში ქასქური ენის შესახებ არაფერია ნათქვამი, მაგრამ ბუნებრივია ვივარაუდოთ, რომ ქასქური ტოპონიმების თუ ონომასტიკონის სახელწოდებები, ისევე როგორც ცალკეული სიტყვე-

[1] დაწვრილებით Гиоргадзе Г. Г. Из истории племен..., с. 14 сл.

ბი (მათ შესახებ იხ. ქვემოთ), ქასქური ლექსიკური ფონდიდანაა აღებული. რასაკვირველია, ეს არ არის საკმარისი იმისათვის, რომ განისაზღვროს ქასქური ენის ბუნება, რაც არ ხერხდება ქასქებთან დაკავშირებული მთელი მასალის ანალიზითაც. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული ერთ-ერთი ვარაუდის თანახმად, ქასქების ენა დასაკავშირებელია ხათურ (პროტოხეთურ) ენასთან. მაგრამ მთელ ხეთურ ლურსმულ არქივში არსად არის აღნიშნული, რომ ქასქები ლაპარაკობდნენ „ხათურად“ („ხათთილი“), რაც უდავოდ მხედველობაშია მისაღები ქასქური ენის ბუნების გარკვევისას. ასეთი ენის შესახებ კი ხეთური ტექსტები საერთო დუმან, მაგრამ ცხადია, ქასქების ენა არ უნდა ყოფილიყო ხეთური, ხურიტული, ლუვიური, ფალაური და ა.შ., მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ქასქური ტოპონიმიკური თუ ონომასტიკური სახელწოდება წარმოშობით უნდა ყოფილიყო ხათური, ხეთური, ლუვიური, ხურიტული და სხვ.

რასაკვირველია, ქასქური ენა იყო რომელიღაც ჩრდილო და ჩრდილო-აღმოსავლურ ანატოლიური ენა, რომლის დადგენა მომავლის საქმეა (იხ. ქვემოთაც).[1]

ქასქების ეთნიკური ვინაობისათვის. ქასქების ტომთა ვინაობის საკითხი დღემდე გაურკვეველია. ამასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია რამდენიმე ვარაუდი. ერთ-ერთი მათგანის თანახმად, ქასქები უნდა ყოფილიყვნენ ხათები (პროტოხეთები) თუ არა, მათი მონათესავე ტომები მაინც. მეორე მოსაზრება გულისხმობს, რომ ქასქები დასაკავშირებელია, როგორც ზემოთაც აღინიშნა, ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში მცხოვრებ, სახელდობრ, აფხაზურ-ადიღურ ტომებთან, არ გამოირიცხება მესამე ვარაუდიც, რომლის მიხედვით ქასქები ჩრდილოეთ ან ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიის მკვიდრი ტომები უნდა ყოფილიყვნენ.[2]

განვიხილოთ თითოეული მოსაზრება ცალ-ცალკე.

---

[1] Гиоргадзе Г. Г. К вопросу о локализации... с. 209 შმდ.; გიორგაძე გ. ხეთებსა და ქასქებს შორის დადებული ხელშეკრულებები, გვ. 44 შმდ.

[2] ვრცლად გიორგაძე გ. ხეთური და ასურული ლურსმული ტექსტების ქასქების (ქაშქების) და აბემლაელების ეთნიკური წარმომაელობისათვის, გვ. 12.

ხეთურ ლურსმულ ტექსტებში დადასტურებული ქასქური ონომასტიკონის შესწავლამ 50-იანი წლების შუა ხანებში მოგვიერთი მკვლევარი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ქასქების ტოპონიმიკის გარკვეული ნაწილი ხათური წარმოშობისა იყო. ეს არც იყო მოულოდნელი, რადგან ქასქებს ეკავათ ოდესღაც ხათებით დასახლებული ტერიტორიის ნაწილი, სადაც მათ უნდა დაეტოვებინათ ძველი ტოპონიმები მას შემდეგ, რაც ხათები შეერივნენ ინდოევროპელ ხეთებს და გაქრნენ ისტორიის ასპარეზიდან. მაგრამ ჯერ კიდევ მაშინ აღინიშნებოდა, რომ ეს გარემოება არ უნდა ყოფილიყო საკმარისი ქასქებისა და ხათების ნათესაობის დასადგენად. ამ საკითხის გადასაწყვეტად საჭირო იყო ქასქური ენის ბუნების გარკვევა, რაც იმხანად (ე.ი. 50-იანი წლების შუა ხანებში) შეუძლებელი იყო. არ მართლდება ქასქების იდენტიფიცირება ხათებთან თუნდაც იმ მიზეზის გამოც, რომ საზოგადოებრივი განვითარების დონის მიხედვით ისინი იმყოფებოდნენ სულ სხვადასხვა საფეხურზე: თუკი ხათური საზოგადოება შეიძლება განვიხილოთ როგორც ქალაქ-სახელმწიფოს ტიპის საზოგადოება, ე.ი. როგორც ადრეკლასობრივი, ქასქები ამ მხრივ აშკარად ჩამორჩებოდნენ. ერთი ხეთური ტექსტის თანახმად, ქასქებისათვის უცნობი იყო „ერთი (კაცის) ბატონობა“, ე.ი. მეფობა, თუმცა ასეთ ბატონობას ისინი უკვე იწყებდნენ (მათი ერთ-ერთი მმართველის – თიფიელი ფიხუნიას დროს).

ქასქების დაკავშირება ჩრდილო-დასავლეთ კავკასიასთან ძირითადად განპირობებულია იმით, რომ სახელწოდება „ქასქა/ქაშქა“ აელენს ბგერით სიახლოვეს ჩერქეზი (ადიღე) ხალხის აღმნიშვნელ სახელწოდებასთან, ე.ი. „ქაშაგ“-თან. მაგრამ, როგორც ვემოთაც ითქვა, „ქასქა/ქაშქა“ და „ქაშაგ“ სახელთა გარეგანი მსგავსების გარდა, რაიმე სხვა სახის კავშირი ქასქებსა და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში მცხოვრებ ტომთა შორის ჯერჯერობით არ გამოვლენილა. ამიტომ, მოსაზრება, ქასქების გენეტიკური კავშირისა აფხაზურ-ადიღურ ტომებთან, როგორც ეს ივარაუდება დღესაც (განსაკუთრებით, აფხაზ მკვლევართა მიერ), არადამაჯერებელია, მით უმეტეს, რომ ქასქები განსახილველი არიან როგორც მცირე

აზიის ჩრდილოეთი და ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონების (პონტოსა და მისი მომიჯნავე ოლქების) ავტოქთონური მოსახლეობა: როგორც ზემოთ აღინიშნა, არავითარი დამადასტურებელი მასალა ხეთურ ხანაში შორეული რაიონებიდან ქასქების ტომთა გადასახლება-გადმოსახლებისა არ არსებობს.

ყოველივე ზემოთქმულს მიეყენებართ იქითკენ, რომ ვივარაუდოთ ქასქების ტომთა გენეტიკური სიახლოვე სხვა წარმოშობის ტომებთან. ამ მხრივ პერსპექტიული უნდა იყოს გენეტიკური კავშირების ძებნა ძველ კოლხურ (ე.ი. დასავლურ-ქართველურ, მეგრულ-ლაზურ-სვანურ), განსაკუთრებით სამხრეთ კოლხურ ტომებთან, რომლებიც ანტიკურ ხანაში ცხოვრობდნენ სწორედ პონტოს აღმოსავლეთ რაიონებსა და მათ მეზობლად აღმოსავლეთიდან. ამასთან დაკავშირებით ჩვენს ყურადღებას იქცევს ქასქური ტოპონიმიკა, ქასქური საკუთარი სახელები, ცალკეული ქასქური სიტყვები და ა.შ.[1]

ქვემოთ მოვიტანთ მაგალითებს.

ქასქური ტოპონიმიკა კარგადაა ასახული ხეთურ ლურსმულ ტექსტებში. უპირველეს ყოვლისა, ჩვენს ინტერესს იწვევს გეოგრაფიული სახელწოდებები, რომლებიც მთავრდება -ია სუფიქსზე:

ასხარფაია/აშხარფაია ან ასხარბაია/აშხარბაია (მთა), ელურია/ილურია (მთა), გახარია/ქახარია (დასახლება), ქათხარია (ქვეყანა), ქასქაია/ქაშქაია (იგივე ქასქა/ქაშქა), ფათალია (ქვეყანა), სარია/შარია (მდინარე), სუხურია/შუხურია (ქვეყანა), თახანთარია (დასახლება), თალიფაცია, თალიფცია (დასახლება), თეხულია/თიხულია (დასახლება), თასქულია/-თაშქურია (დასახლება), თიმია (დასახლება), თიფია (ქვეყანა), თუხუფია (ქვეყანა), ვასხაია/ვაშხაია (დასახლება), ცასფია/-ცაშფია (დასახლება), ციხარია (ქვეყანა), ციხარცია (დასახლება), ცითახარია (მთა), ცულია (მდინარე) და სხვ.

[1] დაწვრილებით იქვე, გვ. 15 და შმდ.

ქასქური ტოპონიმიკის -ია სუფიქსთან დაკავშირებით შეადარეთ მრავალი მეგრული გვარი -ია დაბოლოებით: თოფურია, ქანთარია, შარია, ფიფია, გერგაია, ბერია, ბერაია, ალანია, აკობია, ალანია, ალასანია, აფაქია, ბარქაია, აშორდია, ბასილაია, ბუკია, გაბილია, გაბისონია, ქუთელია და სხვა მრავალი.[1]

ინტერესს იწვევს -სქა, -სგა (-შქა, -შგა)[2] სუფიქსიანი ქასქური ტოპონიმები, რომლებიც გავრცელებული იყო თითქმის მხოლოდ ქასქებით დასახლებულ ტერიტორიაზე, თვითონ ქასქა/ქაშქასთან ერთად. ესენია შემდეგი დასახლებანი:

დუდუსქა/დუდუშქა (ქასქების მთავარი დასახლება), ხუმინთესქა/ხუმინთეშქა, ქარიკურისქა/ქარიქურიშქა, მუნისქა/მუნიშქა, თათისქა/თათიშქა, ციანთისქა/ციანთიშქა.

როგორც ცნობილია, ამავე სუფიქსითაა გაფორმებული ასურულ ლურსმულ ტექსტებში დადასტურებული მუშქა/მუსქა, იგივე მუშქაია (მუსქაია), ე.ი. მუშქების, მოგვიანო ხანის მესხების, აღმნიშნელი ტერმინი, რომელსაც აშკარად ქართველურ სამყაროში გადავეყარეთ (იხ. ქვემოთაც). ზემოჩამოთვლილ ქასქურ სახელწოდებათაგან ხუმინთესქა (ხუმინთეშქა, ხუმინთიშქა), თათიშქა და ციანთიშქა გამოირჩევა იმითაც, რომ მათში შეიძლება დავინახოთ სიტყვა („თიშქა/დიშქა" (შდრ. მეგრული დიშქა „შეშა"), -შქა, -სქა სუფიქსიანი ტოპონიმი შემორჩენილია სამეგრელოში დღესაც: ყირღალიშქა.[3] შდრ. აგრეთვე მეგრული -შქ-, -შგ-, „შუა" (შდრ. ქართული ტოპონიმები: წყალთაშუა, ორთაშუა, შუამთა, შუახევი და ა.შ.).

ყურადღებას იქცევს ქასქების ერთ-ერთი მთავარი ქვეყნის სახელწოდება ხალილა, საიდანაც გამოსაყოფია სუფიქსი -ლა. დარჩენილი ხალი-, შესაძლოა, არის შემადგენელი ნაწილი გეოგრაფიული და ეთნიკური სახელებისა, რომლებიც მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე რაიონებში გვხვდე-

---

[1] ყიფშიძე ი. რჩეული თხზულებანი. თბ., 1959, გვ.423 შმდ.

[2] ამ სუფიქსთან დაკავშირებით იხ. გამყრელიძე თ. სიბილანტთა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი. თბ., 1959, გვ. 51 შმდ.

[3] არნოლდ ჩიქობავას საკისაუები. VIII. თბ., 1997, გვ. 29.

ბა როგორც სეთურ, ასევე მის მომდევნო სანებში. ესენია: სალივა (მთა), სალიმანა (დასახლება), სალიტუ (ქვეყანა), სალიბი (ტომი) და სხვ.

ქასქური პირთა სახელებიც მარეალფეროვანია. აშკარად ქასქური წარმოშობის სახელებია: ასხაფალა (აშხაფალა), ხათეფა, საცინა, იციცი, ქასქამუვა, ქაციფირი (გაციფირი), ფაათა (პაათა), ფათალია, ფაცანა, ფიხუნია, ფია (ბია), ფიგაფაცუი, ფიფელუ, ფაციცი, საფალი, სუისმელი (შუიშმელი), დადი (დათა, თათა), დადილუ, თემეთი, თითა (დითა), თუთუ და სხვ. ზოგიერთი მათგანი ფონეტიკურ მსგავსებას იჩენს ისეთ მეგრულ სიტყვებთან, როგორიცაა: ფია („ნაჭერი". შდრ. აგრეთვე აღგილი სამეგრელოში: ბია), საციცი (საასალწლო საუბმე), საცეცი (რძალი, სარძლო) და ა.შ.

ქასქური პირთა სახელების ნაწილი მთავრდება -ილი სუფიქსზე, რომელიც, როგორც ვარაუდობენ, სათური (პროტოხეთური) წარმოშობის -ილ სუფიქსი უნდა იყოს და უნდა აღნიშნავდეს ამა თუ იმ პირთა წარმომავლობას (შდრ. „ნერიქაილ" – ნერიქელი", კაცი ქ. ნერიქიდან; „სათუშაილ" – „სათუსელი", კაცი ქ. სათუსიდან და სხვანი). მას დიდი ხანია უკავშირებენ ქართულ -ელ- სუფიქსს. ასეთი ქასქური სასელებია: ხიმუილი (ე.ი. „ხიმუელი"), ითილი, ქასქაილი („ქასქელი"), ქურიალი („ქურიელი"), ფიაფილი, სამეთილი („სამეთელი"); საუსილი, სუისმელი, სუნაილი, დადილი, დადილუ („დადიელი", შდრ. სამეგრელოში არსებული დაბა დადია და დადისწყალი) და ა.შ.

ყურადღებას იქცევს ტოპონიმები და საკუთარი სახელები -უვა, -ვა დაბოლოებებით (ასეთი სახელებიც მეგრულში მრავლადაა):

ტოპონიმები: სათენცუვა, ქარასუვა (ქარაშუვა), ქათალადუვა, ქათხაიდუვა, ქათითიმუვა, საფიდუვა, თაფასავა, თიქუქუვა, თაფაფანუვა, თაფაფახსუვა, ციმუმუვა და სხვ.

საკუთარი სახელები: ქაშალუვა (ქასალუვა), ქიფურუვა, ქასქამუვა და ა.შ.

აქვე უნდა მივუთითოთ სიტყვებზე, რომლებიც აშკარად ქასქური ლექსიკიდან არის აღებული (თუმცა მათი მნიშვნელობები დაუდგენელია): ფიგაფილუ, ფიქურიალი, ფიფალალა,

ფითაურია, ფითუნთუშ. როგორ ვარაუდობენ, ეს სიტყვები იწყება ფი- პრეფიქსით, რომელსაც ხათური წარმოშობისად თვლიან და, როგორც ჩანს, უნდა იყოს სპეციალობის ან თანამდებობის აღმნიშვნელი (შდრ.: „ნანაცითი (რომელიც არის) ფიქურიალი"; „თუთუ (რომელიც არის) ფიფალალა".[1]

კიდევ არაერთ მაგალითზე შეიძლებოდა შეჩერება, მაგრამ ამჯერად ეკმაყოფილდებით მხოლოდ ზემოაღნიშნულით. მართალია, ჯერჯერობით არ ხერხდება ზემოჩამოთვლილ სახელწოდებათა სიტყვების მნიშვნელობათა დადგენა, მათი ეტიმოლოგიების გამოვლენა, (რადგან ჩვენთვის ფაქტობრივად უცნობია ქასქური ენა), მაგრამ ისინი მაინც იმსახურებენ ყურადღებას თავიანთი ბგერითი შემადგენლობით. ამ სახელწოდებებში ბევრია მეგრულ-ლაზური (საერთოდ, დასაელ ურ ქართველ ური) სტრუქტურის ტოპონიმები და საკუთარი სახელები, რაც გასათვალისწინებელია ქასქების ეთნიკური ვინაობის დასადგენად: ზემომოტანილი მასალა მიუთითებს უფრო მეტად ქასქების სამხრეთ კოლხურ წარმოშობაზე, ვიდრე აფხაზურ-ადიღურ წარმომაელობაზე.

აბეშლაელები

ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიის მოსახლეობასთან კავშირში უნდა განეიხილოთ აბეშლას ტომი. იგი მხოლოდ ასურულ ლურსმულ ტექსტებშია მოხსენიებული. საყურადღებოა, რომ აბეშლაელები ამ წყაროებში დასახლებული არიან ქაშქებთან ერთად, რომლებიც ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილი ხეთური ტექსტების ქასქები არიან.[2]

სამეცნიერო ლიტერატურაში აქამდე ფართოდ გავრცელებული შესედულების თანახმად, ასურული ლურსმული ტექსტების „ქაშქა" („ქაშქაია", „ქასქუ") და „აბეშლა" („აბეშლაია"),

---

[1] E. von Schuler. Op. cit., S. 94; გიორგაძე გ. ხეთებსა და ქასქების შორის დადებული სელშეკრულებანი. გვ. 44.

[2] გიორგაძე გ. ასურული ლურსმული ტექსტების „ქაშქა" და „აბეშლა" ტერმინთა ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. „ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ნარკვევები", IV, თბ., 1998, გვ. 15 შმდ.

რომლებიც ერთად ისხენიება ასურეთის მეფის – ტიგლათფალასარ I-ის (ძვ.წ. 1115-1077 წწ.) სახელით შედგენილ ტექსტებში, ვარიანტული ტერმინებია, სინონიმებია. ეს კი თავისთავად გულისხმობს, რომ სეთურ ლურსმულ ტექსტებში სშირად მოხსენიებული ტომების – ქასქების სახელწოდება – „ქასქა“ („ქაშქა“) ასევე სინონიმი უნდა იყოს იმავე „აბეშლასი“, რადგან სეთური და ასურული წარწერების „ქასქა“ („ქაშქა“, „ქაშქაია“) მართლაც ერთი და იმავე ეთნიკური ჯგუფის აღმნიშვნელია.

შესედულება ასურული ლურსმული წყაროების „ქაშქაა-ბეშლას“ იგიეობის შესახებ შემდეგ ფაქტს ეყრდნობა.

თუკი ზემოაღნიშნული ასურელი მეფის ერთ-ერთ (ე.წ. „პრიზმა“) წარწერაში, რომელიც ჩრდილოეთ შუამდინარეთში მდებარე სუბართუს (შუბართუს) ქვეყანაში მოწყობილ ლაშქრობას ესება, საუბარია 4000 ქაშქელსა („ქაშქაია“) და ურუმაელზე („ურუმაია“), „ხათის ქვეყნის მეომრებზე, ურჩებზე, რომლებმაც მთელი ძალით მიიტაცეს სუბართუს ქვეყნის დასახლებანი“, (AKA 48 II 100-102; III 1), ტიგლათფალასარის სხვა წარწერებში იმავე ამბებთან დაკავშირებით საუბარია უკვე 4000 ურუმაელზე და აბეშლაელზე, „ხათის ქვეყნის მეომრებზე, ურჩებზე, რომლებმაც მთელი ძალით მიიტაცეს სუბართუს ქვეყნის დასახლებანი“.[1] ტექსტების ამ ორი ადგილის შედარებიდან მართლაც გამოდის, რომ ტერმინები „ქაშქა“ და „აბეშლა“ სინონიმებია, რადგან ერთი ტექსტის „ქაშქა“ შეცვლილია მეორე ტექსტის „აბეშლათი“, რასაც მკვლევრებმა თავიდანვე მიაქციეს ყურადღება. ეს გარემოება თავის დროზე გამოიყენეს აფხაზმა ისტორიკოსებმაც აფხაზეთის უძველესი ისტორიის საკითხების კვლევისას.[2] მათი აზრით, თუკი „ქაშქა“ და „აბეშლა“ სინონიმებია, ხოლო ეს უკანასკნელი ტერმინი – „აბეშლა“ იგივეა, რაც ანტიკური ხანის ავტორების (ახ.წ. I-II საუკუნეების) „აფსილი“, მაშინ ასეთსავე სინონიმად ჩაით-

---

[1] ARAB §§ 226, 318. იხ. აგრეთვე § 277, 311.

[2] Анчабадзе З. В. Очерки этнической истории абхазского народа. Сухуми, 1976; Инал-ипа Ш. Д. Вопросы этнокультурной истории абхазов. Сухуми, 1976 და სხვ.

ვლება „ქაშქა“ და „აფსილი“, საიდანაც ასკვნიდნენ, რომ ქაშქები, აბეშლაელები და აფსილები აფხაზურ-ადიღური წარმომაელობის ტომები იყვნენ.

თუკი ამ შეხედულებას („ქაშქა“ – „აბეშლას“ სინონიმობის შესახებ) გავიზიარებთ, მაშინ გასათვალისწინებელი იქნება ჩვენს მიერ გემოგამოთქმული მოსაზრება, რომელიც ხეთური ლურსმული ტექსტების ქასქების ტომების ეთნიკურ ვინაობას ეხება. ხეთურ ტექსტებში მრავალჯერ მოხსენიებული ქასქების მდიდარი ტოპონიმიკის, საკუთარ სახელთა და ცალკეულ სიტყვათა შესწავლას იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ ქასქების ტომები განსახილველნი არიან როგორც დასავლურ-ქართველური, მეგრულ-ლაზური ანუ სამხრეთ კოლხური წარმოშობის ტომები. აქედან გამომდინარე, თუკი ხეთური წყაროების ქასქები განსახილველი იქნებიან როგორც სამხრეთ კოლხური წარმოშობის ტომები, მაშინ ასეთსავე ტომებად უნდა ჩაითვალოთ ასურული ტექსტების ქაშქებიც („ქაშქაია“) და, მაშასადამე, აბეშლაელებიც, თუკი ასურული წყაროების „ქაშქა“ და „აბეშლა“ მართლაც სინონიმებია. ყოველივე ეს იმას მიუთითებს, რომ ხეთური და ასურული წყაროების ქასქები (ქაშქები) და ასურული ტექსტების აბეშლაელები (საერთო ჯამში, აფსილებიც – „აბეშლა“ და „აფსილი“ ტერმინის გაიგივების შემთხვევაში) ერთი და იმავე წარმომაელობის – სამხრეთ კოლხური წარმოშობის ტომებია.

„ქაშქა“ და „აბეშლა“ ტერმინების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ ამ უკანასკნელ ხანებში რამდენადმე განსხვავებული მოსაზრებებია გამოთქმული. ასე, მაგალითად, 1988 წელს მოსკოვში გამოქვეყნებული „История древнего Востока“-ს II ტომში აბეშლაელები განხილული არიან როგორც „აღმოსავლელი ქაშქები“, ე.ი. ამ შემთხვევაში აბეშლაელები გაიგივებული არიან ქაშქებთან, რაც თავის მხრივ გულისხმობს, რომ „ქაშქა“ და „აბეშლა“ ვარიანტებია (სინონიმებია). 1991 წელს სოხუმში რუსულად გამოქვეყნებულ წიგნში კი „История Абхазии“ ეს შეხედულება ოდნავ შეცვლილი სახითაა წარმოდგენილი. ერთი მხრივ, აქ დაშვებულია, რომ ასურული წყაროების „ქაშქა“ და „აბეშლა“ ერთი და იმავე ტომის ორი სხვადას-

ხეა სახელწოდებაა, ე.ი. სინონიმებია. მაგრამ იქვე ამ გარემოებას უკვე სხვანაირი ინტერპრეტაცია ეძლევა, სახელდობრ, გამოცსადებულია, რომ ქაშქები არიან ადიღეელები (ჩერქეზები, როგორც ჩანს, „ქაშქა“ – ქაშაგის“ იგივეობის დაშვებით), ხოლო აბეშლაელები – აფსაზები, აფსუები (ეტყობა, „აბეშლა“ – „აფსილის“ იგივეობის გათვალისწინებით), ე.ი. ქაშქები და აბეშლაელები ფაქტობრივად განსილული არიან როგორც ორი სხვადასხვა, თუმცა, ასლომონათესაე ტომი.

აზრთა გემოაღნიშნული სხვადასხვობა გამოწვეულია იმით, რომ მოსაზრება „ქაშქა“ – „აბეშლას“ სინონიმობის შესახებ არ არის მთლად დამაჯერებელი, მით უმეტეს, რომ ტიგლთფალასარ I-ის დროინდელ ასურული ტექსტის გემომოტანილ ნაწყვეტში დაშვებულია აშკარა უზუსტობანი.

ჯერ ერთი, ასურულ ტექსტში დაშვებულია უზუსტობა, როცა ქაშქები გამოცსადებულია „ხათის ქვეყნის მეომრებად“. ეტყობა, ასურული ტექსტის შემდგენლისთვის ცნობილი არ იყო, რომ ქაშქები ნამდვილად არ იყვნენ „ხეთები“ („ხეთი მეომრები“) და ისინი ხეთების სამეფოს შემადგენლობაში არასდროს ყოფილან. საუკუნეთა მანძილზე ქასქები ხეთების სერიოზული მეტოქეები იყვნენ, მიუხედავად იმისა, რომ ხეთები მათთან სამშვიდობო ხელშეკრულებებსაც სდებდნენ. ასურული ტექსტების შემდგენელი ამ შემთხვევაში უზუსტობას იჩენს, მით უმეტეს, რომ ამ ტექსტების შედგენის დროს ხეთების სახელმწიფო საერთოდ აღარ არსებობდა. მართალია, მოგვიანო ხანებში, განსაკუთრებით ძვ.წ. IX საუკუნიდან, ასურულსა და ურარტულ ლურსმულ წარწერებში „ხათი“ („ხათე“) ეწოდებოდა საერთოდ მდ. ევფრატის დასავლეთით მდებარე სხვადასხვა პოლიტიკურ გაერთიანებას, მაგრამ ეს ვითარება დასტურდება, როგორც ჩანს, მხოლოდ მოგვიანო ხანებისათვის.[1]

მეორე. გემოხსენებულ ასურულ ტექსტებში აგრეთვე უზუსტობა უნდა იყოს დაშვებული ურუმაელების მიმართაც, რომლებიც ასევე „ხათის ქვეყნის მეომრებად“ არიან გამოცხადებული. როგორც ცნობილია, ურუმაელები ხეთური ტექსტებში

[1] Меликишвили Г. А. Наири-Урарту. Тб., 1954, с. 76, 253, 435; მისივე УКН, с. 429.

არ მოიხსენიებიან. სხვა ასურული ტექსტების მონაცემთა გათვალისწინებით, ურუმის ქვეყანა მდებარეობდა მდ. ევფრატის აღმოსავლეთით. ზოგიერთი მკვლევარი ამ ქვეყანას ათავსებს მდ. ტიგროსის ზემო სათავეებთან, ალზის, ფურულუმზისა და სხვა ოლქის მეზობლად. ასეა თუ ისე ამ შემთხვევაშიც დაშვებულია უზუსტობა, რადგან მდ. ტიგროსის აღმოსავლეთი რაიონები არ შედიოდა „სათის ქვეყანაში", ხოლო ურუმაელები ნამდვილად არ იყვნენ „სათის ქვეყნის მეომრები".

მესამე. ხეთური ლურსმული არქივი, რომლის ტექსტებში ქასქები მრავალჯერ მოიხსენიებიან, „აბეშლა" სახელწოდებას საერთოდ არ იცნობს, იგი მხოლოდ ზემოაღნიშნულ რამდენიმე ასურულ ტექსტში იხმარება, სხვა დროს ასურულ წარწერებშიც ისინი არ ჩანან. თუკი ქასქები სხვა სახელწოდებასაც, კერძოდ, „აბეშლას" ატარებდნენ, მაშინ ეს ვითარება ხეთურ წყაროებშიც სათანადოდ უნდა ასახულიყო. ხეთურ ლურსმულ ტექსტებში არაერთხელ გვხვდება ტოპონიმები დაწყვილებული სახით (მაგალითად, აცი-ხაიასა, მირა-ქუვალია, ციფასლა-ხარიათი),[1] მაგრამ „ქასქა-აბეშლა" დაწყვილებული ფორმით ხეთურ ტექსტებში არ ისხენიება. ყოველივე ეს გასათვალისწინებელია „ქასქასა" და „აბეშლას" მიმართ, როცა უარვყოფთ ამ ტერმინთა იგივეობას. ჩანს, ასურული ტექსტის შემდგენელი ვერ ერკვეოდა საქმის ვითარებაში და ამ შემთხვევაშიც უშვებდა უზუსტობას, აცხადებდა რა აბეშლას „ხათის ქვეყნად", რაც მცდარი დასკვნების წყარო ხდება.

შემდეგ. ტიგლათფალასარ I-ის მეფობის სანაში შედგენილ ასურულ ტექსტთა ცნობების ურთიერთშედარება გვიჩვენებს, რომ აბეშლაელები ბინადრობდნენ ცნობილ სუბართუს ქვეყნის მეზობლად, საიდანაც ისინი შეიჭრნენ სუბართუში და მიიტაცეს მისი დასახლებული პუნქტები (ასეთი დასკვნა გამომდინარეობს აღნიშნულ ასურულ ტექსტთა შედარებიდან). მაგრამ ამ ტექსტებში საუბარი არ არის აბეშლაელთა ზუსტი აღგილსამყოფლის შესახებ, არც ისაა აღნიშნული, საიდან აღ-

[1] Garstang J., Gurney O. R. The Geography of the Hittite Empire. London. 1959, p. 29, 32; 83. 85; 92 და სხვ.

მოჩნდნენ ისინი ჩრდილოეთ მესოპოტამიაში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ტექსტების იმ მითითებას, რომლის მიხედვით ისინი იყვნენ „მეომრები ხათის ქვეყნისა“ (რითაც ხაში ესმება მიმართულებას, საიდანაც მოეწყო ლაშქრობა). ამ ფაქტიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ აბეშლაელები ქაშქებთან ერთად აღმოჩნდნენ სუბართუს საზღვრებთან სეთების ყოფილი სამეფოს აღმოსაელეთ პერიფერიის მსრიდან, სუბართუს ქვეყნის ჩრდილო-დასაელეთით ან ჩრდილოეთით მდებარე რაიონებიდან.

როგორც ვხედავთ, ზემოხსენებულ ასურულ ტექსტებში დაშვებულია აშკარა უზუსტობანი, რომლებიც საფუძვლად დაედო დასკვნას „ქაშქა“ და „აბეშლა“ სახელწოდებათა იდენტურობის შესახებ. მაგრამ ამ უზუსტობათა გამო მიღებული დასკვნა, ცხადია, ვერ იქნება დამაჯერებელი. ამიტომაც ვვარაუდობთ, რომ ჩვენთვის საინტერესო ტერმინთა იდენტურობა, რომელიც ეყრდნობა ამ წარწერათა ცნობების მხოლოდ ფორმალურ შედარებას, არ მტკიცდება წყაროთა კრიტიკული ანალიზით. აქედან გამომდინარე, ძნელია ქაშქები და ამეშლაელები ერთმანეთთან გავაიგივეოთ. ეს კი საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ „ქაშქა“ და „აბეშლა“ ორი სხვადასხვა ტერმინია და არა ერთი ეთნოსის ვარიანტული სახელწოდებები. მაშასადამე, ისინი ორი სხვადასხვა ტომის (შესაძლოა, ნათესაურის) აღმნიშნელია.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ქაშქებისა და აბეშლაელების ბინადრობა მდ. ევფრატის ზემო დინების დასაელეთით (ან ჩრდილო-დასავლეთით) ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რადგან ასურული ტექსტების მონაცემები საშუალებას იძლევა ეს ტომები სეთებს დაუკავშიროთ. ქასქების მეზობლობა ხეთებთან დადგენილია მრავალრიცხოვანი ხეთური ტექსტების ცნობებით. ახლა დგება საკითხი აბეშლაელთა აღგილსამყოფლის შესახებ.[1]

---

[1] ზემოთ მოხსენიებულ „История древнего Востока“-ს II ტომში (М., 1988) და „История Абхазии“-ში (Сух., 1991) აბეშლას აღგილმდებარეობის საკითხი განსილული არ არის.

აბეშლაელთა სავარაუდო ადგილსამყოფელსა და ეთნიკურ წარმომავლობასთან დაკავშირებით შემდეგიც უნდა ითქვას:

აბეშლაელები თითქოს შეიძლება განხილულ იქნან როგორც ერთ-ერთი ჩრდილო-მესოპოტამიური ტომი. ჯერ კიდევ ცნობილი ასირიოლოგი ი. გელბი „აბეშლა“ ტერმინს აკავშირებდა მესოპოტამიური წყაროების „აფიშალ“ („აბიშალ“) სახელწოდებასთან, სოლო აბეშლაელების ტერიტორიას – მდ. ტიგროსსა და ვანის ტბას შორის მდებარე რაიონებთან.[1] გასათვალისწინებელია ისიც, რომ სიტყვა „აბეშლა“ თავისი ფონეტიკური შედგენილობით ახლოს დგას ერთ-ერთი ასურელი მეფის სახელთან – აბიაშალ (აფიაშალ).[2] იგივე სიტყვა შეიძლება გაგებულ იქნას როგორც „აბე შალიმ“ (შდრ. მამაკაცის სახელი „აბიშალამ“) და ა.შ. ამ დასკვნებიდან გამომდინარე, შეიძლება იმ ვარაუდის დაშვებაც, რომ აბეშლაელები იყვნენ სემიტური წარმომაელობის ტომები. ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, გასაგები გახდება, აბეშლაელები რატომ არ იხსენიებიან ადრეული ხანის ხეთურსა და ასურულ ტექსტებში: ისინი ჩრდილოეთ შუამდინარეთში უნდა გამოჩენილიყვნენ მხოლოდ ტიგლათფალასარ I-ის მმართველობის დროისათვის. მაგრამ აბეშლაელებთან დაკავშირებით შეიძლება გამოითქვას სხვა მოსაზრებაც, რომელსაც მცირეაზიულ სამყაროში გადაეყავართ.

როგორც დავინახეთ, აბეშლაელები ჩნდებიან ასურულ წყაროებში ძვ.წ. XII საუკუნის დასასრულითა და XI საუკუნის დასაწყისით დათარიღებულ წყაროებში. ამ დროისათვის, როდესაც ხეთების იმპერია უკვე აღარ არსებობდა, იწყება სამხრეთისაკენ გავრცელება სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფებისა, რომლებიც ადრეულ ხანებში ცხოვრობდნენ ხეთების სახელმწიფოდან ჩრდილო-აღმოსავლეთ (კერძოდ, პონტოს) ან აღმოსავლეთ რაიონებში. ამის უტყუარი მაგალითია ქასქები, რომელთა ნაწილი ხეთების იმპერიის დაცემისთანავე დაიძრა

---

[1] Gelb I. Inscription from Alishar and Vicinity. Chicago, 1935, p. 6, n. 62.

[2] История древнего Востока. II, с. 25.

სამხრეთისაკენ (ან სამხრეთ-აღმოსაელეთისაკენ) და დასახლდა სადღაც ქ. მალატიას მახლობლად.

სწორედ ამ პერიოდისათვის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოდიან სხვა ტომებიც, რომლებიც მანამდე ძველაღმოსაელურ წერილობით წყაროებში არ იხსენიებიან. ერთ-ერთ ასეთ ტომად უნდა მივიჩნიოთ ქართველური წარმოშობის მუშქები. მათ მიიტაცეს ასურეთის ქვეშეერდომობაში მყოფი ქვეყნები ჩრდილოეთ მესოპოტამიისა – ალზი და ფურულუმზი, სოლო შემდეგ – ქათმუხიც და 50 წლის განმაელობაში ბატონობდნენ მათზე (ცხადია, ეს ფაქტიც დამადასტურებელია იმისა, რომ მუშქები იმსანად ჩრდილოეთ მესოპოტამიის რაიონებთან ახლოს ცხოვრობდნენ).[1] ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ გადმოსახლებულ ტომებს შეიძლება დავუკავშიროთ აბეშლაელებიც, რომლებსაც უნდა ეცხოვრათ ქასქების მეზობლად აღმოსაელეთი მხრიდან, რის გამოც ისინი არ იმყოფებოდნენ ხეთებთან კონტაქტში (შესაძლოა, სწორედ ამიტომ არ იხსენიებიან ისინი ხეთურ ტექსტებში). ქასქების სამხრეთისაკენ დაძერის შემდეგ აბეშლაელებიც, ასევე იღებდნენ რა მონაწილეობას ამ პროცესში (მუშქებთან ერთად), იძვრებიან სამხრეთისაკენ და ლაშქრობებს აწყობდნენ სუბართუში.

ამგვარად, ქასქები (ქაშქები), აბეშლაელები და მუშქები ერთი დიდი რეგიონის შემადგენლობაში მყოფი ტომები უნდა ყოფილიყვნენ. ამასთანავე ისინი, შესაძლოა, ურთიერთმონათესავე ტომებიც იყვნენ. მუშქები რომ ქართველურ ტომებს განეკუთვნებოდნენ, ამაში დაეჭვება ახლა ძნელია. ქასქებთან დაკავშირებით გვმოთ აღვნიშნეთ, რომ ისინი სამხრეთ კოლხური (კერძოდ, დასაელურ-ქართველური, მეგრულ-ლაზური--სვანური) წარმოშობის ტომები შეიძლება ყოფილიყვნენ. ასეთ შემთხვევაში არ არის გამორიცხული ვივარაუდოთ, რომ აბეშლაელთა სახით საქმე გვაქვს ასევე დასაელურ-ქართველური წარმოშობის ტომებთან.

ამგვარად, ორი სხვადასხვა გზით მივდივართ ერთსა და იმავე დასკვნამდე: ასურული ლურსმული ტექსტების „ქაშქებ-

[1] Хазарадзе Н. В. Очерки древней истории месхов. Тб., 1992, с. 69 и слл.

სა“ და „აბეშლაელებში“ შეიძლება დაეინახოთ დასაელ-ურ-ქართული წარმოშობის ტომები.

აბეშლაელთა ეთნიკურ ვინაობასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში სხვა მოსაზრებაცაა გამოთქმული. მაგალითად, ფართოდაა გავრცელებული შეხედულება, რომ ტერმინები „აბეშლა“ და ანტიკური ხანის ავტორთა „აფსილი“ სინონიმებია. აქედან გამომდინარე კი აბეშლაელები და აფსილები ერთმანეთთანაა გასაიგივებელი, მაშასადამე, აბეშლაელები – იგივე აფსუა ტომებია. მაგრამ ასეთი იდენტიფიკაცია მიგვაჩნია ასევე ჰიპოთეტურად თუნდაც იმ მიზეზის გამო, რომ ისიც დამყარებულია სულ სხვადასხვა ეპოქისა და რეგიონის მხოლოდ და მხოლოდ ორი ტერმინის – „აბეშლა“ და „აფსილის“ მხოლოდ ფონეტიკურ მსგავსებაზე. სხვა დამატებითი საბუთი დღემდე არ არის გამოვლენილი.

ფონეტიკური შემადგენლობა ფორმით მსგავსი ეთნონიმებისა, თითქოს, ხელს არ უშლის დავუშვათ მათი იგივეობაც, ამ შემთხვევაში „აბეშლა“ და „აფსილ“ ტერმინთა იდენტურობა. მაგრამ ამას დამტკიცება სჭირდება. აბეშლაელებისა და აფსილების (ეი. აფსაზების, აფსუების) გაიგივება დღემდე არ მტკიცდება სხვა რაიმე დამატებითი ფაქტებით. ამიტომაც იყარაუდება, რომ ისინი განსახილველია როგორც ორი სხვადასხვა ტომი. ცნობილია, რომ ფორმით იდენტური ეთნიკური სახელწოდებები ზოგჯერ აღნიშნავენ წარმოშობით არამონათესავე ეთნოსებს.

მაგრამ მიუხედავად ზემოთქმულისა, თუკი მაინც დაეუშვებთ, რომ „აბეშლა“ და „აფსილი“ სინონიმებია (ე.ი. აბეშლაელები და აფსილები ერთი და იგივე ტომია – ამ შეხედულებას კი არაერთი მკვლევარი უჭერს მხარს), მაშინ აფსილებიც კოლხური (მეგრულ-ლაზური) წარმომავლობის ტომად უნდა ჩავთვალოთ, რადგან აბეშლაელები ქაშქებთან ერთად სწორედ ასეთ ტომად მიგვაჩნია.

მუშქები

ძველაღმოსავლური ხანის (ძვ.წ. XII-VII სს-ის) ასურულ ლურსმულ წყაროებში მოხსენიებული ***მუშქების*** პრობლემა

მჭიდროდ უკავშირდება ძველი ბერძნული წყაროების ***მოსხების*** და, საერთოდ, ერთ-ერთი უძველესი ქართველური ტომის – ***მესხების*** პრობლემას. ქვემოთ შევჩერდებით მხოლოდ ძვ.წ. XII ს-ის ასურული ტექსტების „მუშქებზე“, რომლებიც სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილი არიან „აღმოსაველელი მუშქების“ სახელწოდებით (მცირე აზიის ცენტრალურ რაიონში მცხოვრებ „მუშქებს“, რომლებიც მოხსენიებული არიან ძვ.წ. IX-VIII სს-ის ასურულ წარწერებში, მკვლევრები უწოდებენ „ღბსაველელ მუშქებს“ და მათ ფრიგიელებთან აიგივებენ).

ამ ტომთა სახელწოდება პირველად ტიგლათფალასარ (თუქულთი-აფალ-ეშარა) I-ის დროინდელ (ძვ.წ. 1115-1077) ასურულ ტექსტებშია მოცემული ორი ფორმით. აღნიშნული მეფის ე.წ. „წარწერაში პრიზმაზე“ იგი დაწერილია როგორც ^{mât}Muškaia^{MEŠ} [ე.ი. „მუშქაიას ქვეყნის (მცხოვრებნი)“ ანუ „მუშქაელები, მუშქები“ (მრავლობით რიცხვში)], ხოლო ამავე მეფის სხვა წარწერებში – როგორც ^{mât}Muški^{MEŠ} „მუშქის ქვეყნის (მცხოვრებნი)“ ანუ „მუშქელები, მუშქები“ (მრავლობით რიცხვში).[1]

„მუშქაია, მუშქი“ სახელწოდებას მკვლევრები აკავშირებენ ქართული წყაროების „მესხების“, ბერძენ-რომაული ტექსტების „მოსხებისა“ და ბიბლიის „მოსოს-მეშეს“ სახელწოდებებთან. ჯერ კიდევ XIX ს-ის ისტორიკოსთა ერთმა ნაწილმა (პ. გელცერი, ე. შრადერი, ფ. ლენორმანი და სხვ.) ასურული წყაროების მუშქები ქართველური ტომის მოსხების, მესხების წინაპრებად მიიჩნია. მუშქების ქართული წარმომავლობის თეორია გაიზიარეს XIX ს-ის ქართველმა ისტორიკოსებმაც (დ. ბაქრაძემ, ალ. ხახანაშვილმა, მ. ჯანაშვილმა). მოგვიანებით მუშქების ეთნოგენეზის საკითხი მჭიდროდ დაუკავშირდა ქართველი ხალხის წარმომავლობის პრობლემას (ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, გ. მელიქიშვილი და სხვანი).[2]

---

[1] ხაზარაძე ნ. საქართველოს ძველი ისტორიის ეთნო-პოლიტიკური პრობლემები. თბ., 1984, გვ. 74 და შმდ. იხ. აგრეთვე Дьяконов И. М. Предыстория армянского народа. Ереван, 1968, с. 123 слл.

[2] ხაზარაძე ნ. დასახ. ნაშრ., გვ. 141 და შმდ.

ხეთების სამეფოს დაცემამ, ჩრდილოეთ სირიის წვრილ სამთავროთა დასუსტებამ, ამასთანავე, ეგვიპტისა და ბაბილონის დაუძლურებამ, საშუალება მისცა ასურეთს ძვ.წ. XII ს-დან გამხდარიყო ერთადერთი ძლიერი სახელმწიფო მთელს წინა აზიაში. ამ დროიდან იწყება ტიგლათფალასარ I-ის დაპყრობითი ლაშქრობები. მისი „ანალები“ და მოგიერთი სხვა წარწერა წარმოადგენს ძირითად წყაროს ჩვენთვის საინტერესო ხანის მუშქების ისტორიისათვის.

ძვ.წ. XII ს-ის ასურულ ლურსმულ ტექსტებში მუშქები წარმოდგენილია როგორც ერთ-ერთი დიდი პოლიტიკური გაერთიანება (თავისი მეფეებით) მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე მხარეში. ტიგლათფალასარ I-მდე 50 წლით ადრე, დაახლ. ძვ.წ. 1165 წლისათვის, მუშქები ღრმად შეჭრილან ჩრდილოეთ მესოპოტამიაში, დაუპყრიათ რა ალზი და ფურულუმი, რომელთაგან ისინი, შესაძლოა, სარკსაც იღებდნენ. ამის შემდეგ, ტიგლათფალასარ I-ის მეფობის პირველ წელსვე (ძვ.წ. 1115), მუშქები კელავ გამოჩენილან ჩრდილოეთ შუამდინარეთში და ქათმუხის ქვეყანაც მიუტაცნიათ, რითაც, როგორც ჩანს, დაემუქრნენ ასურეთის სხვა სამფლობელოებსაც. სწორედ მუშქების ამ ლაშქრობასთან დაკავშირებით ასურეთის მეფემ განახორციელა დიდი სამხედრო ოპერაცია, თავისი მეფობის დასაწყისშივე შეეტაკა რა მუშქების ქვეყნის მრავალრიცხოვან ლაშქარს. როგორც იგი გვიამბობს, 20.000 მუშქი მეომარი და მათი 5 მეფე, რომელთაც უკვე 50 წელია, რაც ალზი და ფურულუმი დაუპყრიათ, ისინი, ვინც ვერცერთ მეფეს ვერ დაუმარცხებია და მხოლოდ თავიანთ ძლიერებაზე იმედს ამყარებდნენ, მთებიდან ჩამოსულან და ქათმუხის ქვეყანა ხელთ უგდიათ. ტიგლათფალასარ I-მა გაიმარჯვა მუშქებზე, ბევრი მათგანი გაანადგურა, 6000 კაცი კი მას დანებებია და ისინი „თავისი ხალხისთვის მიუთვლია“, ე.ი. ასურეთის ქვეშევრდომებად გამოუცხადებია.

მაგრამ ამით საქმე არ დამთავრებულა, რადგან ქათმუხელებს უარი უთქვამთ, გადაეხადათ ტიგლათფალასარისთვის ხარკი, რომელსაც ისინი მანამდე, ალბათ, უხდიდნენ მუშქებს. მაგრამ ბოლოს ასურეთის მეფეს ისინიც დაუმარცხებია. შემ-

დეომ. ძვ.წ. 1114 წ., ტიგლათფალასარ I შეიჭრა „შუბართუს (სუბაროუს, ე.ი. სურიტების) ქვეყანაში“ – ალზისა და ფურულუმზიში, რომლებსაც ასევე უარი უთქვამთ ასირიისათვის ესაღათ სარკი, რომელიც მანამდე – 50 წლის მანძილზე უნდა ესაღათ მუშქებისთვის. მუშქებთან ბრძოლის სურათი ასახულია ტიგლათფალასარ I-ის დროინდელ სხვა ტექსტშიც.[1]

მუშქების ადგილმდებარეობის საკითხი კარგა ხანია მეცნიერთა კვლევა-ძიების საგანია. ასურული წყაროების ცნობებიდან გამომდინარე, მუშქები დასაკავშირებელი არიან, უპირველეს ყოვლისა, ჩრდილოეთ მესოპოტამიაში მდებარე ისეთ ქვეყნებთან, როგორიც იყვნენ ალზი, ფურულუმში და ქათმუხი. ალზის (ხეთური ლურსმული წყაროების ალშეს, ურარტული ტექსტების ალზის, ბერძნული წყაროების არზანენას, სომხური წყაროების აღზნიქს) მკვლევარნი ათავსებენ მდ. ტიგროსის ზემო დინების რაიონში, მდ. არცანიას (მურადჩაის) დაბლობზე. ფურულუმზის ქვეყანა საძებნია ალზის ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ხოლო ქათმუხი – თანამ. ტურაბდინის (ქაშიარის მთების) ადგილას. აქედან გამომდინარე, მკვლევრები მუშქების მიწა-წყალს ათავსებენ სწორედ ამ ქვეყნების ჩრდილოეთით, მდ. ევფრატის ზემო დინების აღმოსავლეთით, ქაშიარის მთების ჩრდილოეთით, მდ. ტიგროსის მარჯვენა სანაპიროსა და მისი ზემო დინების მხარეში. ყოველივე ეს დამაჯერებლად ხდის მოსაზრებას, რომლის მიხედვით მუშქების ძირითადი ტერიტორია ისტორიული სამხრეთ საქართველო იყო,[2] საიდანაც უნდა გამოსულიყო მუშქების 20.000-იანი ლაშქარი და მათი 5 „მეფე“. ასეთი დასკვნა კარგად ეთანხმება აბეშლაელებთან დაკავშირებით ზემოთ გამოთქმულ ვარაუდს: მუშქები, აბეშლაელების მსგავსად, ჩრდილოეთიდან უნდა გავრცელებულიყვნენ სამხრეთისაკენ მხოლოდ ხეთების სამეფოს დაცემის მომდევნო პერიოდში. ამით უნდა აიხსნას ის გარემოებაც, რომ არც აბეშლაელები

---

[1] ნ. ხაზარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 73 და შმდ. იქვეა მითითება წყაროებზე და ლიტერატურაზე.

[2] იქვე, გვ. 146. იქვეა ლიტერატურა.

და არც მუშქები ხეთურ ლურსმულ ტექსტებში საერთოდ არ არიან მოხსენიებული.

მუშქების ქვეყანა ძლიერი პოლიტიკური გაერთიანება უნდა ყოფილიყო ჩრდილოეთ შუამდინარეთის ჩრდილოეთით მდებარე ვრცელ ტერიტორიაზე, რომელიც სამხრეთ-დასავლეთ ამიერკავკასიას მოიცავდა. ამას ადასტურებს ფაქტი, რომლის მიხედვით მუშქებს შეეძლოთ 20.000-იანი ლაშქრის გამოყვანა უკვე გაძლიერებული ასურეთის ჩრდილოეთ სამფლობელოთა დასაპყრობად. ამასვე მეტყველებს მუშქების 50-წლიანი ბატონობის ფაქტიც ალზის, ფურულუმზისა და ქათმუხის ქვეყნებზე. ტყუილად არ უნდა ყოფილიყო ტიგლათფალასარის „ანალებში" ნათქვამი: მუშქები თავიანთ ძლიერებაზე ამყარებდნენ იმედსო, ისინი ვერცერთ მეფეს ვერ დაუმარცხებიაო.

როგორც ჩანს, მუშქების ქვეყანა შედგებოდა 5 „სამეფოსაგან" (თუ სამთავროსაგან), რომელთაც „მეფეები" (თუ მთავრები) განაგებდნენ (სამწუხაროდ, ისინი წყაროში თავიანთი სახელებით არ მოიხსენიებიან). თუკი ამ შემთხვევაში ნამდვილ მეფეებთან გვაქვს საქმე (ლურსმულ ტექსტებში ზოგჯერ „მეფე" ნახმარია ტომის ბელადის მნიშვნელობითაც), მაშინ მუშქების საზოგადოება შეიძლება ჩავთვალოთ ადრესახელმწიფოებრივ („ქალაქ-სახელმწიფოს" ტიპის) წარმონაქმნად, რაც გარდაუვალი საფეხურია განვითარებული კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნისათვის. ამ შემთხვევაში, ისტორიულ სამხრეთ საქართველოში სახელმწიფოებრივი განვითარების სათავეები დასაწყები იქნება ძვ.წ. XII საუკუნიდან მაინც (თუ უფრო ადრე არა).[1]

---

[1] მუშქებთან დაკავშირებით იხ. აგრეთვე Меликишвили Г. А. Наири-Урарту. Тб., 1954, с. 176, 305, 315-316, 349 და სხვ.; მელიქიშვილი გ. საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის. თბ., 1955, გვ. 51 და შმდ., 71 და შმდ. მისივე, К истории древней Грузии. Тб., 1959, с. 73-75, 54-58 და სხვ.

დაიაენი

ანატოლიის ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონებთან დაკავშირებულია კიდევ ერთი პოლიტიკური გაერთიანება, რომელიც მსოლოდ ძვ.წ. XII-VIII სს-ის ასურულ ლურსმულ ტექსტებშია დასახელებული „დაიაენის“ („დაიაენის ქვეყნის“) ფორმით. ზოგჯერ იგი ამავე ტექსტებში ნასსენებია „დაიანის“-ს სახითაც. სწორედ ამ ქვეყნის სახელწოდებას მკვლევრები დიდი ხანია უკავშირებენ ურარტული ლურსმული ტექსტების „დიაუხი“-ს, ბერძნული წყაროების „ტაოსოი“-ს, ძველი სომხური წყაროების „ტაიქ“-ისა და ისტორიული საქართველოს ერთერთი ოლქის – „ტაო“-ს სახელწოდებებთან.

„დაიაენი/დაიანი“ სახელწოდების წარმოშობასთან დაკავშირებით ბევრი რამ უცნობია. მკვლევართა აზრით,[1] ეს ტერმინი გაფორმებული უნდა იყოს ხური-ურარტული წარმოშობის -ენი/-ნი სუფიქსით, რომელიც საერთოდ ასურულ წყაროებში სშირადაა ნახმარი ტოპონიმებისა თუ ეთნონიმების სმარების დროს, ისეთ შემთხვევებშიც კი, როდესაც ამა თუ იმ გეოგრაფიული სახელწოდების ძირი არ უნდა იყოს ხური-ურარტული წარმოშობისა.[2] აღნიშნული ხანის ასურულ წყაროებში ხშირად გვხვდება „დაია“- ძირის შემცველი სახელწოდებები, როგორიცაა: „დაიაუქქუ“, „დაიაგუნა“, „დაიაშეთი“ და სხვ.[3] მაგრამ, სამწუხაროდ, ძნელია მათი ეტიმოლოგიების დადგენა და გარკვევა, დასაკავშირებელია თუ არა ამ სახელწოდებათა ძირი „დაიაენი/დაიანი“ სიტყვის „დაია“ ძირთან. ცხადია, რომ „დაიაენის“ სახით აღგილობრივი წარმოშობის ტერმინთან უნდა გვქონდეს საქმე.[4]

---

[1] Дьяконов. Ук. соч., с. 16, прим. 15.

[2] გეოგრაფიული სახელების მაწარმოებელი -ენი, -ნი სუფიქსი სშირად გესვდება ქართულ ტოპონიმებშიც: ზედაბენი, ტიბაანი, მუკუბანი და ძისთანანი.

[3] ARAB I §407 (დაიაგუნა); §408 (დაიაშეთი); §12 (დაიაუქქუ).

[4] თავისი ფორმით ყურადღებას იქცევს ***დაიაშეთი***, რომელიც -ეთ- სუფიქსს უნდა შეიცავდეს. ეს კი საყურადღებოა იმ მხრივ, რომ იგი შეიძლებოდა დაგვეკავშირებინა ქართველურ -ეთ- სუფიქსთან, რომელიც გეოგრაფიულ სახელებს აწარმოებს. მაგრამ ასურული წყაროს თანასმად, დაია-

ძვ.წ. XII-VIII სს-ის ასურული ტექსტებიდან გამომდინარე, დაიაენი განივრცობოდა ასურეთის ჩრდილოეთით მდებარე ვრცელ ტერიტორიაზე, რომელსაც მოიცავდა ამავე წყაროების „ნაირის ქვეყნები". მის ლოკალიზებასთან დაკავშირებით მკვლევართა შორის არ არის აბრთა დიდი სხვაობა. მათ მისედვით, დაიაენი მდებარეობდა ერზერუმის რაიონისა და ყარა-სუს (დასავლეთ ევფრატის) გემო წელის ტერიტორიაზე და ვრცელდებოდა ჩრდილოეთის მიმართულებით,[1] ანდა იგი. საძებნია მდ. ჭოროხის აუგში, სახელდობრ, ერზერუმის რაიონიდან ჭოროხის ველამდე (ან იანამ. ბაიბურთთან),[2] მდ. ევფრატის სათავეებთან[3] და ა.შ.

დაიაენი დიდ ტერიტორიაზე უნდა ყოფილიყო გაერცელებული – გემოაღნიშნული რეგიონიდან დაწყებული შავი ზღვის სამხრეთ სანაპირომდე. ასურული ტექსტების მისედვითაც, იგი" გემო ზღვის", ე.ი. შავი ზღვის ქვეყნების რიცხვს განეკუთვნებოდა. სამხრეთიდან იგი უკავშირდებოდა ასურული წყაროების ისეთ ქვეყნებს, როგორიც იყვნენ სათი, ენზითე, ალზი, სუსმე (სუსნი), მელიდი და სხვანი. ზოგჯერ დაიაენი ნასხენებია ურარტუს (ან არზაშქუს) გვერდით.[4]

ჯერ კიდევ ედ. მაიერი, ს. ლემან-ჰაუპტი, დ. ბელკი და სხვანი ვარაუდობდნენ, რომ დაიაენის (დაიანის) მცხოვრებნი დასაკავშირებელი იყვნენ იმ ტომებთან, რომლებსაც ქსენოფონტი „ტაოხებს" უწოდებდა. მოგვიანებით კი გამოითქვა მოსაზრება „დაიაენის" გაიგივებისა ურარტული წყაროების „დიაუხი"-სთან, რასაც მხარს უმაგრებდა ამ ორი ქვეყნის მოთავსება დაახლოებით ერთსა და იმავე რეგიონში. მართალია, ამ ორი ქვეყნის სახელწოდებიდან ამგვარი დასკვნის გამოტანა

შეთი საძებნია ევფრატის შუა დინების რაიონში, სადაც არ იყარაუღება ქართველურ ტომთა განსახლება.

[1] Меликишвили Г. А. Наири-Урарту, с. 173.

[2] Дьяконов И. М. Ук. соч., с. 125, прим. 127; Арутюнян Н. В. Биайнили. Ереван, 1970, с. 51; ასათიანი შ. სამხრეთ-დასავლეთ ამიერკავკასია ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლოს ასურული წყაროების მისედვით. „კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული", IX, თბ., 1998, გვ. 9 და შმდ.

[3] Пиотровский Б. Б. Ванское царство. М., 1959, с. 57.

[4] ARAB I, §§ 641, 688, 690, 692.

ძნელდება იმის გამო, რომ ისინი გაფორმებული არიან ტოპონიმების მაწარმოებელი ორი სხვადასხვა სუფიქსით -ენი(-ნი) და -ხი სუფიქსით, თანაც ამ სახელწოდებათა ძირებიც („დაია-" და „დია"-) მთლად არ ემთხვევა ერთმანეთს,[1] მაგრამ მკვლევართა უმრავლესობა მხარს უჭერს მოსაზრებას „დაიაენი" – „დიაუხის" იგივეობის შესახებ იქედან გამომდინარე, რომ ტერიტორიულად ამ ორ ქვეყანას ათაესებენ მდ. ჭოროხის რეგიონში. საგულისხმოა, რომ დაიაენი ისსენიება მხოლოდ ასურულ წყაროებში. მათში არსად ჩანს დიაუხი. იგი მოიხსენიება მხოლოდ ურარტულ ტექსტებში, რომლებშიც დაიაენი საერთოდ არ იხსენიება.

ასურელთა ლაშქრობა დაიაენიში მოეწყო ტიგლათფალასარ I-ის მეფობის (ძვ.წ. 1115-1077) მესამე წელს, როდესაც ტიგლათფალასარმა გაილაშქრა დიდი კოალიციის წინააღმდეგ ნაირის ქვეყნებში.[2] ამ მეფის „ანალების" მიხედვით, იგი შეებრძოლა „ნაირის 23 მეფის" გაერთიანებულ ლაშქარს, გაემართა რა „შორეული ქვეყნების მეფეთა წინააღმდეგ, ზემო ზღვის (შავი ზღვის) სანაპიროსაკენ". ტიგლათფალასარი გაივლის ძნელ გზებს, გადაიელის გადასასელელებზე, რომლებიც მანამდე არავის ენახა ამ მეფის წინაპართაგან. ასურელთა ლაშქარი გადადის „16 ძლიერ მთაზე", რომელთა შორის ბოლო მთა იყო შეშე (ამავე სახელწოდების გეოგრაფიული პუნქტი ურარტულ ტექსტებშიცაა დასახელებული, შეშეს უკავშირებენ მოგვიანო ხანის ქართულ ტოპონიმს – შეშეთს). (ამის შემდეგ ასურელთა ლაშქარი გადადის მდ. ევფრატზე, აღნიშნულია, რომ ნაირის 23 ქვეყნის მეფეებმა თავიანთ ქვეყნებში შეაგროვეს საბრძოლო ეტლები და ლაშქარი და გამოემართნენ ასურეთის მეფის წინააღმდეგ, რათა შებრძოლებოდნენ მას. ჩამოთვლილია შემდეგი ქვეყნების მეფენი: თუმეს მეფე,

---

[1] გიორგაძე გ. „მუშქაია; მუშქი" და „დაიაენი; დაიანი" ასურულ ლურსმულ ტექსტებში. „მესხეთი. ისტორია და თანამედროვეობა", ასალცისე, 2000, გვ. 5 და შმდ.; *მისივე*, დაიაენი-დიაუხი: არაქართველური სამყარო? „ქართული სახელმწიფოებრიობის სათაესებთან", თბ., 2001, გვ. 6 და შმდ.

[2] ამის შესახებ დაწვრილებით Меликишвили Г. А. Наири-Урарту, с. 169 и сл.; ასათიანი შ. დასახ. ნაშრ., გვ. 18 და შმდ.

თუნუბესის მეფე, თუალის მეფე, ქინდარის მეფე, უზულას მეფე, უნზამუნის მეფე, ანდიაბეს მეფე, დილაქინის მეფე, ათურგინის მეფე, ქულიბარზინის მეფე, შინიბირნის მეფე, სიმუას მეფე, ფაითერის მეფე, უირამის მეფე, შურურის მეფე, აბაენის მეფე, ადაენის მეფე, კირინის მეფე, ალბაიას მეფე, უგინას მეფე, ნაგაბიის მეფე, აბარსიუნის მეფე და დაიაენის მეფე, სულ ნაირის ქვეყნის 23 მეფე.

ბრძოლაში გაიმარჯვეს ასურელებმა, რომელთა მეფე იკვეხნის, რომ მან მოაწყო მეომართა ხოცვა-ჟლეტა, სულთ იგდო 120 საომარი ეტლი, ნაირის 60 მეფე, მათთან ერთად ვინც იყო მოსული დასახმარებლად, მან თავისი შუბით განდევნა „ზემო ზღვამდე". ასურელებმა დაიპყრეს მტრის „დიდი ქალაქები", გაანადგურეს და დაანგრიეს რა ისინი. მათ იქედან გამორეკეს უზარმაზარი ჯოგები ცხენებისა, ჯორებისა, ჯორცხენებისა და ურიცხვი საქონელი მათი საძოვრებისა.

ტიგლათფალასარი ამბობს, რომ მან ცოცხლად იგდო ხელთ ნაირის ქვეყნის ყველა მეფე, მაგრამ შეიწყალა ისინი, დააფიცა რა მისადმი მორჩილებაზე, მძევლებად აიყვანა მათი შვილები, დააკისრა მათ ხარკი 1200 ცხენისა და 2000 მსხვილფუსა საქონლის რაოდენობით, ბოლოს კი ისინი შინ გაუშვა. მათგან მხოლოდ ერთი დაიტოვა – დაიაენის ქვეყნის მეფე, სახელად სიენი (სენი), რომლის შესახებ ტექსტში სამგასმითაა აღნიშნული: სიენი, დაიაენის ქვეყნის მეფე, რომელმაც მუხლი არ მოიდრიკა ღვთაება აშურის წინაშე, როგორც ტყვე და ბორკილებდადებული ტიგლათფალასარმა წამოიყვანა ქ. აშურში და იქ შეიწყალა: აშურიდან იგი გაუშვა დიდი ღვთაებებისადმი მორჩილი. ასურელი მეფე ასე ამთავრებს თხრობას: „ნაირის ვრცელ ქვეყნებს, მთელს მათ საზღვრებამდე, დაეუფლე და ყველა მათი მეფე ჩემს ფერხთ დავამხე".[1]

როგორც ჩანს, დაიაენი თავისი სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური სიძლიერით ნაირის ქვეყნებს აღემატებოდა. ამიტომაც ვარაუდობენ, რომ იგი უნდა ყოფილიყო მეთაური

---

[1] ის. აგრეთვე Пиотровский Б. Б. Ук. соч., с. 45; Дьяконов И. М. Ук. соч., с. 126; Арутюнян Н. В. Биайнили, с. 39, 42, 43, 45, 118 და სხვ.

ტომთა დიდი კოალიციისა ასურეთის წინააღმდეგ. ამ ქვეყნის დაწინაურებისათვის ხელი უნდა შეეწყო მის სიმდიდრეს სხვადასხვა ლითონის საბადოებით, რამაც გამოიწვია ასურეთის ჩრდილოეთით მდებარე რეგიონში მეტალურგიის განვითარება. დაიაენის ტერიტორიაზე არსებულა დიდი დასახლებანი, რომლებიც გაძარცვეს ასურელმა მეომრებმა. მათგან მკვეთრად გამოყოფენ შაშილუს, ზუაინას, უთუსას.[1]

სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ დაიაენი ძვ.წ. XII ს-დან უკვე სახელმწიფოებრივ ერთეულს წარმოადგენდა, ანდა სახელმწიფოდ გადაქცევის მიჯნაზე იმყოფებოდა.[2] ამაზე მიუთითებს საწარმოო ძალთა მაღალი განვითარება, ძვირფასი ლითონების სიუხვე, საუკუნეთა მანძილზე მისი არსებობა მყარი გაერთიანების სახით, ძველი ახლო აღმოსავლეთის დიდ სახელმწიფოებთან ახლო მეზობლობა და მათთან ინტენსიური ეკონომიკურ-კულტურული ურთიერთობა. სიმპტომატურია, რომ მის სათავეში დგას ერთი პირი – მეუე (თუკი იგი ნამდვილად მეუეა და არა ტომის ბელადი), რომელიც განასახიერებდა ძვ.წ. XII საუკუნიდან მაინც თავისი ქვეყნის სუვერენიტეტს მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობაში.

ამგვარად, ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში სეთების სამეფოს ჩრდილო-აღმოსავლეთითა და აღმოსავლეთით, ჩრდილოეთ შუამდინარეთის ჩრდილოეთით მცხოვრები ტომები (ქასქები, აბეშლაელები, მუშქები, დაიანელები), რომელთა შესახებ სათანადო წერილობითი ცნობებია დაცული ხეთურ და ასურულ ლურსმულ ტექსტებში, ჩვენი ვარაუდით, წარმოადგენდნენ ქართველური წარმოშობის ტომებს. მათი საცხოვრებელი ტერიტორია ემეზობლებოდა სეთურ და ჩრდილომესოპოტამიურ სამყაროებს, რომლებთანაც ამ ტომებს სხვადასხვა სახის ურთიერთობანი უნდა დაემყარებინათ.

---

[1] Арутюнян Н. В. Ук. соч., с. 118, прим. 86.

[2] „საქართველოს ისტორიის ნარკვევები", I, თბ., 1970, გვ. 380; „Всемирная история", М., 1955, с. 515.

თავი III

ეთნო-პოლიტიკური სიტუაცია ხეთების აღმოსავლეთ პერიფერიაზე ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში

გარდა წინა თავში განხილული ეთნო-პოლიტიკური გაერთიანებებისა, ხეთების სამეფოს აღმოსავლეთ პერიფერიაზე, მდ. ევფრატის (ხეთ. ***მალას)*** მარჯვენა (ე.ი. დასავლეთ) მხარეში, სხვა პოლიტიკური ერთეულებიც არსებობდნენ, რომელთაც ქვემოთ ვრცლად განვიხილავთ. ამ მხარის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი ჩვენთვის საინტერესოა იმდენად, რამდენადაც იგი დასაკავშირებელია ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსთან. არ არის გამორიცხული, რომ სწორედ აქ უნდა გაევლო ერთ-ერთ დიდ გზას, რომელიც მცირე აზიასა და ჩრდილოეთ შუამდინარეთს აკავშირებდა სამხრეთ კავკასიასთან.

ხეთების სამეფოს აღმოსავლეთი პერიფერია, რომელიც საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე იყო გადაჭიმული ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, ვრცელდებოდა, როგორც ცნობილია, მდ. ევფრატამდე (მისი ზემო დინებიდან შუა დინების ჩათვლით). სწორედ ამ მდინარეს ხეთები თვლიდნენ თავიანთ საბღვრად აღმოსავლეთი მიმართულებით. ეს პირდაპირაა მითითებული ქვემოთ განხილულ სუფილულიუმა (I)-შატივაზას ხელშეკრულებაში, რომელშიც სუფილულიუმა აღნიშნავს: „მდ. ევფრატი [ჩემი საბღვარია(?)]. ჩემს ბურგში მე დავადგინე ლებანონის მთა ჩემს საბღვრად"...[1] ევფრატის დასავლეთით მდება-

[1] Beckman G. Hittite Diplomatic Texts. Atlanta, 1996 (შემდგომში – HDT). № 6 A. §10, გვ. 41; Weidner E. Politische Dokumente aus Kleinasiens: Die Staatsverträge in akkadischer Sprache aus dem Archiv von Boghazköi. Boghazköi-Studien 8. Leipzig, 1923 (შემდგომში – PDK). §10, გვ. 22-23.

რე ქვეყნები, ყოველ შემთხვევაში, მათი დიდი ნაწილი, განიხილებოდა როგორც ხათის პოლიტიკურ გავლენაში მყოფი ერთეულები.

ეს რეგიონი ძველთაგანვე იქცეოდა როგორც ხეთების, ასევე ასურელთა (უფრო მოგვიანებით კი – ურარტელთა) ყურადღებას, რაც აღვილი ასახსნელია – იგი იყო სხვადასხვა სიმდიდრის მხარე. მისი უმეტესი ნაწილი მთიანი, მაგრამ ტყით იყო დაფარული (ევფრატის ზემო დინების მხარე ცნობილი იყო ე.წ. „ურუმის ხეებით"). იგი მდიდარი იყო სპილენძის საბადოებით, რასაც კარგად იყენებდნენ ხეთების გარდა, ასურელები და, ალბათ, სამხრეთ კავკასიის ქვეყნები.

ხეთურ ტექსტებში შემოინახა ცნობა იმის შესახებ, რომ ზემო ევფრატს იყენებდნენ სანაოსნოდაც. ძვ.წ. XIII ს-ის ერთ ხეთურ ტექსტში საუბარია ტეირთის (გამომცხვარი პურის, ფქვილის, სპელტის, ხორბლის) გადატანაზე ნავებით ფითიარიგიდან და არციიდან სამუხაში,[1] ხეთების ცნობილ რელიგიურ ცენტრში, რომელიც, როგორც ჩანს, ევფრატთან სადღაც ახლოს მდებარეობდა.[2] შესაძლოა, ამ სანაოსნო გზითაც მყარდებოდა კავშირები სამხრეთ კავკასიასა და წინა აზიას შორის.

მდ. ევფრატის აღმოსავლეთით საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე გადაჭიმული ქვეყნები ჩვეულებრივ ითვლებოდა ხეთებისადმი მტრულად განწყობილად, სადაც ცხოვრობდნენ, როგორც ეს ხეთურ ტექსტებშია დადასტურებული, „აცი-მტერი", „არავანა-მტერი", „არმათანა-მტერი" და სხვანი.[3] ევფრატის აღმოსავლეთით მდებარე რაიონებს სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა ხეთებისათვის. ეს განსაკუთრებით ითქმის ისუვას და ალზის (ალშეს) მიმართ, რომლებიც მოიცავდნენ ზემო ევფრატისა და ტიგროსის რაიონთა დაბლობებს. ხეთებისათ-

---

[1] KUB XXXI 79, წინა მხარე, სტრქ. 1-35. იხ. აგრეთვე Garstang J., Gurney O. The Geography of the Hittite Empire. Ankara-London, 1959, გვ. 33-34.

[2] სამუხას აღგილმდებარეობასთან დაკავშირებით იხ. G. F. del Monte., J. Tischler. Die Orts- und Gewässernamen der hethitischen Texte. Wiesbaden, 1978, S. 338 f. (ქვემოთ შემოკლებით: Monte-Tischler).

[3] KBo VI 28 I 6-15. დაწერილებით Goetze A. Kizzuwatna and the Problem of Hittite Geography. New Haven, 1940, გვ. 21 და შმდ.

ვის ეს რეგიონი განიხილებოდა როგორც პლაცდარმი ჩრდილოეთ და ცენტრალურ მესოპოტამიასთან დასაკავშირებლად.[1] მითანისათვის (საერთოდ, ხურიტებისათვის) და ასურისათვის კი აღნიშნული დაბლობები წარმოადგენდა საიმედო საყრდენს ზემო ევფრატის დასავლეთ რაიონებში სალაშქროდ, საიდანაც მიემართებოდა გზები დასავლეთისაკენ – მცირე აზიისაკენ, და ჩრდილოეთისაკენ – შავი ზღვის სანაპიროებისაკენ.[2]

მდ. ევფრატის აღმოსავლეთით მდებარე პოლიტიკური გაერთიანებებიდან, რომლებიც ხეთებისადმი მტრულად იყვნენ განწყობილი, ადრეული ხანებიდანვე გამოირჩეოდა ***ისუვა*** (იშუვა). მკვლევართა ვარაუდით, იგი ხარფუთის დაბლობზე, მდ. მურად-სუს ჩრდილოეთით, განიკრცობოდა. ჯერ კიდევ ხეთების „შუა სამეფოს" ხანაში, როდესაც ხეთების სამეფო პოლიტიკურად და ეკონომიკურად დაძაბუნებული იყო, შექმნილი სიტუაციით უსარგებლიათ მდ. ევფრატის აღმოსავლეთით მცხოვრებ სათის „მტრებს" და მისთვის ახალი ძალით შეუტევიათ. მათ შორის ყოფილა „ისუვა-მტერი", რომელსაც თეგარამას ქვეყანა აუოხრებია.[3] ცხადია, თეგარამა და ისუვა მეზობლები ყოფილან, რომელთაგან თეგარამა მდ. ევფრატის დასავლეთით განიკრცობოდა, ხოლო ისუვა – ამ მდინარის აღმოსავლეთ მხარეში (იხ. ქვემოთაც).

თუთხალია II-ის მეფობის დროს (დაახლ. ძვ.წ. 1400) ისუვას კვლავ დაუწყია მტრობა ხათის წინააღმდეგ, რაც აღწერილია თუთხალია II-ისა და სუნასურა ქიცუვათნელს შორის დადებულ ხელშეკრულებაში,[4] სადაც შემდეგს ვკითხულობთ:

---

[1] Klengel H. Die Hethiter und Išuwa. „Oriens Antiqvvs", vol. VII, Fasc. I, Roma, 1968, გვ. 63 და შმდ.; მისივე, Nochmals zu Išuwa. „Oriens Antiqvvs", Vol. XV, 1976, გვ. 85 და შმდ.; Головлева Л. М. Царство Алзи во второй половине II тыс. до н.э. „Древний Восток", III, Ереван, 1978, გვ. 71 და შმდ.

[2] Головлева, დასახ. ნაშრ. გვ. 72.

[3] KBo VI 28 I 12; Goetze, Kizzuwatna..., გვ. 21 და შმდ.

[4] HDT, №2, §§ 3, 4, 5, გვ. 13-15 (აქადური და ხეთური ვარიანტები). ლიტერატურისათვის იხ. HDT, გვ. 171.

§ 3: „როდესაც ისუვას ქვეყნის ხალხმა, „მზის“ ქვეშევრდომმა, [დაიწყო] მტრობა „მზის“ წინააღმდეგ, მე, „მზე“ გაეემართე მათ წინააღმდეგ საბრძოლველად. დავამსე ისუვას ქვეყანა და [ისუველებმა] თავს გაქცევით უშველეს. ისინი დაეშვნენ ხურის ქვეყანაში. მე, „მზემ“, ხურის მბრძანებელს მივმართე: „დამიბრუნე ჩემი ქვეშევრდომები!“ მაგრამ ხურის მბრძანებელმა („მეფემ“) „მზეს“ ასე აცნობა: „არა!“ (HDT, გვ. 14 და შმდ.).

§ 4: „ამ ქალაქთა მცხოვრებნი (– ისუველები) წინათ, პაპაჩემის დროს, მოვიდნენ ხურის ქვეყანაში და იქ დასახლდნენ. ისინი შემდგომ წავიდნენ ხათში როგორც ლტოლვილნი... ახლა ისინი ისევ მივიდნენ ჩემს ქვეყანაში“ (HDT, გვ. 15).

§ 5: „ხურის მბრძანებელმა არ დაუბრუნა ჩემი ქვეშევრდომნი (– ისუველები) „მზეს“, გამოაგზავნა მხოლოდ მისი ქვეითი მეომრები და ეტლოსნები. „მზის“ არყოფნის დროს მათ გაძარცვეს ისუვას ქვეყანა, წაიყვანეს ხურის ქვეყანაში ნამრა (-დეპორტირებულნი), მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი, რომლებიც კი ხელთ იგდეს, მიუხედავად იმისა, რომ მე, „მზე“, სხვაგან ვიყავი მტრის წინააღმდეგ [საბრძოლველად]“ (HDT, გვ. 15).

ისუვა ხეთებს კვლავ აუმბოხდა თუთხალია III-ის მეფობის დროს (დაახლ. ძვ.წ. 1375), რაც აღწერილია სუფილულიუმა I-ისა (დაახლ. ძვ.წ. 1350) და მითანის მეფე შატივაზას შორის დადებული ვრცელი ხელშეკრულების[1] დასაწყის ორ პარაგრაფში.

სუფილულიუმა-შატივაზას ხელშეკრულება საყურადღებოა იმით, რომ მასში ორჯერაა ჩამოთვლილი გეოგრაფიული პუნქტები, რომელთა მეომრები (ERÍN^{MEŠ} = ṣabē^{MEŠ}) ხათის ქვეყნიდან წასულან ისუვაში. გეოგრაფიული პუნქტები ხეთების აღმოსავლეთ პერიფერიის საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე იყვნენ გაბნეული. ქვემოთ შევეხებით მათ ადგილმდებარეობას, მოსახლეობის ეთნიკურ წარმომავლობას, მეომართა ამ-

[1] HDT 6A, გვ. 38 და შმდ.; PDK, გვ. 2 და შმდ.

ბოხების მიზეზებს, სუფილულიუმას მიერ მათ „განთავისუფლებას“ და სხვ.

ქვემოთ ჯერ მოვიტანთ სუფილულიუმა-შატიეაზას ხელშეკრულების პირველი ორი პარაგრაფის თარგმანს (ტექსტი აქადურ ენაზეა შედგენილი), ხოლო შემდეგ განვიხილავთ ტექსტიდან გამომდინარე ზოგიერთ ჩვენთვის საინტერესო საკითხს.

§ 1, სტრქ. 1-16

1. „როდესაც „მზემ“, სუფილულიუმამ, დიდმა მეფემ, გმირმა, ხათის ქვეყნის მეფემ, თეშუფის მოყვარულმა, (და) არიათამამ,

2. ხურის ქვეყნის მეფემ, ურთიერთსელშეკრულება დაღეს, იმ დროიდან თუშრათა, მიტანის ქვეყნის მეფე, [დიდი] მეფის,

3. ხათის ქვეყნის მეფის, გმირის, წინააღმდეგ აღსდგა. მე, დიდმა მეფემ, გმირმა, ხათის ქვეყნის მეფემ, თუშრათა, მიტანის ქვეყნის მეფე,

4. დავაშინე: „მე მდინარის (– ევფრატის) აქეთა (– დასაელეთ) სანაპიროს ქვეყნები დავარბიე და ნიბლანის მთაც დავიკავე“.

5. მეორეჯერ თუშრათა, მეფე, ჩემს წინააღმდეგ აღსდგა და შემეკითხა: „შენ რატომ არბევ ევფრატის (დასაელეთ) სანაპიროს?“

6. გარდა ამისა, თუშრათა, მეფე (ამბობს): „თუ შენ ევფრატის იქეთა (დასავლეთ) სანაპიროს ქვეყნებს

7. დაარბევ, მაშინ მეც დავარბევ ქვეყნებს, რომლებიც ევფრატის იქეთა (– დასავლეთ) სანაპიროზეა“.

8. თუშრათა, მეფე, აცხადებს შემდეგს (?): „თუ შენ მათ დაარბევ, მაშინ მე რაღა ვუყო მათ?

9. მაშინ მე გადმოვლახავ ევფრატს აქეთა (– აღმოსავლეთ) სანაპიროდან. თუ კრავი ან ციკანი ჩემი ქვეყნისა დაბარალდება...“. მაგრამ

10. დიდმა მეფემ, ხათის ქვეყნის მეფემ, მის წინაშე ქედი არ მოიხარა. ხათის ქვეყნის მეფის მამის დროს ისუვას ქვეყანა ამბოხდა.

11. ხათის მეომრები (ṣabē^{MEŠ} – ERÍN^{MEŠ}) ისუვას ქვეყნისაკენ გაემართნენ. გურთალისას მეომრები, არავანას მეომრები, ცაცსას ქვეყანა,

12. ქალასმას[1] ქვეყანა, თიმნას ქვეყანა, სალივას მთა, ქარნას მთა, დურმითას მეომრები, ალსას ქვეყანა, ხურმას ქვეყანა, ხარანას მთა,

13. თეგარამას ქვეყნის ნახევარი, თეშურციას მეომრები, ხაცგას მეომრები და არმათანას ქვეყნის მეომრები, მამაჩემის დროიდან ამბოხდნენ.

14. მაგრამ „მზემ", სუფილულიუმამ, დიდმა მეფემ, გმირმა, ხათის ქვეყნის მეფემ, თეშუფის მოყვარულმა ისინი დაამარცხა.

15. ახლა კი მეომრები, რომლებიც ჩემს ხელთ გაექცნენ, ამ მეომრებმა ისუვას ქვეყანაში გასწიეს, და ყველა ეს მეომარი

16. და ეს ქვეყნები, რომლებიც მამაჩემის დროს ამბოხდნენ, ისუვას ქვეყნის საზღვართან ცხოვრობენ მტრებს შორის.

---

§ 2, სტრქ. 17-24

17. მაგრამ მე, „მზე", სუფილულიუმა, დიდი მეფე, მეფე ხათისა, გმირი, თეშუფის მოყვარული, კვლავ გამოვედი (საბრძოლველად). თუშრათას, მეფის, ნების საწინააღმდეგოდ

18. ევფრატი გადავლახე და ისუვას ქვეყნისკენ გავსწიე. მეორეჯერ ისუვას ქვეყნის

19. ბატონი გაეხდი. მეორეჯერ ისინი (ისუველები) ჩემს ქვეშევრდომებად ვაქციე. მეომრები და ქვეყნები, რომლებმაც მამაჩემის დროს

20. ისუვას ქვეყანაში გასწიეს, გურთალისას მეომრები, არავანას მეომრები, ცაცისას ქვეყანა, თეგარამას ქვეყანა,[2]

21. თიმინას ქვეყანა, ხალივას მთა, ქარნას მთა, დურმითას მეომრები, ალსას ქვეყანა, ხურმას ქვეყანა, ხარანას მთა,

---

[1] ტექსტშია „ქალამასმა", რაც არ უნდა იყოს სწორი. აქ საქმე უნდა გვქონდეს ხეთური წყაროების „ქალასმასთან" (იხ. ქვემოთაც).

[2] აქ მწერლის შეცდომაა: უნდა იყოს „ქალასმა" („ქალამასმა"), როგორც §1-ის ჩამონათვალშია (სტრქ. 12).

22. თეგარამას ქვეყნის ნახევარი, თეფურციას მეომრები, ხაცგას მეომრები, არმათანას მეომრები – ეს მეომრები და ქვეყნები

23. დავამხე და ისინი ხათის ქვეყანას დაუბრუნე. ქვეყნებს, რომლებიც დავიმორჩილე, თავის უფლება მივეცი. ისინი თავიანთ ადგილებზე

24. საცხოვრებლად დარჩნენ. მაგრამ ყველა მეომარი, რომლებსაც მე თავის უფლება მივეცი, თავიანთ მეომრებს შეუერთდნენ და ხათის ქვეყანამ მათი ტერიტორიები მიიერთა".[1]

ტექსტის დასაწყისში, უპირველეს ყოვლისა, შემლეკი საინტერესო ფაქტია დადასტურებული: ტექსტის შემდგენელი ერთმანეთისაგან ასხვავებს ***ხურის*** ქვეყანას ***მითანის*** ქვეყნისაგან სათანადო მეფეთა სახელების აღნიშვნით: ხურის მეფე – ართათამა, მითანის მეფე – თუშრათა.[2] ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს შატივაზასა და სუფილიუმა I-ს შორის დადებული ხელშეკრულების (HDT, №6 B) რამდენიმე ადგილიც: ფირფიტა უნდა იკითხებოდეს მრავალჯერ, მუდამ, ***მითანის*** ქვეყნის მეფისა და ***ხურიტების*** წინაშე" (§ 8, გვ. 47); „თუკი [შენ], შატივაზა (– მითანის მეფე) და თქვენ, ხურიტებო..." (§ 9, გვ. 48) და ა.შ.[3] ხური-მითანისთან დაკავშირებით სა-

---

[1] სუფილიუმა-შატივაზას ხელშეკრულების ამ ადგილისათვის იხ. აგრეთვე Klengel H. Die Hethiter und Išuwa..., გვ. 65 და გვ. 69, შენიშვნა 19 (იქვეა მითითებული ლიტერატურაც); Monte-Tischler, გვ. 30 (აქ მხოლოდ ტექსტის 19-24 სტრიქონებია თარგმნილი).

[2] სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ფაქტს კარგა ხანია აქცევენ ყურადღებას (G. Wilhelm, Grundzüge der Geschichte und Kultur der Hurriter. Darmstadt. 1982, გვ. 40-41; 49-53; A. Harrak, Assyria and Hanigalbat. Hildesheim. 1987, გვ. 15-24), თუმცა იგი სათანადოდ ასსნილი არ არის.

[3] „შენ, ***შატივაზა***, და თქვენ, ***ხურიტებო***" (§9, გვ. 48); „თუ შენ, „***შატივაზა***... და თქვენ, ***ხურიტებო***" (იქვე); „***შატივაზა*** ოჯახით და თქვენ, ***ხურიტებო***, თქვენი ცოლებითა და შვილებით" (§10, გვ. 48); „თუ მე, უფლისწული შატივაზა და ხურიტები"... (§11 გვ. 49). მაგრამ იქვე, §11, გვ. 49, ბუნდოვანადაა გადმოცემული შემდეგი: „თუ მე, უფლისწული შატივაზა და ხურიტები, არ მიეიღებთ ამ ხელშეკრულების სიტყვებს..., მაშინ მე, ***შატივაზა***, ჩემს სხვა ცოლთან ერთად, და ***ჩვენ, ხურიტები***, ჩვენს ცოლებთან ერთად, ჩვენს შვილებთან ერთად, ჩვენს ქვეყანასთან ერთად"..., „მე, ***შატივაზა***, სხვა ცოლთან ერთად... და ჩვენ, ***ხურიტები***, ჩვენს ქვეყანასთან ერთად". ასევე

ინტერესო ცნობაა დაცული თუთხალია II-სა და ქიცუეათნელ სუსაშურას შორის დადებული ხელშეკრულების აქადურ და ხეთურ ვარიანტებშიც: აქადურ ტექსტში ყველგან „ხურის მეუფეგა“ საუბარი, მაშინ, როდესაც ხეთურ ვარიანტში მის მაგიერად ისსენიება „მითანის ქვეყნის მეუფე“ (HDT, № 2, აქადური ვარიანტი, §§ 3, 5, 7 და სხვა; ხეთური ვარიანტი, §§ 11-14).

სამეცნიერო ლიტერატურაში გემოაღნიშნულ ფაქტებს კარგა ხანია აქცევენ ყურადღებას (ბოლო სანებში – გ. ვილჰელმი, ა. პარრაკი და სხვანი), თუმცა ისინი დამაჯერებლად არ არის ახსნილი. არ გამოირიცხება ვარაუდი, რომ გემონახსენები „სურის ქვეყანა“ წარმოადგენდა „მითანის ქვეყნის“ რომელიღაც ნაწილს, რომელიც არ შედიოდა მითანის პოლიტიკურ გავლენაში, ინარჩუნებდა რა დამოუკიდებელ მდგომარეობას გარკვეულ დრომდე, რომლის შემდეგ ისიც „მითანის“ შემადგენლობაში შევიდა. შესაძლებელია ისიც ვიეარაუდოთ, რომ გამოთქმაში „შენ, შატივაზა, და თქვენ, სურიტებო“ ცალკე მიმართავენ მეფეს – შატივაზას, რომელიც იყო არა სურიტი, არამედ არიელი (არიული წარმოშობისა), და ცალკე – ქვეყნის მცხოვრებლებს – სურიტებს, ე.ი. მითანის ძირითად მცხოვრებლებს (თუმცა ასეთ შემთხვევაშიც აუხსნელი რჩება, რატომ ჰყავდათ სურის ქვეყანასა და მითანის ქვეყანას თავიანთი მეფენი).

როგორც ხელშეკრულების გემომოტანილი ტექსტიდანაც მტკიცდება, ევფრატის დასავლეთით მდებარე ქვეყნები სათის სამფლობელოებად ითვლებოდა, რომელთა წინააღმდეგ გალაშქრებას ვერ ახერხებდა მითანის მეფე თუშრათა – ევფრატის აღმოსავლეთით მდებარე დიდი ტერიტორიების მფლობელი. სათის ქვეყნებიდან ისუვაში წასული მეომრები სუფილულიუმას მიერ მიყენებული მარცხის შემდეგ კვლავ თავიანთ აღგილებს უბრუნდებიან და ისევ სათის მორჩილი ხდებიან.

ტექსტში მოხსენიებული სათის მეომრების ამბოხებისა და მათი ისუვაში წასვლის მიზეზი არ არის ცნობილი. ისე ჩანს,

---

ბუნდოვანია შემდეგი სიტყვებიც: „...სუფილულიუმამ შეგვიყვაროს ჩვენ – მე, შატივაზა, და ჩვენ, სურიტები და მითანის ქვეყანა“... (იქვე, გვ. 49).

ისინი თითქოს ხათის წინააღმდეგ ამბოხებული ისუელას დასახმარებლად გაემართნენ, თუმცა უცნობია, თვითონ ისუელა რატომ განუდგა ხეთებს. არ არის გამორიცხული სხვა ვარაუდიც: ყურადღება უნდა მიექცეს ტექსტის იმ ადგილს (სტრქ. 23-24), სადაც სუფილულიუმა ორჯერ აღნიშნავს, რომ ამბოხებულ ქვეყნებს და მეომრებს „თავისუფლება მიეცით“. თუ გავითვალისწინებთ ხეთების „საიმუნიტეტო სიგელების“ მონაცემებს, „განთავისუფლება“ სახელმწიფო ვალდებულებათაგან (სახანისა და ლუცისაგან) განთავისუფლებას ნიშნავდა. აქედან გამომდინარე, არ უნდა იყოს გამორიცხული, რომ ამბოხებული „მეომრები და ქვეყნები“ მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, ასრულებდნენ რა სახანითა და ლუცით გათვალისწინებულ მძიმე ვალდებულებებს. სახელმწიფო ვალდებულებებისაგან განთავისუფლებული ამბოხებულნი კვლავ თავიანთ ადგილებს დაუბრუნდნენ.

ამგვარად, სუფილულიუმას მამის – თუთხალია III-ის დროს ისუელას ქვეყნის ამბოხებას შედეგად მოჰყოლია „ხათის მეომრების“ წასვლა ისუელას ქვეყნისაკენ („ხელშეკრულება“, სტრქ. 11): „ხელშეკრულების“ ტექსტში სწორედ ეს „მეომრებია“ ჩამოთვლილი მათი საცხოვრებელი ადგილების მიხედვით (სტრქ. 11-13). სტრქ. 13-შიც კიდევ ერთხელ ესმება ხაზი, რომ ეს „მეომრებია“ ისინი, ვინც თუთხალია III-ის დროს ამბოხდნენო. ევფრატის დასავლეთი რაიონებიდან ისუელასაკენ წასულ „მეომრებს“ სუფილულიუმა შებრძოლებია და ისინი დაუმარცხებია (სტრქ. 14). ამ „მეომრებიდან“ ვინც გადარჩა (ტექსტში: „ვინც ჩემს ხელთ გაექცა“ – სტრქ. 15), ისინი ისუელას ქვეყანაში გადასულან და მის საამღვართან დასახლებულან მგრებს შორის (სტრქ. 16). ამის შემდეგ სუფილულიუმა კვლავ ებმება ბრძოლაში, თუშრათას წინააღმდეგობის მიუხედავად, ევფრატიც გადაულახავს და ისუელას ქვეყნისაკენ წასულა, გზად ამბოხებული ისუელა დაუმარცხა და კვლავ მისი „ბატონი“ გახდა (სტრქ. 18-19), ხოლო „მეომრები“ და „ქვეყნები“, რომლებიც მამამისის დროს ისუელაში გაემართნენ, ასევე დაუმარცხა და ხათის ქვეყანას დაუბრუნა. ისინი ტექსტში მეორეჯერ არიან ჩამოთვლილი. ამჯერად ჩვენს ყურადღებას იქცევს სწორედ

ჩამოთვლილი გეოგრაფიული პუნქტების ადგილმდებარეობის საკითხი.

როგორც ვარაუდობენ, ისუვას ქვეყანა თანამედროვე ხარფუთის რაიონში, მდ. ევფრატის აღმოსავლეთ მსარეშია მოსათავსებელი. ისუვაში გადმოსულ ხათის ქვეყნის ამბოხებულ მეომრებს მდ. ევფრატის დასავლეთით მდებარე რაიონებში უნდა ეცხოვრათ, თანაც „სელშეკრულებაში" ჩამოთვლილი გეოგრაფიული პუნქტები არ იმყოფებოდნენ ხეთების აღმოსავლეთი პერიფერიის ერთ რომელიმე განსაზღვრულ რეგიონში, ისინი გაბნეული ყოფილან, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, ძირითადად ჩრდილო-აღმოსავლეთ (ზოგიერთი მათგანი კი, სამხრეთ-აღმოსავლეთ) პერიფერიის დიდ ტერიტორიაზე.

გეოგრაფიული პუნქტების ჩამოთვლისას გატარებულია დასახელების გარკვეული პრინციპი: ტექსტის შემდგენელი მათ ჩამოთვლას ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ აწარმოებს. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული ვარაუდის თანახმად, „თეგარამას ქვეყნის ნახევრამდე" დასახლებული პუნქტები (§ 1, სტრქ. 11-12; § 2, სტრქ. 20-21) მდებარეობდნენ, დაახლოებით, თანამ. გიურუნ-მალატიის საზის ჩრდილოეთით, ხოლო მომდევნო პუნქტები – მალატიის სამხრეთით (შესაძლოა, სამხრეთ-აღმოსავლეთითაც).[1]

ჩამოთვლისას პირველად დასახლებული პუნქტი – ***გურთალისა*** (Gurtališša) სხვა ხეთურ წყაროში ნახსენები არ არის. მაგრამ მისი მოხსენიება არავანას გვერდით გვაფიქრებინებს, რომ გურთალისა და არავანა ერთ რაიონში იყვნენ მოთავსებული.

ხეთურ წყაროებში ხშირად ნახსენები ***არავანას*** (Arawanna) ადგილმდებარეობის გუსტად დადგენაც ძნელია. ზოგიერთ ცნობას თუ გავითვალისწინებთ, იგი „ზემო ქვეყანას" უნდა დავუკავშიროთ. ასე, მაგალითად, არავანა (იგივე „არაუ-

---

[1] გიორგაძე გ. ხეთების სამეფოს აღმოსავლეთი პერიფერიის ზოგიერთი პუნქტის ლოკალიზებისათვის. „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე", ტ. XXIII, № 3, 1959, გვ. 362 და შმდ.

ნა-მტერი“ – ^{LÚ}KÚR ^{URU}Araunnaš) სშირად ესხმოლა თავს და ანადგურებდა ქასიას (ქისიას),[1] რომელიც, ერთი სეთური წყაროს მიხედვით, „ზემო ქვეყნის“ პუნქტებთანაა დასახელებული (Ḫatt., II 60). სუფილულიუმას „ანალების“ მიხედვით, ქასია უნდა განვიხილოთ როგორც ერთ-ერთი მეზობელი ქამალას და „ყვითელი მდინარის“ ქვეყნებისა (2 BoTU 34 IV 18-19), რომელთა ტერიტორია, სუფილულიუმას „ანალების“ იმავე ადგილის მიხედვით, „ზემო ქვეყნის“ სამხრეთით უნდა ყოფილიყო გადაჭიმული. აქედან გამომდინარე, ქასიაც „ზემო ქვეყნის“ სამხრეთ რაიონებს უნდა მიეუახლოოთ.

ამ რაიონებს აოხრებდა „არავანა / არაუნა-მტერი“, რომელიც სადღაც იქვე იმყოფებოდა. ყველაზე უფრო დასაშვებია, რომ არავანას ტერიტორია „ზემო ქვეყნის“ სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობდა (მალატიის ჩრდილოეთით მდებარე რაიონებში).[2] არავანას აიგივებენ პტოლემაიოსის არაქენასთანაც.[3] როგორც ცნობილია, არავენა სამოსატასთან, მდ. არაბანის ხეობაში მდებარეობდა. სეთური წყაროების არავანა კი ასე სამხრეთით არ იყო.

ცაც(ცი)სას (Zaz(zi)ša) არსებობა „ზემო ქვეყანაში“ მურსილი II-ის „ათწლიანი“ ანალების ცნობებით მტკიცდება (KBo III 4 III 69-70). ამ დოკუმენტის მიხედვით, ცაცისა მდებარეობდა ქასქების ტომთა გაერთიანების ერთ-ერთი დიდი წარმომადგენლის – თიფიას ქვეყანასთან ახლოს. ეს უკანასკნელი, როგორც ხეთური წყაროებიდან ჩანს, ხაიასას დასაელელი მეზობელი იყო.[4]

„სელშეკრულებაში“ დასახელებული შემდეგი პუნქტი ***ქალ(მა)სმას*** ქვეყანაა, რომელიც, როგორც უკვე აღიარებულია

---

[1] Goetze, Kizzuwatna..., გვ. 21 და შმდ. (KBo VI 28 I 10 და შმდ.).

[2] შდრ. Cornelius F. Geographie des Hethiterreiches. „Orientalia“, vol. 27, № 3, 1958, გვ. 241. არაყანას ლოკალიზებისათვის იხ. აგრეთვე Monte-Tischler, გვ. 30, სადაც, სხვადასხვა მკვლევრის მოსაზრებათა მიხედვით, არავანა მოსათავსებელია პაფლაგონიაში, ფრიგიაში, ქუმანისა და ისუვას მახლობლად, ქასქების ქვეყანაში ან მათ საზღვარზე.

[3] Капанцян Г. Историко-лингвистические работы. Ереван, 1956. გვ. 125, შენ. 1.

[4] გიორგაძე გ., დასახ. ნაშრომი, გვ. 366; Monte-Tischler, დასახ. ნაშრომი, გვ. 497.

მკვლევართა მიერ,[1] ხეთური წყაროების ქალასმა (Kalašma) უნდა იყოს. ფ. კორნელიუსის აზრით, ქალასმას ქვეყნის სახელი შემორჩენილი ყოფილა მოგვიანო ხანის სახელწოდებაში Kerasus (დღევანდელი გირესუნი).[2] მაგრამ ქალასმა-გირესუნის იგივეობა არ არის დამაჯერებელი, ქალასმას შესახებ არსებული ხეთური ცნობები საშუალებას არ გვაძლევს ამ ქვეყნის ტერიტორია ასე ჩრდილოეთით, შავი ზღვის სანაპიროზე, ანდა მცირე აზიის ჩრდილო-დასავლეთ რაიონში მოვათავსოთ, რადგან, როგორც ეს სწორად შენიშნა ო. გერნიმ,[3] ამ რაიონიდან ქალასმას ქვეყნის მეომრების გადასახლება ისუვაში ე.ი. მდ. ევფრატის აღმოსავლეთით, ხარფუთის რაიონში, წარმოუდგენელია დიდი სიშორის გამო. ხეთურ ტექსტებში ამ ქვეყნის მოხსენიება ფალას, თუმანას, ლალხას, მიდუვასა და ფახუვასთან კაეშირში აშკარად მიუთითებს, რომ იგი ისუვასთან ახლოს, მდ. ევფრატის დასავლეთით, მალატიის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობდა.[4]

თიმ(ი)ნას ქვეყნისა (Tim(mi)na) და ***ხალიფას*** მთის ($^{\text{ḪUR.SAG}}$Ḫaliwa) შესახებ ხეთურ წყაროებში სხვა ცნობები არ მოგვეპოვება.[5] ამის გამო, ძნელია მათი ადგილსამყოფელის ზუსტად დადგენა, მაგრამ ცხადია, სალიფას მთისა და თიმ(ი)ნას სახითაც „ზემო ქვეყნის" იმ წარმომადგენლებთან უნდა გვქონდეს საქმე, რომელთა ტერიტორია ისუვასთან იყო ახლოს.[6]

---

[1] Bilabel Fr. GeschichteVorderasiens und Ägyptens. Heidelberg, 1927. გვ. 262; Pritchard. J. B. Ancient Near Eastern Texts relating to the Old Testament. 2-nd ed., Princeton, 1955, გვ. 318.

[2] Cornelius, დასახ. ნაშრ., გვ. 244.

[3] Gurney O. R. Hittite Geography: thirty years on. „Festschrift für S. Alp", Ankara, 1992, გვ. 214 და შენ. 6.

[4] გიორგაძე გ., დასახ. ნაშრომი, გვ. 366. შდრ. Monte-Tischler, დასახ. ნაშრომი, გვ. 164. ქალასმასთან დაკავშირებით იხ. აგრეთვე Г. Г. Гиоргадзе. К вопросу о локализации хеттских областей Pala и Tūtanna. ВДИ, 1960, № 1, გვ. 79 და შმდ.

[5] თიმნას გაიგივება ხეთური წყაროების ***თუმანასთან*** გაუგებრობას იწვევს – Monte-Tischler, დასახ. ნაშრომი, გვ. 423.

[6] გიორგაძე გ., დასახ. ნაშრომი, გვ. 364.

ადრეულ ხანებშიეე გამოითქვა ვარაუდი ***ხალიბა*** სახელწოდების დაკავშირების შესახებ კლასიკურ ხანაში მდ. თერმოდონტის მიდამოებსა და მდ. არაქსის სათავეებთან მცხოვრებ ***ხალიბების*** ტომთა სახელწოდებასთან.[1] ამგვარი ვარაუდი გამართლებულია იმით, რომ ისტორიული განვითარების თვალსაზრისით შემთხვევითი არ არის მცირე აზიის უძველეს მოსახლეობასთან ხალიბების ტომთა დაკავშირება (ასე განიხილება ეს საკითხი თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაშიც). გარდა ამისა, Ḫaliwa და Χάλυβες (ისევე როგორც Χάλυβοι) სახელწოდებათა ურთიერკავშირი ლინგვისტური თვალსაზრისითაც საყურადღებოა (Ḫaliwa ფორმის კანონზომიერი ფონეტიკური გადმოცემაა Χάλυβες. ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს Ḫaliwa და ''λυβες-ის მიმართაც). არც ზოგადი გეოგრაფიული თვალსაზრისით არსებობს ისეთი დამაბრკოლებელი გარემოება, რაც ამ სახელთა ურთიერთმსგავსებას შემთხვევითად ჩათვლიდა. როგორც ხეთური, ასევე ანტიკური ხანის წყაროებიდან ჩანს, რომ Ḫaliwa და Χάλυβες სახელები მცირე აზიის ერთ გარკვეულ მხარეში, ჩრდილო-აღმოსავლეთში არსებობდა.

ასე რომ, როგორც ისტორიული განვითარების, ასევე ლინგვისტური და ზოგადი გეოგრაფიული თვალსაზრისით, ჩვენთვის საინტერესო ორი სახელის ურთიერთდაკავშირებისათვის რაიმე ხელშემშლელი გარემოება არ იქმნება. გასათვალისწინებელია მხოლოდ შემდეგი: ხალიბას მთა და ხალიბების საცხოვრებელი რაიონები სხვადასხვა კონკრეტულ გეოგრაფიულ გარემოცვაში იმყოფებოდნენ (ხალიბას მთა – მდ. ლიკუსის ზემო დინების სამხრეთით, ხეთური წყაროების „ზემო ქვეყანაში", ხოლო ხალიბები – მდ. თერმოდონტის და არაქსისა და ჭოროსის მდინარეთა სათავეებში).[2]

---

[1] Bilabel, დასახ. ნაშრომი, გვ. 262 და შენ. 1.

[2] გიორგაძე გ., დასახ. ნაშრომი, გვ. 364 და შმდ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მცირე აზიის ერთი გარკვეული მხარის, ჩრდილო-აღმოსავლეთის რაიონის ტოპონიმიკაში როგორც ხეთურ, ასევე მოგვიანო ხანაში, გავრცელებული იყო სახელწოდებები, რომლებსაც ჰქონდათ ერთი ძირი – ḫali-. ესენია: Ḫaliwa, Ḫalila (მურსილი II-ის ანალების მიხედვით, იგი „ქასქების

„ხელშეკრულებაში“ მოხსენიებული შემდეგი პუნქტი ***ქარნას მთაა*** ($^{\text{IJUR.SAG}}$Karna). იგი ხეთური წყაროების დურმითასთან სადღაც ახლოს მდებარეობდა (იხ. ქვემოთ). ამიტომ გამორიცხულია მისი მოთავსება მალატიის სამხრეთ-აღმოსავლეთით, იქ, სადაც, მდებარეობდა ***კორნე,*** რომელიც ნახსენებია პტოლემაიოსთან,[1] მიუხედავად იმისა, რომ ამ სახელწოდებათა მსგავსება დასაშვებია. „ხელშეკრულების“ მონაცემებიდან გამომდინარე, ქარნა უნდა ყოფილიყო თეგარამას ჩრდილოეთით დურმითასთან ტერიტორიული კავშირის გამო, მაგრამ ისე, რომ იგი ახლოს უნდა ყოფილიყო ხალიევას მთასთან და თიმნას ქვეყანასთან.[2]

ხეთური წყაროებიდან კარგადაა ცნობილი, რომ „ხელშეკრულების“ ***დურმითა*** (Durmitta) იყო ქასქების ტომთა ერთ-ერთი დიდი გაერთიანება, რომლის ტერიტორია შედიოდა „ზემო ქვეყანაში“. როგორც ვარაუდობენ, იგი თანამედროვე ტოკათ-სივასის აღმოსავლეთი რაიონებიდან იწყებოდა და ერმინჯანამდე აღწევდა. დურმითასთან დაკავშირებული იყო მრავალი გეოგრაფიული პუნქტი, რომლებიც ხეთების სახელმწიფოს აღმოსავლეთით მდებარეობდნენ. მის ლოკალიზებას სივას-დივრიგის მხარეში მხარს უჭერს „ხელშეკრულებაში“ გათვალისწინებული დურმითა-ისუვას ტერიტორიული სიახლოვე.[3]

ალხა (Alḫa) საძებნია თეგარამას ჩრდილოეთით. ზოგიერთ მკვლევარს შესაძლებლად მიაჩნდა მისი გაიგივება ალსისას-

---

მთავარი ქვეყანა“ იყო – KBo III 4 I 32-33), Ḫalimana (KBo IV 4 IV 44, 50). Ḫaliṯu (ურარტული წყაროების მისნეყით, იგი მცირე აზიის აღმოსავლეთი პერიფერიის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობდა). შდრ. აგრეთვე ხეთურ წყაროებში ნახსენები სიტყვა ḫalipi- (KBo IV 12 IV 6). დაწვრილებით იხ. გიორგაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 365 და შმდ.

[1] Ramsay W. A. The Historical Geography of Asia Minor. London, 1980, გვ. 71.

[2] ზ. ბილაბელი შესაძლებლად მიიჩნეოდა ***ქარნას*** კავშირს მცირე არმენიის Carana-სთან: Bilabel, დასახ. ნაშრომი, გვ. 262, შენ. 1. გაპორიცხული უნდა იყოს ***ქარნა*** სახელწოდების დაკავშირება ***კარენიტიდთან,*** სომხ. კარინთან, ე.ი. ქართულ კარნუ-ქალაქთან, თანამ. ერზერუმთან.

[3] გიორგაძე გ., დასახ. ნაშრომი, გვ. 364; Monte-Tischler, დასახ. ნაშრომი, გვ. 443. იქვეა ლიტერატურაც.

თან (Alḫiša), რაც არ უნდა იყოს სწორი.[1] იგი არ შეიძლება გავაიგივეოთ არც ხეთური წყაროების ლალხასთან (Lalḫa).[2]

„ხელშეკრულების" ***ხურმა*** (Ḫurma) ხეთურ წყაროებში ხშირად მოხსენიებული ერთ-ერთი დიდი რელიგიური ცენტრი ***ხურმა*** უნდა იყოს. ამ უკანასკნელს აიგივებენ „კაპადოკიური" ფირფიტების ***ხურამასთან*** (Ḫurama), რომელსაც ხან ხეთების სამეფოს აღმოსავლეთით,[3] ხან კიდევ სამხრეთ-აღმოსავლეთით ათავსებენ.[4] მისი მოთავსება, თეგარამას ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიაზე არ უნდა იყოს სადავო[5] (ფ. კორნელიუსი ხურმას ათავსებს გიურუნთან – Cornelius, დასახ. ნაშრომი, გვ. 241).

„ხელშეკრულებაში" დასახელებული ***ხარანას მთა*** ($^{\text{I}}$ḪUR.SAG Ḫarana) მოსათავსებელია თეგარამას ჩრდილოეთით, რაც შემდეგიდან ჩანს.

მურსილი II-ის „ვრცელი ანალებიდან" (KBo IV 4 III 17 და შმდ.) ვგებულობთ, რომ მეფობის მე-9 წელს მურსილი ქარხემიშში (დღევანდელი ჯერაბლუსი) იმყოფებოდა. ქარხემიშიდან იგი ჩრდილოეთისაკენ – თეგარამაში გაემართა. მიყიდა რა თეგარამაში, მას საიასასკენ უნდოდა გამგზავრება, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო, ვერ შეძლო იქითკენ წასვლა. ამის შემდეგ მან განაგრძო გზა და მიაშურა დასახლებულ პუნქტს, რომელიც ***ხარანა*** ($^{\text{URU}}$Ḫarana) სახელს ატარებდა. ცხადია, ეს ხარანა არ იყო ჩრდილოეთ მესოპოტამიის ცნობილი ქალაქი ***ხარანა*** (Ḫarrana), რომელიც თანამედროვე ურფას სამხრეთით მდებარეობდა.

„ვრცელი ანალების" სარანა თეგარამას ჩრდილოეთით იყო. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ თეგარამადან პირდა-

---

[1] Finkelstein J. J. A Hittite mandattu-Text. „Journal of Near Eastern Studies", Vol. X, №3, 1956, გვ. 105.

[2] გიორგაძე გ., დასახ. ნაშრომი, გვ. 364; Monte-Tischler, დასახ. ნაშრომი, გვ. 7. იქვეა ლიტერატურაც.

[3] Gelb I. Inscriptions from Alishar and Vicinity. Chicago, 1935, ტაბ. 63.

[4] Goetze, Kizzuwatna..., გვ. 73.

[5] გიორგაძე გ., დასახ. ნაშრომი, გვ. 363 და შმდ.; Monte-Tischler, დასახ. ნაშრომი, გვ. 125. იქვეა მითითებული ლიტერატურაც.

პირ ḫარანაში მისული ხეთების ლაშქარი, რომელსაც მურსილი მეთაურობდა, გადავიდა იმ პუნქტებში, რომლებიც ქასქებს ეკუთვნოდათ (KBo IV 4 III 26-31). როგორც ვხედავთ, თეგარამადან გამოსვლის შემდეგ, მურსილი ḫარანას გავლით ქასქების საცხოვრებელ ზონაში გადადის. ეს კი იმას მიუთითებს, რომ მურსილი თეგარამადან ჩრდილოეთისკენ წასულა, რადგან ქასქების ტერიტორია მხოლოდ თეგარამას ჩრდილოეთით, „ზემო ქვეყნისკენ“ იყო.

„ერცელი ანალების“ სარანას ძებნა თეგარამას ჩრდილოეთით მით უფროა გამართლებული, რომ ამ სახელის გაიგივება შეიძლება პტოლემაიოსის ქ. ***არანესთან,*** რომელიც დასავლეთ მცირე არმენიაში, მალატია-სივასის გზაზე მდებარეობდა.[1] დასაშვებია, რომ „ვრცელი ანალების“ ḫარანას სახელის მატარებელი მთაც, რომელიც „ხელშეკრულებაშია“ მოხსენიებული, სწორედ ამ ადგილებში უნდა ყოფილიყო. მთას და იმავე მთასთან დასახლებულ პუნქტს, რომ ერთი და იგივე სახელი რქმეოდათ, სავსებით დასაჯერებელია.[2]

შედარებით კარგად არის ცნობილი „ხელშეკრულების“ ***თეგარამას*** ქვეყნის ადგილმდებარეობა, რადგან იგი თავიდანვე იქნა გაიგივებული ასურული წყაროების ***თილ-გარიმუსა*** და ბიბლიის ***თოგარმას*** რაიონთან, რომელიც დღევ. მალატიის დასავლეთით იყო. ხეთური წყაროების მონაცემებითაც დადასტურდა, რომ თეგარამას ქვეყანა, რომელსაც თავს ესხმოდნენ ისუველები – „ისუვა-მტერი“ (KBo VI 28 I 12), მალატიის დასავლეთით, ე.ი. მდ. ევფრატის დასავლეთ მხარეში უნდა გვეძებნა, რადგან ისუვას სამხრეთით ***ალსე*** (Alše) იყო, ჩრდილოეთით კი – ḫაიასა (Ḫaiaša). ისუვას აღმოსავლეთით თეგარამას მოთავსება კი უაზრობაა.

---

[1] Ramsay, დასახ. ნაშრომი, გვ. 71. ის. აგრეთვე Adonz N. Histoire d'Arménie. P., 1946, გვ. 36-37; Манандян Я. А. О некоторых спорных проблемах истории древней Армении. Ереван, 1956, გვ. 80.

[2] გიორგაძე გ., დასახ. ნაშრომი, გვ. 363; Monte-Tischler, დასახ. ნაშრომი, გვ. 84.

საინტერესოა, თეგარამას ქვეყნის რომელი რაიონი იგულისხმება „თეგარამას ქვეყნის ნახევარში“ (mišlu ša māt [āl]Tegarama). უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ შემთხვევაში ივარაუდება თეგარამას ქვეყნის ის ნაწილი, რომელიც ხეთებს ემორჩილებოდა, ე.ი. თეგარამას ქვეყნის დასაელეთი ნაწილი, რადგან ამ ქვეყნის აღმოსავლეთი ნაწილი, როგორც ჩანს, ისუვას მორჩილებაში უნდა ყოფილიყო. მხოლოდ ამ მხრიდან შეეძლო „ისუვა-მტერს“ თეგარამის ქვეყნის აოსრება. ლოგიკურია ვიეარაუდოთ, რომ ისუვაში გაღასახლღნენ, „თეგარამას ქვეყნის ნახევრის“ მეომრები, რომლებიც ხეთების მორჩილებაში იმყოფებოდნენ.[1]

თუ გავითვალისწინებთ „ხელშეკრულებაში“ ასახულ საერთო გეოგრაფიულ გარემოცვას, მომდევნო გეოგრაფიული პუნქტი – ***თეფურცია*** (Tepurzia) უნდა მოვათავსოთ ასევე ევფრატის დასაელეთ მხარეში, თეგარამას სამხრეთით, დაახლოებით, მელიტენეს რაიონში. აქედან გამომდინარე, თეფურციას გაიგივება ასურული წყაროების ***თეფურზისთან*** (ვარიანტი – თედიმზი), რომელიც მდებარეობდა ევფრატის აღმოსავლეთ მხარეში, ტიგროსის ზემო დინების რაიონში და ესაზღერებოდა ალზის, ფურულუმზის, კატმუხის ქვეყნებს და სხვებს,[2] არ უნდა იყოს გამართლებული.[3] როგორც ჩანს, „ხელშეკრულების“ ***თეფურცია,*** რომელიც ხეთების მორჩილებაში იყო, განსხვავებულია ასურული წყაროების ***თეფურზისაგან,*** „შუბარის ქვეყნის“ ერთ-ერთი წევრი რომ იყო.[4]

---

[1] შდრ. გიორგაძე გ., დასახ. ნაშრომი, გვ. 363; Monte-Tischler, დასახ. ნაშრომი გვ. 384.

[2] ასურული წყაროების მიხედვით, თეფურზი „შუბარის ქვეყნების“ ერთ-ერთი წარმომადგენელი იყო: Головлева, დასახ. ნაშრომი, გვ. 84.

[3] შდრ. გიორგაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 362-363.

[4] თეფურციასთან დაკავშირებით იხ. Monte-Tischler, გვ. 426. იქვე მოყვანილია ა. გოეცეს ვარაუდი, რომლის მიხედვით თეფურცია სეთების სამეფოს სამხრეთ-აღმოსავლეთშია მოსათავსებელი. ფ. კორნელიუსი (Cornelius, დასახ. ნაშრომი, გვ. 240)) თეფურციას აიგივებს სეთური წყაროების ***თაფუციასთან*** (Tapuzzija), რაც არ არის სწორი, რადგან მათი სახით საქმე გვაქვს სხვადასხვა მხარეში მდებარე ორი განსხვავებული პუნქტის სახელებთან.

ციეფურციასთან სადღაც ახლოს მდებარეობდა „ხელშეკრულების“ ***ხაცგა*** (Ḫazga), რომლის შესახებ ხეთურ წყაროებში სხვა ცნობები არ შემოინახა.[1]

არმათანას (Armatana) ქვეყნის ადგილმდებარეობა მალატიის სამხრეთით, ხეთების სამეფოს აღმოსავლეთი პერიფერიის სამხრეთ ნაწილში, მტკიცდება სეთური ტექსტების სხვა მონაცემებით. ერთ-ერთი მათგანის მიხედვით, „მტერი არმათანადან მოვიდა, დაანგრია ხათის ქვეყნები და საბღერაღ ქიცუვათნა ქმნა“ (KBo VI 28 I 13-14).[2] აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ იგი მდებარეობდა სადღაც ქიცუვათნას ქვეყნის მეზობლად, რომლის ტერიტორია ვრცელდებოდა აღმოსავლეთ კილიკიაში, მდინარეების – სარუსისა და პირამუსის ველზე. არმათანა მოსათავსებელია ქიცუვათნის აღმოსაელეთით (მელიტენეში), ევფრატისა და ქიცუვათნას ტერიტორიას შორის,[3] რადგან ამ უკანასკნელის სამხრელი, ჩრდილოელი და დასაელელი მეზობლები კარგადაა ცნობილი. არმათანას განხილვა როგორც ქასქების ტომთა გაერთიანებაში შემავალი ერთეული,[4] არ არის დამაჯერებელი, რადგან ქასქების ტერიტორია სეთურ სანაში არ ვრცელდებოდა ასე სამხრეთით, ქიცუვათნამდე. არც ფ. კორნელიუსის ვარაუდია დამაჯერებელი, რომლის მიხედვით არმათანა გასაიგივებელია ***რამითასთან*** (მდებარეობდა ლაოდიკეას ახლოს, ლიკაონიაში).[5]

ამგვარად, გემოაღნიშნულის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სუფილულიუმა I-სა და შატივაზას შორის დადებულ „ხელშეკრულებაში“ ჩამოთვლილი გეოგრაფიული პუნქტები და ქვეყნები ხეთების სამეფოს მთელი აღმოსაელეთი პერიფერიის ვრცელ ტერიტორიაზე – მდ. ევფრატის გემო და შუა დინების დასაელეთით ყოფილან განლაგებული. ისინი, როგორც ჩანს, ან უშუალოდ ესაზღვრებოდნენ აღნიშნულ

---

[1] გიორგაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 362; Cornelius, დასახ. ნაშრომი, გვ. 240; Monte-Tischler, დასახ. ნაშრომი, გვ. 107.

[2] Goetze, Kizzuwatna..., გვ. 22.

[3] იქვე, გვ. 26.; Monte-Tischler, გვ. 38.

[4] Forrer Em. Armatana. RLA, I, 2, 1929, გვ. 151.

[5] Cornelius, დასახ. ნაშრომი, გვ. 240.

მდინარეს, ან მის ახლოს უნდა ყოფილიყვნენ. საინტერესო სურათი ჩანს მაშათ-პუიუქის (შესაძლოა, ხეთური წყაროების ***თაფიგას)*** არქივში აღმოჩენილი ხეთური ლურსმული ტექსტების მონაცემების მიხედვით, რომლებიც ამ ტექსტებში მოხსენიებულ ტოპონიმიკას ეხება. საყურადღებო ისაა, რომ „ხელშეკრულებაში“ ჩამოთვლილი ტოპონიმთაგან არცერთი არ გეხვდება მაშათის არქივის ტექსტებში, რაც დადასტურება უნდა იყოს შემდეგისა: „ხელშეკრულების“ გეოგრაფიული პუნქტები არ მდებარეობდნენ მაშათის რაიონში, აქედან ისინი უფრო აღმოსავლეთით, მდ. ევფრატისაკენ უნდა ყოფილიყვნენ განლაგებული.

ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა ხეთების ჩრდილო-აღმოსავლეთ პერიფერიაზე „ზემო ქვეყნის“ წარმომადგენლების – ***ცაცისას*** და ***დურმითას,*** ე.ი. მოამბოხე ქასქების ტომთა გამოჩენა, ისევე როგორც ***ხალივას*** მოხსენიება, რომელსაც მოგვიანო ხანის ხალიბების ქართველური წარმოშობის ტომებს უკავშირებენ. თუკი დამაჯერებელია ჩვენს მიერ გამოთქმული ვარაუდი ქასქების ტომთა დაკავშირებისა დასავლურ-ქართველური (მეგრულ-ლაზური) წარმოშობის ტომებთან (იხ. ზემოთ, თავი II), მაშინ, „ხელშეკრულების“ მიხედვითაც მტკიცდება მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ პერიფერიაზე ქართველური ტომების ბინადრობა. რაც შეეხება „ხელშეკრულებაში“ ჩამოთვლილ სხვა პუნქტებს, მათი ნაწილი დასახლებული უნდა ყოფილიყო როგორც ინდოევროპული, ასევე ხურიტული წარმომავლობის ტომებით.

ზემოგანხილულ „ხელშეკრულებაში“ არ არის ნახსენები აღმოსავლეთ პერიფერიასთან ახლოს მყოფი, ხეთების ეახალური ქვეყანა ***აცი-ხაიასა*** (Azzi-Ḫaiaša), ისევე როგორც რომელიმე მისი გეოგრაფიული პუნქტი, მიუხედავად იმისა, რომ იგი მდებარეობდა ზუსტად იმ მხარეში, სადაც „ზემო ქვეყანა“ და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი პუნქტი იყო (ხეთური წყაროების მონაცემთა მიხედვით, აცი-ხაიასა თავს ესხმოდა კი-

დეც „ზემო ქვეყნის“ დასახლებებს),[1] ე.ი. სადაც მდებარეობდა ხეთების წინააღმდეგ მიმართული აჯანყების ძირითადი არეალი. როგორც ჩანს, ხაიასას არ მიუღია მონაწილეობა ხეთების წინააღმდეგ მიმართულ მოქმედებაში იმ მიზეზით, რომ მასზე არ ვრცელდებოდა ხეთების სახელმწიფო ვალდებულებათა შესრულების პირობა, თუმცა მალე იგი მაინც განუდგა ხეთებს. უფრო მოგვიანებით, განდგომილ აცი-საიასაში ლაშქრობდა მურსილი II, რომელმაც იგი კვლავ ხეთების ვასალურ ქვეყნად აქცია. ძვ.წ. XIII ს-ის დასასრულისათვის (ხეთების მეფე თუთხალია III/IV დროს) საიასას შესახებ ცნობები კლებულობს, ხოლო ხეთების სახელმწიფოს განადგურების შემდეგ იგი საერთოდ ქრება ისტორიის ასპარეზიდან.

სწორედ ამ ხანებში გაძლიერებული ასურეთი იწყებს ევფრატისპირა ქვეყნებში თავისი პოლიტიკური გაელენის გავრცელებას: ასურეთის მეფე თუქულთი-ნინურთა I შეიჭრა ზემო ევფრატის მარჯვენა მხარეში, საიდანაც მას წაუყვანია 30 ათასი „ხეთი“ (ე.ი. ამ რეგიონში მცხოვრები ხეთების ქვეშევრდომნი). ზემო ევფრატისა და არაცანის ველის წვრილი სამთავროები აღმოჩნდნენ ორ ცეცხლს შუა, იწყებდნენ რა სრულიად ბუნებრივ მერყეობას – ხეთების მხარეს დარჩენილიყვნენ, თუ ასურეთის მფარველობა მიეღოთ. მალე ეს საკითხი „მოგვარდა“ იმ მსრივ, რომ ძვ.წ. XII ს-ის დასაწყისისათვის ხეთების სამეფო დაეცა, ხოლო ჩრდილოეთ ევფრატისპირა ქვეყნები ასურეთის პირისპირ აღმოჩნდნენ და მალე ასურეთის ქვეშევრდომობაშიც მოხვდნენ.

ხეთებისადმი მორჩილების შესუსტება კარგად ჩანს ჩვენთვის საინტერესო რეგიონში მდებარე კიდევ ერთი ქვეყნის მაგალითიდან. ეს იყო ***ფახუვა*** – Paḫḫuwa (მკვლევართა ნაწილი მას ათავსებს ევფრატ-ყარასუს გემო დინების რაიონში, თანამედროვე დივრიგთან),[2] რომელთანაც ხეთებმა მოას-

[1] Garstang-Gurney, დასახ. ნაშრომი, გვ. 32, 36 და შმდ.; Monte-Tischler, დასახ. ნაშრომი, გვ. 59 და შმდ.; Houwink ten Cate Ph. H. J. The Record of the Early Hittite Empire (c. 1450-1380 B. C.). Istanbul, 1970. p. 66, 75 f.

[2] Garstang-Gurney, დასახ. ნაშრომი, გვ. 35; Monte-Tischler, დასახ. ნაშრ., გვ. 296; Houwink ten Cate, დასახ. ნაშრომი, გვ. 4 შმდ., 61 შმდ.

წრეს სელშეკრულების დადება. სელშეკრულებაში ასახულია ძვ.წ. XIII ს-ის მიწურულის სიტუაცია: მასშიც არ იხსენიება აცი-საიასა, ხოლო დუქამა, კუმახა და სხვანი, რომლებიც შანამდე ხაიასელებს ეკუთვნოდათ, დამოუკიდებლად არსებობენ.

როდესაც ხეთების რომელიღაც მეფემ გაილაშქრა ჭემო ეგფრატთან მდებარე კუმახის წინააღმდეგ, მიიამ, ფახუვას ქვეყნის მეფემ არამარტო დაარღვია ხეთებიან დადებული სამოკავშირეო სელშეკრულება, უარი თქვა რა ხეთებისათვის დამხმარე რაზმების მოწოდებაზე, არამედ შეიფარა ხეთების მოწინააღმდეგე ლტოლვილები და დაიკავა საქონელი და აღამიანები ქვეყნის ტერიტორიიდან. მაგრამ ხეთების საბრძოლო ოპერაციის დამთავრების შემდეგ „ფახუვას ხალხი" (და არა მეფე) იძულებული გახდნენ ბაეი დაედოთ ხეთებთან, რომელთა მეფემ მოითხოვა მისთვის გადაეცათ მითა ნაიესავებთან, სიმდიდრესთან და ხეთ ლტოლვილებთან ერთად.

ძვ.წ. XIII საუკუნის დასასრულისთვის, როდესაც ხეთების სახელმწიფომ დაკარგა თავისი ძველი სიძლიერე, მცირე აზიის აღმოსავლეთ პერიფერიაზე აქტიურობენ ისეთი ეთნო-პოლიტიკური გაერთიანებები, როგორიც იყვნენ ***მალდიას*** (იგი დასახელებულია ისუვასთან, ფახუვასთან, სუხმასთან და კუმახასთან კავშირში), მოგვიანო ხანების მალატიას, იმავე მელიტენეს ქვეყანა, ***თეგარამა*** (იხ. ზემოთ), ***სუხმას*** ქვეყანა (ასურული ტექსტების სუხნი, ან სუხმი / სუხმე), რომელიც ტექსტებში იხსენიება როგორც ისუვას მეზობელი, ***ალშეს*** (ასურული წყაროების ალცის) ქვეყანა – ისუვას მეზობელი აღმოსავლეთიდან და სხვანი.[1] როგორც ჩანს, ამ რაიონთა მოსახლეობის ნაწილი ხურიტული წარმოშობისა იყო.

მცირე აზიის აღმოსაელეთ პერიფერიაზე ეთნო-პოლიტიკური სიტუაციის დაძაბება ხეთებს, რასაკვირველია, სეთების სამეფოს გარკვეულ საფრთხეს უქმნიდა. მაგრამ საბედისწერო საფრთხე ხეთებს მცირე აზიის დასაელეთ პერიფერიიდან

[1] Houwink ten Cate, დასახ. ნაშრომი, გვ. 4, 62, 65 (მალდია), 61 და შმდ. (სუხმა) და სხვ.

ელოდათ. ძვ.წ. XII საუკუნის დამდეგს „ზღვის სალხთა“ დიდი ტალღა, რომელიც უფრო სალხთა გადასახლების ხასიათს ატარებდა, შემოიჭრა მცირე აზიის დასავლეთიდან და მოულოდნელად გადაუარა მთელს დასავლეთ და ცენტრალურ ანატოლიას.[1]

„ზღვის სალხების“ შემოსევის შედეგად მცირე აზიის ეთნოპოლიტიკური რუკა მნიშვნელოვნად შეიცვალა. ინდოევროპელი სეთები, მათი მონათესავე ლუვიელები, რომლებითაც დასახლებული იყვნენ არცავას, საფალას, მირა-ქუვალიას, ვილუსას და სხვა ქვეყნები, ფალას ქვეყანა სამუდამოდ გაქრნენ ისტორიის ასპარეზიდან. მანამდე ცნობილ ზოგიერთ ეთნოსთან (მაგალითად, ქასქებთან) ერთად, ანატოლიაში გამოჩნდნენ სრულიად ახალი ეთნიკური გაერთიანებები (ფრიგია, თაბალი და სხვანი). მცირე აზიაში მომხდარმა ძვრებმა ხელი შეუწყო სამხრეთ ამიერკავკასიაში ქართველური წარმოშობის ტომთა გააქტიურებას. სწორედ ამის შედეგი იყო აღმოსავლელი მუშქების (მესხების), აბეშლაელების, დაიანელთა და სხვათა გამოჩენა მცირე აზიის აღმოსავლეთ პერიფერიაზე, რაზედაც წინა თავში ვისაუბრეთ. ამის შემდეგ ძველაღმოსავლურ ლურსმულ წყაროებში აღარსად მოიხსნებიან მანამდე კარგად ცნობილი ხურიტები.[2]

---

[1] გიორგაძე გ. ათასი ღვთაების ქვეყანა, თბ., 1988, გვ. 82 და შმდ.

[2] სეთების აღმოსავლეთ პერიფერიასთან დაკავშირებით იხ. აგრეთვე Iakar J. Beyond the Eastern Borders of the Hittite Empire: An Archaeological Assessment. „Festschrift für S. Alp“, Ankara, 1992, გვ. 507 და შმდ.

თავი IV

ქართველთა წარმომავლობისათვის*

ყველა სხვა ეთნოსის მსგავსად, ქართველთა წარმოშობა საკმაოდ რთული და ხანგრძლივი ისტორიული პროცესია, რომლის საწყისები ღრმად იჭრება ათასწლეულებში. როგორც არქეოლოგიური, ანთროპოლოგიური, ლინგვისტური, ისტორიული თუ სხვა მასალის კომპლექსური ანალიზი გვიჩვენებს, ეს პროცესი უშუალოდ საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარეობდა.

აქედან გამომდინარე, გამოირიცხება ანტიკური ხანისა თუ შუა საუკუნეების ავტორთა ლეგენდები, გაბატონებული ცნობები და სხვადასხვა უსაფუძვლო მოსაზრებანი ქართველთა ეთნიკური წარმომავლობის შესახებ. ქართველთა წარმომავლობის საკითხები ძალზედ პოპულარული იყო XIX და XX საუკუნეების ქართულ, რუსულ და ევროპულ ისტორიოგრაფიაში. გამოთქმული იყო უამრავი, მეტწილად ერთმანეთის გამომრიცხავი ჰიპოთეზა და ვარაუდი. ზოგიერთი მკვლევარი ქართველებს ინდოევროპელებად მიიჩნევდა, სხვანი კი – წინა აზიის უძველესი ხალხების – შუმერების, ხეთების, სუბარელების (ხურიტების) და ა.შ. შთამომავლებად. XX საუკუნის 30-იანი წლებიდან გაჩნდა მოსაზრება ქართველთა, ისევე როგორც ქართული ენის, კავკასიურ სამყაროსადმი მიკუთვნების შესახებ. კავკასიურ ენათა ოჯახს იბერიულ-კავკასიური უწოდეს, მასში გააერთიანეს რა ქართველური, აფხაზურ-ადიღური და ვეინახურ-დაღესტნური ენები. ამასთანავე გამოითქვა ვარაუდი მათი ნათესაობისა წინა აზიისა და ხმელთაშუაზღვისპირე-

---

* თანაავტორი ნ. საბარაძე.

თის მკვდარ ენებთან (ამ საკითხთან დაკავშირებით ახლა აზრთა დიდი სხვადასხვაობაა).

მოგვიანებით ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრდა მოსაზრება, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ქართველური ტომები უკვე დიდი ხანია ცხოვრობენ, ისინი ამ რეგიონის აუტოქთონური, უძველესი ადგილობრივი წარმოშობის მცხოვრებლები არიან. როგორც ს. ჯანაშია, ბ. კუფტინი და სხვანი ვარაუდობდნენ, არქეოლოგიური მასალის საფუძველზეც მტკიცდება უძველესი დროიდან საქართველოს ტერიტორიაზე კულტურული განვითარების უწყვეტი ჯაჭვი, რაც ქვემომოყვანილიდანაც ჩანს.

როგორც ***ანთროპოლოგიური*** მასალიდან ირკვევა, უძველესი სანებიდან თანამედროვე საქართველოს ტერიტორია დასახლებული იყო ტომებით, რომლებიც დიდი ევროპეიდური რასის სამხრეთ შტოს განეკუთვნებოდნენ.

ყველაზე ადრეულ პალეოანთროპოლოგიური მასალა, რომლის მისედვით შეიძლება თვალი გავადევნოთ ქართველთა ფიზიკური ტიპის თავისებურებებს, მიეკუთვნება ენეოლითის ხანას. ამ დროიდან დაწყებული ადრეფეოდალურ პერიოდამდე საქართველოს მოსახლეობა ხასიათდებოდა დოლიქოკრანიით (გრძელთავიანობით), ვიწრო და მაღალი სახით, მაღალი და ვიწრო, მკვეთრად გამოწეული ცხვირით, მაღალი ცხვირის ფუძით, პატარა ჰორიზონტალური სახის კუთხეებით და თავსდებოდა ხმელთაშუაზღვისპირული ტიპის ვარიაციაში (Абдушелишвили, 1964; 1966; აბდუშელიშვილი, 1982; 1987, გვ. 1 და შმდ.).

I ათასწლეულის ბოლოდან პალეოანთროპოლოგიურ მასალებში საქართველოს ტერიტორიაზე უკვე ჩნდება საკმაოდ ფართოთავიანი და ფართოსახიანი ტიპი, რომელიც განვითარდა ადგილობრივ ანთროპოლოგიურ ტიპთა საფუძველზე შინაგანი განვითარების გზით სხვადასხვა უცხო ელემენტთა არსებითი მონაწილეობის გარეშე (Абдушелишвили, 1964; 1966; აბდუშელიშვილი, 1980).

საქართველოს თანამედროვე მოსახლეობის უმრავლესობა ფართოსახიანი ბრაქიცეფალებია (ფართო თავიანებია),

რაც ნიშანია ეპოქალური ტრანსფორმაციისა (Абдушелишвили, 1960, გვ. 90 და შმდ.). სომატოლოგიურ მასალაში გამოსახატულია სამი ვარიანტი წინააზიური რასისა, რომელიც განეკუთვნება სამხრეთ-ევროპეიდურ რასას: კოლხური, იბერიული, კავკასიური (Абдушелишвили, 1964). საქართველოს უძველეს და თანამედროვე ანთროპოლოგიურ ტიპთა შეღარება შესაძლებლობას იძლევა წარმოვიდგინოთ გენეზისი წინააზიური რასისა, რომელიც ძირითადად ყალიბდებოდა წინა აზიის ცენტრალური და ჩრდილოეთი რეგიონების ტერიტორიაზე, კავკასიაში კი იგი ავტოქთონურია. ამ ტიპის კაკკასიური თავისებურებანი იქმნებოდა ტერიტორიაზე, რომელიც მას ახლა უკავია (Абдушелишвили, 1974, გვ. 251 და შმდ.).

სხვადასხვა სოციალურ-საყოფაცხოვრებო, კულტურულ-ეკონომიკური და ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების გათვალისწინებით წარმოიქმნებოდა თანამედროვე მოსახლეობის ერთმანეთისაგან განსხვავებული სხვადასხვა ლოკალური ვარიანტი. ეს ვარიანტები, მიუხედავად რეგიონალური განსხვავებისა, სასიათდებოდა მორფოლოგიური ერთობით, რომელიც განპირობებული იყო მათი წარმოშობით (Абдушелишвили, 1966; გვ. 85).

ქართველების ერთიანი გენეტიკური წარმომაელობის მაჩვენებელია ძირითადი ტაქსონომიური ნიშნების დიდი მსგავსება, ასევე ის, რომ ყველა ლოკალური ვარიანტი წინააზიურ რასას განეკუთვნება. მიუხედავად ამისა, ქართველთა ანთროპოლოგიური ჯგუფები არ წარმოადგენს კლასიკურ წინააზიურ ფორმას, რომლის ტიპური ნიშნები გავრცელებულია სომხების, ასურელებისა და სხვა ჯგუფებში. მათთან ყველაზე უფრო ახლოს დგანან სამხრეთ-ქართული ჯგუფები. აღმოსავლეთ ქართული ჯგუფები სამხრეთ ქართულისაგან განსხვავდება კავკასიონის ტიპისათვის დამახასიათებელი ნიშნებით. ქართული და შავიზღვისპირული ვარიანტები კლასიკური წინა აზიურისაგან იმ ნიშნებით გამოირჩევიან, რომლებიც მათ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში გავრცელებულ პონტურ ტიპთან აახლოებენ.

კავკასია ერთდაერთი ადგილია, სადაც თავმოყრილია სამხრეთ-ევროპული რასის სამივე განშტოება, რომლებიც რასოგენეტურად უფრო ძველია, ვიდრე ჩრდილო-ევროპული. კავკასიის ტერიტორია შედიოდა დიდი ევრაზიული რასის ფორმირების არეალში, მისი მოსახლეობა კი ერთ-ერთი უძველესია ევრაზიული (ევროპეიდული) ტიპის ხალხებს შორის (აბდუშელიშვილი, მუსხელიშვილი, სურგულაძე, 1986, გვ. 459).

საქართველოში არსებულმა ხელსაყრელმა ბუნებრივმა პირობებმა, თავისებურმა ლანდშაფტმა, ბუნებრივი თავშესაფარი ადგილებისა და გამოქვაბულთა სიმრავლემ, საკვები პროდუქტების სიუხვემ, ქვის იარაღის დასამზადებლად საჭირო ნედლეული მასალის სიმდიდრემ განაპირობა უძველესი ადამიანის (ჰომო ერექტუსის) ადრე განსახლება. უკანასკნელი ხანების არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა სრულიად ახლებურად დააყენა საქართველოს მიწა-წყალზე პირველყოფილი ადამიანის გამოჩენის საკითხი. დმანისის ფეოდალური ხანის ნაქალაქარის ტერიტორიაზე, ნამარხი ცხოველების ძვლებს შორის, აღმოჩნდა უძველესი ადამიანის ქვედაყბა და ორი თავის ქალა. აქვე ნაპოვნია ქვის პრიმიტიული იარაღები. დმანისელი ადამიანი დაახლ. 1,7 მილიონ წელზე უფრო ადრე უნდა გამოჩენილიყო და იგი ცხელი სარტყლის გარეთ, ევრაზიის ერთ-ერთი უძველესი ბინადარი უნდა ყოფილიყო. დმანისელი ადამიანი მორფოლოგიური მონაცემებით აფრიკის ადამიანის ფორმებს უახლოვდება. დაახლოებით ერთი მილიონი წლის შემდეგ საქართველოში საკმაოდ მყარად მკვიდრდება ძველი ქვის ხანის აშელის პერიოდის ადამიანი. ინტენსიურადაა დასახლებული კოლხეთი, კარგადაა ათვისებული ამ ხანაში აღმოსავლეთ საქართველოს მთა და ბარი (ჯაფარიძე, 1999, გვ. 9 და შმდ.).

დაახლოებით 150 ათასი წლის წინათ დასრულდა აშელის ხანგრძლივი პერიოდი, რომელიც თითქმის ნახევარ მილიონ წელს გაგრძელდა. კიდევ უფრო ფართოდ პირველყოფილი ადამიანი საქართველოს ტერიტორიას ითვისებს პალეოლითის გვიანდელ საფეხურზე, მუსტიეს სანაში. როგორც ჩანს, ამ პერიოდში ხელსაყრელი ბუნებრივი გარემო არსებობდა ადა-

მიანის ცხოვრებისათვის, იმატა მოსახლეობის რიცხვმა. ფართოდ ითვისებს ადამიანი კოლხეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს. ინტენსიური ცხოვრება ჩანს რიონ-ყვირილის რეგიონში, სადაც სახლდება მუსტიეს ადამიანი, რომელიც თითქმის ყველა ლანდშაფტურ-კლიმატურ ზოლს ითვისებს. სუსტი კონტაქტების პირობებში კულტურაში თანდათან ლოკალური თავისებურებანი ყალიბდება (ჯაფარიძე, 1999, გვ. 19 და შმდ.).

საკაჟიას გამოქვაბულში მუსტიერული ადამიანის – პალეანთროპის ნაშთები აღმოჩნდა (ადამიანის ქვედა ყბის ნატეხი შემორჩენილი 4 კბილით). საკაჟიას ადამიანი ნეანდერტალელის ცალკე შტოს მიეკუთვნება, მისთვის დამახასიათებელი იყო ზოგიერთი ნიშანი ადრეული ნეანთროპებისა – „გონიერი ადამიანისა“ („ჰომო საპიენსისა“). საქართველო შედიოდა იმ ზონაში, სადაც თანამედროვე ფიზიკური ტიპის – „გონიერი ადამიანის“ ჩამოყალიბების პროცესი მიმდინარეობდა.

ამ სანებიდან ადამიანები ცალკეულ ჯგუფებად ერთიანდებიან. პირველყოფილი ადამიანის ცხოვრების ეს პერიოდი წინაგვაროვნულ ეპოქას მიეკუთვნება. უფრო გვიან თანდათანობით გვაროვნული საზოგადოების ჩამოყალიბების წინა პერიოდი იქმნება.

ზედა პალეოლითის დროს, ძვ.წ. XII-IX ათასწლეულებში კავკასიაში მკვეთრად იცვლება ბუნებრივი პირობები. კლიმატური რეჟიმის ცვლილების გამო ადამიანი ტოვებს თავის ძველ ადგილსამყოფელს და ახალ ადგილებს ითვისებს: ზედა პალეოლითის დროს დასრულდა თანამედროვე ადამიანის ტიპის, „ჰომო საპიენსის“ ფორმირების – საპიენტაციის პროცესი, რაც 40-30 ათასი წლიდან 12-10 ათას წლამდე გაგრძელდა. ზედა პალეოთის ხანაშიც საკმაოდ ახლო ურთიერთობები ჩანს ამიერკავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის იმავე სანის კულტურებთან.

ზედა პალეოლითელი ადამიანის მეურნეობა მთლიანად შემგროვებლობაზე და მონადირეობაზე იყო დამყარებული. მნიშვნელოვანი ძვრები შეინიშნება საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სოციალურ ურთიერთობებში. წინა გვაროვნულ საფეხურს ენაცვლება უფრო მაღალი საზოგადოებრივი ორგანი-

ზაცია, საფუძველი ეყრება გვაროვნულ წყობილებას. ტომობრივი ორგანიზაციის წარმოქმნა ამ პერიოდს უკავშირდება. იქმნება გვაროვნული თემი, რომელიც პირველყოფილი თემური წყობილების ძირითად უჯრედს წარმოადგენდა. რამდენიმე გვაროვნული თემი ერთ ტომობრივ ორგანიზაციაში ერთიანდებოდა (ჯაფარიძე, 1999, გვ. 19 და შმდ.; Джапаридзе, 1989, с. 20 и сл.).

ზედა პალეოლითის ხანაში უნდა დაწყებულიყო ეთნოკულტურული და ენობრივი ერთობის წარმოქმნის პროცესი. შესაძლოა, დასავლეთ ამიერკავკასია იყო ის რეგიონი, სადაც ეს ერთობა უნდა ჩამოყალიბებულიყო. აქ მოსახლე ტომები ერთმანეთში ასლო ურთიერთობაში იმყოფებოდნენ, ურთიერთობების ძირითადი საშუალება უკვე ენა – ეთნოსის ნიშანთა შორის ყველაზე ძველი ნიშანი უნდა ყოფილიყო.

ახალი ქვის, ანუ ნეოლითის ხანაში საფუძველი ეყრება წარმოებით ეკონომიკას, მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას. კარდინალურად იცვლება ადამიანის ცხოვრების ხასიათი, იქმნება უფრო მსხვილი ტომობრივი გაერთიანებანი, მტკიცდება გვაროვნული საზოგადოების სასიათი. იცვლება ურთიერთობა ტომთა შორის, იზრდება ადამიანის სულიერი სამყარო, ბუნების მოვლენათა ახსნის ცდა, ცოდნის გაღრმავება იწვევს გარკვეულ გარდატეხას ადამიანის აზროვნებაში. წარმოებით მეურნეობაზე გადასვლამ საზოგადოების ცხოვრების საფუძვლიანი შეცვლა გამოიწვია. ამ მოვლენას „ნეოლითურ რევოლუციას“ უწოდებენ.

ნეოლითური კულტურა საქართველოში და საერთოდ ამერკავკასიაში აღგილობრივი მეზოლითის საფუძველზე აღმოცენდა ძვ.წ. VIII ათასწლეულში და გაგრძელდა ძვ.წ. VI ათასწლეულამდე. ნეოლითის ხანაში მოსახლეობა ძირითადად დასავლეთ საქართველოშია კონცენტრირებული. აღმოსავლეთ საქართველოში ამ მხარის ინტენსიური ათვისება ნეოლითის ბოლო პერიოდში იწყება, ადრესამიწათმოქმედო კულტურების დროს (ჯაფარიძე, 1999, გვ. 37 და შმდ.; Джапаридзе, 1989, с. 93 и сл.).

აღრესამიწათმოქმედო კულტურის ხანაში (ძვ.წ. VI-IV ათასწლეულები) ამ კულტურის მატარებელი მოსახლეობა უკვე ფლობდა ლითონის დამუშავების გარკვეულ ჩვევებს. ჩნდება რელიეფურად გამოსახული აღამიანის სქემატური ფიგურა. აღნიშნული კულტურის ზოგიერთ ნამოსახლარზე ანთროპომორფული ქანდაკებაა ნაპოვნი. თითქმის ყველა მათგანი სქემატური სტილიზებული ქალის სკულპტურაა, მაიმე ნაყოფიერების გამომხატველი ნიშნები მკვეთრადაა გამოსახული. ისინი უნდა ყოფილიყო დაკავშირებული დიდი დედის კულტთან, რომელიც ნაყოფიერების, მოსავლისა და საერთოდ სიცოცხლის მფარველი იყო. დასტურდება კერის კულტის არსებობა, რომელიც ნაყოფიერების ღვთაებას უკავშირდება (Киквидзе, 1988, с. 161 и сл.).

სამეურნეო სისტემის ეფექტის მაჩვენებელია მოსახლეობის რიცხვის მნიშვნელოვანი ზრდა. ჩნდება ახალი დასახლებანი სტანდარტით აგებული საცხოვრებელი კომპლექსებით. თითოეულ გვარში რამდენიმე თაობას უნდა ეცხოვრა, მოსახლეობას ერთობლივი მეურნეობა ჰქონდა. დაახლოებით ძვ.წ. V ათასწლეულის ბოლოდან მაინც იწყება საერთო ქართველური ენობრივი სისტემისა და ეთნოსის ჩამოყალიბებაზე (Ჯაფარიძე, 1999, გვ. 37 და შმდ.; Джапаридзе, 1989, с. 179 и сл.). ყოველივე გემოაღნიშნული იმის მანიშნებელი უნდა იყოს, რომ ქართველურ ტომებში უკვე წარმოქმნილი უნდა ყოფილიყო ეთნიკური თვითშეგნებისა და თვითსახელწოდების საჭიროება.

ეთნიკური ერთობის ძირითადი პირობაა საერთო ტერიტორია და საერთო ენა, რაც ამ დროისათვის ქართველურ ტომებს უკვე უნდა ჰქონოდათ. ამ ერთობის ეთნოგენეზის პროცესში ყალიბდებოდა ქართველური ეთნოსისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშნები, როგორც მატერიალურ და სულიერ კულტურაში, ისე ყოფასა და ფსიქიკაში, იქმნებოდა ***ეთნიკური თვითშეგნება*** (თვითშეცნობა), რომელიც ეფუძნებოდა გენეტიკური ერთიანობის მახსოვრობის ჩამოყალიბებას, ტომობრივი (ენობრივი) კუთვნილების გრძნობის გაჩენას. თვითშეგნების მძლავრ ფაქტორად ხდება რელიგიური წარმოდგენა-

თა ჩამოყალიბების, ტერიტორიული, სოციალური, კულტურული ერთიანობის შეგნების დაწყების პროცესი, ეთნიკურ ერთობებში ტრადიციათა დამკვიდრება, რომელიც შემდგომ ხელს უწყობს ისტორიული მახსოვრობის შემონახვას ოდინდელი გენეტიკური ერთიანობის შესახებ (გორდეზიანი, 1993, გვ. 3 და შმდ., 19 და შმდ., 77 და შმდ.).

მსოფლაღქმისა და თვითშეგნების არქეტიპულობა და ტრადიცია ქმნიდა პირობებს ქართველურ ტომებში ჩამოყალიბებულიყო ერთიანი სიმბოლური სისტემა, რომელსაც საფუძვლად ედო ეთნოსის მიერ საუკუნეებით შექმნილი და მის ცნობიერებაში გაფორმებული ერთიანი მსოფლაღქმა. საქართველოში უძველეს წარსულში ისახებოდა კოსმოლოგიური კონცეფცია და მისი გადმოცემის უმთავრესი სიმბოლიკა, რომელიც ხელს უწყობს ეროვნულ თვითშეგნებაში ხალხის მიერ სამყაროს გააზრებასა და შეცნობას, მის მიერ შექმნილი სამყაროს სურათის წარმოსახვას (ხიდაშელი, 1991, გვ. 146 და შმდ.).

ადამიანთა ერთობა – ეთნოსი მხოლოდ მაშინ არსებობს, როდესაც ჩამოყალიბებულია არა მარტო თვითშეგნება, არამედ როცა წარმოქმნილია ***თვითსახელწოდება,*** როგორც ეთნიკური ფსიქოლოგიის, საერთოდ, ეთნიკური ერთობის ფორმირების საწყისი ეტაპი. როგორც ცნობილია, თვისახელწოდების წარმოქმნის მოდელი დასაწყისში საკმაოდ პრიმიტიულია და გამოხატავს ეთნიკური ფსიქიკის ჩამოყალიბების სულ სხვადასხვა საფეხურს. თვისახელწოდების სახით სშირად ფიგურირებს ისეთი ელემენტები, როგორიცაა პირის ნაცვალსახელები პირველი პირის მხოლოობით და მრავლობით რიცხვში, ზოგადად „ადამიანები", ზოგჯერ დაპირისპირება „თავისიანი – უცხო, სხვა" და ა.შ. (Алексеев, 1982, с. 32 и сл.).

მაგრამ მოგვიანებითი მდგომარეობა იცვლება, ეთნოსის თვითსახელწოდება შეიძლებოდა გამხდარიყო რომელიმე ტოპონიმის, მონათესავე ტომთა და ა.შ. თვითსახელწოდება. სწორედ ასეთ შემთხვევასთან უნდა გვქონდეს საქმე ქართველთა თვითსახელწოდების წარმოქმნასთან. ქართველ მეცნიერთა ნაწილი ქართველური ეთნოსის თვითსახელ-

წოდებად მიიჩნეეს „ქართლს“ (ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, გ. მელიქიშვილი და სხვ.), რომელიც წარმომდგარი უნდა იყოს ტოპონიმისაგან „*ქართ-“ (ეტიმოლოგიურად მოგვჯერ ამ სიტყვას უკავშირებენ ინდოევროპული წარმოშობის gārdas, gordum, grad სიტყვებთან, რომელთა სემანტიკაა „ბღუჯე, გალავანი, ქართა, ღობე, ***ქალაქი***, ციხე-სიმაგრე), აქედან კი – „მთა ქართლი“, ე.ი. ქართველურ ტომთა გაერთიანების ცენტრი, სახელწოდება, საიღანაც შემდგომ დასაბამს იღებს აღოსავლურ-ქართული ერთობა. უნდა არსებულიყო ეთნონიმი, ისევე როგორც ტოპონიმი, ან ქორონიმი „ქარიუ“ – მეგრელთა მიერ აღმოსავლელ ქართველთა სახელდება. მოგვიანო ხანებში სწორედ აქედან უნდა წარმომდგარიყო „ქართუ-ელ-ი“, რასაც საფუძვლად უნდა დადებოდა სიტყვა *ქართ- (მუსხელიშვილი, 1992, გვ. 5 და შმდ.). ბოგიერთ მკვლევარს საერთოქართველურის დონეზე აჰყავს ტერმინი *მოსხი, რომელიც, როგორც ჩანს, ქართველთა თვითსახელწოდებადაა მიღებული. ეს ტერმინი დოკუმენტურადაა დამოწმებული და წარმოადგენს ისტორიულად მოქმედ საკმაოდ ძველ ეთნონიმს (მუშქის“ ანუ „მოშქის“ სახით იგი წერილობით წყაროებში ძვ.წ. XII საუკუნიდან გვხვდება). *მასხ-ი თეორიული რეკონსტრუქციის შედეგად მიღებული ტერმინი უნდა იყოს, იგი არ დასტურდება წერილობით წყაროებში და არც ქართველურ ეთნო-ტოპონიმიკაშია დაფიქსირებული (ხაბარაძე, 1994, გვ. 46 და შმდ.). საერთოქართველური ეთნოსის თვითსახელწოდებად ბოგიერთი მეცნიერი თვლის *მასხ-ს, რომელიც ქართველური ფუძე-ენის დიფერენციაციის შედეგად მემკვიდრეობით უნდა მიეღოთ ასალწარმოშობილ ეთნოსებს (ქურდიანი, 2000, გვ. 185 და შმდ.). ქართველთა თვითსახელწოდების დადგენასთან დაკავშირებით საინტერესოა მოსაზრება, რომლის მიხედვით საერთოქართველურ დონეზე შეიძლება აღდგეს სატომო თუ ტომთა გაერთიანების სახელები: *ქართ-ი, *თუშ-ი, *სუან-ი, *ლას-ხ-ი („ლაზ“-ი?), *მ-ეგრ-ელ-ი // მ-ეგრ-ან-ი, *წ-ენ-ი („ჭანი“) (ქურდიანი, 2000, გვ. 186 და შმდ.). აქეან შემდეგი დასკვნის გამოტანა შეიძლება:

როგორც ჩანს, ყველა ეს ეთნონიმი უკვე არსებობდა ჯერ კიდევ საერთოქართველური ფუძე ენის ფუნქციონირების ბოლო პერიოლში და ამ ენის დიფერენციაციის შემდეგ მათი სახელწოდებები გადაიქცა საერთოქართველურ გაერთიანებაში შემავალ ცალკეული ეთნიკური ჯგუფის თვითსახელწოდებად. არ არის გამორიცხული ვივარაუდოთ, რომ საერთოქართველური ეთნოსის თვითსახელწოდება შეიძლება ყოფილიყო *სუან-ი, *ეგრ-ი ან სხვა რომელიმე ქართული ეთნონიმი, რასაც მომავალში, დამტკიცება სჭირდება.

დაახლ. ძვ.წ. V ათასწლეულის ბოლოდან მაინც იწყება საერთოქართველური ენობრივი სისტემისა და ეთნოსის ჩამოყალიბება. საერთოქართველური (პროტოქართველური) იყო წინაპარი ენა იმ ენათათვის, რომლებსაც დღეს ჩვენ ვუწოდებთ ქართულს, სვანურსა და მეგრულ-ჭანურს, ე.ი. ქართველურ ენებს. ლინგვისტებმა აღადგინეს საერთო-ქართველური ფუძე-ენა და დაადგინეს მისი უძველესი სტრუქტურა და ისტორიული განვითარების პროცესი. საერთო-ქართველური ფუძე-ენა არ მიეკუთვნება ისტორიულად დამოწმებული ენების რიცხვს. იგი წარმოადგენს ერთგვარ სტრუქტურულ-თეორიულ ენობრივ მოდელს, რომელიც აღდგენილია სხვადასხვა დონეებზე ისტორიულ ქართველურ ენებს შორის გარკვეული შესატყვისობების საფუძველზე. მისი ენობრივი სისტემა ტიპოლოგიურად უახლოვდება აგლუტინაციური წყობის ენებს (გამყრელიძე, 2000, გვ. 184).

ქართველური ფუძე-ენა კავკასიური ენების სამი ენობრივი ჯგუფის ერთ-ერთი წევრია, რომელიც ქმნის სამხრეთ-კავკასიურ ანუ ქართველურ ენათა ჯგუფს ჩრდილო-კავკასიურ, ე.ი. ჩრდილო-დასავლურ ანუ აფხაზურ-ადიღურ და ჩრდილო-აღმოსავლურ ანუ ნახურ-დაღესტნურ ჯგუფებთან ერთად. ამ სამ ენობრივ ჯგუფს შორის ოდინდელი გენეტიკური ნათესაობის საკითხი მეცნიერთა შორის კამათს იწვევს.

საერთო-ქართველური ენის განვითარების ადრეულ ეტაპზე იგი სტრუქტურულ-ტიპოლოგიური ხასიათის დიდ მსგავსებას ავლენს ინდოევროპული ფუძე ენის სტრუქტურასთან, რაც ზოგიერთ მეცნიერს ავარაუდებინებს საერთო-ქართველურის

შორეულ ნათესაობას საერთო-ინდოევროპულთან (გ. წერეთელი, ი. დიაკონოვი და სხვანი). საერთო-ქართველური ფუძე ენის ლექსიკაში დასტურდება ნასესხობანი საერთო-სემიტური ფუძე-ენიდანაც. ყოველივე ეს მკვლევართ აფიქრებინებს საერთოქართველურის, საერთოინდოევროპულისა და საერთოსემიტური ფუძე ენების თანადროულ არსებობაზე, რასაკვირველია, საერთოინდოევროპული ფუძე-ენის წინა ეტიაში არსებობის შემთხვევაში, რაც უნდა მომხდარიყო ძვ.წ. V ათასწლეულიდან დაწყებული ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანების ჩათვლით. ამის შემდეგ უნდა დაწყებულიყო საერთოქართველური ფუძე-ენის დაშლა (Гамкрелидзе, Иванов, 1984, с. 85 и слл.).

ამ უკანასკნელ საკითხთან დაკავშირებითაც სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა. ერთ-ერთი ყარაულის მიხედვით, საერთოქართველური ფუძე-ენიდან პირველად უნდა გამოყოფილიყო სვანური დაახლოებით ძვ.წ. XIX საუკუნის დასაწყისში (Климов, 1961, с. 48; 1985, с. 240 и сл.). ასეთ დათარიღებას ახლა მკვლევართა დიდი ნაწილი არ იზიარებს. ეჭვი შეაქვთ რა ამ დათარიღებაში, ფუძე-ენის დაშლა მტკვარ-არაქსის კულტურის დაცემის შემდეგ უნდა დაწყებულიყო (ე.ი. ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანებში). თრიალეთის კულტურას აშკარად ქართულ-ზანური ერთობის კულტურად მიიჩნევენ, ამ ერთობის დაშლის პერიოდად კი ძვ.წ. III ათასწლეულის შუა – ძვ.წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარს (ჯაფარიძე, 1969, გვ. 231 და შმდ.). მ. სვოდეშის გლოტო-ქრონოლოგიური მეთოდის მიხედვით, ქართველური ფუძე-ენიდან სვანურის გამოყოფის თარიღად მიიღება ძვ.წ. IV ათასწლეულის პირველი ნახევარი, ხოლო ქართულ-ზანური ერთობის დაშლის თარიღად – ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისი, უფრო ზუსტად, ძვ.წ. XIX საუკუნე (ლოსაბერიძე, 1991, გვ. 3). საერთოქართველურიდან სვანური ენის გამოყოფის თარიღად ზოგიერთი მკვლევარი ძვ.წ. III ათასწლეულს მიიჩნევს (გამყრელიძე, 2000, გვ. 184) და ა.შ.

ქართველური ეთნოსის განსახლება კავკასიის ფარგლებში ახლა ეჭვს აღარ იწვევს. ზოგჯერ ცდილობენ დააკონკრე-

ტონ საერთოქართველური ***წინარე სამშობლოს ადგილმდებარეობა,*** შესაძლებლად თვლიან რა საერთოქართველური ეთნოსის საცხოვრებელი ადგილის მოთავსებას მცირე კავკასიონის დასავლეთ და ცენტრალური ნაწილის (სამცხე-ჯავახეთის) მთიანეთში. აქედან ქართველური მიგრაციის პირველი ტალღა მიმართული უნდა ყოფილიყო დასავლეთისა და ჩრდილო-დასავლეთისაკენ – კოლხეთის დაბლობისაკენ (გამყრელიძე, 2000, გვ. 184). ძ.წ. III ათასწლეულში საერთოქართველურიდან უნდა გამოყოფილიყო მისი ერთ-ერთი დიალექტი და მას დასაბამი უნდა მიეცა სვანური ენის წარმოშობისათვის. სვანური ენა (შესაბამისად, ეთნოსი) უნდა გავრცელებულიყო სამხრეთ კავკასიის დასავლეთ ნაწილში. აქედან სვანური ენა (ეთნოსი) ჩრდილოეთისაკენ, დიდი კავკასიონის ქედის მიმართულებით განუდევნია მომდევნო მიგრაციულ ტალღას, რომელმაც მიაღწია შაჟი ბღვის ნაპირებს. ამ ტალღისაგან უნდა გამოყოფილიყო მისი დასავლური დიალექტი, რომელმაც მოგვცა „კოლხური" – „განური" ანუ მეგრულ-ლაზური ენა (ეთნოსი).

დასავლეთ კავკასიის – ქართველური ტომების ამ უძველესი კერის ტერიტორიაზე დარჩენილი საერთოქართველური ენის დიალექტები საფუძვლად დაედო ქართულ ენას, რომლის მატარებელთა ნაწილი განსახლებულა დასავლეთის მიმართულებით და დაფენია კოლხური ენის მატარებელთ, რამაც გამოიწვია მისი გაყოფა ორ დამოუკიდებელ დიალექტად და შემდეგში მეგრული და ლაზური (ჭანური) ენის წარმოშობა (გამყრელიძე, 2000, გვ. 184).

საერთოქართველური ენის ქრონოლოგიურ დონეზე რეკონსტრუირებული ლექსიკა (გეოგრაფიული ლანდშაფტი, ფლორა, ფაუნა) ქართველთა პირველსაცხოვრისის ლოკალიზაციას ბოგიერთ მკვლევარს ავარაუდებინებს დიდი კავკასიონის სამხრეთ კალთებიდან მოსსური მთების ჩათვლით, ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, დასავლეთით კი – დიდი კავკასიონის სამხრეთ რაიონიდან შავ ბღვამდე. აქედან სორციელდებოდა ქართველურ ტომთა ექსპანსია სამხრეთისაკენ (ქურდიანი, 2000, გვ. 185 და შმდ.).

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული სხვა აზრის თანახმად, ქართველური ეთნოსის გაერცელების სამხრეთი რაიონი მოსათავსებელია ანატოლიის ჩრდილო-აღმოსავლეთთა და აღმოსავლეთით, ისევე როგორც ჩრდილოეთ შუამდინარეთის უფრო ჩრდილოეთით მდებარე ერცელ რაიონებში, სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ ამიერკავკასიაში. ძ.წ. III-II ათასწლეულებში სწორედ აქედან ხორციელდებოდა ქართველური და ახლოაღმოსავლური ეთნოსების ურთიერთკონტაქტები, რომელთა შესახებ ქვემოთ იქნება აღნიშნული (გიორგაძე, 1999, გვ. 92).

ძვ.წ. IV ათასწლეულის II ნახევრიდან საქართველოს ტერიტორიაზე იწყება ადრეული ბრინჯაოს ხანა ორი კულტურული არეალით. ესენია დასავლეთ საქართველოს მღვიმისპირა ზოლი და აღმოსავლეთ საქართველოს და დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთი ოლქები. ეს არეალი განეკუთვნება იმ დიდ კულტურულ წრეს, რომელიც „მტკვარ-არაქსის კულტურის" სახელითაა ცნობილი და გავრცელებული იყო აღმოსავლეთ ამიერკავკასიის (კერძოდ, საქართველოს), ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის, ჩრდილოეთ ირანისა და აღმოსავლეთ ანატოლიის ერცელ ტერიტორიაზე (ჯაფარიძე, 1999, გვ. 64 და შმდ.). ამ დროს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ტექნიკურ-კულტურული მიღწევა იყო მეტალურგიისა და ლითონდამუშავების განვითარება, დაიწყო რა ე.წ. „შეგნებული მეტალურგიის" ერა. ტექნიკურმა პროცესმა გარკვეული როლი შეასრულა საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ტომთა საზოგადოების განვითარებაში. სდება თავისებური დემოგრაფიული აფეთქება, იზრდება რა მოსახლეობის სიმჭიდროვე (ლორთქიფანიძე, 1998, გვ. 38 და შმდ.). ქართველური ეთნოსის ჩამოყალიბების პროცესში ეს პერიოდი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თუნდაც სოციალური და რელიგიური პროცესებისათვის. ამ დროიდან იქმნებოდა ქართველთა უძველესი პანთეონი, რომელსაც მოგვიანებით შეადგენდნენ ციური ღვთაებები – მზე, მთვარე, ვარსკვლავები.

„მტკვარ-არაქსის კულტურამი" ყალიბდება საცხოვრისის გარკვეული ტიპი, რომელიც კულტის შესრულების უმთავრეს

ადგილსაც წარმოადგენდა. ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი იყო კერა, დედაბოძი და კერასთან არსებული შემაღლება, ზოგჯერ ფრიზებით მოსატული. კერას ქალური ბუნება ჰქონდა და იგი, მითოსური ცნობიერებისა და ხალხური მსოფლაღქმის მიხედვით, დედამიწას წარმოადგენდა. მისი წყვილი ზეცის მამაკაცი ღეთაება იყო. მათი კავშირის შედეგად წარმოიშობოდა მარად ახალი სამყარო, რომლის სიმბოლოს წარმოადგენდა საკრალური და პროფანული სამყაროების დამაკავშირებელი სეტი – დედაბოძი ან სე (სიდაშელი, 2000, გვ. 142 და შმდ.; ბერიაშვილი, 1988, გვ. 183 და შმდ.).

„მტკვარ-არაქსის კულტურის“ ამა თუ იმ ეთნოსისადმი მიკუთვნების საკითხი ასლა ძნელად გადასაწყვეტია, რადგან არ არსებობს არქეოლოგიური კულტურების გარკვეულ ეთნოსებთან გაიგივების კრიტერიუმები. ბოგიერთი მკვლევარი „მტკვარ-არაქსის კულტურის“ შემქმნელებად თელის ინდოევროპელებს, კერძოდ, ხეთებს. მაგრამ ასეთი ვარაუდი გამოირიცხება იქედან გამომდინარე, რომ ინდოევროპელი ხეთების არსებობა ძვ.წ. IV ათასწლეულის II ნახევრის დროინდელ კავკასიაში არ მტკიცდება, რადგან წინარე ანატოლიური ინდოევროპული ეთნოსი ჯერ კიდევ არ იყო დიფერენცირებული (ხეთურ, ლუვიურ და ფალაურ ეთნოსებად). ხეთური ეთნოსი მხოლოდ ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისში ჩამოყალიბდა ცენტრალურ ანატოლიაში ხათებთან (პროტოხეთებთან) ხანგრძლივი კონტაქტების შედეგად. გამოირიცხება აგრეთვე წინარე ანატოლიური ინდოევროპული ეთნოსის მიერ „მტკვარ-არაქსის კულტურის“ შექმნაც, რადგან ეს ეთნოსი არ გასცილებია ცენტრალური ანატოლიის ფარგლებს. „მტკვარ-არაქსის კულტურას“ ვერ შექმნიდნენ აგრეთვე ის ხურიტები, ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანებიდან წინააზიურ ლურსმულ ტექსტებში რომ მოიხსენიებიან, რადგან ხურიტების შეჭრა კავკასიაში დადასტურებული არ არის არცერთ ძველაღმოსავლურ ტექსტში. მაგრამ თუკი ხურიტებს გავაიგივებთ ნასურ-დაღესტნური წარმომავლობის ტომებთან, როგორც ეს ივარაუდება ბოგიერთი ლინგვისტის (ი. დიაკონოვის, ს. სტაროსტინის) მიერ წამოყენებული ჰიპოთეზიდან ხურიტული ენის დაკავშირე-

ბის შესახებ ნახურ-დაღესტნურ ენებთან, მაშინ მდგომარეობა, რასაკვირველია, შეიცვლება. მაგრამ აღნიშნული ვარაუდი ჯერჯერობით მხოლოდ ჰიპოთეზად რჩება.

„მტკვარ-არაქსის კულტურა“ შექმნილი უნდა იყოს აღმოსავლეთ კავკასიელ, ან მტკვარ-არაქსის რეგიონში მცხოვრებ ტომთა მიერ და მოგვიანებით გავრცელებული უნდა იყოს საკმაოდ ფართოდ ტერიტორიაზე. ამ კულტურის შექმნაში თავისი წვლილი უნდა შეეტანათ ქართველური ეთნოსის წარმომადგენლებს, რომლებსაც აღნიშნულ ხანაში დიდი კონტაქტები ჰქონდათ წინა აზიასთან.

ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანებიდან „მტკვარ-არაქსის კულტურას“ აღმოსავლეთ საქართველოში ენაცვლება ე.წ. „დიდი ყორღანების კულტურა“, რომელიც ცნობილია ***„თრიალეთური კულტურის“*** სახელწოდებით (სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთი ისტორიული ოლქის სახელწოდების მიხედვით). ამ კულტურის განვითარებაში გამოიყოფა ორი ძირითადი ეტაპი: ძვ.წ. III ათასწლეულის II ნახევარი და ძვ.წ. II ათასწლეულის I ნახევარი („ბრწყინვალე ყორღანული კულტურის“ პერიოდი). „თრიალეთური კულტურის“ შემქმნელ ტომთა შორის ვითარდება რეგულარული გაცვლითი ურთიერთობები, ტომთა ბელადების პრივილეგირებული მდგომარეობის თანდათანობით განმტკიცება. შეიძება გრანდიოზული ყორღანები, რომელთა შემქმნელი საზოგადოება კლასთა წარმოშობისა და მკვეთრი სოციალური დიფერენციაციის გზაზე იდგა. (ჯაფარიძე, 1999, გვ. 37 დ, შმდ.; ლორთქიფანიძე, 1998, გვ. 40).

ქართველური ტომების განსახლების ტერიტორია მჭიდროდ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული მეზობელ ძველაღმოსავლურ ქვეყნებთან. ძვ.წ. III-II ათასწლეულებში ამ ტომებს ურთიერთობანი უნდა ჰქონოდათ ძველი აღმოსავლეთის ისეთ ცნობილ ეთნოსებთან, როგორიც იყვნენ შუმერები, სემიტები, ინდოევროპელები (განსაკუთრებით, ხეთები), ხათები (პროტოხეთები), ხურიტები და სხვანი. ამას ადასტურებს ამ ეთნოსებიდან ქართველური ეთნოსის მიერ ნასესხები ლექსიკა, ისევე როგორც ძველაღმოსაელურ და ქართველურ ენათა

მსგავსი სტრუქტურული დამახასიათებელი ნიშნები. ლექსიკურ ნასესხობათა გამოელენა, ცხადია, თავისთავად მიგვანიშნებს იმ გეოგრაფიულ გარემოს, რომლის საზღვრებშიც უნდა ეცხოვრათ ქართველურ ტომებს.

შუმერულ და ქართველურ ენათა ლექსიკის შედარებამ მკვლევართა ნაწილი (მ. წერეთელი, პ. ფენრიხი, ჯ. შარაშენიძე) მიიყვანა დასკვნამდე, რომლის მისედვით შუმერული ლექსიკა – ორ ასეულზე მეტი ლექსიკური ერთეული – გარკვეულ სიახლოვეს იჩენს ქართველურ ენათა შესაბამის ლექსიკასთან (ვრცლად ის. ზემოთ, თავი I, გვ. 22 და შმდ.).

შუმერულ და ქართველურ ენათა შედარებამ მკვლევარნი შემდეგ დასკვნებამდე მიიყვანა: შუმერული ლექსიკის უდიდესი ნაწილი არც დრავიდულია, არც სემიტური და არც ნახურ-დაღესტნური (ე.ი. ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიური). იგი აჩვენებს გარკვეულ სიახლოვეს ქართველურ ენათა ლექსიკასთან. ყურადღება მიაქციეს აგრეთვე შუმერულ და ქართველურ ენათა შორის ტიპოლოგიური მსგავსების არაერთ მაგალითს (თუმცა ეს არ მიუთითებს მათ გენეტიკურ კავშირებზე): ეს ენები აგლუტინაციურია. სიტყვის ძირს ან ფუძეს ემატება როგორც პრეფიქსები, ასევე სუფიქსები. სიტყვათწარმოება ხდება ძირის გაორმაგებით, სმოვნის შეცვლით, პრეფიქსაციით, სუფიქსაციით. ამ ენებში არსებობს ერგატივი – მოთხრობითი ბრუნვა ქვემდებარის სპეციფიკური ხმარებით გარდამავალ ზმნასთან და ა.შ. (Tseretheli, 1959. p. 77 f.; Fähnrich, 1981, გვ. 89 და შმდ.; შარაშენიძე, 1983, გვ. 28 და შმდ.).

ჯერჯერობით არ ხერხდება რა შუმერულსა და ქართველურ ენებს (ეთნოსებს) შორის გენეტიკური კავშირების გამოელენა, დასაბუთებულია, სად უნდა ყოფილიყო ამ ენათა საკონტაქტო რეგიონი. ასეთ ადგილად სავარაუდო უნდა იყოს ან სამხრეთ შუამდინარეთი, სადაც ძვ.წ. IV ათასწლეულიდან დასტურდება შუმერების ყოფნა, ან კავკასია, საიდანაც ადრეულ ხანებში უნდა მომხდარიყო შუმერების მიგრაცია სამხრეთ შუამდინარეთში, ანდა სამხრეთ ამიერკავკასია, სადაც მტკიცდება ქართველთა ბინადრობა. როგორც ვარაუდობენ, აღნიშნულ ენათა შორის საკონტაქტო რეგიონად უფრო მე-

ტად მისაღები უნდა იყოს კაეკასია, სახელდობრ, ამიერკაეკასია (სამხრეთ მესოპოტამია საერთოდ გამოირიცხება იმის გამო, რომ იქ ქართველური ტომების გახსახლება, მთელი რიგი მიზეზების გამო, არ დასტურდება). ამით გამართლდება თითქმის ერთი საუკუნის წინ მ. წერეთლის მიერ გამოთქმული ვარაუდი კაეკასიიდან სამხრეთ შუამდინარეთში შუმერთა მიგრაციის შესახებ.

სემიტურ-ქართველურ ლექსიკურ პარალელებთან დაკავშირებით ყურადღებას ამახვილებენ რიცხვით სახელებზე, რომელთა სესხება ძალზედ გავრცელებული მოვლენაა მსოფლიოს სხვადასხვა ენებში, რაც აიხსნება მჭიდრო კავშირებითა და კულტურული ურთიერთქმედებით (ვრცლად გვმოთ, თავი I, გვ. 45 და შმდ.).

არეალური ადრეული კონტაქტები სემიტური ენებისა ქართველურ ენებთან უნდა განსორციელებულიყო ახლო აღმოსავლეთის იმ განსაზღვრულ რეგიონში, სადაც ერთმანეთის ახლოს უნდა ეცხოვრათ ადრეული სანის სემიტებსა და ქართველურ ტომებს. ასეთ რეგიონად შეიძლება მივიჩნიოთ სემიტური ენების გავრცელების ჩრდილოეთი პერიფერია, რომელიც ემეზობლებოდა მცირე აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილს და მოიცავდა ჩრდილოეთ სირიისა და ჩრდილოეთ მესოპოტამიის რაიონებს ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანებამდე, ხურიტების ამ რეგიონში გამოჩენამდე, რის შემდეგაც პირდაპირი კონტაქტები ქართველური წარმოშობის ტომებისა სემიტ ტომებთან უნდა შეწყვეტილიყო. მათ შორის კონტაქტები კელავ გაგრძელდა მას შემდეგ, რაც ხურიტები დასუსტდნენ და თანდათან დატოვეს პოლიტიკური ასპარეზი, ე.ი. ძვ.წ. XIII-XII საუკუნეები, როდესაც გამოჩნდნენ არამეული წარმოშობის სემიტი ტომები (გიორგაძე, 1999[1], გვ. 50 და შმდ.).

ქართველური და ინდოევროპული ენების კონტაქტები უნდა მომხდარიყო საერთოინდოევროპულისა და საერთოქართველურის დონეზე, რაც გარკვეულ შუქს შეიტანს ამ ეთნოსთა თავდაპირველი განსახლების საკითხში. ამ მხრივ საყურადღებოა ლექსემები, რომლებიც ქართველურ ენებში წინარე ინდოევროპული წარმომავლობის უნდა იყოს („უღელი“,

„ღორი (ეშვი)“, „მატლი“, „თსა“, „თისა“, „დადება“, „სისხლი“, „მკერდი“, „ქმარი“, „შობა (დაბადება)“, „ბერვა“, „შეკრება“, „ექვსი“, „მაგარი“, „გათბობა (თბობა)“ და სხვ.) (Гамкрелидзе, Иванов, 1984, с. 877 и сл.). წინარე ინდოევროპულ ენას კონტაქტები უნდა ჰქონოდა წინარე ქართველურ ენასთან წინა აზიის ჩრდილოეთ პერიფერიის რაიონებში, ამიერკავკასიის სამხრეთით ზემო მესოპოტამიამდე ძვ.წ. V ათასწლეულიდან. ასეთ შემთხვევაში სრულიად გამოირიცხება შესაძლებლობა ამ კონტაქტების არსებობისა წინარე ინდოევროპულისაიის ტრადიციულად დადგენილ რაიონებში – ცენტრალურ ევროპაში, თუ ბალკანეთში. აქედან გამომდინარე წინარექართველური ეთნოსის ძებნა ევროპასა თუ ბალკანეთში – გამორიცხულია.

ქართველური და ინდოევროპული ენების კონტაქტების საკითხისათვის საგულისხმოა ***ხეთური ენის მონაცემებიც***. გამოელენილია მრავალი ლექსიკური პარალელი (დაწვრილებით ზემოთ, I თავი, გვ 64 და შმდ.). ი. დიაკონოვის მიხედვით, ლექსიკური პარალელები არიან არა ნასესხობანი პროტოქართველურში, არამედ დამადასტურებელია ნათესაობისა, რომელიც მომდინარეობს საერთოქართველურ-ინდოევროპული ენის დიალექტური კონტინუუმიდან – მისივე აზრით, პროტოქართველურის ტიპოლოგია სიტყვისა საოცრად წააგავს პროტოინდოევროპულს. ენობრივი მონაცემების მისედვითაც, ხეთურ-ქართველურ ენათა კონტაქტების ადგილად შეიძლება ჩავთვალოთ მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ პერიფერია და ჩრდილოეთ მესოპოტამიის უფრო ჩრდილოეთით მდებარე რაიონებში (გიორგაძე, 1999_2, გვ. 62 და შმდ.).

ცალკეულ ტიპოლოგიურ და ლექსიკურ ნასესხობებს მკვლევარნი ავლენენ ***ხურიტულ და ქართველურ ენებშიც*** (ნ. ნოზაძის გამოკვლევების მიხედვით), რომლებშიც ერთნაირად იწარმოება პროფესიის აღმნიშნელი სახელები აფიქსების მეშვეობით (მაგალითად, „მე-ბაღ-ე“, „მე-წაღ-ე“ და ა.შ.). ამასთანავე გვხვდება მოქმედებითი გვარის მიმღეობის ფორმები პროფესიის აღმნიშვნელი სახელების ფუნქციით („მხატვარი“, „მწერალი“ და ა.შ.). ზოგიერთ შემთხვევაში ხურიტული

გმნის პასიეის ფორმები გამოიყენება აქტიეის ფუნქციით, ისეეე როგორც ქართულში („იგმავნება“, „იწერება“). ზოგჯერ რელატიურ დეპონენსებს მხოლოდ პირდაპირი ობიექტი ახლაეს როგორც ხურიტულში, ასეეე ქართულში („ერეკება“, „ეზიდება“ და სხვ.). ტიპოლოგიური სიახლოვე ზოგიერთი ხურიტული *-o* ფორმისა ქართულ დეპონენსებთან სრულიად ნათელია. ტიპოლოგიურ პარალელს აელებენ აგრეთეე ხურიტული უღლების მრავალპირიანობას და ქართული უღლების მრავალპირიანობას შორის (ვრცლად ზემოთ, თავი I, გვ. 74 და შმდ.).

ხურიტები ჩრდილოეთ მესოპოტამიაში ბინადრობდნენ ძვ.წ. III ათასწლეულის შუა სანებიდან. ქართეელურ ტომებს მათთან სწორედ ამ დროიდან უნდა ჰქონოდათ ურთიერთობა ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლომდე, როდესაც ერთიანი ხურიტული ეთნოსი აღარ არსებობდა (ამის შემდეგ, ალბათ, აქა-იქ შემორჩენილი იყო ხურიტების ცალკეული ჯგუფები). ურთიერთობებს ადგილი უნდა ჰქონოდათ ჩრდილოეთ მესოპოტამიის ჩრდილოეთით მოსაზღვრე რაიონებში. ადგილი უნდა ჰქონოდა აგრეთეე ქართეელ ტომთა ნაწილის ინფილტრაციას მეზობელი ხურიტებით დასახლებული ტერიტორიაზე, სადაც ისინი უნდა დაუფლებოდნენ ხურიტული წარმოშობის ტოპონიმებს.

ქართეელურ ტომებს ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანებიდან მაინც ურთიერთობები უნდა ჰქონოდათ მცირე აზიის ცენტრალურ ნაწილში მცხოვრებ ერთ-ერთ უძეელეს ეთნოსთან – ***ხათებთან (პროტოხეთებთან),*** რასაც აჩვენებს ხათური და ქართეელური ენების ზოგიერთი მონაცემი: ხათური მორფემა *-ḫ-*, ისეეე როგორ *-s-* ანალოგიას იჩენს ქართეელურ ენებში, რომლებშიც დაცულია ხათურში ცნობილი სიტყეათწარმოეების სუფიქსი კუთვნილებისა და წარმომაელობისა *-ელ*. მასთან აკაეშირებენ სვანურში განყენებული სახელების პრეფიქსს *ლი-*, ან მრაელობითი რიცხვის პრეფიქსს *ლა-* და ა.შ. (ვრცლად ზემოთ, თავი I, გვ. 88 და შმდ.).

დასასრულ, ქართეელურ ტომთა და ურარტელთა კონტაქტებზე უნდა მიუთითებდეს შემდეგი ქართეელურ-ურარტული ლექსიკური პარალელები: ურარტ. ***კირა*** „მიწა“ და ქართ. „ყირამალა“; ურარტ. ***შალიშან*** და ქართ. „შარშან“. ქართულ მი-

სამღერებში შემორჩენილია შემდეგი ურარტული გამოთქმები: ***ივრი ალალე*** (არალე) – „უფალო ალალე“, ***თარი ალალე*** – „ძლიერო ალალე“, ***არი ალალე*** – „მომეცი ალალე“ და სხვ. (Сванидзе, 1973, с. 37; Меликишвили, 1954, с. 417).*

ამით ვამთავრებთ მიმოხილვას ქართველური ეთნოსის კავშირურთიერთობებისა წინა აზიის ისეთ ცნობილ ეთნოსებთან, როგორიც იყვნენ შუმერები, სემიტები, ინდოევროპელები (სეთები), სურიტები, სათები (პროტოსეთები), ურარტელები, რომელთა მსრიდან, შესაძლოა, ადგილი ჰქონდა კიდეც ცალკეული ეთნიკური ჯგუფების შეღწევას – ინფილტრაციას საქართველოს ტერიტორიაზე, სადაც ისინი ასიმილაციას განიცდიდნენ ადგილობრივ ქართველურ ტომებთან. პარალელურად ქართველურ ეთნოსს იმავე სანებში ურთიერთობანი უნდა ჰქონოდათ ჩრდილო-კავკასიის, სახელდობრ, აფხაზურ-ადიღურ და ნახურ-დაღესტნურ ეთნოსებთან: საერთოქართველური ფუძე-ენის ქრონოლოგიურ დონეზე ელინდება ლექსიკური პარალელები ამ კავკასიურ ფუძე-ენებთან. მართალია, ლექსიკური პარალელების კვალიფიკაციის საკითხი საბოლოოდ არ არის გადაწყვეტილი, მაგრამ უკვე ახლა შეიძლება სრული უეჭველობით აღინიშნოს: ქართველური ტომების (ქართველების) წინაპრები და ნახურ-დაღესტნური თუ აფხაზურ-ადიღური ტომების წინაპრები ერთ დიდ რეგიონში ცხოვრობდნენ და ერთმანეთთან ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდათ, არ გამოირიცხებოდა რა არც მათი ცალკეული ჯგუფების ინფილტრაცია საქართველოს მეზობელ მხარეებში. ამ ურთიეთრობების ხანგრძლივ და უწყვეტ სასიათზე მეტყველებს იმ მრავალ ნასესხობათა არსებობა, რომელიც დაფიქსირებულია კავკასიური ენების ოჯახის ისტორიულად დადასტურებული წევრების ლექსიკაში.

ქართველურ და ახლოაღმოსაელურ ეთნოსებს შორის არსებულ ურთიერთობებს დიდი გავლენა უნდა მოეხდინა ქარ-

---

* გამოელენილია აგრეთვე კონტაქტები მედიტერანულ სამყაროსთან, ბასკებთან, დასავლეთ მცირე აზიასთან, დაღგენილია არაერთი საინტერესო უაქტი, რომელთა შესახებ აქ აღარ შეეჩერდებით.

თეელურ ტომთა ეთნოგენეზის პროცესის განვითარებაზე. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ძვ.წ. III-II ათასწლეულებში ქართველური ეთნოსი წარმოგვიდგება როგორც ერთ-ერთი დამოუკიდებელი და მყარად ჩამოყალიბებული ეთნიკურ-ენობრივი ერთობა თავისი დამოუკიდებელი კულტურულ-ისტორიული ტერიტორიით. იგი არსებობდა არა იზოლირებული სახით, არამედ როგორც მის თანადროული ცივილიზაციებთან მჭიდროდ დაკავშირებული ეთნიკური ერთობა საკმაოდ განვითარებული ენობრივი სისტემით. ზემოაღნიშნულ ურთიერთობებს უნდა დაეჩქარებინა ქართველურ ტომთა საზოგადოებრივი განვითარების პროცესი, რომელიც, წინა ადგილის დიდ ეთნოსებთან შედარებით, მაინც შენელებული ტემპით მიმდინარეობდა, რაც კარგად ჩანს ქართველურ ტომთა ტერიტორიაზე თუნდაც სახელმწიფოს ჩამოყალიბების შეყოვნებით.

თრიალეთის კულტურისა და შუა ბრინჯაოს ეპოქას, რომელიც ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებით თარიღდება, თან მოსდევს გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანა. არქეოლოგიური მასალის მიხედვით, ამ დროს ადგილობრივი საზოგადოება პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების აღმავლობას განიცდის. საქართველოს ტერიტორიაზე უკვე გამოიყოფა ორი მთავარი კულტურული არეალი – აღმოსავლური და დასავლური, რომელიც ორ დიდ პოლიტიკურ გაერთიანებას შეესატყვისება. უკვე ჩანს ეთნიკურ ტერიტორიალური მსხვილი გაერთიანების პროცესი. აღმოსავლეთ საქართველოს ცენტრალურ ნაწილში გავრცელებული არქეოლოგიური კულტურა აღმოსავლურ-ქართველურ (ქართის) ტომებს განეკუთვნებოდა. დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული არქეოლოგიური კულტურა, რომელიც მდ. ჭოროხის აუზსაც მოიცავდა და კოლხური კულტურის სახელითაა ცნობილი, დასავლურ-ქართველური ტომების კუთვნილი უნდა ყოფილიყო (აბდუშელიშვილი, მუსხელიშვილი, სურგულაძე, 1986, გვ. 459). უკვე შეიმჩნევა აღრესახელმწიფოებრივი წყობისათვის დამახასიათებელი ნიშნე-

ბი. ამ პროცესებმა გარკვეული როლი შეასრულა ქართველთა ეთნოგენეზის განეითარების პროცესში.

აღმოსავლეთ საქართველოში ჩნდება ე.წ. პროტოქალაქური ტიპის სამოსახლოები (თრელიგორები თბილისში, ხოვლეგორა). თვალსაჩინო ტექნიკური პროგრესია ლითონის წარმოებაში. იზრდება საომარი ცულებისა და სხვა იარაღის (სატევრების, მახვილების, შუბების, ისრის პირების) დამზადება, რაც აშკარად მიუთითებს საომარ ოპერაციათა გაფართოებაზე. მოსახლეობის რელიგიური წარმოდგენებისა და სულიერი სამყაროს შესახებ უმდიდრესი არქეოლოგიური მასალაა მოპოვებული. ჩნდება ღია ცის ქვეშ გამართული სამლოცველოები, საკულტო ადგილები და სხვ. (Киквидзе, 1988, გვ. 165 და შმდ.; ბერიაშვილი, 1988, გვ. 175 და შმდ.). აღმოსავლეთ საქართველოში მცხოვრები ქართველი ტომები სოციალური, საზოგადოებრივი, კულტურული განვითარების აღმავლობას განიცდიან, რაც აჩქარებდა ამ რეგიონში ადრესახელმწიფოებრიეი პოლიტიკურ გაერთიანებათა წარმოქმნას (ჯაფარიძე, 1999, გვ. 101 და შმდ.).

ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარსა და I ათასწლეულის დასაწყისში დასავლეთ საქართველოს (მის ჩრდილოეთით და სამხრეთით) მდებარე ტერიტორიაზე, სადაც ჩამოყალიბდა გემონახსენები კოლხური კულტურა, ხდება საერთოქართველური ფუძე-ენიდან გამოყოფილი ე.წ. ქართულ-კოლხური ეთნიკური ერთობის დაშლის შემდგომ წარმოქმნილი დასავლურ-ქართველური ტომების განსახლება-დასახლება გემოაღნიშნულ ტერიტორიაზე (ჯაფარიძე, 1999, გვ. 105 და შმდ.).

არქეოლოგიური მასალების მიხედვით, ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებიდან მთელი დასავლეთ საქართველო მჭიდროდ იყო დასახლებული. საზოგადოებას რთული სოციალური სტრუქტურა გააჩნდა. ერთგვაროვანი კულტურის გავრცელებაში ასახულია გარკვეული პოლიტიკური კონსოლიდაციაც. როგორც ვარაუდობენ, ძველკოლხურ ტომთა პირველი მსხვილი პოლიტიკური გაერთიანების ხანას განეკუთვნება ბერძენ-აქეველთა პირველი მოგზაურობანი შავი ზღვის

სამხრეთ და აღმოსავლეთ სანაპიროებისაკენ. ეს ასახული უნდა იყოს თიქმულებაში, რომელიც ეხება არგონავტების ოქროს საწმისისათვის კოლხთა მეფის აიეტის ქვეყანაში ლაშქრობას (ლორთქიფანიძე, 1998, გვ. 52 და შმდ.).

ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულისათვის დიდი ძვრები შეინიშნება მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ პერიფერიაზე, სადაც აქტიურდებიან აქ მოსახლე ტომები, რაც ხეთების სამეფოს დასუსტებით, ხოლო შემდგომ დაცემით იყო გამოწვეული. მათი უმრავლესობა არაინდოევროპული წარმოშობისანი უნდა ყოფილიყვნენ. მათ რიცხვს განეკუთვნებოდნენ ძვ.წ. XVI-XII საუკუნეებში ხეთურ და ასურულ ლურსმულ ტექსტებში მოხსენიებული ქასქები (ქაშქები), ძვ.წ. XII საუკუნის ასურული ლურსმული წარწერების აბეშლაელები, მუშქები (მუშქაია), დაიანელები და სხვანი. არ გამოირიცხება, რომ ყველა მათგანი ქართველური წარმოშობის ტომები იყვნენ. ხეთურ ტექსტებში მოხსენიებული ქასქების ტოპონიმიკის, საკუთარი სახელებისა და ცალკეული სიტყვის ანალიზი აჩვენებს, რომ ქასქები უფრო მეტად კოლხური წარმოშობის უნდა ყოფილიყვნენ, ვიდრე როგორც აქამდე მკვლევრები ვარაუდობენ, აფხაზურ-ადიღური წარმომავლობისა (გიორგაძე, 2000, გვ. 9 და შმდ.). აქედან გამომდინარე, კოლხური წარმოშობის ტომებად უნდა ჩაითვალოთ აბეშლაელებიც, რადგან ასურული წყაროების მიხედვით, „ქაშქა“ („ქაშქაია“) და „აბეშლა“ („აბეშლაია“) ტერმინები ან სინონიმები არიან, ან ისინი ორი სხვადასხვა მონათესავე ტომის (ამ შემთხვევაში, ქართველურის) აღმნიშვნელია (გიორგაძე, 1998, გვ. 15 და შმდ.). ასურული წყაროების მუშქები რომ ქართველური წარმოშობის ტომები (მესხები) იყვნენ, ამაში ახლა ეჭვი არავის ეპარება (ხაბარაძე, 1984, გვ. 72 და შმდ.). დაიანელებს ხშირად აიგივებენ ურარტული წყაროების დიაუხელებთან (ტაოელებთან – ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მცხოვრებლებთან: Ушаков, 1941, с. 159 и сл.; უშაკოვი, 1940, გვ. 255 და შმდ. Меликишвили, 1954, с. 170-175; 252-256; Меликишвили, 1959, с. 176-181; 183-185), რომლებსაც ქართველური წარმოშობის ტომებად თვლიან.

ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულს ქართველურ ტომთა აქტიურობა მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიაზე, რომელიც მესოპოტამიას ესაზღვრებოდა, მტკიცდება თვით ასურული წყაროების მონაცემებით: მუშქები სამხრეთით გაიჭრნენ, ალზის, ფურულუმზისა და ქათმუხის ქვეყნებს – ჩრდილოეთ მესოპოტამიის ცნობილ პოლიტიკურ გაერთიანებებს დაეპატრონენ და მათ 50 წლის განმავლობაში მართავდნენ (ლუვიურ-იეროგლიფური წარწერების მონაცემთა გათვალისწინებით მუშქების – მოსხების, მესხების – პირველ გამოჩენას ცენტრალურ ანატოლიაში XIV-XIII საუკუნეებით ათარიღებენ). როგორც ჩანს, მუშქების ტომები უკვე ადრესახელმწიფოებრივ პოლიტიკურ ერთეულებს წარმოადგენდნენ (ასურულ ტექსტებში ნახსენებია მათი „5 მეფე“).

ქართველური ტომების შემდგომი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების პროცესში დიდი როლი შეასრულა რკინის მეტალურგიის სწრაფმა აღმავლობამ. სამხრეთ-აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ოლქები წარმოადგენდნენ რკინის წარმოების ერთ-ერთ უძველეს ცენტრებს ძვ.წ. IX-VII საუკუნეებში. ამ სანებიდან კიდევ უფრო ძლიერდება ქართველურ ტომთა სახელმწიფოებრიობის გზაზე დამდგარი პოლიტიკური გაერთიანებანი: ცენტრალური ანატოლიისაკენ იჭრება მუშქების ახალი ტალღა, რომელიც ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიიდან გადმოსახლებული ქაშქების ტომების მეზობლად სახლდება. მუშქები და ქაშქები ქმნიან დამოუკიდებელ სამთავროებს (თაბალის სამეფოს მეზობლად), რომელთა სათავეში მეფენი იდგნენ. ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ტომებიდან ერთ-ერთი – დიაუხი (ტაო) ქმნის დიდ პოლიტიკურ გაერთიანებას – სამეფოს, რომელიც ურარტელთა არაერთი ლაშქრობის ობიექტი გახდა. აღნიშნული ტერიტორიის სხვა ეთნიკური ერთეულები – ურარტული წარწერების მაბახა (ჯავახეთი), ქათარზა (კლარჯეთი), ლუშა, ერიახი და სხვანი, რომლებსაც ქართველური წარმომავლობის ტომებად თვლიან, ასევე სახელმწიფოებრიობის გზაზე დამდგარ ეთნიკურ გაერთიანებებად შეიძლება

ჩაითვალოს, რადგან სავარაუდოა, რომ აღნიშნული რეგიონის პოლიტიკური ერთეულები საზოგადოებრიული განვითარების თვალსაზრისით ერთ დონეზე უნდა მდგარიყვნენ, თუმცა მათ ვერ შეძლეს ერთ დიდ პოლიტიკურ გაერთიანებად ჩამოყალიბება. აღნიშნულ ქართველურ ტომთა ეთნიკური განვითარების პროცესიც წინ უნდა წასულიყო.

ურარტულ ლურსმულ ტექსტებში იხსენიება აგრეთვე დასაელურქართველური სახელმწიფო კულხა (კოლხა, კოლხეთი), რომლის ძალაუფლება ერცელდებოდა სამხრეთ-აღმოსაელეთ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ტერიტორიაზე.

ძვ.წ. VI-V საუკუნეებში კოლხეთი წარმოგვიდგება ეკონომიკურად და კულტურულად დიდად დაწინაურებულ სახელმწიფოდ (სახელმწიფოებრიული სტრუქტურით, ცენტრალური ხელისუფლებით, ინტენსიური საქალაქო ცხოვრებით, რთული საგადასახადო სისტემით და ა.შ. ლორთქიფანიძე, 1998, გვ. 58 და შმდ.; ინაძე, 1994, გვ. 119 და შმდ.). დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე პირველი სახელმწიფოსა და ცივილიზაციის შემქმნელები იყვნენ ქართველური ტომები – კოლხები, სახელმწიფოს შექმნა იყო დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის აქტი ადგილობრივი საზოგადოების განვითარების ისტორიაში (ინაძე, 2000, გვ. 111 და შმდ.). კოლხთა სახელმწიფოს შექმნის ერთ-ერთი შედეგი იყო დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ერთიანი ეთნოკულტურული სისტემის ჩამოყალიბება, სადაც წამყვან როლს კოლხური ეთნოსი ასრულებდა. მომავალში იგი ხდება ერთიანი ქართული ეთნოსის შემადგენელი ნაწილი (ლორთქიფანიძე, 1998, გვ. 72).

აღმოსავლელ ქართველურ ტომთა – იბერთა პოლიტიკური და ეთნიკური კონსოლიდაციის პროცესში პეგემონის როლში გარკვეული პერიოდიდან ქართის ტომი გამოდის. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული პოლიტიკური გაერთიანებები (დიაუხი და სხვანი) თანდათან დაიშალნენ და ვერ გადაიქცნენ იმ ბირთვად, რომლის გარშემოც შესაძლებელი გახდებოდა ქართველ ტომთა კონსოლიდაცია (აბდუშელიშვილი, მუსხელიშვილი, სურგულაძე, 1986, გვ. 459). მართალია, ძვ.წ. IV საუკუნის ბოლო მეოთხედში

ისტორიულ მესხეთ-ჯავახეთის რეგიონში (სამცხე, ჯავახეთი, კლარჯეთი, შავშეთი, ტაო, კოლა, არტაანი და სხვ.) მოსხებმა – მესხებმა ძლიერი პოლიტიკური გაერთიანება შექმნეს, რომელსაც უფრო გვიან სტრაბონი „მოსხების ქვეყანას“ („მოსხიკეს“) უწოდებდა, ხოლო „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ აეტორი, როგორც ახლა ვარაუდობენ, მას „არიან-ქართლის“ სახელით იცნობდა (საგარაძე, 2000, გვ. 13). მაგრამ ეს „ქვეყანა“ ქართველ ტომთა ეთნიკური კონსოლიდაციის პროცესში პეგემონის როლში ვერ გამოვიდა.

ადრერკინის ხანიდან ქართის ტომის მეთაურობით იქმნება ტომთა ძლიერი კავშირები, ტომთაშორისი ბრძოლა ქართლის ტომთა პოლიტიკური და კულტურული პეგემონობით წარიმართა, სწორედ ქართლმა დაუდო საფუძველი ქართველი ხალხის ჩამოყალიბებას. „ქართლი“ ძვ.წ. V-IV საუკუნეებში დიდი ეთნო-კულტურული რეგიონის აღმნიშვნელ ტერმინად იქცა. მისი ეკვივალენტური ტერმინი შეიძლება იყოს „სპერი“ (აქედან: ჰეროდოტესეული „სასპერები“), რომელიც ისტორიული საქართველოს უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში არსებული გაერთიანების სახელით იყო ცნობილი. მისი შეცვლილი ფონეტიკური ფორმა კი „იბერია, იბერეს“ უნდა ყოფილიყო.

ქართლის ტომთა კულტურულ-პოლიტიკური გაელენა მიმართული იყო დასავლეთით, ჩრდილოეთითა და აღმოსავლეთით, რაც მოასწავებდა დასაელელი ქართველური ტომების, კავკასიელი მთიელებისა და ალბანურ (ჰერების) ტომთა თანდათანობით ასიმილაციას. ასეთივე პროცესები მიმდინარეობდა სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებითაც, სადაც უძველესი დროიდან მოსახლეობდნენ ქართულ-მანური ტომები. დ. მუსხელიშვილის ვარაუდით, მათი კულტურულ-ეთნიკური და პოლიტიკური შერწყმა ქართის ტომებთან ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანებისათვის დასრულებული უნდა ყოფილიყო.

ფარნავაზიდან იქმნებოდა ერთიანი ქართული ეთნო-კულტურული სისტემა. ქართლის (იბერიის) სამეფოს წარმოქმნა მნიშვნელოვანი საფეხური იყო ქართველთა ეთნოგენეზში, რადგან იგი ნიშნავდა ტომობრივი ბღუდეების მოშლას, ტომ-

თა კონსოლიდაციას აღმოსაველეთ ქართულ ეროვნებად, არაქართველი ტომების ასიმილაციას და ქართველურ ტომთა ინტეგრაციას. ასეთ ეთნოგენეტიკურ პროცესს განიხილავენ არა როგორც მხოლოდ პოლიტიკურ ექსპანსიას, არამედ ქართის ტომთა შეღწევა-ინფილტრაციას. დასაველეთ საქართველოში ძველთაგანვე ქართის ტომების შეღწევამ და ქართის სახელმწიფოს ძლიერმა გავლენამ საფუძველი დაუდო ერთიანი ქართული ეროვნების ჩამოყალიბებას. მომდევნო ხანებში ეროვნული კონსოლიდაციის პროცესი კიდევ უფრო შორს წავიდა და ეროვნულმა თვითშეგნებამ მაღალ დონეს მიაღწია, დამთავრდა რა ერთიანი ქართული ეთნოსის ჩამოყალიბების პროცესი და დაიწყო მისი შემდგომი განვითარების ეტაპი (აბდუშელიშვილი, მუსხელიშვილი, სურგულაძე, 1986, გვ. 459 და შმდ.).

ლიტერატურა

აბდუშელიშვილი, 1980 – აბდუშელიშვილი მ. კავკასიის არქეოლოგია ფეოდალურ ხანაში. თბ., 1980

აბდუშელიშვილი, 1982 – აბდუშელიშვილი მ. კავკასიის ანთროპოლოგია ბრინჯაოს ხანაში. თბ., 1982

აბდუშელიშვილი, 1987 – აბდუშელიშვილი მ. საქართველოს ანთროპოლოგია რკინის ათვისების ხანაში. თბ., 1987

Абдушелишвили, 1960 – Абдушелишвили М. Г. Об эпохальной изменчивости антропологических признаков // Краткие сообщения Института этнографии АН СССР. Вып. XXXIII, 1960

Абдушелишвили, 1964 – Абдушелишвили М. Г. Древнее и современное население Грузии. Тб., 1964

Абдушелишвили, 1966 – Абдушелишвили М. Г. К краниологии древнего и современного населения Кавказа. Тб., 1966

Абдушелишвили, 1974 – Абдушелишвили М. Г. Новые данные к изучению генезиса индосредиземноморской расы вообще и индопамирской в частности // Расогенетические процессы в этнической истории. М., 1974

აბდუშელიშვილი, მუსხელიშვილი, სურგულაძე, 1986 – აბდუშელიშვილი მ., მუსხელიშვილი დ., სურგულაძე ი. „ქართველები“ // ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 10, თბ., 1986

Алексеев, 1982 – Алексеев В. П. О самом раннем этапе расообразования и этногенеза // Этнос в доклассовом и раннеклассовом обществе. М., 1982

ბერიაშვილი, 1988 – ბერიაშვილი მ. მისა როგორც მითოსური წესრიგის დამყარების ფენომენი და აღმოსავლეთ საქართველოს ბრინჯაოს ხანის გორის ტიპის შესაბამისი ძეგლები. // გარეჯი, VIII, თბ., 1988

გამყრელიძე, 2000 – გამყრელიძე თ. შესხეთ-ჯავახეთი – საერთო ქართველური წინარე სამშობლო // შესხეთი. ისტორია და თანამედროვეობა, ახალციხე, 2000

Гамкрелидзе, Иванов, 1984 – Гамкрелидзе Т. В., Иванов Вяч. Вс. Индоевропейский язык и индоевропейцы. II. Тб., 1984

გიორგაძე, 1999$_1$ – გიორგაძე გ. ქართველური და ახლოაღმოსავლური ეთნოსები ძ.წ. III-I ათასწლეულებში, თბ., 1999 (ხელნაწერის უფლებით)

გიორგაძე, 1999$_2$ – გიორგაძე გ. ზოგიერთ ძველაღმოსავლურ ენასთან ქართველური ენების კონტაქტების საკითხი თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში // ენათმეცნიერების საკითხები. № 3, 1999

გიორგაძე, 1998 – გიორგაძე გ. ასურული ლურსმული ტექსტების „ქაშქა“ და „აბეშლა“ ტერმინთა ურთიერთდამოკიდებულების შესახებ // საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ნარკვევები. IV, თბ., 1998

გიორგაძე, 2000 – გიორგაძე გ. სეთური ლურსმული ტექსტების ქასქების (ქაშქების) ტომთა ეთნიკური წარმოშაელობისათვის // არტანუჯი, № 10, 2000

გორდეზიანი, 1993 – გორდეზიანი რ. ქართული თვითშეგნების ჩამოყალიბების პრობლემა. თბ., 1993

ინაძე, 1994 – ინაძე მ. ძველი კოლხეთის საზოგადოება. თბ., 1994

ინაძე, 2000 – ინაძე მ. ძველი კოლხეთის სახელმწიფოებრიობის წარმოქმნის პრობლემისათვის. // მნათობი, № 7-8, 2000

კიკვიძე, 1976 – კიკვიძე ი. მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში (არქეოლოგიური მასალების მიხედვით). თბ., 1976

Климов, 1961 – Климов Г. А. О лексико-статистической теории М. Сводеша // Вопросы теории языка в современной зарубежной лингвистике. М., 1961

Климов, 1985 – Климов Г. А. Кавказские языки. М., 1985

ლორთქიფანიძე, 1998 – ლორთქიფანიძე ო. ქართველთა ქვეყანა: ისტორია და კულტურა., თბ., 1998

ლოსაბერიძე, 1991 – ლოსაბერიძე დ. ქართველურ ენათა დაშლის დროის საკითხისათვის. თბ., 1991 (ხელნაწერის უფლებით)

ლოსაბერიძე, 1992 – ლოსაბერიძე დ. ქართველთა ეთნოგენეზის საკითხისათვის // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. 146, № 2, 1992

Меликишвили, 1954 – Меликишвили Г. А. Наири-Урарту. Тб., 1954

Меликишвили, 1959 – Меликишвили Г. А. К истории древней Грузии. Тб., 1959

მუსხელიშვილი, 1992 – მუსხელიშვილი დ. ქართველთა თვითსახელწოდების ისტორიისთვის // მაცნე, № 2, თბ., 1992

Сванидзе, 1937 – Сванидзе А. Материалы по истории алародийских племен. Тб., 1937

Ушаков, 1941 – Ушаков П. Тао-Кларджетия в конце IX и в VIII веке до нашей эры // Труды Тбилисского гос. учительского ин-та им. Пушкина, I, 1941

უშაკოვი, 1940 – უშაკოვი პ. საქართველოს უძველესი ხალხები და უკანასკნელი წლების აღმოჩენები არქეოლოგიის დარგში // საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, X-B, 1940

ფიცხელაური, 1973 – ფიცხელაური კ. აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები, თბ., 1973

ქურდიანი, 2000 – ქურდიანი მ. საერთოქართველური ეთნოსის თვითსახელწოდებისათვის („მესხი", „მესხები") // მესხეთი. ისტორია და თანამედროვეობა, ახალციხე, 2000

შარაშენიძე, 1983 – შარაშენიძე ჯ. შემერები და მათი კულტურა. თბ., 1983

ხიდაშელი, 1991 – ხიდაშელი მ. მითოსური ცნობიერება და სალხური მსოფლაღქმა // ლამარი, № 3, 1991

ხიდაშელი, 2000 – ხიდაშელი მ. მითოლოგია – არქაული საშოვაღლების აზროვნების წესი // მნათობი, № 3-4, 2000

საბარაძე, 1984 – საბარაძე ნ. საქართველოს ძველი ისტორიის ეთნო-პოლიტიკური პრობლემები (მოსსები). თბ., 1984

საბარაძე, 1994 – საბარაძე ნ. ქართველური ეთნონიმიკის ისტორიისათვის // ქართველოლოგიური სამეცნიერო სიმპოზიუმი თემაზე – საქართველო. ბიულეტენი № 3, 1994

ხაბარაძე, 2000 – საბარაძე ნ. ბიბლია და მესხების ძველი ისტორია // მესხეთი. ისტორია და თანამედროვეობა, 2000

ჯაფარიძე, 1969 – ჯაფარიძე ო. არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში. თბ., 1969

ჯაფარიძე, 1976 – ჯაფარიძე ო., ქართველ ტომთა ეთნიკური ვინაობის საკითხისათვის. თბ., 1976

Джапаридзе, 1989 – Джапаридзе О. На заре этнокультурной истории Кавказа. Тб., 1989

ჯაფარიძე, 1994 – ჯაფარიძე ო. ქართველ ტომთა აღრეული ეთნოგენეზის საკითხისათვის არქეოლოგიური მონაცემების შესწავლის // ქართველოლოგიური სამეცნიერო სიმპოზიუმი თემაზე – საქართველო. ბიულეტენი № 3, 1994

ჯაფარიძე, 1999 – ჯაფარიძე ო. პალეოლითიდან აღრებრინჯაოს ხანამდე. თბ., 1999 (ხელნაწერის უფლებით)

Fähnrich, 1981 – Fähnrich H. Das Sumerische und die Kartwelsprachen // Georgica, IV, 1981

Tseretheli, 1959 – Tseretheli M. Das Sumerische und das Georgische // „ბედი ქართლისა", № 32-33, Paris, 1959

დამატება

ДОПОЛНЕНИЕ

К ПРОИСХОЖДЕНИЮ ГРУЗИН[1]

Происхождение грузин (картвелов), как и других этносов, является сложным и длительным историческим процессом, уходящим вглубь тысячелетий. Как показывает комплексный анализ археологических, антропологических, лингвистических, исторических и других материалов, этот процесс протекал собственно на территории Грузии.

Следовательно, не находят подтверждения легенды, сказочные сведения и различные безпочвенные представления античных и средневековых авторов об этническом происхождении картвелов. Вопросы этногенеза картвелов были весьма популярны в грузинской, русской и европейской историографии XIX и XX веков. Было высказано множество, в большинстве случаев, исключающих друг друга гипотез и предположений. Часть исследователей считала картвелов индоевропейцами, другие же – потомками древнейших народов Передней Азии – шумеров, хеттов, субарейцев (хурритов) и т.д. С 30-х годов XX в. появилось предположение о принадлежности картвелов так же, как и картвельских языков, к кавказскому миру. Семья кавказских языков стала именоваться иберийско-кавказской, на основе объединения в ней картвельских, абхазско-адыгских и вейнахо-дагестанских языков. К тому же, было высказано предположение родства этих языков с мертвыми языками Передней Азии и Средиземноморья (по данному вопросу в настоящее время существует большое разногласие во мнениях).

Позднее в грузинской историографии утвердилось мнение, что картвельские племена проживали на территории Грузии издревле, являясь автохтонным, коренным населением в

[1] Соавтор Н.В. Хазарадзе.

регионе. Как предполагали С.Н.Джанашия, Б.А.Куфтин и другие, на основании археологического материала, на территории Грузии подтверждается непрерывная цепь культурного прогресса с древнейшей эпохи, что видно и из нижеследующего изложения.

Антропологические материалы свидетельствуют, что с древнейших времен территорию современной Грузии населяли племена, относящиеся к южной ветви большой европеоидной расы.

Наиболее ранний палеоантропологический материал, с которого можно проследить особенности физического типа грузин, относится к энеолитическому времени. Начиная с этого периода и вплоть до раннефеодальной эпохи, древнее население характеризовалось долихокранией (длинноголовостью), узким и высоким лицом, высоким и узким носом, резким выступом носовых костей, высоким переносьем, малыми горизонтальными углами лица и укладывалось в вариации средиземноморского типа (Абдушелишвили, 1964; 1966; 1982; 1987)[1].

С конца I тысячелетия в палеоантропологических материалах из Грузии уже выявляется довольно широкоголовый и широколицый тип, который развился на основании местных антропологических типов путем внутреннего развития без существенного участия каких-либо иных элементов (Абдушелишвили, 1964; 1966; 1980).

В современном населении Грузии преобладают широколицые брахикефали (широкоголовые), являющиеся результатом эпохальной трансформации признаков (Абдушелишвили, 1980). На соматологическом материале выделены относящиеся к южно-европеоидной расе три варианта переднеазиатской расы: колхский, иберийский и кавкасионский (Абдушелишвили, 1984). Сопоставление древних и современных антропологических типов Грузии дает возможность представить генезис переднеазиатской расы, которая, в основном, формировалась

[1] Литературу см. в конце IV главы данной книги.

на территории центральных и северных областей Передней Азии, а на Кавказе является автохтонным. Кавказские особенности этого типа формировались на территории, занимаемой ими в настоящее время (Абдушелишвили, 1974, с. 251).

В зависимости от разных социально-бытовых, культурно-экономических и естественно-географических условий формировались отличающиеся друг от друга разные локальные варианты современного населения Грузии. Эти варианты, несмотря на региональные различия, все-таки характеризуются морфологической общностью, обусловленной происхождением (Абдушелишвили, 1966, с. 85).

Показателем единого генетического происхождения картвелов является большое сходство основных таксономических показателей, а также то, что все локальные варианты принадлежат к переднеазиатской расе. Несмотря на это, антропологические группы не представляют собой классическую переднеазиатскую форму, типичные признаки которой характеризуют армян, ассирийцев и другие группы. Более всех к ним близки южно-картвельские группы. Восточно-грузинские группы отличаются от южно-картвельских признаками, характерными для кавкасионского типа. Картвельский и причерноморский варианты отличаются от классического переднеазиатского варианта теми признаками, которые сближают их с распространенным на северо-западном Кавказе понтийским типом.

Кавказ является единственным регионом, где представлены все три ветви южно-европейской расы, которые в расогенетическом отношении более древние, чем северо-европейская раса. Территория Кавказа входила в ареал формирования большой евроазиатской расы, а его население является одним из древнейших среди народов евразийского (европеоидного) типа (Абдушелишвили, Мусхелишвили, Сургуладзе, 1986, с. 459).

Существовавшие в Грузии благоприятные природные условия, своеобразный ландшафт, обилие естественных убежищ и пещер, а также продуктов питания, богатство необходимого

сырья для изготовления каменных орудий обусловили раннее расселение здесь древнейшего человека (Homo erectus). Археологические открытия последних времен совершенно по-новому поставили вопрос о появлении на территории Грузии первобытного человека. Во время раскопок феодального городища Дманиси, среди костей ископаемых животных, были обнаружены человеческая нижняя челюсть и два черепа. Здесь же найдены примитивные каменные орудия. Дманисский человек должен был появиться приблизительно 1,7 миллионов лет тому назад, являясь одним из древнейших обитателей Евразии, вне горячего пояса. По морфологическим данным, Дманисский человек приближается к африканскому человеку. Приблизительно через миллион лет на территории Грузии прочно обосновывается человек ашельского периода каменного века. Интенсивно была заселена Колхида, хорошо были освоены в это время и низинные и горные регионы Восточной Грузии (Джапаридзе, 1999, с. 9 и сл.).

Приблизительно 150 тыс. лет тому назад закончился продолжительный ашельский период, который длился почти полмиллиона лет. Еще более интенсивно первобытный человек осваивает территорию Грузии на поздней ступени палеолита, в эпоху мустье. По-видимому, в этот период существовала благоприятная природная среда для обитания человека, возросло число населения. Широко осваивает человек северо-западную часть Колхиды. Интенсивная жизнь наблюдается в Риони-Квирильском регионе, где в эпоху мустье поселяется человек, осваивающий почти все ландшафтно-климатические пояса. В условиях слабых контактов в культуре постепенно складываются локальные особенности (Джапаридзе, 1999, с. 19 и сл.).

В пещере Сакажия были обнаружены остатки мустьерского человека – палеоантропа (обломок нижней челюсти человека с четырьмя зубами). Человек из Сакажия принадлежит к отдельной ветви неандертальца, для него были характерными некоторые черты ранних неантропов – "разумного человека" (Homo sapiens). Грузия входила в ту зону, где протекал

процесс формирования современного человеческого физического типа – "разумного человека".

С этих времен люди объединяются в отдельные группы. Этот период жизни первобытного человека относится к эпохе дородового строя. Позднее постепенно наступает период формирования раннего родового общества.

Во время верхнего палеолита, в XII-IX тысячелетиях до н.э., на Кавказе резко меняются природные условия. Из-за изменения климатического режима человек покидает свое прежнее место обитания и осваивает новые места. Во время верхнего палеолита завершается процесс формирования типа современного человека – "гомо сапиенса", т.е. процесс его сапиентации, который продолжался от 40-30 тыс. лет до 12-10 тыс. лет. В эпоху верхнего палеолита наблюдаются весьма тесные взаимоотношения между культурами Южного Кавказа и Ближнего Востока.

Хозяйство верхнего палеолитического человека полностью было основано на собирательстве и охоте. Значительные изменения происходят в общественной жизни, в социальных отношениях. На смену раннеродовой ступени приходит более высокая общественная организация, закладывается основа для родового строя. С этим периодом связывается возникновение племенной организации. Создается родовая община, представляющая основную ячейку первобытного общинного строя. Несколько родовых общин объединяются в одну племенную организацию (Джапаридзе, 1999, с. 19 и сл.; Джапаридзе, 1989, с. 20 и сл.).

В эпоху верхнего палеолита должен был начаться процесс возникновения этнокультурной и языковой общности. Возможно, что Западное Закавказье являлось тем регионом, где возникла эта общность. Проживавшие здесь племена находились в тесном контакте, основным средством общения уже должен был быть язык, являвшийся самым древним из других признаков этноса.

В эпоху нового каменного века, т.е. неолита, закладывается основа для производительной экономики, земледелия и

скотоводства. Кардинально меняется образ жизни человека, создаются более крупные племенные объединения, укрепляются основы родового строя, меняются межплеменные отношения, расширяется духовный мир человека, делаются попытки объяснения природных явлений; углубление познания вызывает определенные сдвиги в человеческом мышлении. Переход к производительному хозяйству внес существенное изменение в жизнь общества. Это явление называется "неолитической революцией".

Неолитическая культура в Грузии, и вообще в Закавказье, волзникла на основе мезолита в VIII тысячелетии до н.э. и продлилась до VI тысячелетия до н.э. В неолитическую эпоху население, в основном, было сконцентрировано на территории Западной Грузии. Интенсивное освоение Восточной Грузии начинается в конце неолитической эпохи, во время расцвета раннеземледельческих культур (Джапаридзе, 1999, с. 37 и сл.; Джапаридзе, 1989, с. 93 и сл.).

В эпоху раннеземледельческой культуры (VI-IV тыс. до н.э.) носители этой культуры уже обладали определенными навыками обработки металла. Появляется рельефно изображенная схематическая фигура человека. На некоторых селищах этой культуры обнаружены антропоморфные скульптуры. Из них почти все являются схематическими стилизированными женскими скульптурами, с ярко выраженными признаками плодородия. Они должны были быть связаны с культом Великой матери покровительницы плодородия, урожая и вообще жизни. Установлено существование культа очага, связанного с божеством плодородия (Киквидзе, 1988, с. 161 и сл.).

